იასე ცინცაძე

# მონღოლები და მონღოლთა დაპყრობები

(XII — XIII სს.)

სტალინის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
გამომცემლობა
თბილისი — 1960

ნაშრომი მოიცავს ცნობებს, მონღოლთა ტომებში მიმდინარე სოციალური პროცესების შესახებ, გვაროვნული წყობილების საფეხურიდან ფეოდალურ საზოგადოების ჩამოყალიბებამდე.

ცალკეული თავები შეიცავს მონღოლთა ძველი ისტორიის ძირითადი წყაროების მიმოხილვას, მონღოლური ტომების მეურნეობისა და სოციალური წყობილების ისტორიას და მონღოლთა დაპყრობებს. საქართველოს დაპყრობის ისტორიას წიგნში შედარებით მეტი ადგილი უჭირავს.

ცალკე ქვეთავში აღწერილია დაპყრობილ ხალხებზე მონღოლთა ბატონობის ორგანიზაცია და ჩინგიზის იმპერიის რღვევის დასაწყისი.

# წინასიტყვა

მონღოლთა საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მათი დაპყრობების ისტორია კარგა ხანია, რაც მეცნიერთა რამდენიმე თაობის დაკვირვების ობიექტი შეიქნა. ამ საკითხებს მრავალი საყურადღებო ნაშრომი მიეძღვნა, მაგრამ ბევრი რამ მაინც შესასწავლია.

საბჭოთა კავშირის ხალხები დიდ ინტერესს იჩენენ მონღოლთა ისტორიის შესწავლისადმი. ეს შემთხვევითი როდია... XIII საუკუნიდან მოკიდებული მეთხუთმეტე საუკუნემდე, მონღოლების მიერ შექმნილი სახელმწიფოების ბატონობის ქვეშ იმყოფებოდნენ შუა აზიის, კავკასიისა და აღმოსავლეთ ევროპის ხალხები; ამიტომაც დიდი ინტერესი მონღოლთა ძველი ისტორიისადმი ჩვენში სრულიად ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს.

მონღოლთა ბატონობას დიდი გავლენა მოუხდენია მრავალი ხალხის ისტორიაზე და ამ ხალხებით დასახლებული ქვეყნების სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრება ისე აღარ განვითარებულა მონღოლთა მიზეზით, როგორც იგი სხვა პირობებში იყო შესაძლებელი. ისტორიკოსების უმრავლესობას მონღოლების გამოჩენა მსოფლიო ასპარეზზე მთელი რიგი ხალხებისათვის ისტორიულ უბედურებად მიაჩნია. კ. მარქსი მონღოლთა ბატონობის შესახებ საგანგებოდ შენიშნავდა: „თათართა ბატონობის უღელი ორ ასეულ წელზე მეტს გრძელდებოდა. ეს უღელი არა მარტო ჩაგრავდა, არამედ ხრწნიდა და აშრობდა იმ ხალხის სულს, რომელიც მის ქვეშ მოექცა. მონღოლ-თათრებმა დაამკვიდრეს სისტემატური ტერორის რეჟიმი, რომლის იარაღი—ძარცვა და მასიური მკვლელობა იყო“[1]. მაგრამ იყვნენ ისეთი მეცნიერებიც, რომელნიც

[1] ციტირებული და თარგმნილია ნასონოვის წიგნიდან «Монголы и Русь», 1940 წ., გვ. 3.

მონღოლთა ბატონობის პროგრესულობას ამტკიცებდნენ და, რაც მთავარია, ყოველივე ამას საკითხისადმი მარქსისტულ მიდგომად ასაღებდნენ.

მონღოლთა ბატონობა ორი და სამი საუკუნის მანძილზე უდავოდ თვალსაჩინო დაღს ასვამდა ამა თუ იმ ხალხის ცხოვრებას და ასეთი ისტორიული მოვლენის შეუფასებლობა, მისი ყურადღების გარეშე დატოვება, მნიშვნელოვან ხარვეზად ჩაითვლება ხალხთა ისტორიოგრაფიაში.

ქართულ ენაზე მონღოლების შესახებ არც ერთი სპეციალური ნაშრომი არ მოგვეპოვება. ამ დიდ ხარვეზს, ჩვენს ისტორიოგრაფიაში, ნაწილობრივ ავსებს განსვენებულ აკად. ივ. ჯავახიშვილის საქართველოს ისტორიის მესამე წიგნის ის თავები, რომლებშიაც საქართველოში მონღოლთა შემოსევებზე არის საუბარი. მიუხედავად იმისა, რომ განსვენებული მეცნიერი სპეციალურად მონღოლთა ისტორიას არ წერდა და გაკვრით ეხებოდა საკითხებს, მას არა ერთი საყურადღებო მოსაზრებები აქვს გამოთქმული მონღოლთა ბრძოლებისა და დაპყრობების შესახებ. იგი სავსებით სამართლიანად შენიშნავს: „მონღოლთა ყოფა-ცხოვრებისა და წესწყობილების დასახასიათებლად მეცნიერებმა უკვე თითქმის ყველა წყაროებით, — არაბულ, სპარსულ და სომხურ საისტორიო თხზულებებით, კათოლიკე მქადაგებელთა და მოციქულთა აღწერილობებით, — ისარგებლეს. ქართული საისტორიო წყაროები იყო მხოლოდ აქამდის უყურადღებოდ დატოვებული და ამის გამო ქვემორე მოყვანილს დახასიათებაში იმ ცნობებს გარდა, რომელიც მეცნიერებას ზემოაღნიშნულ წყაროების შედარებითი შესწავლით აქვს შეძენილი, განსაკუთრებით ყურადღება ქართულ საისტორიო წყაროების ცნობებს ექნება მიქცეული"[1]. ქართველი ისტორიკოსის „ჟამთააღმწერელის" ცნობები უდავოდ მრავალ ბუნდოვან საკითხს ჰფენს შუქს, არა მარტო საქართველოს ისტორიიდან, არამედ თვით მონღოლთა ყოფა-ცხოვრების ძველი ისტორიიდან. მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენი მეცნიერი ცდება, როცა ჟამთააღმწერელის ცნობას იყენებს და დაასკვნის: „მონღოლები თათართა და მონღოლთაგან, ორი მთავარ შტოსაგან, შემდგარნი, საგვარეულო წყობილებას ვერ გასცილდნენ... მონღოლთა იმდროინდელი საზოგადოებრივი მდგომარეობის მეორე დამახასიათებელ თვისებას ის შეადგენდა, რომ საგვარეულო წესწყობილებასთან ერთად მათ არც მკვიდრი ბინადრობა ჰქონდათ არც სამშობლოში, არც დაპყრობილ ქვეყნებში, სა-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, 1949 წ. გვ. 14.

დაც კი გაბატონდნენ"[1]. არავითარი ეჭვი არ არის იმაში, რომ, XII—XIII საუკუნის მონღოლებს, გვაროვნული წყობილებიდან მრავალი გადმონაშთი ჯერ კიდევ ჰქონდათ, მაგრამ აღნიშნულ საუკუნეებში მონღოლები გვაროვნული წყობილების საფეხურზე არ იმყოფებოდნენ და რაც მთავარია, საზოგადოებრივ წყობილების გვაროვნულ საფეხურზე სახელმწიფო არ შეიძლებოდა არსებულიყო.

ივ. ჯავახიშვილი სახელმწიფოს არსის და მისი წარმოშობის შესახებ ძველ კონცეპციას იზიარებდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მონღოლთა ისტორიის არა ერთ მხარეს მიაქცია ყურადღება და საკითხის გარშემო არსებული სპეციალური ლიტერატურისა და წყაროების მართებულად გამოყენებით, მონღოლთა ცხოვრების სურათი საინტერესოდ ასახა თავისი თხზულების სათანადო თავებში. ეს მიუხედავად იმისა, რომ იგი სპეციალურად თათარ-მონღოლების ისტორიას არ წერდა და საკითხებს გაკვრით ეხებოდა.

1957 წელს ისტორიის მეც· დოქტორის ვ. გაბაშვილის რედაქციით გამოვიდა ავტორთა კოლექტივის „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან". ქართველ ისტორიკოსთათვის ამ საყურადღებო ნაშრომში, მთელი მეოთხე თავი მონღოლთა ბატონობის ხანას შეეხება (157 — 214 გვ.). იგი დაწერილია ამხ. ვ. გაბაშვილისა და რ. კიკნაძის მიერ. აქ შესანიშნავად არის პირველ რიგში მოხაზული, თუ რა მდგომარეობაა დღეს მონღოლეთის ძველი ისტორიის გარშემო საბჭოურ ისტორიოგრაფიაში. მოკლედ, მაგრამ პირველი წყაროების მოხდენილად გამოყენებით, ცოცხალი სურათია მოცემული მონღოლების მიერ შუა აზიისა და ირანის დასაპყრობად წარმოებულ ომებისა. „ნარკვევების" მეოთხე თავი უმთავრესად ე. წ. ილხანთა ირანს შეეხება, მაგრამ მონღოლთა იმპერიისათვის ძირითად დამახასიათებელ შტრიხებს კარგად ეცნობა მკითხველი. ამხ· ვ. გაბაშვილისა და რ. კიკნაძის ეს ნაშრომი ნაწილობრივ ავსებს იმ დიდ ხარვეზს, რომელიც ასე დამახასიათებელია ქართული ისტორიოგრაფიისათვის მონღოლების ისტორიის ხაზით. მაგრამ ამ ნაშრომში უმთავრესი მაინც ის არის, რომ არსებული ლიტერატურა და წყაროები მარქსისტული მეთოდოლოგიის თვალსაზრისით არის განხილული და თანმიმდევრულად მოთხრობილი. წინამდებარე ნაშრომის ავტორს საგრძნობლად შეუმსუბუქა მუშაობა, რიგი საკითხების სწორად გამართვის დროს, ქართველი ორიენტალისტების ამ შრომამ.

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, 1949 წ., გვ.77.

წინამდებარე წიგნი, მონღოლთა ძველი ისტორიის შესახებ, სპეციალურ კვლევა-ძიების შედეგად მიღებული ნაშრომი არ არის. იგი საკითხის გარშემო არსებული სპეციალური ლიტერატურის და ზოგიერთი პირველ წყაროს საფუძველზეა დაწერილი და მოიცავს ძირითად ცნობებს XII — XIII საუკუნეთა მონღოლების საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების და მათი დაპყრობების შესახებ.

## ცნობები მონღოლთა ძველი ისტორიის ძირითადი წყაროების შესახებ

მე-13 საუკუნემდე — ჩინგიზ-ყაენამდე, მონღოლებს არავითარი დამწერლობა არ ჰქონიათ და ალბათ არც სჭირდებოდათ. ჩინგიზის დროს უიღურთა დამწერლობა მიუღიათ და მონღოლური ენისათვის შეუფარდებიათ. მონღოლურ ენაზე ამ ანბანით დაწერილი არა ერთი ძეგლია გადარჩენილი. ქართველი ისტორიკოსი „ჟამთააღმწერელი", მონღოლური ენისა და დამწერლობის მცოდნე, ერთგან შენიშნავს: „ხოლო მოიპოვეს წერილიცა ამა მცირედითა ასოთა, რომელ ადვილ სასწავლელოცა არს, და ადვილ გულის-ხმის საყოფელო"[1].

მე-13 საუკუნეში მონღოლებს „წერილობით ჩამოუყალიბებიათ ჩინგიზ-ყაენის მიერ დამტკიცებული „კანონთა კრებული"—„იასალი" — მონღოლთა ჩვეულებისა და ადათების კრებული. ამ წესების დაცვა სავალდებულო ყოფილა, როგორც ქვეშევრდომთათვის, ისე თვით ყაენებისათვის.. ამ ძეგლს ჩინგიზ-ყაენის „დიდი იასალი" ეწოდებოდა.

რომ მონღოლებს „იასალის" დაწერილი ცალები ჰქონდათ, ამის შესახებ არა ერთი იმდროინდელი ისტორიკოსი წერს, მათ შორის ცნობილი ჯუვეინიც. ეს უკანასკნელი აღნიშნავს, რომ მონღოლ უფლისწულების საგანძურებში ქაღალდის ფურცლებზე დაწერილი კანონები ინახებოდა და მას უფლისწულების თათბირზე, სალაშქროდ გამგზავრების წინ და სხვა დიდი საკითხების გარჩევის დროს კითხულობდნენ და ამ ძეგლის მიხედვით წყვეტდნენ საკითხებს. მაგრამ

---

[1] ქართლის ცხოვრება, 1897 წ., ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 500.

„იასალის“ ტექსტს ჩვენამდე არ მოუღწევია, თორემ ამ ძეგლს არსებითი მნიშვნელობა ექნებოდა მონღოლთა ძველი ისტორიის დამუშავების დროს.

ყველაზე უფრო დაწვრილებით ცნობას „იასალი“-ს შესახებ ეგვიპტელი მწერალი მაკრიზი გვაწვდის (1441-2 წლ. გარდაიცვალა), მაგრამ ისე ფრაგმენტარულია ეს ცნობები, რომ აკად. ბ. ვლადიმირცოვი ამ მასალის გამოყენებას, მონღოლთა საზოგადოებრივი ცხოვრების სურათის აღსადგენად, თავს არიდებს.

მონღოლებს ჩინელებისაგან ერთი ჩვეულება გადაუღიათ, სახელდობრ, ყაენების ცალკეული ბრძნული გამონათქვამების ჩაწერა. ცნობილია ჩინგიზ-ყაენის ბრძნული გამონათქვამების კრებული, რომელსაც „ბილიგი“ ეწოდება. ეს სიტყვა „ცოდნას“ ან „სიბრძნეს“ ნიშნავს. როგორც ჩანს, ჩინგიზ-ყაენის „ბილიგს“ უფლისწულები სწავლობდნენ და მისი კარგად მცოდნე უფლისწული ერთხელ ამის გამო ყაენადაც აირჩიეს, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არც ამ ძეგლის ტექსტს მოუღწევია ჩვენამდე. ამ ძეგლიდან ცალკეული ადგილები შეტანილი აქვთ იმდროინდელ სხვადასხვა ავტორებს თავიანთ თხზულებებში. ეს ფრაგმენტები მაინც არა ერთ საყურადღებო ცნობას გვაწვდის მონღოლთა ძველი საზოგადოებრივი წყობილების შესახებ“[1].

მონღოლებს, უმთავრესად ყაენებს, უკვე მე-13 საუკუნეში აღძრიათ სურვილი ცოდნოდათ თავიანთი ხალხის ისტორია. სავსებით სამართლიანად შენიშნავს აკად. ბარტოლდი, რომ მე-13 საუკუნის მონღოლებს ისტორიისა და ლეგენდის განსხვავება არ შეეძლოთ, და არც მონღოლების მასწავლებლებს, უიღურებს, ჰქონიათ ნამდვილი ისტორიული თხზულებები[2]. განსვ. აკადემიკოსის ამ შენიშვნას, უიღურების შესახებ, შესანიშნავად ემთხვევა ქართველი ისტორიკოსის „ჟამთააღმწერლის“ შენიშვნა უიღურების ცნობების შესახებ. ჟამთააღმწერელი გვიყვება რა ჩინგიზის ლაშქრობას ერთგან წერს: „ამისსა შემდგომად უიღურთა ზედა წარემართა (ჩინგიზ-ყაენი), რამეთუ უიღურნი ჴელმწიფესა მათსა ედუთობით უჴმობდეს, ხოლო მას ჟამსა სარჩუყ ვინმე იყო მთავარი უიღურთა, რო-

---

1 „იასალის“ და „ბილიგის“ შესახებ იხ. В. Бартольд, Туркестан в эпоху монгольского нашествия, 1900 წ., გვ. 42—43 და Б. Я. Владимирцов, Общественный строй монголов. Монгольский кочевой феодализм, Ленинград, 1934 წ., გვ. 10.

2 В. Бартольд, დასახ. ნაშრომი, 1900, გვ. გვ. 43, 53.

მელთა საქმენი განსაკვირვებელ არიან ვითა ზღაპარნი, და არიან-ცა ზღაპარ და ცუდ, ამისთვის უჯერო არს აწ თქმაო" [1].

სხვა ქვეყნების გავლენის შედეგად, მონღოლთა საყაენო კარს მონღოლთა იმპერიის წარმოქმნის, მათი წინაპრების საქმიანობისა და გმირობის შესახებ შემონახული ცნობების და გადმოცემების ჩაწერის სურვილი უნდა აღძროდა. არ ჩანს როდის დაიწყო მონღოლეთში ასეთი ჩანაწერების შეკრება, მაგრამ 1240 წელს შედგენილი ჩინგიზ-ყაენის ლაშქრობების თხრობა ჩვენამდე შემოინახა. ეს ძეგლი ჩინური ხატოვანი დამწერლობით არის დაწერილი მონღოლურ ენაზე. ამ ძეგლს „იუან-ჩაო-ბი-ში" ეწოდება. ეს სათაური ჩვენს ენაზე ნიშნავს: „თქმულებათა საგანძური მონღოლთა შთამომავლობის შესახებ". ჩვენამდე მოაღწია ამ ძეგლის ჩინურმა თარგმანებმაც. ჩინურიდან ეს ძეგლი რუსულ ენაზედაც ითარგმნა მე-19 საუკუნეში. „იუან-ჩაო-ბი-ში" უმთავრესად მონღოლთა იმ ტომის თავგადასავალზე მოგვითხრობს, საიდანაც ჩინგიზ-ყაენი გამოვიდა. მასში ეპიკური სტილით მოთხრობილია საყურადღებო ამბები მონღოლთა ტომების საზოგადოებრივი ცხოვრების სურათის აღსადგენად. აღწერილ მოვლენათა ქრონოლოგია ან სულ არ არის, ან რაც არის, მეტის-მეტად არეულია. ამ ძეგლს XII—XIII საუკუნეების მონღოლთა ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს [2].

ჩინგიზ-ყაენის ლაშქრობების მომსწრე მაჰმადიან ისტორიკოსთაგან სამი ავტორია ცნობილი: იბნ-ალ-ასირი, ალ-ჯუზჯანი და ახმედ ან-ნესევი. მართალია არც ერთს ამათგანს ჩინგიზ-ყაენის ლაშქრობების სრული ისტორია არ დაუწერია, მაგრამ ცალკეული ეპიზოდები, რომელთა შესახებ მათ ცნობების შეკრება შეეძლოთ, კარგად აქვთ აღწერილი. იბნ-ალ-ასირი მესოპოტამიაში ცხოვრობდა, ამდენად მას დაწვრილებითი ცნობების შეკრება არ შეეძლო, მაგრამ ბუხარასა და სამარყანდის აღების ამბავი თვითმხილველისაგან ჰქონია მოსმენილი. ერთგან ის ქართველი ელჩისაგან მიღებულ ცნობასაც გვაწვდის. იგი წერს: „ერთი კეთილშობილი ქართველი, რომელიც ელჩად იყო გამოგზავნილი ჩვენში, ჩემი თანდასწრებით ამბობდა: თუ თქვენ ვინმე გეტყვით, რომ თათრები (ბრძოლის ველიდან) გაიქცნენ, ან ტყვედ დანებდნენ, არ დაიჯეროთ; თუ გაიგონოთ, რომ თათრები ამოწყვეტილი იქნენ ეს შეიძლება დაიჯეროთ, მაგრამ გაქცევით ეს ხალხი არასოდეს არ გაიქცევა.

[1] ქართლის ცხოვრება, II, ზ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ი ს გამოც., გვ. 503.

[2] „იუან-ჩაო-ბი-ში"-ს შესახებ იხ. В. Бартольд, დასახ. ნაშრომი, ვვ. გვ. 43—44 აგრეთვე Б. Я. Владимирцов, Общественный строй монголов..., 1934, გვ. გვ. 6—9.

ერთი ცხენზე ამხედრებული თათარი სოფელში შესულიყო, სადაც ქუჩაზე თავშეყრილი ბრბო იდგა. თათარმა ხმლით ჩეხა იწყო ერთი-მეორეს მიყოლებით, მაგრამ ვერც ერთმა იქ მყოფთაგანმა ვერ გაბედა ამ ერთის წინააღმდეგ ხელის აღება. აი კიდევ რა ამბავმა მოაღწია ჩემამდე: დაიჭირა თათარმა ერთი კაცი და რადგანაც ამ კაცის მოსაკლავად მას თან არავითარი იარაღი არ აღმოაჩნდა, უბრძანა მას: დადე თავი მიწაზე და არ გაინძრე, და მართლაც, ეს დატყვევებული კაცი იწვა მიწაზე (განუძრევლად), თათარი ხმლის მოსატანად წავიდა, დაბრუნდა და მოკლა იგი"[1]. იბნ-ალასირი მონღოლთაგან ფსიქოლოგიურად წელში გატეხილ და უკვე სულით დამონებულ ხალხის დასასურათებლად იძლევა ცნობებს და, რაც მთავარია, გადმოგვცემს თვითმხილველთაგან მონათხრობს.

ახმედ ნესევი მონღოლთა ლაშქრობის დროს თავის საგვარეულო კოშკში ხორასანში ცხოვრობდა და 1123 წლის ახლო ხანებში ჯალალ-ედდინის სამსახურში შესულა. მას გადმოცემული აქვს დაწვრილებითი ცნობები თავის სამშობლოს შინა ვითარების შესახებ. სამხედრო ამბები მოკლედ აქვს მას მოთხრობილი. ჯუზჯანის დეტალური ცნობები მოეპოვება ავღანეთის შესახებ. ერთი ციხე-სიმაგრის დაცვაში ამ ისტორიკოსს პირადად მიუღია მონაწილეობა.

მონღოლთა ლაშქრობების შესახებ სრული მიმოხილვა ალაედდინ ატა მელიქ ბენ მუჰამედ ჯუვეინმა დაწერა. (იგი გარდაიცვალა 1283 წ.). მის თხზულებას ეწოდება „მსოფლიოს დამპყრობლის ისტორია" („თარიღი ჯახან-ქუშაი"). ჯუვეინი თურქესტანში, უიღურეთში და მონღოლეთში ყოფილა პირადად და ამდენად, სხვა იმდროინდელ ისტორიკოსებთან შედარებით, უპირატესობა ეკუთვნის, როგორც რიგი მოვლენების თვითმხილველს. ამ ისტორიკოსის ნაშრომი მოიცავს მონღოლების ისტორიას ჰულაგუ-ყაენის ისმაილიტებზე გალაშქრებამდე[2].

მონღოლების ისტორიისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს სახელგანთქმული სპარსელი ისტორიკოსის რაშიდ-ედ-დინის ნაშრომს, რომელსაც „მატიანეთა კრებული ეწოდება". რაშიდ-ედ-დინი (ფადლალლაჰ რაშიდ-ედ-დინ ბენ იმად ად-დაული აბულ-ლ-ჰაირი), პროფესიით მკურნალი, ყოფილა მრავალ საღვთისმეტყველო თხზულებათა ავტორი. იგი აბაღა-ყაენის დროს (1265—1282) სახელ-

---

[1] იბნ-ალ-ასირის თხზულების აქ მოტანილი ტექსტი რუსული თარგმანიდან გვაქვს გადმოღებული. რუსული ტექსტი იხ. Византийский временник, XXIV, 1926, გვ. 13.

[2] ამ ისტორიკოსების შესახებ იხ. В. Бартольд, Туркестан в эпоху монгольского нашествия, II, 1900 წ., გვ. გვ. 39—41.

მწიფო სამსახურში შესულა. ყაზან-ყაენის დროს (1295 — 1304), 1298 წელს, ვეზირი გამხდარა და მისთვის თვით ყაენს მონღოლთა სახელმწიფოს ისტორიის დაწერა დაუვალებია. მას ნაშრომი დასრულებული არ ჰქონდა, როცა ყაზან-ყაენი გარდაიცვალა. ახალ ყაენს რაშიდ-ედ-დინისათვის უფრო დიდი დავალება მიუცია, მას უნდა დაეწერა მონღოლებთან ურთიერთობაში მყოფ ხალხების ისტორიაც. ამ დავალების სისრულეში მოსაყვანად უსარგებლია სპარსეთის სამეფო კარზე მყოფ სხვადასხვა ხალხების განსწავლულ წარმომადგენელთა რჩევით, მითითებით და მასალებით. ნაშრომი მას 1310—1311 წლებისათვის დაუსრულებია. ასეთი ენციკლოპედური ხასიათის ნაშრომი იმ დროს არც აზიაში და არც ევროპაში არავის არ ჰქონდა. რაშიდ-ედ-დინის ნაშრომი მთლიანად არ გადარჩენილა, ბოლო ნაწილი დაკარგულია. მონღოლთა შესახებ ცნობებს სპარსეთის ყაენის კარზე ჰკრებდა თურმე, მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა მონღოლთა არისტოკრატიულ წრეებთან. მას ცნობები მიუღია თვით ყაზან-ყაენისაგანაც, რომელიც მცოდნე ადამიანი ყოფილა. რაშიდ-ედ-დინს ჯუვეინის მასალებიც გამოყენებული აქვს. უსარგებლია აგრეთვე მონღოლური საისტორიო თხზულებით „ალთან დეფთერი"-თ („ოქროს წიგნით"); ეს ძეგლი თვით ყაენის საგანძურში ინახებოდა. დღეს ეს წიგნი დაკარგულად ითვლება. 1318 წელს რაშიდ-ედ-დინს ღალატში დადეს ბრალი და სიკვდილით დასაჯეს. რაშიდ-ედ-დინის შრომის დედანი არ შენახულა. დაცულია მხოლოდ მე-14 და მე-15 საუკუნეებში გადაწერილი პირები[1].

ჩინურ ძეგლთაგან საყურადღებოა სამხრეთ-ჩინეთის მთავრობის მიერ მონღოლეთში 1221 წელს გაგზავნილი დესპანის, მენ-ხუნის, მოხსენებითი ბარათი. მენ-ხუნი საზავო ხელშეკრულების დასადებად იყო გაგზავნილი მონღოლეთის მბრძანებელთან და რიგი ამბების თვითმხილველი და მონაწილე გახდა. საყურადღებო ცნობები აქვს მონღოლთა შესახებ ჩინელ ჩან-ჩუნსაც თავისი მოგზაურობის აღწერილობაში[2].

მონღოლთა ისტორიისათვის ძვირფასი ცნობები მოგვაწოდეს ევროპიელმა ავტორებმა პლანო კარპინიმ და გუილიომ რუბრუკვისმა. პლანო კარპინის კალამს ეკუთვნის ნაშრომი სახელწოდებით: „ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ", რუბრუკვისის ნაშრომს სათაურად აქვს: „მოგზაურობა აღმოსავლე-

[1] რაშიდ-ედ-დინის თხზულების შესახებ იხ. В. Бартольд, დასახელებული ნაშრ., გვ. გვ. 45 — 50. Б. Я. Владимирцов, Общественный строй монголов, 1934, გვ გვ. 6—9.

[2] ჩინელი ავტორების შესახებ იხ. В. Бартольд, დასახ. ნაშრ., გვ. გვ. 38—39.

თის ქვეყნებში“. პლანო კარპინი 1182 წელს დაბადებულა იტალიაში, ხოლო 1252 წელს გარდაცვლილა. როგორც ცნობილია, მე-13 საუკუნის ორმოციანი წლებისათვის მონღოლთა ორი სახელმწიფო ჩამოყალიბდა, ერთი ოქროს ურდოს სახელწოდებით, ხოლო მეორე ყოფ. სპარსეთის ნაცვლად ე. წ. ილხანების სამფლობელო. პირველის სათავეში ჩინგიზ-ყაენის უფროსი შვილიშვილი ბათო-ყაენი იდგა.

რომის პაპს ინოკენტი IV 1246 წელს ელჩად გაუგზავნია კარპინი ბათო ყაენთან ოქროს ურდოში და სპარსეთში. პლანო კარპინი ფრანცისკელი კათოლიკე ბერი იყო, მინორიტთა ორდენის წევრი. მას თან ახლდა პოლონელი კათოლიკე ბერი იმავე მინორიტების ორდენის წევრი ბენედიქტე, რომელიც თარჯიმანობას უწევდა პლანო კარპინს. თავის მიზანდასახულებას ასე მოხაზავს თხზულების წინასიტყვაობაში პლანო კარპინი: „...ჩვენ გვინდოდა დანამდვილებით გაგვეგო თათრების სურვილები და ზრახვები და ისინი ქრისტიანებისათვის გაგვემხილა, რათა თათრები ხელ-ახლა მოულოდნელად თავს არ დასხმოდნენ უიარაღო ქრისტიანებს (რაიცა ერთხელ უკვე მოხდა ადამიანური შეცდომების გამო) და ამ უკანასკნელთ შორის დიდი სისხლისღვრა არ გამოეწვიათ. ამიტომ თქვენ უნდა ერწმუნოთ ყოველივეს, რასაც... ვწერთ, მით უმეტეს, რომ ჩვენ მათ ქვეყნებში ვიმოგზაურეთ და მათს შორის წელიწადსა და ოთხ თვეზე მეტი დავყავით, ხოლო მათთან ყოფნის დროს ყოველივე ჩვენი საკუთარი თვალით ვნახეთ ან მათს ტყვეობაში მყოფი ქრისტიანებისაგან მოვისმინეთ, რომელნიც, როგორც გვგონია, რწმენის ღირსნი არიან“[1]. მოტანილ ტექსტში პაპის ელჩის მოქმედების მთელი პროგრამაა მოცემული. პლანო კარპინი, როგორც ვხედავთ, თვითმხილველი მწერალია. მართალია მან მონღოლური და საერთოდ აღმოსავლური ენები არ იცის, მაგრამ მას ახლავს თარჯიმანი, რომელმაც სლავური ენები იცის. მისი საშუალებით პლანო კარპინი მონღოლთა მბრძანებლების კარზე მყოფ ტყვე ქრისტიანებისაგან ჰკრებდა ცნობებს. პლანო კარპინი შორეულ აღმოსავლეთში მყოფ ქართველებსაც გამოსაუბრებია და არა ერთი საყურადღებო ცნობა აქვს საქართველოსა და ქართველების შესახებ.

საკმარისია აქვე მოვიტანოთ პლანო კარპინის თხზულების წინასიტყვაობიდან ერთი ადგილი, რომ სავსებით დავრწმუნდეთ რა

---

1 მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი II, 1942, გვ. 5.

ძვირფასი ცნობების შემცველი უნდა იყოს მისი ნაშრომი: „...განვიზრახეთ რა თათართა საქმე აღვწეროთ, რათა მკითხველი უფრო ადვილად გაერკვეს, ჩვენს აღწერას შემდეგნაირად დავყოფთ: პირველად ვილაპარაკებთ მათს მიწა-წყალზე, მეორედ—ადამიანებზედ, მესამედ—წესებზე, მეოთხედ—ზნე-ჩვეულებებზე, მეხუთედ—მათს სახელმწიფოზე, მეექვსედ — ომებზე, მეშვიდედ—მათ მიერ დაპყრობილ ქვეყნებზე, მერვედ — თუ როგორ უნდა წარმოებდეს ომი მათ წინააღმდეგ; უკანასკნელად აწერილი იქნება ჩვენ მიერ განვლილი გზა და იმპერატორის კარი და დასახელებული იქნებიან მოწმეები, რომელთაც თათართა ქვეყანაში გვნახეს"[1].

მაგრამ ამ განათლებულ ადამიანს ზოგიერთი ფანტასტიკური ცნობაც შეუტანია თავის ნაშრომში და არ ჩანს, რომ მას არ სჯეროდეს ეს ზღაპრული ამბავი. ერთგან აღნიშნული აქვს, რომ ჩინეთის სამხრეთ ნაწილში დიდი უდაბნო არისო და ველური ადამიანები ცხოვრობენო: „ისინი თურმე სრულიად არ ლაპარაკობენ, ფეხებზე სახსრები არ აქვთ, ისე რომ თუ მიწაზე დაეცნენ სხვის დაუხმარებლად ვერ ადგებიან, მაგრამ იმდენი მოსაზრება ჰქონიათ, რომ აქლემის ბეწვისაგან ქეჩებს აკეთებენ... თუ თათრები თავს დაესხნენ და ისინი ისრებით დაკოდეს, ჭრილობებზე ბალახს იდებენ და საჩქაროდ გარბიან მტრებისაგან"[2]. ასეთივე უცნაურია ამბავი სპილენძის ადამიანების გაკეთების, ცეცხლის გაღვივების, ცხენების შეტრუსვის, ჰაერის დაბნელების და თათრების დამარცხების შესახებ.

მიუხედავად ასეთი ადგილებისა, პლანო კარპინის ნაშრომს დიდი მნიშვნელობა აქვს მონღოლთა ისტორიისათვის. პლანო კარპინის ნაშრომი ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოიცა კიდეც (იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1942 წ., ნაკვეთი II. თარგმანი შესრულებულია გერონტი ქიქოძის მიერ).

მეცამეტე საუკუნის ორმოცდაათიანი წლების მოგზაურთა შორის მკვლევართა დიდ ყურადღებას იპყრობს გუილიომ რუბრუკვისი. იგი პლანო კარპინის მსგავსად თვითმხილველი მოგზაურია მონღოლთა სახელმწიფოში. რუბრუკვისის დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები არ არის დაზუსტებული; იგი მე-13 საუკუნის პირველ ათეულ წლებში უნდა იყოს დაბადებული და არაზუსტი ცნობებით ამავე საუკუნის ბოლომდე უნდა ეცოცხლა. და-

---

1 მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი II, 1942, გვ. 5—6.

2 იქვე.

ნამდვილებით ვიცით, რომ იგი 1253—4 წლებში მონღოლეთში მოგზაურობდა, მაგრამ არა საკუთარი ინიციატივით. რუბრუკვისი ლუი IX გაგზავნა ბათო ყაენის შვილთან, სარტახთან, რომელიც უშუალოდ განაგებდა მაშინ ყივჩაყეთსა და რუსეთს. მაგრამ, რადგანაც იმ დროს უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობის საკითხებს მხოლოდ ცენტრი წყვეტდა, სარტახმა რუბრუკვისი ჯერ ბათო ყაენთან გაგზავნა, ხოლო ამ უკანასკნელმა იგი მონღოლეთში გაისტუმრა—ყარაყორუმში, მანგუ-ყაენთან. მაშასადამე, რუბრუკვისი ჯერ სამხრეთ რუსეთით ვოლგაზე მივიდა, ხოლო იქედან შუა-აზიით და ციმბირით მონღოლეთში. 1254 წელს მონღოლეთიდან ისევ ვოლგაზე მოვიდა, მაგრამ ახლა დარუბანდის კარით შირვან-შამახას გზით ნახჭევანზე გავლით ანისამდე მივიდა, შემდეგ აზრუმით ანტიოქიაზე გავლით პალესტინაში. აქედან სამშობლოში როდის დაბრუნდა არ არის ცნობილი. რუბრუკვისს თავისი მოგზაურობის აღწერილობა მოხსენების სახით, საფრანგეთის მეფის, ლუი IX-თვის წარუდგენია. რუბრუკვისის თხზულება უხვი ცნობების შემცველია მონღოლთა ცხოვრების შესახებ. ამდენად მონღოლეთის ისტორიკოსი ამ წყაროს გვერდს ვერ აუვლის. ეს თხზულება ქართულ ენაზედაც არის გადმოთარგმნილი გ. ქიქოძის მიერ (იხ. მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1942 წ., ნაკვეთი V, ისტორიის ინსტ. გამოც.).

მონღოლთა შესახებ ცნობებს გვაწვდიან ქართველი და სომეხი ისტორიკოსები. „ჟამთააღმწერელი", კვირიაკე განჯელი და ვარდანი, ასევე რუსი მემატიანე. ხსენებულ ავტორთაგან გამოირჩევა ქართველი „ჟამთააღმწერელი", რომლის ვინაობა გაურკვეველია, მაგრამ საეჭვო არ არის, რომ იგი სამცხე-საათაბაგოს სამთავროს მცხოვრები უნდა იყოს და მმართველ წრეებთან ახლო მყოფი პირი.

ჟამთააღმწერლის, ვითარცა ისტორიკოსის შესახებ განსვენებული ივ. ჯავახიშვილი საგანგებოდ ჩერდება თავის კაპიტალურ ნაშრომში „ისტორიის წყაროები"... იგი მართებულად აღგენს ამ განათლებული ისტორიკოსის მოღვაწეობის ხანას და სავსებით სამართლიანად შენიშნავს, რომ ასეთ საღად მოაზროვნე პიროვნებას არ შეეძლო თავის თხზულებაში შეეტანა ის ზოგიერთი ზღაპრული ამბავი, რომელიც მოთხრობილია მის ნაშრომში. ზღაპრული ამბები მერმინდელ ავტორთა თუ რედაქტორთა მიერ უნდა იყოს ჩამატებული. ჟამთააღმწერელმა შესანიშნავად იცის მონღოლთა ისტორია, იგი უდაოდ უნდა იცნობდეს მის დროს არსებულ საისტორიო თხზულებებს მონღოლთა შესახებ, და არა მარტო ომების ამბავს

გვიყვება, რაც იმ დროს მემატიანეთათვის საყოველთაოდ დამახასიათებელი იყო, არამედ აღწერს ხალხს, ახასიათებს მათ კულტურას, სახელმწიფო და სამხედრო წყობას. ჟამთააღმწერელს მოეპოვება არა ერთი ისეთი ცნობა მონღოლთა შესახებ, რომელსაც სხვა წყაროებში მკვლევარი ვერ შეხვდება. სამწუხაროდ, ჟამთააღმწერლის ქართული წყაროები აღმოჩენილი არ არის, არც მისი უცხო წყაროებია ზუსტად დადგენილი, მაგრამ მის თხზულებაში დაცული მასალები რომ სანდოა, ამაში დღეს ეჭვის შეტანა არ შეიძლება. ჟამთააღმწერლის თხზულების ტექსტი მართებულად დიდხანს არ გამოცემულა.

## ცნობები მონღოლთა ტომების მეურნეობისა და სოციალური წყობილების შესახებ

მონღოლთა ტომების შესახებ ცნობები მეთორმეტე საუკუნიდან მოგვეპოვება. მართალია ჩინურ ძეგლებში უფრო ადრე (VII — XI) არის მოხსენებული მონღოლთა მოდგმა „ში-ვეი-მონგოუ“-სა და „მენგუ“-ს სახელწოდებით, მაგრამ მათი ყოფაცხოვრების შესახებ ცნობები დაცული არ არის. მე-12 საუკუნისათვის კი ზოგიერთ მონღოლურ ტომის სახელწოდება, ადგილსამყოფელი და მეზობლებთან მათი ურთიერთობა ზოგადად მაინც შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. მონღოლების ტომები შორეულ აღმოსავლეთში ცხოვრობდნენ, მე-12 საუკუნეშიაც მათ განკარგულებაში ყოფილა ტერიტორია ჩრდილოეთით ენისეისა და ირტიშის სათავეებიდან მოკიდებული ბაიკალის ტბის მიდამოებამდე, სამხრეთით ჩინეთის დიდ კედლამდე. აღმოსავლეთით მდინარე კერულენისა და კულუნბუირ-ნურის ტბების მიდამოებიდან დაწყებული დასავლეთით ალტაის მთაგრეხილამდე.

მოხაზულ ტერიტორიაზე მონღოლთა მრავალრიცხოვანი ტომები მოხეტიალეობდნენ. ჩინელები იმ დროს მონღოლთა ტომებს სამ ჯგუფად ჰყოფდნენ: თეთრ მონღოლებად, შავ მონღოლებად და ველურ მონღოლებად.

„თეთრი მონღოლები“ სამხრეთით ჩინეთის დიდი კედლის მ ხლობლად ცხოვრობდნენ, ჩინური კულტურის გავლენას განიცდიდნენ და სხვა ტომებთან შედარებით უფრო დაწინაურებული იყვნენ.

„შავი მონღოლები“, თეთრებთან შედარებით, უფრო ჩამორჩენილები ყოფილან, მაგრამ მათ შორის ნაიმანები და კერაიტების ტომები მეზობელ უიღურების გავლენით დაწინაურებულან, ქრისტიანობაც მიუღიათ ნესტორიანული ტიბიკონის.

„ველური მონღოლები“, რომელთაც ტყის ხალხებსაც უწოდებ-

დნენ. ჩრდილო-დასავლეთით ტყეებში ცხოვრობდნენ. ჩინურ წყაროების საფუძველზე მონღოლთა ტომების ამ სახით დაჯგუფება აკად. ვ. ბარტოლდს ეკუთვნის[1]. უფრო სწორია აკად. ვლადიმირცოვის მიდგომა საკითხისადმი. იგი მონღოლთა ტომებს ორ ჯგუფად ჰყოფს. ამ დაყოფას სოციალური განვითარების საფეხური უდევს საფუძვლად. მონღოლების დიდი ნაწილი მეჯოგეობას მისდევდა და მონღოლეთის თვალუწვდენ ველებზე ჯოგებთან ერთად მომთაბარეობდა. ამდენად ამ ტომებს „ველის მონღოლებს" უწოდებს ვლადიმირცოვი. ველის მონღოლთა სიმდიდრეს მსხვილ და წვრილფეხა საქონლის ჯოგები შეადგენდა. მე-12 საუკუნის ბოლოს ველის მონღოლებს ცხენების მომრავლება დაუწყიათ და მე-13 საუკუნისათვის ცხენების მრავალრიცხოვანი ჯოგები ჰყოლიათ. მონღოლები ცხენს მარტო საჯდომად და ბარგის გადასაზიდად კი არ იყენებდნენ, არამედ საკვებადაც. ქართველი მემატიანეც საგანგებოდ შენიშნავს მონღოლების შესახებ: „პურისა გემო არა იციოდიან, ჴორცითა და პირუტყვთა სძითა იზრდებოდეს"[2]. განსაკუთრებით ჰყვარებიათ ცხენის რძე. ფრანგი მოგზაური რუბრუკვისი, რომელმაც 1254 წელს ბათო ყაენის რეზიდენცია ინახულა ვოლგაზე, თავის მოგზაურობის აღწერილობაში ერთგან წერს: „ბათოს თავისი ურდოს გარშემო ოცდაათი ფერმა აქვს, რომელთა სიგრძე ერთი დღის სავალს აღწევს; თვითეულ მათგანში ასი ჰაკი ცხენია, რომელნიც მას ყოველდღე რძეს აძლევენ; მაშასადამე, მას ყოველდღიურად სამი ათასი ცხენის რძე მისდის..."[3]. რუბრუკვისს აღწერილი აქვს, თუ როგორ ამზადებდნენ თათარ-მონღოლები ცხენის რძისაგან სასმელს, კუმისს თუ ყუმისს. ამ სასმელის შესახებ ის წერს: „კუმისი... ენას კბენს და მაჰრის გემო აქვს (შამპანური ღვინის გემოს წააგავს); როდესაც კაცი მას სვამს ენაზე ნუშის რძის მაგვარი გემო რჩება, ის ადამიანის გულს ამხიარულებს, ხოლო სუსტი თავის პატრონს ათრობს კიდეც"..[4]. რომის პაპის ელჩი პლანო კარპინი, რომელმაც 1246 წელს იმოგზაურა მონღოლთა სამფლობელოში, აღნიშნავს თავის მოგზაურობის აღწერილობაში, რომ მონღოლებს „როცა ცხენის რძე აქვთ, მეტის-მეტად ბევრს სვამენ; ეტანებიან აგრეთვე

---

[1] В. Бартольд, Образование империи Чингиз-хана. იხ. Записки восточного отделения императорского русского археологического общества, том X, выпуск I—IV, СПб, 1897 წ., გვ. გვ. 107 — 109.

[2] ქართლის ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 499.

[3] მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1942 წ., ნაკვეთი V, გვ. 23.

[4] იქვე.

ცხვრის, თხის, ძროხისა და აქლემის რძეს. ღვინო, ლუდი და თაფლი არ აქვთ, თუ სხვა ხალხებისაგან არ მოიტანეს, ან საჩუქრად არ მიიღეს. ზამთარში არავის, გარდა მდიდრებისა, ცხენის რძე არ აქვს, ღარიბები ფეტვს ხარშავენ წყლით და ისე თხლად, რომ მისი შეჭმა კი არა, მხოლოდ შესმა შეიძლება; თითოეული მათგანი ერთ ან ორ ჩამჩას სვამს დილით და შემდეგ მთელ დღეს არაფერს სჭამს, საღამოთი თითოეულს ცოტაოდენი ხორცი და ხორცის წვენი ეძლევა; ზაფხულობით კი, რადგან ამ დროს ცხენის რძე უხვადაა, ხორცს ნაკლებ სჭამენ, თუ შემთხვევით ვინმემ არ აჩუქათ ან ნადირი ან თუ ფრინველი არ დაიჭირეს"[1]. მონღოლთა სხვა საკვების შესახებ იგივე წყარო ერთგან გვაუწყებს: „ისინი სჭამენ ყველაფერს, რის დალეჭვაც კი შეიძლება: ძაღლებს, მგლებს, მელიებს, ცხენებს, გაჭირვების დროს ადამიანის ხორცსაც. ერთხელ, როდესაც იმათ ალყა შემოარტყეს ჩინეთის ქალაქს, სადაც იმ ხალხის იმპერატორი იმყოფებოდა, მათ (ე. ი. მონღოლებს) ხანგრძლივ ალყაში დგომის გამო ყოველივე სურსათი გამოელიათ; ამიტომ ყოველი ათი კაციდან თითოს ღებულობდნენ შესაჭმელად. სჭამდნენ ჭაკის ბადეს, რომელშიაც ახლად შობილი კვიცია გახვეული. ჩვენ დავინახეთ, რომ ისინი თვით ტილებსა და თაგვებს სჭამდნენ. არც პური აქვთ, არც მწვანილი და ბოსტნეული და არც სხვა რამე გარდა ხორცისა... ხელებს ძალიან უჭუჭყიანდებათ ქონით, როცა გაძღებიან ჩექმებზე, ბალახზე ან რაც მოხვდებათ იმაზე იწმენდნენ... ჭურჭელს არ რეცხენ, ხოლო თუ ხანდახან ხორცის წვენს გამოავლებენ, ხორცთან ერთად ისევ ქოთანში ასხამენ... ტანისამოსსაც არ რეცხავენ და არ აძლევენ"[2].

ქართველი ისტორიკოსიც აღნიშნავს მონღოლთა ტომების შესახებ, რომ „ესენი მცირედთა საზრდელთა განეშორებოდეს, რამეთუ ყოველსა სულიერსა სჭამდეს, ჴორცსა კატისა, ძაღლისა, და ყოველსავე"[3]. მიუხედავად იმისა, რომ ცხოველთა მრავალრიცხოვანი ჯოგები ჰყავდათ, დასაკლავად იშვიათად იმეტებდნენ. პლანო კარპინი აღნიშნავს: „თუმცა მათ უდიდესი ცხვრის ფარები ჰყავთ, მაგრამ ძალიან უყვართ მათი გამრავლება; ზედმეტი სიძუნწისაგან კი იშვიათად ან სრულიად არ სჭამენ ჯანსაღ ან ცოცხალ პირუტყვს, არა-

[1] მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1942 წ., ნაკვეთი II, გვ. 19.

[2] იქვე, გვ. 18:

[3] ქართლის ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 501.

მედ შეექცევიან მკვდარს, მომაკვდავს, დასახიჩრებულს ან ავადმყოფს.... მხოლოდ ერთი რამაა მათში საქები, რომ თუ ვინმე სადილად ან ვახშმად შეესწრო, მას სიამოვნებით უნაწილებენ თავიანთ საჭმელს"[1]. მართალია ჩვენ მიერ ზემოთ მოტანილი ცნობები მე-13 საუკუნის ფაქტებია, მაგრამ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ამავე წესით ცხოვრობდნენ მე-12 საუკუნის მონღოლთა ის ტომები, რომელნიც ველის მონღოლებად იწოდებოდნენ და მეჯოგეობას ეწეოდნენ.

მეჯოგეობის გარდა, ველის მონღოლები, ნადირობას ეწეოდნენ, ნადირობდნენ ნადირებზე და ფრინველზე, აგრეთვე თევზსაც იჭერდნენ. „თქმულებათა საგანძურში" ველის მონღოლები მოხსენებული არიან, როგორც ქეჩის კარვებში მცხოვრებნი. ამ კარვების ახსნა და ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა მარტივი საქმე იყო. მეჯოგე მონღოლთა ტომები მრავალრიცხოვანი ყოფილა. ისინი ჯოგების გამოსაკვებად იძულებული იყვნენ წლის განმავლობაში რამდენიმეჯერ გამოეცვალათ ადგილსამყოფელი. ზამთრით ჯოგების გამოსაკვებს არ ამზადებდნენ. ზამთრისათვის არჩევდნენ ისეთ ადგილებს, სადაც ჯოგები ხმელი ბალახის სახით საჭმელს იპოვნიდნენ. მონღოლები უმთავრესად ბეწვეულით იმოსებოდნენ. ასეთი ცხოვრება მათ ძალიან მოსწონდათ და დიდ კმაყოფილებას გამოთქვამდნენ თურმე[2]. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ველის მონღოლებს თავიანთი ჯოგებიდან საქონლის დაკვლა ენანებოდათ და ამიტომ მკვდარს ან დასახიჩრებულს თუ გაიმეტებდნენ საჭმელად. ცხადია, ასეთი მომჭირნეობა აუცილებელი იყო მეჯოგეობისათვის, რადგან დაუზოგავად საქონლის ხორცის ჭამა ჯოგს აჩანაგებდა. რუბრუკვისი ერთგან აღნიშნავს: „დიდკაცებს მამულები აქვთ სამხრეთში, საიდანაც ფეტვსა და ფქვილს ღებულობენ ზამთრისათვის. ღარიბები ტყავეულობასა და ცხვრებს სცვლიან ფეტვსა და ფქვილში. მონები მუცელს ივსებენ ჭუჭყიანი წყლით და ამით კმაყოფილდებიან. აგრეთვე ისინი იჭერენ თაგვებს: იქ თაგვის მრავალი ჯიში მოიპოვება, ისინი არ სჭამენ გრძელ კუდიან თაგვებს, არამედ ფრინველებს აძლევენ. სჭამენ ციყვებს და ყოველგვარ მოკლე კუდიან თაგვებს, იქ მოიპოვება აგრეთვე მრავალი ზაზუნა, რომელსაც ისინი სოგიურს უწოდებენ; ისინი ზამთარში ოციდან ოცდაათამდე ხვრელში იკრიბებიან და ექვსი თვის განმავ-

[1] მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტ., ნაკვეთი II, გვ. 17.

[2] იხ. ამის შესახებ Б. Владимирцов, Общественный строй монголов..., 1934 წ., გვ. 34.

ლობაში ძინავთ; თათრები მათ მასობრივად იჭერენ... არსებობს სხვა მრავალი პატარა ცხოველი, კარგად გამოსადეგი საჭმელად... მე არ შემხვედრია ირმები, ნაკლებად მინახავს კურდღელი, ხოლო, ჯეირანი მრავლადაა. მრავლად მინახავს გარეული ვირი, რომელიც ჯორს ჰგავს... მათ ჰყავდათ აგრეთვე შევარდნები, სონღულები და მთელი გუნდები ყარყატებისა, მონადირე ფრინველს მარჯვენა ხელზე ატარებს... ნადირობა მათ საკვების უდიდეს ნაწილს აძლევს... ნადირობის დროს ერთად თავს იყრიან და ჰკრავენ იმ ადგილს, სადაც ნადირი ეგულებათ; შემდეგ თანდათან ერთმანეთს უახლოვდებიან, სანამ ნადირს წრეში არ მოაქცევენ; მაშინ ისრებს უშენენ. ისინი ნადირის ტყავისაგან აგრეთვე ფეხსაცმელების ყელებს აკეთებენ"[1].

საყურადღებოა, რომ მეჯოგე მონღოლები კარგად იცნობდნენ თავიანთი ჯოგების საძოვრების საზღვრებს ისე, რომ უთავბოლოდ კი არ დახეტიალობდნენ სურვილისდა მიხედვით. რუბრუკვისი ერთგან შენიშნავს: „...(მონღოლების) ყოველმა მეთაურმა, იმისდა მიხედვით, მეტი თუ ნაკლები ადამიანი ჰყავს მას თავის ხელქვეით. იცის თავისი საძოვრების საზღვრები და სად უნდა წაიყვანოს თავისი ჯოგები ზამთარსა და ზაფხულში, გაზაფხულსა და შემოდგომაზე. ზამთარში ისინი ეშვებიან უფრო თბილი ადგილებისაკენ, რომელიც სამხრეთით სძევს; ზაფხულში უფრო გრილი ჰავიანი რაიონებისაკენ ადიან ჩრდილოეთით; ზამთარში, როცა თოვლს სდებს, ისინი უწყლო საძოვრებზე იმყოფებიან, იმიტომ, რომ თოვლი მათ წყლის მაგიერობას უწევს..."[2].

თვით მონღოლურ წყაროშიაც არა ერთგან ხაზგასმულია, რომ ტომებს დანაწილებული აქვს საძოვრები და ამ გარდაკვეთილ სივრცეზე მომთაბარეობს ესა თუ ის გვარი ან შემდეგ მფლობელი[3].

მეჯოგეობის გარდა მონღოლთა ტომები მომთაბარე ადამიანისათვის საჭირო ნივთებსაც ამზადებდნენ: ქეჩას, ღვედებს და თოკებს, კარვის ბოძებს, ურმებს, ჭურჭელს, ტიკებს, უნაგირებს, ადვირს, მშვილდისრებს, შუბებს, ფარებს, ხმლებს, დანებს, ჩანთებს, ქამრებს და სხვა იმდროინდელ ნივთებს. ჩამოთვლილი ნივთები

---

[1] მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1942, ნაკვეთი V, გვ. გვ. 24—26.

[2] იქვე, გვ. 17.

[3] ამის შესახებ იხ. აკად. ვლადიმირცოვის დასახ. ნაშრომი, გვ. 43, შენიშვნა პირველი.

ყოველ ტომში ადგილობრივ მზადდებოდა და მათი რაოდენობა ადგილობრივი მოთხოვნილებით განისაზღვრებოდა[1].

საინტერესოდ აქვს გულიომ რუბრუკვისს აღწერილი დედაკაცებისა და მამაკაცების საქმიანობა მეჯოგე მონღოლების ტომებში. „დედაკაცების ვალდებულებაა ფორნის გაძღოლა, მისი დატვირთვა და განტვირთვა, ძროხის მოწველა, კარაქის და ყველის გაკეთება. ტყავის მომზადება და მისი შეკერვა ცხოველების ძარღვებით. ისინი ამ ძარღვებს წვრილ ძაფებად ანაწილებენ და შემდეგ გრძლად გრეხენ, აგრეთვე ჰკერავენ ფეხსაცმლებს, სანდლებს და სხვა ტანისამოსს, მაგრამ არასოდეს არ რეცხავენ მათ. ისინი ამბობენ, ღმერთი გაჯავრდება და ქუხილს გამოგვიგზავნის, თუ ფეხსაცმელი და ტანისამოსი გავაშრეთო, კიდევ მეტი: ისინი სცემენ, ვინც რეცხვას იწყებს და ხელიდან ჰგლეჯენ სარეცხს. თათრის (მონღოლის) დედაკაცებს ყველაზე მეტად ქუხილისა ეშინიათ და, როდესაც მის ხმას გაიგონებენ, თავიანთი ბინებიდან ერეკებიან უცხოებს, შავ ქეჩაში ეხვევიან და დამალული არიან, სანამ ქუხილი გაივლიდეს. ისინი არც თავიანთ ჭურჭელს რეცხავენ, მაგრამ, როდესაც ხორცი მოიხარშება, ჭურჭელი რომელზედაც ის უნდა დაიდოს, ირეცხება ადუღებული ქვაბიდან ამოღებული წვენით, რის შემდეგაც ჭურჭელში (ეს ნარეცხი) წვენი ხელახლა ისხმება. დედაკაცები აგრეთვე ქეჩას აკეთებენ და თავიანთ ბინებს ახურავენ. მამაკაცები მშვილდებს სჭრიან, ლაგამს, აღვირსა და უნაგირს ამზადებენ, სახლებსა და ფორნებს აკეთებენ, ცხენის ჯოგს უვლიან და ჭაკებს სწველიან, რძეს დღვებავენ, რათა კუმისი გააკეთონ და ტიკჭორებს ამზადებენ კუმისის შესანახავად: ისინი უვლიან აგრეთვე აქლემებს და მათ ტვირთავენ. მამაკაცები მწყემსავენ ცხვრების და თხების ფარას. ამათ ხან მამაკაცები წველიან, ხან დედაკაცები, განურჩევლად. ტყავის მოსამზადებლად შედედებულ და მარილიან რძეს ხმარობენ. ხელებისა და თავის დასაბანად თათრები პირს წყლით ივსებენ, მერმე ცოტ-ცოტას ხელებზე ისხამენ და იმავე წყლით თმასა და თავს ისველებენ[2]".

ჩვენს ხელთ არსებულ ცნობებით უნდა დავასკვნათ, რომ მონღოლებს ნატურალური მეურნეობა უნდა ჰქონოდათ, მაგრამ ამავე დროს მეთორმეტე საუკუნის მონღოლების საზოგადოებრივ წარმოებაში ერთგვარი დიფერენციაცია უნდა ყოფილიყო, ამა თუ იმ

---

[1] აკად. ვ ლ ა დ ი მ ი რ ც ო ვ ი ს დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

[2] მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1942 წ., ნაკვეთი V, გვ. გვ. 28—29.

ხელობის სპეციალისტები იყვნენ უდაოდ. ჩინურ, სპარსულ და მონღოლურ წყაროებში მონღოლთა საზოგადოების წევრებად მჭედლები, დურგლები და ცხვრის მწყემსები საგანგებოდ არიან მოხსენებულნი. ცხადია დურგლები და მჭედლები ისეთი ხელოსნები იყვნენ, რომელთა აღზრდა მონღოლეთში ყოველ ოჯახს არც შეეძლო.

მაგრამ არავითარი ცნობა არ ჩანს, რომ მონღოლურ ტომებში მე-13 საუკუნემდე ფული იცოდნენ და მას რაიმე გასავალი ჰქონდა იქ. ვაჭრობას მხოლოდ გაცვლა-გამოცვლის ხასიათი უნდა ჰქონოდა. პირველი მოთხოვნილების საგანთაგან მონღოლებს არ ჰქონდათ ფქვილი. დიდი მოთხოვნილება იყო და უცხოეთიდან უნდა მიეღოთ იარაღი და ფუფუნების საგნები, როგორიც არის ქსოვილები, ღვინო, სამკაულები და სხვ.

ჩინურ წყაროში შემონახულია ცნობები, რომ მონღოლეთის ზოგიერთ ადგილებში მიწათმოქმედებას მისდევდნენ, მაგრამ არ არის აღნიშნული — მონღოლები ამუშავებდნენ მიწებს თუ ჩინელები. ჩინელ ავტორს, ჩჟან-დე-ხუის, წინადადება ასე აქვს ჩამოყალიბებული: „(ყარაყორუმის რაიონის) მცხოვრებნი მიწათმოქმედებას მისდევენ და წყალსადენებით რწყავენ მიწებს, გვხვდება ბოსტნებიც". იმავე ავტორს მდ. კერულენის მიდამოების შესახებ ნათქვამი აქვს: „მდინარის გასწვრივ ჩინელები და მონღოლები ერთად ცხოვრობენ... მიწას ამუშავებენ, მაგრამ თესენ მხოლოდ კანაფს და ხორბალს". სავსებით სამართლიანია ამ ცნობების გამო აკადემიკოს ვლადიმირცოვის შენიშვნა, რომ ასეთ დასახლებებს მონღოლეთში წამყვანი როლი არ ეკუთვნოდა და, რაც მთავარია, ისიც გაურკვეველია მონღოლი ამუშავებდა მიწას თუ ჩინელი გლეხი[1].

მეჯოგე მონღოლებისაგან განსხვავებულად ცხოვრობდნენ „ტყის მონღოლები", ისინი XII საუკუნისათვის ბაიკალის ტბისა, ენისეისა და ირტიშის მიდამოების ტყეებში ცხოვრობდნენ. მათი რიცხვი, ველის მონღოლებთან შედარებით, უფრო მცირე ყოფილა. მათი ძირითადი მეურნეობა მონადირეობა იყო, აგრეთვე თევზის დაჭერაც ცოდნიათ. მონადირეობის მიხედვით ზოგიერთი ტომის სახელწოდებაც წარმოშობილა. მაგალითად, ერთ ტომს „ბულაღაჩინ"-ს უწოდებდნენ, რაც იმათ ენაზე სამურზე („სობოლი") მონადირეს ნიშნავს. მეორე ტომს „ქერემუჩინი" ეწოდებოდა, ე. ი. ციყვებზე მონადირე ტომი. ტყის მონღოლებს გარეული ცხოველების ზოგიერთი სახეობა მოუშინაურებიათ, და მათი რძით და ხორცით იკვებებოდ-

---

[1] Б. Я. Владимирцов, დასახ. ნაშრომი, გვ. გვ. 44 — 45.

ნენ — მაგ., შველის და ირმის. მძიმე ტვირთს ირმის ტრანსპორტით ეზიდებოდნენ, მაგრამ ცხენიც ჰყოლიათ, ალბათ ტომის ბელადებს და დაწინაურებულ წრეებს. ტყის ტომები ხის ქერქისაგან ამზადებდნენ საცხოვრებელ ბინებს, ხის წვენისაგან ამზადებდნენ სასმელს. ტანსაცმელს ცხოველების ტყავისაგან იკერავდნენ. ტყის მონღოლების ნაწილი თავის თანამეტომეების ზეგავლენით მომთაბარეობაზე გადადის. ისე, რომ ყოფილა ტომები გარდამავალ საფეხურზე მყოფნი, ერთსა და იმავე დროს მონადირე და მომთაბარე. ტყის მონღოლები აღმოსავლეთის სამყაროსაგან მოწყვეტილნი და სრულიად იზოლირებულნი არ ყოფილან. წყაროში, მაგალითად, მოხსენებულია შუა აზიელი ვაჭარი ჰასანი, რომელიც მიერეკება დაკოდილ ვერძებს და ერთ თეთრ აქლემს, მდინარე არღუნით სამურებსა და ციყვებზე გასაცვლელად. ტყის მონღოლების საცხოვრებელ ტერიტორიაზე სავაჭრო გზა გადიოდა და „ჩრდილოეთის მთების იქედან“ ფქვილი მოჰქონდათ „აქლემებზე დატვირთული“[1].

მე-13 საუკუნის შუა წლებისათვის მონადირე ტომების რიცხვი შემცირებულია. საგრძნობი ნაწილი მეჯოგეობას იწყებს, მომთაბარე და მეჯოგე ტომები იმ ტერიტორიებს იჭერენ, სადაც წინათ მხოლოდ მონადირე ტომები იყვნენ.

მე-12 საუკუნეში მონღოლურ ტომებში გვაროვნული წყობილების მრავალი დამახასიათებელი ჩვეულება შერჩენილი ყოფილა. სისხლის ნათესაობის კავშირი ჯერ კიდევ ძალაში იყო. სისხლის აღების წესს მტკიცედ იცავდნენ. თანამეტომეებისაგან ჩამოცილება და გაყრა უბედურებად ითვლებოდა — იგი უცხოელთა ხელქვეით მოქცევასთან იყო გათანაბრებული. ადამიანი თუ შემთხვევით მტრულად განწყობილი გვარის გარემოცვაში მოხვდებოდა, უვნებელი დარჩებოდა სტუმართმოყვარეობის წესის მტკიცედ დაცვით, მონღოლები ასეთ შემთხვევის გამო ამბობდნენ: „როცა ტრამალის ძერა ფრინველს დაედევნება, იგი ხშირ ბალახს შეაფარებს თავს და სიცოცხლეს ამით ინარჩუნებს. ბალახი თუ ასე შეიფარებს ფრინველს, ჩვენ ხომ ბალახზე უარესი ვიქნებით, თუ ჩვენზე მონდობილ ადამიანს არ დავიფარავთო“. მაგრამ ეს მოვლენა არ არის იმის დამამტკიცებელი, რომ XI—XII საუკუნეებში მონღოლთა ტომები გვაროვნული წყობილების საფეხურზე იყვნენ. ამ საუკუნეებში მონღოლთა ტომების გვარები ირღვეოდა და მე-12 საუკუ-

---

[1] აკად. ვლადიმირცოვის დასახ. ნაშრომი, გვ. 35.

ნის ბოლოსათვის ადრეული კლასიური საზოგადოება უკვე ჩამოყალიბებული იყო, რომელიც ფეოდალიზმში გადადიოდა[1].

მონღოლების ისტორიის წყაროებში პირველად აკად. ბ. ვლადიმირცოვმა მიაქცია ყურადღება იმ გარემოებას, რომ მონღოლთა გვარების მეურნეობაში დიდი ცვლილება მოხდა დროთა ვითარებაში და XII საუკუნეში ეს ცვლილება თვალსაჩინო შეიქნა.

თავდაპირველად მონღოლთა ტომების გვარი მომთაბარეობდა მთლიანად და ერთად. შესვენების ადგილზე რამდენიმე ასეული იურტა (ქეჩის კარავი) იყო გამართული. აქ ხაზგასმულია ის გარემოებაც, რომ გვარის ბანაკი „კიურენის" წესით იყო დალაგებული. „კიურენი"/ან „გიურენ"-ი რაშიდ-ედ-დინის განმარტებით ბეჭედს ეწოდება მონღოლურ ენაზე.

იმავე ავტორს განმარტებული აქვს, რომ: „ძველ დროს, როცა რომელიმე ტომი შეჩერდებოდა რომელიმე ადგილზე ბეჭდის მსგავსად, ხოლო მათი ბელადი წრის შუაგულში წერტილის მსგავსად (დაბანაკდებოდა), აი ამას კიურენს ეძახდნენ. ახლა კი, როცა მტრის ლაშქარი მიუახლოვდება, ბანაკდებიან იმავე ბეჭდის მსგავსად, რათა ცენტრში არ შეიჭრას უცხო ადამიანი ან მტერი.

ჩან-ჩუნიც აღნიშნავს, რომ მან ნახა რამდენიმე ათასი იურტაკარავი თავისი საბარგულებით შეჯგუფებული ერთად. ეს ყოფილა ბანაკი ერთი მთავრისა და მისი ცოლების"[2].

კიურენის წესით მომთაბარეობის გარდა ისტორიულ წყაროებში ხაზგასმულია მომთაბარეობა აილის წესით. ეს ნიშნავს ცალკე ერთი მეორისაგან დაშორებით კარვის გამართვას და მომთაბარეობას, ე. ი. არა მთელი გვარით და ტომებით გადასახლებას საძოვრისათვის ერთი ადგილიდან მეორე ადგილას, არამედ ცალკეული ოჯახებით თავისთვის[3].

აქ საყურადღებოა ის გარემოება, რომ „კიურენის" წესით მომთაბარეობა წარსულს ეკუთვნის, ხოლო „აილი" მე-12 საუკუნისათვისაა დამახასიათებელი მონღოლთა ტომებში. კიურენი მომთაბარე პირველყოფილ თემის შორეული წარსულის სტრუქტურული ფორმაა. მეთორმეტე საუკუნეში მონღოლების გვაროვნული თემის უკანასკნელი სტადია დაირღვა, მონღოლები მომთაბარეობენ „აილებად", ე. ი. ცალკეულ ოჯახებად. ამ შემთხვევაში, თუ ოჯახი მდიდა-

---

[1] აკად. ვლადიმირცოვის დასახ. ნაშრომი, გვ. 63.

[2] იქვე, გვ. 37.

[3] იქვე.

რია და თავისი ხელქვეითები ჰყავს, იგი მომთაბარეობს თავისი ჯოგით ამ ხელქვეითებთან, ანუ მსახურებთან ერთად [1].

მე-13 საუკუნეში კიურენის წესით არავინ არ მომთაბარეობდა. აქ ხაზგასმულია ის ფაქტი, რომ საძოვარი ველები დანაწილებულია და იგი ამა თუ იმ პირის სამფლობელოს შეადგენს. რუბრუკვისის ზემოთმოტანილი ცნობა აქაც უნდა გავიმეოროთ: „მათ გაყოფილი აქვთ სკვითია, რომელიც გაჭიმულია დუნაიდან უკიდურეს აღმოსავლეთამდე (სადაც მზე ამოდის); ყოველმა მეთაურმა, იმისდა მიხედვით, მეტი თუ ნაკლები ადამიანი ჰყავს მას თავის ხელქვეით, იცის თავისი საძოვრების საზღვრები და სად უნდა წაიყვანოს თავისი ჯოგი ზამთარსა და ზაფხულში, გაზაფხულსა და შემოდგომაზე“ [2]. სხვა წყაროებიც ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ საძოვრები დანაწილებული იყო ნაკვეთებად და ასეთ ნაკვეთს „ნუნტული“ ეწოდებოდა [3].

აკად. ვლადიმირცოვის მიერ წყაროებიდან თავმოყრილი ცნობები ცხადჰყოფენ იმასაც, რომ გვარში მყოფი მონღოლის ოჯახი კერძო საკუთრების პრინციპზე არის აგებული, თვითეულ აილს, ანუ ოჯახს საკუთარი ინდივიდუალური ქონება ჰქონდა. დედ-მამის ქონება მათი გარდაცვალების შემთხვევაში შვილებს შორის ნაწილდებოდა, ამასთანავე უმცროს ვაჟიშვილს საგანგებო უფლებები ჰქონდა მშობლების ქონებაზე. უმცროსი ვაჟი მამის ძირითად ქონებას ეპატრონებოდა, მას რჩებოდა იურტა და ცოლები, ამ უკანასკნელთა მთელი ქონებით, ამიტომაც უმცროსი იწოდებოდა პატრონად და უფალად. უმცროსი ოჯახის კერის დამცველად იწოდებოდა „ოტჩიგინ“-ი — „ცეცხლის (კერის) უფალი“ [4]. რაკი კერძო საკუთრება საფუძველია მე-12 საუკუნის მონღოლთა ტომების არსებობის, ბუნებრივია საკითხის დაყენება — რა ფორმაციაა ამ დროს მონღოლეთში?

ეს საკითხი მარტივად გადაჭრილი პრობლემა როდია სპეციალურ ლიტერატურაში. აკად. ვლადიმირცოვმა XII—XIII საუკუნეების მონღოლები ფეოდალურ საზოგადოებად დაგვისახა, მას იგი უწოდებს „მომთაბარე ფეოდალიზმს“ („кочевой феодализм“). რა თქმა უნდა, მონღოლეთში ფეოდალიზმი განვითარდა, მაგრამ რა

---

[1] Б. Д. Греков, А. Ю. Якубовский, Золотая Орда и ее падение, 1950, გვ. გვ. 37—38.

[2] მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტ., 1942, ნაკვეთი V, გვ. 17.

[3] აკად. ვლადიმირცოვის დასახ. ნაშრ., გვ. 43.

[4] იქვე, გვ. 54.

საფუძველზე აღმოცენდა ფეოდალიზმი იმ მონღოლეთში, სადაც მიწათმოქმედება არ იყო წამყვანი? ჯოგებზე საკუთრებამ წარმოშვა და განავითარა განა ფეოდალიზმი მონღოლეთში?

ჩვენ ზემოთ არა ერთ ცნობაზე მივუთითეთ, რომ ძველ მონღოლეთში საკუთრება არსებობდა მიწებზე. მართალია ამ მიწებზე ხვნა-თესვა არ მიმდინარეობდა, მაგრამ მიწები, როგორც საძოვრები, საერთო-სათემო და გვარის საკუთრება კი არ იყო, არამედ ველის არისტოკრატიის კუთვნილებას წარმოადგენდა. ჯოგების არსებობა საძოვრებზე იყო დამოკიდებული და ამ საძოვრების მფლობელი ამ გზით ახერხებდა ბატონობას საზოგადოების მეორე ნაწილზე. თავდაპირველად გვარს საერთო საკუთრებაში უნდა ჰქონოდა საძოვრების ფართობი, მაგრამ თვით გვარში მიმდინარე შინა პროცესებმა საძოვრები აილის, ანუ კერძო მფლობელის ხელში მოაქცია. იმის შემდეგ, რაც „კიურენით“ მომთაბარეობამ ადგილი დაუთმო, „აილით“ მომთაბარეობას, საძოვრები კერძო საკუთრებაშია გადასული. ისე, რომ მონღოლეთში ფეოდალიზმი მომთაბარე და მოხეტიალე კი არ არის, არამედ იგი იქაც მკვიდრ ნიადაგზე იმყოფება, იქაც მიწაზეა დაყრდნობილი. მომთაბარეობს მხოლოდ მეურნეობა, იგი ფეხადგმულია, მაგრამ საძოვრის ნაკვეთი გარდაკვეთილია და ამ საძოვრებისათვის იბრძვის მონღოლური არისტოკრატია.

აკად. ვლადიმირცოვის შეცდომა სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ მან მონღოლეთში ფეოდალიზმის საფუძვლად ჯოგები დაინახა, რადგანაც ამ ჯოგებზე იყო აღევნებული მონღოლეთის არისტოკრატია და ამის შესაბამისად მომთაბარეობდა იგი. საყურადღებოა ის გარემოება, რომ აკად. ვლადიმირცოვისათვის სათანადო წყაროებში შეუმჩნეველი არ დარჩენილა მონღოლეთში საძოვრებზე საკუთრების არსებობა. მას თავის გამოკვლევაში აღნიშნული აქვს: „ევროპულ ლიტერატურაში ხშირად გვხდება მტკიცება იმის შესახებ, რომ მომთაბარე დახეტიალობს თავის ტრამალებში, მიემართება იქით საითაც სურს და შეჩერდება იქ, სადაც მას მოეპრიანება. სინამდვილეში ეს ასე არ არის არასოდეს, და რუბრუკვისმა, სავსებით სწორად შენიშნა, რომ მონღოლების „ყოველმა მეთაურმა, იმისდა მიხედვით, მეტი თუ ნაკლები ადამიანი ჰყავს მას თავის ხელქვეით, იცის თავისი საძოვრების საზღვრები და სად უნდა წაიყვანოს თავისი ჯოგი ზამთარსა და ზაფხულში, გაზაფხულსა და შემოდგომაზე“. ალბათ XI—XII საუკუნეებშიაც მონღოლები მო-

მთაბარეობდნენ ამ სახით გარკვეული გზებითა და განსაზღვრულ რაიონებში"[1].

აქვე უნდა შევნიშნოთ ისიც, რომ აკად. ვლადიმირცოვმა პირველად მიაქცია ყურადღება „კურენის" და „აილის" წესით მომთაბარეობის საკითხს და მანვე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ „აილის" წესით მომთაბარეობა შემდგომი საფეხურია მონღოლთა საზოგადოებრივ განვითარებაში, მაგრამ ამ ფაქტებით ის კი არ დაასკვნა, რაც მარქსისტულმა ორიენტალისტიკამ გააკეთა თვით ვლადიმირცოვის მიერ წარმოჩენილ მასალებზე.

ამრიგად, მე-12 საუკუნის მეორე ნახევარში, ბარბაროსულ სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე, მონღოლეთში ადრეული ფეოდალიზმის საფეხური თვალსაჩინოა, საზოგადოება სოციალურად დიფერენცირებულია. რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული იმის შესაძლებლობა, რომ მრავალრიცხოვან ტომებში ზოგიერთი გვაროვნულ წყობილების საფეხურზე იყო შერჩენილი, მაგრამ ბარბაროსულ სახელმწიფოს ჩამოყალიბებას ასეთი ტომის განვითარებაც უნდა დაეჩქარებინა. სახელმწიფოში არსებული მიწები, პირველ რიგში ყაენსა და მის მოდგმას ეკუთვნოდა, მთელი ფონდი იმპერატორი-ყაენის განკარგულებაში იყო. პლანო კარპინი ერთგან წერს: „ამ თათართა იმპერატორს გასაოცარი ძალაუფლება აქვს ყველას მიმართ. არავის არსად ცხოვრება არ შეუძლია, გარდა იმ ადგილისა, რომელსაც ის მას დაუნიშნავს. ის სამყოფ (საცხოვრებელ) ადგილს უნიშნავს მხედართმთავრებს, მხედართმთავრები კი ადგილს უნიშნავენ ათასისთავებს, ათასისთავები — ასისთავებს, ასისთავები — ათისთავებს..."[2]. იმპერატორის შემდეგ ყველაზე დიდი საძოვრების მფლობელები იყვნენ უფლისწულები — იმპერატორის შვილები („ქებეგიურ" — უფლისწული — მეფის-ძე). თვითეულ ამათგანს უფლება აქვს სახელმწიფოს ნაწილზე (საუფლისწულოზე). უმცროსი უფლისწული ღებულობს ძირითადს მამის სამფლობელოდან — ე. ი. სახელმწიფოს ნაწილიდან. მეფის შვილები, საუფლისწულოების მფლობელები, მონღოლთა იმპერატორების ვასალები იყვნენ.

საუფლისწულოს, ანუ სავასალოს მონღოლები „ულუს"-ს უწოდებდნენ. ულუსი ნიშნავდა განსაზღვრულ ტერიტორიას და მასზე

---

[1] აკად. ბ. ვ ლ ა დ ი მ ი რ ც ო ვ ი ს დასახელებული ნაშრომი, გვ. 42. მიწისმფლობელობის შესახებ იხ. გვ. გვ. 111—112.

[2] მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1942, ნაკვეთი II, გვ. 27.

მცხოვრებ ხალხს. ულუსი ეწოდებოდა საუფლისწულოს გამგებლობაში მყოფ ხალხს გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრებთ. აკად. ვლადიმირცოვი აღნიშნავს, რომ მონღოლებს, როგორც მომთაბარეებს, ამ ცნებაში („ულუს“-ში) ყველაზე მეტად აინტერესებდათ მცხოვრები ხალხი და არა ტერიტორიაო“. ამის დამადასტურებლად იგი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ტერმინ „ულუსის“ პირვანდელი მნიშვნელობა „ადამიანები“, ანუ „ხალხი“ იყოო. რა თქმა უნდა, ერთ დროს, სახელდობრ გვაროვნულ-წყობილების დროს, როცა საძოვრები საერთო იყო და გადაკვეთილი საზღვრები არ ჰქონდათ, მაშინ „ულუსი“ მხოლოდ „ხალხის“ ან გვარის, თემის ან ტომის აღმნიშვნელი სიტყვა იყო და იქ საძოვრების ტერიტორია არ იგულისხმებოდა. მაგრამ იმის შემდეგ, რაც საძოვრები ამა თუ იმ ხელისუფალის ან საერთოდ მფლობელის საკუთრებად იქცა და იგი საზღვრებით მოიხაზა, ამა თუ იმ უფლისწულის „ულუსი“ მარტო მცხოვრებლების აღმნიშვნელი სიტყვა კი არ იყო, არამედ ტერიტორიისაც, იმდენად რამდენადაც ულუსის მფლობელი ამ საძოვრის ტერიტორიის დასაკუთრებით ხდიდა ხალხს მისგან დამოკიდებულად. ამიტომ იყო, რომ შემდეგ „ულუსი“ სახელმწიფოსაც ნიშნავდა, ე. ი. პოლიტიკურ ერთეულს.

მეცამეტე საუკუნის მეორე ნახევარში მომხდარი ფაქტებიდან ჩანს, რომ აბაღა ყაენის ულუსში სარგის ჯაყელის სამფლობელო იქნა მითვლილი თვით სარგისის სურვილით. ქართველ ჟამთააღმწერელს აღნიშნული აქვს, რომ, როცა დავით ლაშას ძემ სარგის ჯაყელი ეჭვით დაატყვევა და აბაღა ყაენის განკარგულებით იგი გაათავისუფლეს: „მიერითგან იქმნეს ჯაყელნი ულოსისანი ვიდრე ჟამთამდე მეფეთაშორის ბრწყინვალისა და საჩინოსითა დიდისა გიორგისითა“-ო[1].

ულუსის სათავეში მყოფ ხანის ანუ ყაენის რეზიდენციას, სასახლე — კარავს, „ურდო“ („ორდუ“) ეწოდებოდა. ჩინელ ავტორს ჩან-ჩუნს აღნიშნული აქვს, რომ „ურდო“ (ორდუ) ჩვენებურად რომ ვთქვათ მოძრავი სასახლეა“[2]. მაშასადამე, „ურდო“, მონღოლური გამოთქმით „ორდუ“, ის სადგურია, სადაც მომთაბარე მონღოლი მბრძანებელი თავისი ამალით შეჩერდებოდა და საზამთროდ ან საზაფხულოდ კარავს გამართავდა თავისი დაწესებულებებით. მაგრამ „ურდო“ არა მარტო ჩინგიზიდების რეზიდენციას ეწოდებოდა, არა-

---

[1] ქართლის ცხოვრება, მ-მ დედოფლის ვარიანტი, ე. თაყაიშვილის გამოც., გვ. 695.

[2] აკად. ვლადიმირცოვის დასახ. ნაშრომი, გვ. 45, შენიშვნა 7.

მედ ნოინისა და დიდი მხედართმთავრის ადგილსამყოფელსაც. რუბრუკვისს აღნიშნული აქვს, რომ, როცა იგი შორეულ აღმოსავლეთიდან თავის სამშობლოში ბრუნდებოდა და დარუბანდის გამოვლით მდინარე არაქსის მიდამოებს მიაღწია, მონღოლ ნოინის ბატუს ურდოზე გავიარეთო. იგი წერს: „ჩვენ სპარსეთი მარცხნით დავტოვეთ სამხრეთისაკენ, ხოლო კასპიის მთები და დიდი გეორგია (საქართველო) მარჯვნივ დასავლეთისაკენ... ჩვენ ბატუს ურდო გადავჭერით. ის მეთაურობს არაქსის ნაპირებზე დაბანაკებულ ჯარს, რომელიც გეორგიელებსა, თურქებსა და სპარსელებს დაეპატრონა... მე ბატუ მის ბინაში ვინახულე და მან ღვინო დაგვალევინა. თვით მან კუმისის სმა დაიწყო, რომლის დალევას მეც ვამჯობინებდი თუ ის მას ჩემთვის მოეწოდებინა. უნდა ითქვას, რომ თუმცა ღვინო ახალი და კარგი იყო, მაგრამ კუმისი მაინც სჯობდა მოწყურებული და მოშივებული ადამიანისათვის"[1].

ქართველ ჟამთააღმწერელს აღნიშნული აქვს, რომ, როცა განდგომილების შემდეგ ულო დავითი „ულო ყაენთან" წაიყვანეს „რომელსა ეჯნობითცა უწოდეს: „წარემართნეს ურდოსა და მივიდეს ყანს ულოს წინაშე ბარდავს, რამეთუ იგი იყო საზამთრო სადგური"[2].

ამავე ჟამთააღმწერელს ომგადახდილი ნოინების, კერძოდ აშალა (თუ „აბალა") ნოინის შესახებ, ნათქვამი აქვს: „ვითარ იხილა აშალა ნოინ ბარახა ალილო შუბი და მარტომან მიმართა რაზმსა მათსა, რამეთუ იყო ესე აშალა ნოინ კაცი ტკბილი და სახიერი და ახოვანი ბეჭითა და მკერდითა... და ვითარ მიახდა სპა მისი... მოსწყვიდეს სული ურიცხუი... და ესრეთ გამარჯვებულნი მოვიდეს ურდოთა მათთა"-ო[3].

ჩინგიზიდებისა და სხვა მფლობელთა განკარგულებაში მყოფ საძოვართა ფართობებს, რომელთა პატრონებად ითვლებოდნენ ისინი, მონღოლურად „ნუნტული" ანუ „ნუტული" ეწოდებოდა, ხოლო თურქულად „იურტი", მონღოლურ სახელმწიფოში, თურქული ტერმინოლოგია უცხო არ იყო[4].

აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ მონღოლების საცხოვრებელ კარავს „იურტა" ერქვა და არ უნდა ავრიოთ ეს სახელწოდება „იურტ"-ში.

---

1 მასალები საქართველოსა და კავკ. ისტორიისათვის, 1942, ნაკვ. V, გვ. 170.

2 ქართლის ცხოვრება, მ-მ დედოფლის ვარიანტი, გვ. 683.

3 იქვე, გვ. გვ. 707—708.

4 იხ. ამის შესახებ აკად. Б. Владимирцов, Обществ. строй монголов, გვ. 43. ხოლო საცხოვრებელ იურტას შესახებ იხ. იქვე 41 გვერდზე.

მონღოლური კარავი „იურტა" აღწერილი აქვთ რუბრუკვისსა და პლანო კარპინის. ეს უკანასკნელი წერს: „მათი სადგომები მრგვალია კარავივით და ხელოვნურადაა გაკეთებული წნელისა და ჯოხებისაგან. ზემოთ შუა ადგილას მრგვალი სარკმელია გაჭრილი, საიდანაც სინათლე შედის და კვამლი გამოდის, იმიტომ რომ ისინი ცეცხლს ყოველთვის შუა ადგილას ანთებენ. კედლები და სახურავი ქეჩითაა დაფარული, კარიც ქეჩისაგანაა გაკეთებული. ზოგიერთი სადგომი დიდია, ზოგიერთი კიდევ მომცრო, ადამიანის წარჩინებისა და ხელმოკლეობის მიხედვით. ზოგიერთი სწრაფად იშლება, იკეცება და საქონლის შემწეობით გადაიტანება ხოლმე, ზოგიერთის დაშლა არ შეიძლება, მათი გადაზიდვა ფორნებით ხდება. თუ კარავი პატარაა, ფორანში ერთ ხარს უბამენ, თუ ის დიდია სამს, ოთხს ან მეტს, სიდიდის მიხედვით. სადაც უნდა წავიდნენ, ომში თუ სხვა ადგილას, სადგომები მუდამ თან მიაქვთ... სასაპალნე ხვადაგი იმდენი ჰყავთ, რამდენიც ჩვენი აზრით, მთელ დედამიწის ზურგზე არ იქნება"[1]. რუბრუკვისი აღნიშნავს, რომ მონღოლები კარავის კართან „სხვადასხვაფერად მოლივლივე ტყავს ან ქეჩას ჰკიდებენ. ეს ქეჩა დაფარულია მხატვრობით, რომელიც ვენახებს და ხეებს, ფრინველებსა და ოთხფეხებს წარმოადგენენ..."[2]. აშკარა არის, რომ რუბრუკვისს ამ შემთხვევაში ჩინური ხელოვნება აქვს აღწერილი. ეტყობა მონღოლები ჩინელების ზეგავლენით მზამზარეულ ჩინურ ნახელავს კარავის გარეთ ჰკიდებდნენ, რადგანაც კარავში ასეთ მოხატულ ნივთს თვალი ვერ გაარჩევდა. ძნელი სათქმელია, მეცამეტე საუკუნის მონღოლს ესმოდა თუ არა ვენახი იყო გამოსახული მის წინაშე თუ სხვა მცენარე.

იმავე რუბრუკვისს აღნიშნული აქვს, რომ „როდესაც თათრები სადმე ჩერდებიან, ისინი თავიანთ კარვებს კარებით ყოველთვის სამხრეთისაკენ მიაბრუნებენ ხოლმე, მათ გარშემო კი ნახევარი ქვის გასროლაზე ერთი მეორესაგან ყუთებიან ფორნებს აყენებენ, ისე რომ მათი კარავი ფორნების ორ რიგს შუა დგას, როგორც ორ კედელს შუა. ქალები ისეთ კარგ ფორნებს იკეთებენ, რომ მე არ შემიძლია აგწერო; მე ეს უნდა დამეხატა... თუ ხატვა შემძლებოდა მდიდარ მონღოლსა ანუ თათარს ასიდან ორასამდე ფორანი აქვს ყუთებითურთ. ბათოს ოცდაექვსი ცოლი ჰყავს, თვითეულ მათგანს

[1] მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1952 წ., ნაკვ. II, გვ. 10.

[2] იქვე, 1942 წ., ნაკვ. V, გვ. გვ. 17—18.

ერთი დიდი კარავი აქვს და მრავალი პატარა, რომელნიც თითქო ცალკე ბინებს წარმოადგენენ, სადაც მსახური ქალები ცხოვრობენ: თვითეულ ასეთ სახლს ორასი ფორანი ეკუთვნის. როცა სადმე ჩერდებიან, პირველი ცოლი თავის ბინას დასავლეთით ადგმევინებს და ასე მიყოლებით, ისე რომ უკანასკნელ ცოლს თავისი ბინა აღმოსავლეთით ჰქონდეს. მანძილი, რომელიც ერთი და მეორე ცოლის ბინებს შუა რჩება, ერთი ქვის გასროლას უდრის. ამრიგად, მდიდარი მონღოლის სადგომი დიდ ქალაქს ჰგავს, თუმცა ადამიანები იქ ცოტაა. თვითეულ მის დედაკაცს შეუძლია ოციდან ოცდაათ ფორნამდე წაიყვანოს, იმიტომ, რომ ეს ქვეყანა ოღროჩოღრო არ არის. ფორნები თავიანთი ხარებითა და აქლემებით გადაბმული არიან და ერთი მეორეს მისდევენ...“[1]. იმპერატორისა და მისი შვილების ქვეყნით იდგნენ „ნოიონები“ ანუ „ნოინები“. „ნოინი“ ველის მონღოლურ არისტოკრატიის წრის წევრია, იგი მომთაბარე თავადი არის. „ნოინთა“ წრე დროთა ვითარებაში გვარებისა და ტომების ბელადებისაგან უნდა იყოს ჩამოყალიბებული უმთავრესად. „ნოინი“ არისტოკრატიული სახლის წინამძღოლია — ბატონი. ნოინებს დამახასიათებელი წოდებულებაც ჰქონდათ მონღოლთა საზოგადოებაში: „ბაყათურ“-ი, რაც გმირს ნიშნავდა, „მერღენი“—კარგი მსროლელი, „ბილგე“ — ბრძენი, „ბიოქოე“—ძალოსანი. ნოინების ხელთ იყო ჯოგები და რაც მთავარია მათი იყო საძოვარი სივრცეები.

ნოინების ხელში ეს სიმდიდრეები მარტო იმის გამო კი არ იყრის თავს, რომ ისინი გვარის უხუცესების შთამომავალნი არიან, არამედ, სხვებთან შედარებით, როგორც უფრო ვაჟკაცების, მამაცების, ნიჭიერების, ძლიერების და მდიდრების. მას მისი წინაპრის უფლება მიტაცებული აქვს თავის გვარში და ტომში. ისე რომ ზემოთ მოცემული ეპითეტები: ბაყათური, მერღენი, ბილგე და სხვა, ამა თუ იმ ნოინთა მოდგმის დაწინაურების გზის მაჩვენებელია. მას მონღოლთა ტომებში ბრძოლით და ძალმომრეობით აქვს მოპოვებული უფლებები[2]. მე-13 საუკუნეში ნოინები ოკუპირებულ ქვეყნებსაც განაგებდნენ, სარდლობდნენ და მონღოლთა ძალმომრეობის აპარატის გამგებლები იყვნენ.

წყაროებში გვხედება სოციალური შინაარსის მქონე ტერმინი „უნაღან ბოღულ“. ამ სიტყვას ერთხანს სპეციალისტები „მონა“-დ

---

[1] მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1942 წ., ნაკვ. V, გვ. გვ. 18 — 19.

[2] აკად. ვ ლ ა დ ი მ ი რ ც ო ვ ი ს დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

თარჯმნიდნენ. მაგრამ წყაროების ანალიზმა ცხადყო, რომ „უნალან ბოღოლი“ მონას არ ნიშნავს და ამ ცნებაში ერთი სოციალური კატეგორიის ხალხი არ იგულისხმება.

მონღოლთა ტომები, როცა ერთი მეორეს ებრძოდნენ, ამის შემდეგად ერთი ტომი მეორეზე გაბატონდებოდა ისე, რომ მთელი ტომი გამარჯვებული ტომის ხელქვეითი ხდებოდა, მონღოლური ტერმინით, რომ ვთქვათ, „უნალან ბოღოლი“ გახდებოდა. ამიტომ „უნალან ბოღოლი“ დამონებულ ტომად მიაჩნდა ზოგიერთ სპეციალისტს. აკად. ვლადიმირცოვმა დაამტკიცა, რომ ეს ასე არ არის. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ XII საუკუნის მონღოლური ტომი ერთფეროვანი სოციალური მასა არ ყოფილა. იქ სოციალური განფენებანი უკვე ჩამოყალიბებულია. და როცა ბრძოლის შედეგად ტომი ტომს იმორჩილებდა, განა დამორჩილებული ტომის მთელი შემადგენლობა ერთსა და იმავე დამოკიდებულებაში მოექცეოდა გამარჯვებულ ტომის ხელქვეით?

„უნალან ბოღოლი“ ერთფეროვანი მასა არ ყოფილა. დამორჩილებული ტომი მართალია იწოდება საერთოდ „უნალან ბოღოლად“, მაგრამ ამ ტომის ზედაფენა სხვა მდგომარეობაშია, იგი „კეთილშობილ“ სამსახურით არის დამოკიდებული, ხოლო იმავე ტომის ქვედა ფენა, ჩვეულებრივი უშუალო მშრომელი მასისათვის სავალდებულო ღალითა და ბეგრით. მაშასადამე „უნალან ბოღოლი“ ვასალურ დამოკიდებულებაში მყოფი ტომია, იგი ყმა არის მეორე ტომის, მაგრამ მისი საზოგადოებრივი სოციალური ფენები ერთნაირ მდგომარეობაში არ იმყოფება. „უნალან ბოღოლად“ შეიძლებოდა გამხდარიყო ტომი ან ომის წაგების შედეგად ან თავდასხმებისა და თარეშების შედეგად; ანდა გაღარიბების შედეგად — ნებიერად მიეღო ძლიერის ხელქვეითობა და ყმობა. იგი ემსახურებოდა სიუზერენ ტომს ჯოგების მეურნეობასა და ნადირობაში. მე-13 საუკუნეში „ბოღოლი“ ბატონ-ყმურ ვასალურ დამოკიდებულებაში ექცეოდა არა რომელიმე ტომის ხელქვეით, არამედ გარკვეული პიროვნების ხელქვეით [1].

„ბოღოლის“ გათავისუფლება შეეძლო ბატონს — „ნოინს“ და მაშინ მას ეწოდებოდა „დ ა რ ხ ა ნ ი“ ანუ „თ ა რ ხ ა ნ ი“ — გათავისუფლებული. „უნალან ბოღოლის“ აღზევებაც ხდებოდა.

„ბოღოლი“ თუ მონას არ ნიშნავს, ეს ისე არ უნდა იქნეს გაგებული თითქოს მაშინდელმა მონღოლებმა მონები არ იცოდნენ. მო-

---

[1] „უნალან ბოღოლის“ შესახებ იხ. აკად. ვლადიმირცოვის დასახ. ნაშრომი, გვ. ზე. 64 — 67. აგრეთვე ბ. გრეკოვისა და ა. იაკუბოვსკის Золотая Орда и ее падение, 1950, გვ. გვ. 38—40.

ნებს მონღოლები იყენებდნენ თავიანთ მეურნეობაში და შინაყმების სახით. მონები არიან ომის დროს ტყვედ ჩავარდნილი ადამიანები. ამათ ისინი უწოდებდნენ „ი ო თ ო ლ ე ბ ო ღ ო ლ" — უბრალო ბოღოლი ან „ჯ ა ლ ა უ". ესენი არიან ურდოს კარვის მსახურნი და მეჯინიბენი. მაგრამ ეს სოციალური კატეგორია რამოდენიმე ხნის შემდეგ შეიძლებოდა უნაღან ბოღოლის მდგომარეობაში გადასულიყო და გადადიოდნენ კიდეც. მონობა მონღოლეთში არ განვითარებულა.

ძველ მონღოლეთში განასხვავებდნენ ნამზითევ ყმებს, რომელსაც „ი ნ ჯ ე" ეწოდებოდა. „ი ნ ჯ ე" ის ადამიანებია მონღოლეთში, რომელსაც გვარი ან მფლობელი გამოჰყოფდა თავიანთი ნათესავი ქალის სამზითვოდ, „ინჯე" მიდიოდა სიძის ოჯახში და იქ იგი ვარდებოდა „უნაღან ბოღოლის" მდგომარეობაში[1].

მონღოლების საზოგადოებაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს „ნიოქიორებს", „ნიოქიურებს" ანუ ნუქერებს. ესენი არიან თავისუფალი პირები, რომლებიც ემსახურებიან ნოინებს, უფლისწულებს, იმპერატორს, როგორც მეომრები. ისინი ძველი რუსეთის მთავრების დრუჟინის წევრებს ეთანაბრებიან უფრო. ნუქერისათვის დამახასიათებელია თავისი ნებით მისვლა ბატონთან და სამსახურის შეთავაზება. ნუქერი თავისუფალი მეომარია, იგი არც დაქირავებულია და არც ყმა ქვეშევრდომი. ის კისრულობს ემსახუროს თავის ბელადს, ეს მისი სურვილია, ბატონსაც თვითონ აირჩევს ნუქერი.

მაგრამ არის ცნობა იმის შესახებაც, რომ მშობლები შვილს აკვნიდანვე რომელიმე ნოინის ნუქერად გამოაცხადებდნენ. ნუქერები გამოდიოდნენ მაღალი წრის ვასალ „უნაღან ბოღოლების" წრიდანაც. ნუქერები ერთგვარ ერთგულების ფიცსაც აძლევდნენ ბატონს. ნუქერს შეეძლო თავის ბატონისაგან თავისუფლად წასვლა მეორე ბატონთან და ეს არ ითვლებოდა ღალატად. ღალატად ითვლებოდა ისეთი მოქმედება, როცა ბატონის საზიანოდ იყო იგი გამიზნული. ასეთ მოქმედებას გაკიცხავდა არა მარტო ის ბატონი, რომელიც დაზარალდა, არამედ სხვებიც. ნუქერი მუდამ მზად უნდა იყოს საომრად და სადაც მას უბრძანებენ იქ იბრძოლებს. ნუქერებს არაფერი აქვს საერთო იმ მეომრებთან, რომლებიც ომის დროს იკრიბებოდნენ გვარში და ტომში. ნუქერები ზოგჯერ ასეთი საერთო მობილიზაციით შეკრებილ ლაშქრის მეთაურადაც შეიძლებოდა დანიშნულიყო, ნოინის ან სხვა მაღალი წრის წარმომადგენლის მიერ.

---

1. აკად. ვ ლ ა დ ი მ ი რ ც ო ვ ი ს დასახელებული ნაშრომი, გვ. 60.

მაგრამ უფრო ხშირად ნუქერები გვარდიას შეადგენდნენ. თვითეული ნუქერი ოფიცერი ან სარდალი შეიძლებოდა ყოფილიყო.

მაშასადამე, ნუქერი თავისუფალი ადამიანია, არისტოკრატული გვარის წევრი, რომელსაც უფლება აქვს თავის სურვილისა და ნებისამებრ გაწყვიტოს კავშირი ბატონთან.

„ბოღოლი“ სამუდამოდ მიმაგრებულია ნოიონთან. „ბოღოლი“ მაშინ მოცილდება ბატონს თუ მას ათარხნებენ. „ნუქერები“ თავიანთ ბატონებთან ცხოვრობენ, მასთან არიან ჭირსა და ლხინში, მათი შინაური კაცებია, ისინი თავიანთი ბატონის ამალას შეადგენენ. ბატონი თავის მხრით ვალდებულია მფარველობა გაუწიოს „ნუქერს“, მას უნდა მისცეს ბინა, საჭმელი, ტანსაცმელი და იარაღი. ამიტომ „ნუქერად“ მიდიოდა ახალგაზრდობა, რომელსაც შევიწროებული მატერიალური მდგომარეობა ჰქონდა. ლაშქრობის შედეგად მოპოვებულ ნადავლს ბატონი და „ნუქერები“ ინაწილებდნენ[1].

ჩინგიზ ყაენის დროს „ნუქერთა“ წრიდან გამოვიდა ცნობილი სარდალი ჯებე და სუბუდაი. მონღოლთა საზოგადოების დაბალი ფენა, რომლის ექსპლოატაციას ახდენდა მომთაბარე არისტოკრატია და მის ხელქვეით მყოფი თავისუფალი საზოგადოებრივი ფენები იწოდებოდა „ყარაჩუ“-დ—(შავი ხალხი). „ყარაჩუ“ საკუთრების მქონე არის. წყაროში აღნიშნულია, რომ „თუ უბრალო კაცი დაბალი ფენიდან ღვინის სმას დაეხარბა, ბოლოს მოუღებს ცხენს, ჯოგს, მთელ თავის ქონებას და მათხოვარი შეიქნება“[2]. „ყარაჩუს“ ჯოგი ჰყავს, მეურნეობის იარაღი აქვს, აილის წესით ცხოვრობს, მაგრამ საძოვარი სხვისია.

ამდენად იგი დამოკიდებული ადამიანია და თავის ვალდებულებას იხდის საძოვრების მფლობელის წინაშე. აწვდის მას სახორცედ ცხოველებს, გარკვეული ვადით მიუყვანს მეწველ ცხენებს და სხვ [3]. ასეთია ძირითადი საზოგადოებრივი ფენები ძველ მონღოლეთში.

მონღოლთა სახელმწიფო იმ დროს გაბატონებული საზოგადოებრივი ფენების ინტერესების დამცველი ორგანიზაცია იყო, რომელსაც სათავეში ყაენი, ხოლო მე-13 საუკუნიდან იმპერატორი — მეფე ედგა. ყაენი უფლებამოსილი იყო თავის შვილს — უფლისწულს ან მოუმატებდა ან მოუკლებდა მიბოძებულ ულუსს, ინებებ-

---

[1] ნუქერების შესახებ იხ. აკად. ვლადიმირცოვის დასახელებული ნაშრომი, გვ. გვ. 87 — 96.

[2] იქვე, გვ. 118.

[3] იქვე, გვ. 84.

და და სრულიად წაართმევდა ულუსს რაიმე დანაშაულისათვის. იმპერატორის ვასალებსაც უფლება ჰქონდათ თავის ხელქვეითებზე, ანუ მის დაბალი საფეხურის ვასალებზე.

ჩინგიზ ყაენის დროიდან ულუსებად სახელმწიფოს დაყოფა და მართვა ერთგვარ ორგანიზებულ ხასიათს ღებულობს. როგორც აღნიშნული იყო ულუსი (საუფლისწულო) „ნუტულისა“ და მასზედ მცხოვრებ მეჯოგე აილებისაგან შედგებოდა. მაგრამ აქ გარდაკვეთილი იყო რამდენი მეომარი უნდა გამოეყვანა ულუსს. როცა ჩინგიზ-ყაენი იმპერატორი შეიქნა (1206 წ.) მან ქვეყნის ადმინისტრაციულ დაყოფას ულუსიდან გამომავალ მეომართა რიცხვი დაუდო საფუძვლად. ვასალს მიებოძებოდა დამსახურების მიხედვით საძოვრის ფართობი მეტ-ნაკლებად და მეჯოგე მცხოვრებლები, მაგრამ ან ათეული მეომრის გამოყვანის პირობით, ან ასეულის, ან ათასეულის, ანდა ათიათასეულის მიხედვით.

ქვეყნის ასეთი დაყოფა მათემატიკური სიზუსტით ალბათ შეუძლებელიც იყო, მაგრამ პრინციპი ასეთი იყო. ჯარის ნაწილს შეიძლება ასეული ერქვას, მაგრამ იქ 90 კაცზე მეტი შეიძლებოდა არ ყოფილიყო, რადგანაც გარკვეულ „ნუტულზე“ არსებულმა ძოსახლეობამ 90 მეტი მეომარი ვერ გამოიყვანა.

ამ პრინციპის მიხედვით ჩინგიზის განკარგულებაში მყოფი მონღოლური ტომები დაიყო ისე, რომ აილების ერთი ჯგუფი 10 მეომრის გამოყვანას შეძლებდა, მეორე ჯგუფი 100, მესამე ჯგუფი 1000 და მეოთხე 10.000 მეომრისა. თვითოეულ ამ დანაყოფს სათავეში ედგა თავისი უფროსი დამსახურების მიხედვით. ათისთავი თავისი აილებით და ამათგან გამოსულ 10 მეომრით ვასალური წესით ექვემდებარებოდა ასისთავს, ეს უკანასკნელი თავისი აილებით და 100 მეომრით ათასის თავს და ასე შემდგომ. თვითნებური გადასვლა ერთი უფროსისაგან მეორე უფროსთან აკრძალული იყო. დამნაშავე სიკვდილით დაისჯებოდა.

ასისთავობა, ათასისთავობა და ათიათასისთავობა მემკვიდრეობითი თანამდებობა იყო და მათ ყველას „ნოიონის“, ანუ „ნოინის“ ე. ი. „ბატონის“ ტიტული ენიჭებოდა. ყოველი ნოინი მიიღებდა რალენის წესით სამემკვიდრეო სამფლობელოს, ხდებოდა უფლისწულის ანუ მეფის შვილის ვასალი. იგი მაშასადამე ულუსის პატრონის ვასალი გახდებოდა. იმპერია ხომ ულუსებად იყო დაყოფილი იმპერატორის შვილებს შორის [1].

მონღოლებს თავისი წარმართული სარწმუნოება ჰქონდათ, საკ-

---

[1] აკად. ვლადიმირცოვის დასახელებული ნაშრომი, გვ. გვ. 101—104.

მალდ პრიმიტიული, საზოგადოებრივი განვითარების დაბალ საფეხურზე მდგომი ხალხებისათვის დამახასიათებელი. მონღოლურ ტომებში შამანიზმი ყოფილა გავრცელებული. შამანური მოძღვრების თვალსაზრისით სამყარო სავსეა უთვალავი სულებით. ეს უკანასკნელი ორი კატეგორიისანი არიან: კეთილი და ბოროტი. სულები ყველგან არიან წყალში, ტყეში, საცხოვრებელ ბინებში. ყოველფერს თავისი სული ანუ ღვთაება ჰყავს. ამ სულებს ზეგავლენა აქვს ადამიანის არსებობაზე და მის ბედზე. ბოროტი სულები თითქოს მიისწრაფიან ადამიანს როგორმე ავნონ და მოკლან კიდეც. ამიტომ ადამიანი უნდა შეეცადოს არ გააჯავროს ეს ბოროტი სული და თუ უნებლიეთ გააჯავრა, უნდა ასიამოვნოს რაიმეთი. მონღოლი ისე არაფერს არ შეჭამდა და დალევდა, რომ მცირე ნაწილი არ მიეძღვნა ამ სულებისათვის. მონღოლები თაყვანს სცემდნენ ზეცას, მიწას და ცეცხლს. ზეცა, მათი აზრით, ხან სიკეთეს ანიჭებდა ადამიანს ხან კი უბედურებას მოუვლენდა, განსაკუთრებით ეშინოდათ ქუხილის. მიწა მათი წარმოდგენით კეთილი ღვთაება იყო, რომელიც მათ ჯოგს კვებავდა. ცეცხლი კი ცისა და მიწის შვილად მიაჩნდათ. ცეცხლში უწმინდური რაიმეს ჩაგდება ცეცხლის შეურაცხყოფად ითვლებოდა და ასეთ დამნაშავეს ჰკლავდნენ. მონღოლებს ჰყავდათ ჯოგის მფარველი ღვთაებები, აგრეთვე სახლის მფარველი.

წყაროებში აღნიშნულია, რომ მონღოლებს ერთი ღმერთი ჰყოლიათ, რომელსაც ამ სამყაროს შემოქმედად თვლიდნენ. რუბრუკვისი წერს: „როდესაც მათ ტაძარში შევედი და მათი დიდი და პატარა კერპების გროვა დავინახე, მოგვების გვერდით დავჯექი და ვკითხე, რას ფიქრობთ ღმერთზე მეთქი, მათ მიპასუხეს: ჩვენ მხოლოდ ერთი ღმერთი გვწამსო. მე ხელახლად შევეკითხე: გწამთ რომ ის სულია თუ ხილული სხეული? გვწამს, რომ ის სულიაო მიპასუხეს. „გწამთ თუ არა, რომ მას ოდესმე ადამიანის სახე მიეღოს?“ მათ სთქვეს „არასოდესო“[1].

პლანო კარპინიც აღნიშნავს: „მათ სწამთ ერთი ღმერთი, რომელსაც ყოველი ხილულისა და უხილავის შემოქმედად სთვლიან; აგრეთვე სწამთ, რომ ის არის, როგორც ნეტარების მომნიჭებელი ამ ქვეყნად, ისე დამსჯელი“[2].

მონღოლთა ერთი ღმერთის შესახებ და ამ ღმერთის პატივსაცემად თავისებური რიტუალის არსებობის შესახებ ძვირფასი ცნო-

---

[1] მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1942 წ., ნაკვ. V, გვ. 76.

[2] იქვე, ნაკვ. II, გვ. 10.

ზა მოეპოვება ქართველ ჟამთააღმწერელს. იგი წერს: „ამათ აქუნდათ სჯულად, ერთისა ღვთისა უკვდავისა თაყუანისა-ცემა, პირი მზისა აღმოსავლეთით ქნიან, და სამისა ჩოქისა და სამ-ჯერ თაყუანის-ცემა, და შუა თითის წვერისა ნებსა ზედა დადება და დატკაცუნება, და სხუა მეტი არა რაი“ [1].

რუბრუკვისს ერთგან აღნიშნული აქვს, რომ მიუხედავად ამ ერთი ღმერთის რწმენისა მონღოლები „ქეჩის ფიგურებს აკეთებენ, ვითომ თავიანთ მიცვალებულთა გამოსახულებებს, მდიდრულ ქსოვილებს აცმევენ და ერთ ან ორ ფორანზე ათავსებენ; ამ ფორნების შეხებას ვერავინ გაბედავს იმიტომ, რომ ისინი მისნების ზედამხედველობის ქვეშ არიან, ეს მისნები კი მათი მღვდლები არიან... ამ მისნებს თავიანთი ბინა ყოველთვის მანგუ-ხანისა და სხვა მდიდარი პირების კარის წინ აქვთ. როდესაც თათრები მოგზაურობენ, მისნები ფორნების წინ მიდიან... და დასაბანაკებლად ადგილს ირჩევენ“ [2].

პლანო კარპინი კი აღნიშნავს, რომ „მხედართმთავრებს, ათასისთავებსა და ასისთავებს ყოველთვის ერთი კერპი აქვთ შუაგულ სადგომში. ამ კერპს ისინი მსხვერპლად სწირავენ როგორც რქოსანის, ისე სასაპალნო პირუტყვის პირველად გამოწველილ რძეს; ყოველთვის, სანამ ჭამა-სმას შეუდგებოდნენ, კერპებს მსხვერპლს სწირავენ თავიანთი საჭმელ-სასმელიდან“ [3].

მონღოლების რწმენით ქურუმს (მისანს, მათ მღვდელს ე. ი. — შამანს) შეუძლია ბოროტი სულის რისხვა ააცილოს ადამიანს, მასვე შეუძლია უბედურება მოავლენინოს ღვთაებას. ამიტომ შამანის ეშინოდათ მონღოლებს.

წყაროებში შემონახულია მონღოლის გარეგნული აღწერილობა. საყურადღებო არის ქართველი ჟამთააღმწერელის ცნობა. იგი დაწვრილებით მოგვითხრობს მონღოლების გარეგნული დამახასიათებელი დეტალების შესახებ. ზედმეტი არ იქნება სათანადო ტექსტის აქ მოტანა: „ხოლო იყუნეს ტანითა სრულ, გვამითა ახოვან და ძლიერ ფერჴითა, შვენიერ და სპეტაკ ჴორცითა. თვალითა მცირედ ჭვრიტ და გრემან, განზიდულ და საჩინო. თავითა დიდ, თმითა შავ და ჴშირ, შუბლბრტყელ, ცხვირითა მდაბალ, ეს-ოდენ რომელ ღაწვნი უმაღლეს იყვიან ცხვირთა, და მცირედნი ოდენ ნესტვნი ჩნდიან

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 500.

[2] მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი V, გვ.-გვ. 76—77.

[3] იქვე, ნაკვეთი II, გვ. 11.

ცხვირთა. ესე ვითარი აქუნდათ უმსგავსო სახე. და ნუ ვის გიკვირს, რამეთუ აღმატებული რამე შვენიერება აქუნდათ მათ ყოველთა, მამათა და დედათა. ხოლო ამასთანა მოეგოთ სიმკნე და მოისარნი იყუნეს რჩეულნი, მაგრითა მშვილდითა უცთომრად მსროლელნი, რომელთა ნაკრავსა ეერა-რა-მან საჭურველმან დაუდგნის. უფროს ცხენსა ზედა იყუნეს მკნე, რამეთუ აღზრდა მათი ცხენსაზედა იყვის. საჭურველისა არა-რასა მქონებელნი, მშვილდისა და ისრისა კიდე. ესე იყუნეს კაცნი განსაკვირვებელნი, რამეთუ იხილნი-რა, სულელ საგონებელ იყუნიან, ხოლო ყოველი სიბრძნე იპოებოდა მათ შორის, და ყოველი გონიერება მოეგოთ, მცირე მეტყველება და ტყუეილი სიტყვა ყოვლადვე არა იყო მათ შორის არა თვალახვნიან პირსა კაცისასა, არცა დიდსა და არცა მცირესა, უმეტეს საბჭოთა შინა. რამეთუ კეთილნი წესნი ეპყრნეს ჩინგიზ ყაენისაგან გაჩენილნი, რომელთა თვითოეულად წარმოთქმა გრძელ არს“ [1]. ჟამთააღმწერელი მე-14 საუკუნეში ცხოვრობდა და მონღოლებს კარგად იცნობდა. მას მონღოლური ენაც სცოდნია. როგორც ჩანს, მონღოლი მას პირადათ ნახვის შემდეგ ჰყავს აღწერილი, ისე რომ იგი წერილობით წყაროდან არ გვაწვდის ამ ცნობებს. თავისთავად ცხადია, რომ მონღოლთა მრავალრიცხოვან ტომებს გარეგნულად განსხვავება ექნებოდა, მაგრამ ზოგადი, მონღოლის მოდგმისათვის, დამახასიათებელი გარეგნობაც უნდა ჰქონოდათ. და რომ ჟამთააღმწერელი მონღოლის ტიპს სწორად გვისახვს, ამაში სავსებით დავრწმუნდებით თუ მე-13 საუკუნის მოგზაურის პლანო კარპინის მონღოლის გარეგნულ აღწერილობასაც გავეცნობით: „სახით ისინი ყველა სხვა ადამიანისაგან განსხვავდებიან. თვალებსა და ღაწვებს შორის მათი სახე უფრო ფართოა ვიდრე სხვებისა, ხოლო მათი ღაწვები მეტად ყვრიმალ ძვლიანია. ყველას, იშვიათი გამოკლებით, თხელი ტანი აქვს და თითქმის ყველანი საშუალო სიმაღლისა არიან. წვერი თითქმის სრულიად არ აქვთ, მხოლოდ ზოგიერთს ზედატუჩზე და ნიკაპზე რამდენიმე ბეწვი ამოდის, რომელსაც არასოდეს არ იკრეჭავენ. საქოჩრეს იპარსავენ ჩვენი კლირიკოსების მსგავსად. აგრეთვე ყველანი სამი თითის დადებაზე თავს იპარსავენ ერთი ყურიდან მეორემდე; ამ მოპარსულ ადგილს ცხენის ნალის ფორმა აქვს. აგრეთვე ყველანი შუბლს იპარსავენ ორი თითის დადებაზე. საქოჩრესა და ზემოხსენებულ მოპარსულ ადგილს შორის დატოვებულ თმას კი წარბებამდე უშვებენ. დანარჩენ თმას ქალებივით იზრდიან, ორ ნაწნავს აკეთებენ და ყურების უკან იხვევენ. პატა-

[1] ქართლის ცხოვრება, II, ს. ყიყინაძის გამოც., გვ 499—500.

რა ფეხები აქვთ... სიმღერის დროს ხარებივით ღმუიან, ან მგლებივით ყმუიან და რაღაც გაუგებარ სიტყვებს იძახიან; ხშირად სიმღერას ალაი, ალაის უმატებენ. სმის დროს უწესოდ თავს აქნევენ და სასმელს ცხენებივით ეწაფებიან"[1].

მონღოლეთში მრავალცოლიანობა ყოფილა გავრცელებული და ამ ცოლებისაგან ნაშობი ყველა შვილი კანონიერ შვილად ითვლებოდა. ცოლების რაოდენობა რაიმე კანონით შეზღუდული არ ყოფილა; იმდენი ცოლის შერთვა შეიძლებოდა, რამდენის შენახვაც შეეძლო ადამიანს. ნათესაობაში მხოლოდ დედა და ღვიძლი და ითვლებოდნენ ახლობლებად, დანარჩენების ცოლად შერთვა ნებადართული იყო. მამის გარდაცვალების შემთხვევაში დაქვრივებული ცოლის შერთვა შეეძლო შვილს თუ ის არ იყო საკუთარი დედა. ქვრივი ქალი იშვიათად თხოვდებოდა უცხო ადამიანზე, მას მხოლოდ გარდაცვლილი ქმრის უმცროსი ვაჟი თუ შეირთავდა.

ქალის შერთვის დროს ქალის მშობლებს სიძე დიდ საფასურს უხდიდა. დაქორწინებული მონღოლი ცოლს თავისად არ ცნობდა მანამ, სანამ ქალი არ დაორსულდებოდა და არ შობდა. თუ ქალი უნაყოფო გამოდგებოდა ქმარს გაყრის უფლება ჰქონდა[2].

საერთოდ ცნობილია, რომ მონღოლები დაპყრობილ ხალხებს თავიანთ სარწმუნოებასა და ზნეჩვეულებებს თავს არ ახვევდნენ, მაგრამ ამ საკითხის შესახებ პლანო კარპინს ერთი საინტერესო ცნობა აქვს თავის თხზულებაში. იგი წერს: „(მონღოლებს) რამდენადაც ვიცით, არავისთვის ძალა არ დაუტანებიათ თავის რწმენაზე ანუ კანონზე უარი ეთქვა... ესეცაა, რომ ჩვენი იქ ყოფნის დროს ჩერნიგოვის მთავარი ანდრეი რუსეთიდან დასმენილ იქნა ბათოსთან, რომ ჩვენი მიწებიდან თათრების ცხენები გაჰყავს და სხვა ადგილებში ჰყიდისო; თუმცა ეს ბრალდება არ დამტკიცდა, მაგრამ ის მაინც მოჰკლეს. ეს რომ მისმა უმცროსმა ძმამ გაიგო, მოკლულის ქვრივთან ერთად ბათოსთან მივიდა და სთხოვა მამულს ნუ წაგვართმევთო. ბათომ ჭაბუკს უთხრა, წესი მოითხოვს, რომ შენი ძმის ცოლი შეირთოო, ხოლო ქვრივს უბრძანა მაზლს გაჰყოლოდა ცოლად თათრების ჩვეულების მიხედვით. ქალმა უპასუხა, მირჩევნია მოკლულ ვიქნე, ვიდრე კანონის წინაალმდეგ წავიდეო. მათი წინააღმდეგობის მიუხედავად ბათომ ქალი და ვაჟი შეაუღლა; ორივე საწოლთან მიიყვანეს, ეს მტირალი და მყვირალი ვაჟი ქალს თავზე

---

1 მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1942, ნაკვეთი II, გვ. გვ. 8 — 9.

2 ამის შესახებ იხ. იქვე, გვ. 9.

დააწვინეს და აიძულეს ერთმანეთს პირობითად კი არა, ნამდვილად შეერთებოდნენ"[1].

მეორე შემთხვევა აქვს იმავე ავტორს აღწერილი, როცა ბათო ყაენმა ჩერნიგოვის მეორე მთავარს მიხეილს ძალა დაატანა ორ ცეცხლს შორის გაევლო და სამხრეთის მხარეს აღმართულ ჩინგიზის კერპისათვის თაყვანი ეცა. პლანო კარპინი წერს: „სამხრეთის მხარეს ისინი თაყვანს სცემენ, როგორც ღმერთს და ამასვე აიძულებენ სხვა წარჩინებულ ადამიანებს, რომელნიც მათ ემორჩილებიან. ამიტომ მოხდა, რომ, როცა ბათოსთან ამ ცოტა ხნის წინათ რუსეთის ერთ-ერთი დიდი მთავარი მიხაილი მივიდა, რათა მას დამორჩილებოდა, იგი თავდაპირველად ორ ცეცხლშუა გაატარეს, ხოლო შემდეგ უთხრეს, თაყვანი ეცი ჩინგიზ-ყაენს სამხრეთით. მან უპასუხა, სიამოვნებით თაყვანს ვცემ ბათოს და მის მსახურებს, მაგრამ მიცვალებულის გამოსახულებას თაყვანს არ ვცემ, ვინაიდან ეს შეუფერებელია ქრისტიანისათვისო"[2]. ჩერნიგოვის მთავარი თითქოს არ შეუშინდა სიკვდილით მუქარასაც და თავი მოკვეთეს მას.

აღწერილი ფაქტები იმას მაინც არ ნიშნავს, რომ ბათო ყაენი ქრისტიანობას, როგორც სარწმუნოებას, ებრძოდა. იგი მისი საბრძანებლის ეტიკეტის დაცვას მოითხოვდა ურდოში მორჩილების გამოსაცხადებლად მოსულ მთავრისაგან და არა მონღოლური სარწმუნოებისა და ადათ-წესების დანერგვას რუსეთის სამთავროებში. ჩერნიგოველი მთავრების სიკვდილით დასჯას უფრო ღრმა საფუძველი ჰქონია, ვინემ ბათოს კარავის სამხრეთით აღმართულ ჩინგიზის კერპის შეურაცხყოფას. მთავრების ანდრიას და მიხეილ ჩერნიგოველების ურდოში დაღუპვა, ვლადიმირის მთავრის იაროსლავის ხელის შეწყობით მომხდარა, ამ უკანასკნელის დიდი მეტოქე იყვნენ ჩერნიგოველი მთავრები. ისე რომ, წარმართული რიტუალის შესრულებაზე უარის თქმა, ხელსაყრელი საბაბი ყოფილა ბათოსათვის. რძალთან ძალდატანებით შეუღლების აქტიც სასჯელის სახეა და არა მონღოლური ადათის დანერგვის ცდა. ჩერნიგოვის მთავრები დასავლეთ ევროპაზე ორიენტირებული პოლიტიკოსები იყვნენ, გალიჩ-ვოლინის მთავრებთან ერთად, ისინი რომის პაპთან ამყარებდნენ ურთიერთობას. ვლადიმირელი მთავარი კი პირველი მივიდა ურდოში მორჩილების გამოსაცხადებლად და ამით სრულიად რუსე-

---

1 მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1942, ნაკვეთი II. გვ. 12.

2 იქვე, გვ. 11.

თის მთავრებს შორის პირველობის იერლაყი მიიღო კიდეც[1]. ჩერნიგოველ მთავრებს იაროსლავმა მონღოლების საშუალებით გაუსწორა ანგარიში.

მონღოლ ხელისუფალის ნახვის მსურველთ მონღოლები წინასწარ ორ კოცონს შორის გაატარებდნენ. პლანო კარპინს ამის შესახებ აღნიშნული აქვს: „როცა კომანთა ქვეყნის საზღვარზე ბათოსთან მივაღწიეთ, ჩვენ კარგად მოგვათავსეს ერთი ლიეს მანძილზე მისი სადგომიდან. **როცა მის კარზე უნდა წარვმდგარიყავით, გვითხრეს, ორ ცეცხლს შუა** უნდა გაიაროთო. ამაზე ჩვენ არა გზით არ ვთანხმდებოდით. მათ გვითხრეს: თამამად წადით, ჩვენ ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ თუ ჩვენი მბრძანებლის წინააღმდეგ რაიმე ბოროტი განზრახვა გაქვთ ან თან საწამლავს ატარებთ, ცეცხლი ყოველ ბოროტებას მოსპობს. ჩვენ ვუპასუხეთ: თუ ასეა ჩვენ გავივლით, რათა იჭვი არ გამოვიწვიოთ...“[2].

ამას გარდა, მბრძანებლის სასახლეში და კარავში შემავალს კარის ზღურბლისთვის ფეხი არ უნდა დაედგა, ეს თურმე დიდ ცოდვად ითვლებოდა და ამიტომაც უცხო ქვეყნიდან მოსულ ელჩებს აფრთხილებდნენ[3]. თათრებს ცბიერება ახასიათებდათ მოწინააღმდეგის მიმართ. არა ერთხელ ციხე-სიმაგრეში ჩაკეტილ მოწინააღმდეგეს შეპირებიან დანებების შემთხვევაში უვნებლად დატოვებას, მაგრამ მათ სიტყვას მინდობილი მტერი შემდეგ დაუნდობლად გაუქლეტიათ, თუმცა ახლანდელი ჩვენი თვალსაზრისით ასეთ ანგარიშსწორებას თვით მონღოლებისათვისაც არავითარი აზრი არ ჰქონდა. მაგრამ თუ მონღოლები თავიანთი წესის მიხედვით ფიცის რიტუალს შეასრულებდნენ და ამით პირობას იძლეოდნენ, ფიცი ურყევი იქნებოდა, ყოველგვარი მიზეზების გარეშე. ქართველი ჟამთააღმწერელი ამის შესახებ წერს. „ხოლო ფიცის სიმტკიცე ეს იყო: განხძმედილი ოქრო სამჯერ წყალსა შთაყვიან, განავლიან და შესვიან და მინდობილი შეიწყნარიან და ამა ფიცსა არა ეცრუვნიან, და სიტყვა ტყუილი არა გამოვიდოდა პირით მათითა... ამათ ოქროთა საფიცრითა დაუმტკიცეს მოციქულთა ავაგისთა ფიცი, რომლითა დაჯერებულ იქმნა. ამისთვის რომე არა იცოდეს ტყუილი არცა სიცრუე ფიცთა“[4]. მაგრამ ალბათ ასეთ ფიცს მონღოლები მაშინ იძლეოდ-

---

1 ამ საკითხის შესახებ იხ. А. Н. Насонов, Монголы и Русь. 1940, გვ. გვ. 23—28.

2 მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1942, ნაკვ. II, გვ. 50.

3 იქვე.

4 ქართლის ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც. II, გვ. 526.

ნენ, როცა ამ ფიცის შედეგად განხორციელებული აქტი წინასწარ ისე იყო აწონილ-დაწონილი, რომ მათთვის სარგებლობა სადაო არ იყო.

მონღოლთა სახელმწიფოში მონღოლი ქალი უფლებააყრილი არ ყოფილა. არისტოკრატი ქალის უფლება, რა თქმა უნდა, განსხვავებულია დაბალი წრის ქალის უფლებისაგან, მაგრამ საერთოდ ქალი იქ ისე დაჩაგრული არ ყოფილა, როგორც მაჰმადიანურ სამყაროში.

ყაენის კარზე დედოფლები პოლიტიკაში მონაწილენი ჩანან. როდესაც მონღოლეთის იმპერატორი უგედე (ქართული წყაროებით „ოქოთა") გარდაიცვალა და ახალი იმპერატორის არჩევას დააგვიანდა, სახელმწიფო საქმეებს, დაქვრივებული, უგედე იმპერატორის უფროსი მეუღლე თურაყინა განაგებდა. დედოფალი თურაყინა ბათუ ყაენთან კარგ დამოკიდებულებაში არ იყო და თავისი პარტია გაიჩინა საიმპერატორო კარზე მყოფ არისტოკრატიულ წრეებში. ამასთანავე მას მონღოლთა იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ადგილობრივი ხელისუფლების მიმხრობაც მოუწადინებია და ბევრი მათგანი ყარაყორუმში გაუწვევია. მათ შორის ვლადიმირელი რუსი მთავარი იაროსლავიც. მაგრამ რაკი გამოირკვა, რომ იაროსლავი ბათო ყაენის კაცი იყო, იგი რამდენიმე ხნის შემდეგ მოუწამლავს და გარდაცვლილა. პლანო კარპინი ამის შესახებ წერს: „ამავე დროს გარდაიცვალა იაროსლავი — დიდი მთავარი სუზდალისა, რომელიც რუსეთის ნაწილს წარმოადგენს. ის მიწვეული იყო იმპერატორის დედასთან, რომელმაც ვითომდა პატივისცემის ნიშნად მას თავის ხელით მიაწოდა საჭმელ-სასმელი. თავის ბინაზე დაბრუნებისთანავე მან თავი ცუდად იგრძნო და მეშვიდე დღეს გარდაიცვალა, ხოლო მისი სხეული უცნაურად გალურჯდა. ყველანი ამბობდნენ, მოწამლეს, რათა უფრო ადვილად და საბოლოოდ დაეპატრონონ მის მამულსო. ამას ადასტურებს ისიც, რომ იმპერატორის დედამ იაროსლავის მხლებლების უცნობლად, მალემსრბოლი გაგზავნა რუსეთში მის ვაჟთან ალექსანდრესთან (ნეველთან) და თავისთან მიიწვია, ვითომდა მამამისის სამკვიდროს გადასაცემად. ამ უკანასკნელმა არ ისურვა წასვლა, ამავე დროს კი იმპერატორის დედა წერილებს უგზავნიდა, ჩემთან გამოცხადდი, მე მსურს მამაშენის მამული გიწყალობოვო. მაგრამ ყველა დარწმუნებული იყო, რომ თუ ის მართლა გამოცხადდებოდა, იმპერატორის დედა მას მოჰკლავდა ან სამუდამოდ დაატყვევებდა"[1]. მონღოლეთის დედო-

---

1 მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1942, ნაკვ. II, გვ. 59.

ფალი, როგორც ვხედავთ, სახელმწიფო საქმეებს თავისებურ მიმართულებას აძლევს [1].

ელჩების მიღებას ბათო ყაენის საბრძანებელში მისი ცოლი და სხვა „სტატს დამები“ ესწრებოდნენ. პლანო კარპინი აღნიშნავს: „ეს ბათო... თავის ერთ-ერთ ცოლთან ერთად მაღალ ადგილას ზის როგორც ტახტზე; როგორც მისი ძმები და მისი ვაჟები, ისე სხვა დიდებულები უფრო დაბლა სხედან, შუა ადგილას, მერხზე, ხოლო დანარჩენი ადამიანები — მათ უკან იატაკზე, მამაკაცები მარჯვნივ, ხოლო დედაკაცები მარცხნივ“ [2]. რუბრუკვისი ასე აღწერს ბათოსთან აუდიენციას: „ჩვენ ბათოს წინაშე ფეხზე ვიდექით... და ყველა თანადამსწრე ღრმა დუმილს იცავდა. ბათო იჯდა საწოლივით გრძელ და ფართო ტახტზე, რომელიც სავსებით მოოქრული იყო და სამი საფეხურით იყო აღჭურვილი; მის გვერდით ერთი მანდილოსანი იყო. მამაკაცები აქა-იქ ისხდნენ, დედოფლის მარჯვნივ და მარცხნივ, ვინაიდან ქალები იმდენი არ იყვნენ, რომ კარვის ერთი მხარე აევსოთ; იქ მხოლოდ ბათოს ცოლები იყვნენ“ [3].

მონღოლები ცოლსა და ხასას ერთმანეთისაგან ასხვავებდნენ, მაგრამ ნიშანდობლივ ეს სხვაობა რაში გამოიხატებოდა კონკრეტულად აღწერილი არ აქვთ იმდროინდელ მოგზაურებს. ქალის ცოლად შერთვის წესები რუბრუკვისს ასე აქვს აღწერილი: „რაც შეეხება ცოლქმრობას, უნდა მოგახსენოთ, რომ ვერავინ ცოლს ვერ შეირთავს თუ არ იყიდა; ამიტომ მრავალი გაუთხოვარი ქალი ჰყავთ: მშობლები მათ შინ სტოვებენ სანამ გაყიდდნენ. თათრები იცავენ მხოლოდ პირველი და მეორე მუხლის ნათესაობას, მაგრამ მოყვრობას არ სცნობენ. მათ შეუძლიათ ორი და შეირთონ ერთად ან ერთი მეორის შემდეგ. არც ერთი ქვრივი ქალი არ თხოვდება ხელახლა, ვინაიდან მათ ჰგონიათ, რომ ყოველი ცოლი, რომელიც მათ ამ ცხოვრებაში გამოიყენეს, სხვა ცხოვრებაშიც გამოადგებათ, და ყოველი ქვრივი ქალი თავის პირველ ქმარს დაუბრუნდება... თუ სასიძო გასათხოვარი ქალის მამას შეუთანხმდა, ეს უკანასკნელი წვეულებას მართავს, ხოლო ქალი უახლოეს ნათესავებთან გარბის

---

[1] მონღოლეთის დედოფლის სახელმწიფო მოღვაწეობის შესახებ იხ. А. Насонов, Монголы и Русь, 1940, გვ. გვ. 31 — 32.

[2] მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1942, ნაკვ. II, გვ. 51,

[3] იქვე, ნაკვეთი V, გვ. 59.

დასამალავად. შემდეგ მამა იტყვის: „აი ჩემი ქალიშვილი, ის შენ გეკუთვნის, შეგიძლია დაეუფლო სადაც კი იპოვნი“. მაშინ სასიძო ქალის ძებნას იწყებს თავის მეგობრებთან ერთად და, როცა აღმოაჩენს, ძალით დაეპატრონება და შინ წაიყვანს თითქმის ქალის სურვილის მიუხედავად“ [1]. როგორც ჩანს, ცოლი ეწოდებოდა იმ ქალს, რომლისათვის საცოლო მონღოლი საფასურს გადაიხდიდა და ზემოაღწერილ რიტუალს შეასრულებდა ქალის მშობლებთან შეთანხმების საფუძველზე. ტყვედ ჩავარდნილი უცხო ქვეყნის ქალი ჩაითვლებოდა თუ არა ცოლად არ ჩანს.

რუბრუკვისის და პლანო კარპინის ცნობით მრუშობა სიკვდილით ისჯებოდა: „კანონად თუ ჩვეულებად აქვთ ქალ-ვაჟი დახოცონ თუ აშკარა მრუშობაზე წაასწრეს. აგრეთვე ჰკლავენ მეძავ ქალს მამაკაცთან ერთად, რომელთანაც ის ცხოვრობს“ [2]. მაგრამ საყურადღებოა, რომ მრუშობად ითვლებოდა მხოლოდ ისეთ ქალთან დაკავშირება, რომელიც დამნაშავის სახლეულობას არ ეკუთვნოდა. ხოლო ქალი თუ მონღოლი მამაკაცის სახლეულობას ეკუთვნოდა ან მისი მხევალი იყო, „პატრონს ნებადართული აქვს ის სურვილისამებრ გამოიყენოს“ [3].

ერთგან პლანო კარპინი აღნიშნავს, რომ: „ხასისა და ცოლისაგან შეძენილ შვილებს ერთმანეთში არ ასხვავებენ; თითოეულ მათგანს მათი მამა იმას აძლევს, რაც სურს, და თუ მამა თავადის გვარიდანაა, მისი ხასის ვაჟიც თავადი გახდება, ისევე როგორც მისი კანონიერი ცოლის ვაჟი. რამდენი ცოლიც უნდა ჰყავდეს თათარს, თითოეულ მათგანს თავისი სადგომი და ოჯახი აქვს, ერთ დღეს ის ჭამს, სვამს და იძინებს ერთ ცოლთან, მეორე დღეს მეორესთან. მაგრამ ერთ-ერთი ცოლი უფროსად ითვლება და მასთან ის უფრო ხშირად ცხოვრობს, ვიდრე სხვებთან. ესეცაა, რომ რამდენიც უნდა იყვნენ, ცოლები იშვიათად ჩხუბობენ ერთმანეთში“ [4].

საყურადღებოა, რომ ყარაყორუმში მივლენილი ქართველი უფლისწული დავით ლაშა გიორგის-ძე, იქვე მყოფ დავით რუსუდანის-ძისაგან, თავის უფლებებს საქართველოს ტახტზე, ვითარცა ლაშა გიორგის უკანონო შვილი, მონღოლური სამართლით იცავდა და საქმე მოიგო კიდეც.

---

[1] მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1942, ნაკვეთი V, გვ. 29—30.

[2] იქვე, ნაკვეთი II, გვ. 19.

[3] იქვე, ნაკვეთი V, გვ. 30.

[4] იქვე, გვ. 9.

პლანო კარპინი და რუბრუკვისი ერთხმად აღნიშნავენ, რომ ტანსაცმელით ქალი და კაცი ერთმანეთისაგან არ განსხვავდებიან: „ქალიშვილებისა და ახალგაზრდა გათხოვილი ქალების გარჩევა მამაკაცებში ძალიან ძნელია, იმიტომ რომ ისინი ისევე იცვამენ, როგორც მამაკაცები“... რუბრუკვისი წერს: „ქალიშვილების ტანისამოსი არ განსხვავდება მამაკაცების ტანისამოსისაგან, მხოლოდ მასზე ცოტათი გრძელია. მხოლოდ დაქორწინების მეორე დღეს ისინი თმას იპარსავენ შუა თავიდან შუბლამდე და გრძელ ტუნიკას იცვამენ... სხვათა შორის, ქალებს თავის სამკაული აქვთ, რომელსაც ისინი ბოკას ანუ ბოტას უწოდებენ... მისი სიგრძე ერთ წყრთასა და მეტს უდრის, ზემო ნაწილი ოთხკუთხოვანი აქვს სვეტის თავივით... მაღალი საზოგადოების ქალები ამ თავსაბურავს თავზე იდგამენ და მას ზემოდან ტყავს აცვამენ. ბოკა ანუ ბოტა, რომელიც ქალებს თავს ახურავთ, მაგრად გასკვნილია ნიკაპქვეშ... დედაკაცები მამაკაცებივით ცხენებზე სხდებიან, ერთი ფეხი ერთ მხარეზე აქვთ, ხოლო მეორე მეორეზე; ისინი თავიანთი კაბის კალთებს წელზე იმაგრებენ ცისფერი აბრეშუმის ლენტით, ხოლო თვალებს ქვემოთ თეთრ ტილოს იფარებენ, რომელიც მკერდამდე სწვდებათ. ისინი ყველანი მეტად მსუქნები არიან, და ვისაც ყველაზე პატარა ცხვირი აქვს, ულამაზესად ითვლება. ისინი ვერ ბედავენ ფერუმარილის წასცხებას. მშობიარობის დროს ლოგინში არ წვებიან...“[1].

რუბრუკვისს უმთავრესად მაღალი წრის ქალების ჩაცმულობასა და სამკაულებზე უნდა ჰქონდეს საუბარი. თავისთავად ცხადია „ცისფერი აბრეშუმის ლენტი“ მონღოლური ნახელავი არ არის, ასეთ ნივთებს ჩინეთიდან ღებულობდნენ ისინი. დაბალი წრის ქალების და მათი საქმიანობის შესახებ ზემოთ გვქონდა საუბარი და აქ აღარ გავიმეორებთ. აღვნიშნავთ, მხოლოდ, რომ მონღოლი ქალები განუყრელი თანამგზავრები იყვნენ თავიანთი მამაკაცების არა მარტო მეჯოგეობის პროცესში, არამედ ლაშქრობებშიაც. ქართველი ისტორიკოსი წერს: „წარმოვიდეს ესე ოთხნი ნოინნი,... გამოვლეს ჯიონი და ხვარასანი... ორმოცი ათასითა კაცითა დედა-წულიანითა და მოვიდეს ქვეყანასა აღმოსავლეთისასა..“[2]. მეორე ადგილასაც აღნიშნული აქვს: „...უთხრა ოთხთა ერისთავთა მთავართა, რომელსაც ქართველნი ნოინობით უჴმობენ...

1 მასალები საქართ. და კავკ. ისტ., 1942 წ., V ნაკ., გვ. გვ. 27—28.

2 ქართლის ცხოვრება, II, ზ. ჭიჭინაძის გამოც.. გვ. 522.

და ამათ ათი-ათასი კაცი მოსცა, დედა-წულით მათითურთ და გამოგზავნა ჯალალდინის ძებნად"-ო[1].

რა თქმა უნდა, ქალები და ბავშვები ომში მონაწილეობას არ იღებდნენ, მაგრამ ბრძოლის ველისაგან დიდათ დაშორებულნი არ ყოფილან და ცხენებზე მჯდომნი ბრძოლის ველს თვალს ადევნებდნენ. მომთაბარე მონღოლებისათვის, მათი ქალების და ბავშვებისათვის ეს უცნაურ მოვლენად არ ჩაითვლება. მათი ცხოვრება ხომ ცხენისა და ჯოგების მოძრაობაზე იყო დამყარებული მშვიდობიანობის დროსაც.

პლანო კარპინი ერთგან წერს, რომ ქალებმა ცხენოსნობა მამაკაცებივით იციან: „გოგოებიც და ქალებიც ცხენებზე სხდებიან და მიჰენობენ მამაკაცებივით. ჩვენ გვინახავს, რომ ისინი მშვილდებსა და კაპარჭებს ატარებდნენ. როგორც მამაკაცებს, ისე დედაკაცებს დიდხანს შეუძლიათ ცხენით მოგზაურობა... ქალები ყველაფერს აკეთებენ: შუბებს, ტანისამოსს, ფეხსაცმელებს, ჩექმებს და ყოველივე ტყავის ნაწარმოებს, მართავენ ფორნებს და ახდენენ მათ შეკეთებას. ტვირთავენ აქლემებს. ისინი ყველანი მეტად ხელმარჯვენი არიან მუშაობაში. ყველანი შარვლებს იცვამენ, ხოლო ზოგიერთნი ისრებს ისვრიან მამაკაცებივით..."[2].

მონღოლებს თავის საბრძოლო წესები ჰქონიათ დამუშავებული, ისე რომ მათი სამხედრო ხელოვნება სხვა იმ დროის ხალხების ხელოვნებისაგან საგრძნობლად განსხვავებული ყოფილა. პირველ რიგში აღსანიშნავი არის, რომ ცხენოსნობას და სამხედრო წვრთნას სიყრმიდანვე აჩვევდნენ მცირეწლოვან მონღოლს: „როცა მათს ბავშვებს ორი-სამი წელი უსრულდებოდათ, მაშინვე ცხენზე ჯდომასა და ჰენებას ასწავლიდნენ; მათ მშვილდს აძლევენ ასაკის მიხედვით და სროლას ასწავლიან"[3]. მშვილდით ნადირობა განსაკუთრებით უწყობდა ხელს კარგი მსროლელების აღზრდას. სიცოცხლის უმეტესი დღეები მონღოლს ცხენზე ან სხვა ოთხფეხზე გაუტარებია და ამდენად კარგი ცხენოსანი ლაშქარი ჰყავდა მონღოლთა სახელმწიფოს: „არც ერთი თათარი ფეხით არ დადის, ყველანი, თვით უკანასკნელი მსახურები ცხენზე ან ხარზე სხდებიან; რადგან მეტად მოკლე ფეხები აქვთ, უსწორ-მასწორო ნაბიჯით დადიან და ისიც ცოტა ხანს"[4].

---

1 ქართლის ცხოვრება, II, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. გვ. 521—522.

2 მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1942, ნაკვ. II, გვ. 20.

3 იქვე.

4 იქვე.

ქართველი ისტორიკოსიც წერს: „... ხოლო ამას-თანა მოეგოთ სიმქნე, და მოისარნი იყუნეს რჩეულნი, მაგრითა მშვილდითა უცთომრად მსროლელნი, რომელთა ნაკრავსა ვერა-რამან საჭურველმან დაუდგნის. უფროს ცხენსა ზედა იყუნეს მქხე, რამეთუ აღზრდა მათი ცხენსა ზედა იყვის“[1].

მონღოლებს ცხენების თავისებური ჯიში ჰყავდათ. მათი ცხენები სხვებთან შედარებით გაჭირვების ამტანი და ფეხმარდები უნდა ყოფილიყვნენ. ცხენებს თურმე ისინი არ ჭედავდნენ და არც ქერს აჭმევდნენ[2]. ქართველი ისტორიკოსი იქ, სადაც მონღოლთა პირველი ლაშქრობის შესახებ აქვს საუბარი განცვიფრებით წერს: „ხოლო თათარნი მოიწივნეს ვიდრე სამშვილდემდე და მიერ უკუნ იქცეს, რომელთა ქმნნეს საკვირველნი ესე საქმენი. წარვიდეს გზასა დარუბანდისასა, რამეთუ ვერცა შარვანშა წინააღუდგა და ვერცა დარუბანდელნი... და წარვიდეს ესრეთ ომითა. ხოლო ვითარცა მითქვამს უსაჭურველონი და უჭედელითა ცხენითა ესეოდენთა გზათა მავალნი... და მიიწივნეს კელმწიფესა ჩინგიზ-ყაენს წინაშე, ყარაყურუმს, და ქმნეს საკვირველი ესე საქმე მოუსვენებლად, სლვა ამა ყოველთა გზათა უჭედელითა ცხენითა ყარაყურუმით წარმოსულნი, მუნვე მიიწივნეს“[3].

მონღოლებს განსხვავებული ჯიშის ცხენები ჰყავდათ, სალაშქროდ საუკეთესონი იყვნენ. ისინი თავიანთ ცხენებს არავის არ მიჰყიდდნენ. ამის შესახებ ერთი საყურადღებო ცნობაა პლანო კარპინის თხზულებაში: „...ჩვენი იქ ყოფნის დროს ჩერნიგოვის მთავარი ანდრეი რუსეთიდან დასმენილ იქნა ბათოსთან, რომ ჩვენი მიწებიდან თათრების ცხენები გაჰყავს და სხვა ადგილებში ჰყიდისო; თუმცა ეს ბრალდება არ დამტკიცდა, მაგრამ ის მაინც მოჰკლესო“ [4]. ჩვენ ზემოთ ამ ანდრია ჩერნიგოველ მთავრის შესახებ აღნიშნული გვქონდა, რომ მისი ურდოში დაღუპვა ვლადიმერის მთავრის მოხერხება იყო. მაგრამ აქ, ამ შემთხვევაში, საინტერესოა ანდრიას დასაღუპავად წაყენებული ბრალდება. ეტყობა მონღოლების ცხენების ექსპორტი სასტიკად იკრძალებოდა, მონღოლური ცხენი თა-

[1] ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 499.

[2] კარპინის ნაშრომი, გვ. 20.

[3] ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 506.

[4] მასალები საქართველოსა და კავკ. ისტ., 1942, ნაკვ. II, გვ. 12.

ესი მაღალი თვისებებით მონღოლებს უპირატესობაში აყენებდა მტრებთან ბრძოლის დროს.

ლაშქრის დანაყოფები მონღოლებს ათეულების სისტემაზე ჰქონიათ აგებული. პლანო კარპინის დამოწმებით თითქოს ეს წესი ჩინგიზ-ყაენის მიერ ყოფილა შემოღებული. ათ მეომარს ათეულის მეთაური ჰყავდა, ათჯერ ათ კაცს (100) ასეულის მეთაური, ათჯერ ასს (1000) ათასეულის მეთაური, ათჯერ ათასს (10.000) „უთვალავის", ანუ იმათი გამოთქმით „წყვდიადის" მეთაური. მთელი ლაშქრის სათავეში კი იდგა ორი ან სამი სარდალი, მაგრამ მთლიანად ლაშქარი ერთ-ერთ მათგანს ემორჩილებოდა. მონღოლთა ლაშქარში სასტიკი დისციპლინა ყოფილა დამკვიდრებული: „თუ ბრძოლის დროს ათეულიდან ერთი, ორი, სამი ან მეტი გაიქცა, ყველას ხოცავენ; მოკლედ რომ ვთქვათ, თუ იმათ ერთად არ დაიხიეს, ყველა გაქცეულთ ხოცავენ. აგრეთვე თუ ერთი, ორი ან მეტი ვაჟკაცურად ჩაება ბრძოლაში, ხოლო დანარჩენები იმ ათეულიდან მათ არ გაჰყვნენ, ამ უკანასკნელთ ხოცავენ; თუ ათეულიდან ერთი ან რამდენიმე ტყვედ მოხვდა, ხოლო ამხანაგებმა ისინი არ გაათავისუფლეს, მათაც ხოცავენ"[1].

აქ მთავარია ის, რომ მონღოლთა ლაშქარში უკან დახევას ლაშქრის ქვედანაყოფი მთავარი სარდლობის დაუკითხავად ვერ წყვეტდა. ორგანიზებული უკან დახევა მთავარი სარდლობის გარკვეულ გეგმასთან იყო დაკავშირებული. მონღოლთა საბრძოლო დისციპლინის უშუალოდ თვითმხილველი ერთი ქართველი დიდებულის სიტყვებს ასე გადმოგვცემს ცნობილი ისტორიკოსი იბნ-ალ-ასირი: „ერთი კეთილშობილი ქართველი, რომელიც ელჩად იყო გამოგზავნილი ჩვენში, ჩემი თანადასწრებით ამბობდა: თუ თქვენ ვინმე გატყვის, რომ თათრები (ბრძოლის ველიდან) გაიქცნენ, ან ტყვედ დანებდნენ, არ დაიჯეროთ, თუ გაიგონოთ, რომ თათრები ამოწყვეტილი იქნენ ეს შეიძლება დაიჯეროთ, მაგრამ გაქცევით ეს ხალხი არასოდეს არ გაიქცევა"[2].

მონღოლთა შეიარაღების შესახებ ზუსტი ცნობები მოიპოვება პლანო კარპინისა და სხვა ავტორთა თხზულებებში. პლანო კარპინს აღნიშნული აქვს: „თვითეულ მათგანს ორი ან სამი მშვილდი უნდა ჰქონდეს, ან უკიდურეს შემთხვევაში, ერთი მშვილდი წესიერ მდგო-

---

[1] მასალები საქართველოსა და კავკ. ისტ., 1942, ნაკვ., II, გვ. 31.

[2] იბნ-ალ-ასირის თხზულების ტექსტი ამოღებულია რუსული თარგმანიდან, იხ. Византийский временник, XXIV, 1926 წ., გვ. 13.

მარეობაში, სამი დიდი კაპარჭი, ისრებით სავსე, აგრეთვე ერთი ცულდი და თოკი იარაღების სათრევლად. მდიდრებს წვეტიანი ერთპირიანი მახვილები აქვთ, ოდნავ მოღუნული. ზოგიერთს აგრეთვე ტყავის რახტიანი ცხენები ჰყავთ და ტყავის საპარკულები, მუზარადები და ჯავშნები აქვთ. ზოგიერთ მათგანს შუბი უჭირავს, რომელსაც წვერი მოკაუჭებული აქვს, რათა, თუ საჭირო იქნა, ადამიანი ჩამოათრიონ უნაგირიდან. მათი ისრები სიგრძით ორ წყრთას, ერთი ხელის გულის დადებას და ორი თითის დადებას უდრის. ისრების რკინა მეტად მახვილია და ორივე მხრიდან ჭრის, როგორც ორლესული მახვილი. ისინი კაპარჭში ყოველთვის ქლიბს ატარებენ ისრების გასალესად... მათი ფარები ტირიფის ან სხვა ხის წნელისაგან კეთდება, მაგრამ როგორც ეტყობა ფარებს ისინი მხოლოდ ბანაკში და იმპერატორისა თუ მხედართმთავრების საგუშაგოში ატარებენ"[1].

საფიქრებელია, რომ მონღოლთა შეიარაღება მათ მიერ დაპყრობილ კულტურულად დაწინაურებულ ხალხების სამხედრო შეიარაღების შესაბამისად მე-13 საუკუნის პირველ ნახევარში შეიცვალა და წინ წავიდა, მაგრამ ზოგი რამ მონღოლების შექმნილი იყო და იგი გვიანობამდე შეინარჩუნეს.

მონღოლებს ჯარების მდინარეზე გადაყვანის თავისი წესი ჰქონიათ შემუშავებული და საამისო ხელსაწყოც გამოგონილი. პლანო კარპინი წერს: „როდესაც მდინარის ნაპირას მიდიან, რაც უნდა ფართო იყოს ის, შემდეგნაირად გადადიან: უფროს კაცებს (მეთაურებს) მრგვალი და მსუბუქი ტყავი მიაქვთ, რომელსაც კიდეებზე რგოლები აქვს შემოვლებული, რგოლებში კი ბაწარი იყრება. ამ ტყავს ბაწრით ისე შებორტავენ ხოლმე, რომ ის მრგვალ ტომარას დაემსგავსება: მასში ტანისამოსს და სხვა ნივთებს სდებენ, მაგრად კრავენ, ზემოთ უნაგირებს და სხვა მაგარ ნივთებს აწყობენ, ხოლო თვითონ შუაში სხდებიან. ამრიგად მომზადებულ ნავჭურჭელს ცხენის კუდზე აბამენ, ეს ცხენი მდინარეში ცურვით მიდის, ხოლო მასზე კაცი ზის და მიერეკება. ხანდახან თათრები მდინარეს ორი ნიჩბის შემწეობით გადასცურავენ ხოლმე. ცხენებს წყალში აგდებენ, წინ ცურვით ცხენს უშვებენ მხედრითურთ, რომელიც მას მიერეკება, ხოლო უკან სხვა ცხენები მიჰყვებიან ცურვით... უფრო ღარიბებმა, მაგრად შეკერილი ტყავის ტოპრაკი ანუ ჩანთა უნდა იქონიონ, რომელშიც ტანისამოსს და სხვა ნივთებს აწყობენ: მას მაგრათ ჰკრავენ, ცხენს კუდზე აბამენ და ისე გადააქვთ, როგორც ზემოთ იყო

[1] მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1942, II ნაკვეთი, გვ. 31—32.

ნათქვამი..."[1] მაშასადამე, მონღოლებს მდინარეებზე გადასასვლელად თან დაჰქონდათ სათანადო ხელსაწყოები. არ ჩანს ყოველივე ეს მათი გამოგონილი იყო, თუ სხვებისაგან გადმოიღეს. შესაძლებელია, მათი მეურნეობა (მეჯოგეობა) აიძულებდა მათ საუკუნეთა მანძილზე მდინარეებზე გადასასვლელი ზემოაღწერილი ხერხი გამოემუშავებინათ და შემდეგ ლაშქრობის დროსაც იყენებდნენ. ისევე, როგორც გვაროვნული წყობილების ხანაში მომთაბარეობის დროს კურენის წესით ბანაკდებოდნენ, ხოლო მომთაბარეობის ეს წესი შემდეგ მე-13 საუკუნეში გამოყენებული იყო ლაშქრის ქვედანაყოფების დასაბანაკებლად. წრისებურად ბანაკს გაშლიდნენ ისე, რომ სარდალი ცენტრში იყო დაცული ყოველი მხრიდან.

მონღოლებს ციხე-სიმაგრეების ასაღებად თავისებური წესები და ხელსაწყოებიც ჰქონიათ. ბერძნული ცეცხლი, ლოდების სასროლი და საძგერებელი მანქანები, ადამიანის ხორციდან აღებული ქონი სახლებზე ცეცხლის წასაკიდებლად. მათ ქონიათ იარაღები სიმაგრის ქვეშ ხვრელის გამოსათხრელად, მდინარის დასაგუბებლად, კალაპოტის შესაცვლელად, შეეძლოთ აგრეთვე მტრის მეციხოვნეთა მოქანცვა დღე-ღამის განმავლობაში განუწყვეტელი შეტევებით, რისთვისაც საგანგებოდ იყო გამოყოფილი ჯარის ნაწილები.

მტრის სარდლობის შეცდომაში შესაყვანად მონღოლები ასეთ ხერხსაც მიმართავდნენ: „მოწინააღმდეგის ლაშქრის პირისპირ და გვერდით ამხედრებული ბავშვები, ცოლები და ცხენები ჰყავთ. ხანდახან ადამიანის მსგავს ფიტულებს აკეთებენ და ცხენებზე სვამენ, რათა მეტნი გამოჩნდნენ... თუმცა ხანდახან ისინი ცოტანი არიან, მაგრამ გარემოცულ მტერს ჰგონია, ბევრი არიანო· ეს განსაკუთრებით მაშინ ხდება, როცა ისინი მხედართმთავრის გვერდით თავმოყრილ ჭაბუკებს, დედაკაცებს, ცხენებსა და ფიტულებს ხედავენ, რომელთაც მეომრებად თვლიან და ამიტომ შიშსა და შეშფოთებას ეძლევიან"[2].

მონღოლებს ბრძოლის დროს ლაშქრის წყობის თავისებური წესი ჰქონიათ. ქართველი ჟამთააღმწერელი ერთგან მონღოლების ანუ თათრების ბრძოლის წინა სამზადისს ასე აღწერს: „აქათ თათართა განაწყვეს რაზმი, და ურჩეულესნი მათნი მარცხენასა მკარესა, დააწესნეს. ესრეთ აქუნდათ წესად, უმჯობესთა ვიდრემე მარცხენესა მკარსა დააწესებდიან, ამის ძლით, რომელ სხვანი ყოველნი ნათე-

---

[1] მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1942, ნაკვ. II, გვ. 32.

[2] იქვე, გვ. 33. პლანო კარპინის თხზულება.

სავნი უმჯობესთა და უმჭნესთა მარჯვენით აქუნდა დაწესება, რათა ურჩეულესნი ურჩეულესსა შეემთხვივნენ“ [1].

როგორც ვხედავთ მონღოლებს თავისი რაზმების წყობა იმ დროს სხვა ხალხებში გავრცელებულ ჯარის წყობისათვის შეუფარდებიათ ისე, რომ მტრის საუკეთესო რაზმებს მონღოლების ასეთივე რაზმები შეჯახებოდა.

პლანო კარპინი ერთგან მოგვითხრობს თათრების საბრძოლო ტაქტიკის შესახებ. იგი წერს: „...ყოველთვის, როდესაც მტრებს დაინახავენ, მათ წინააღმდეგ მიდიან და თითოეული სამ-ოთხ ისარს ისვრის. თუ დაინახეს, რომ ამ გზით მათი დამარცხება შეუძლებელია, თავისიანებისაკენ იხევენ; ამას მოსატყუებლად შვრებიან, რათა მტერი მათ (უკანდახეულებს) გამოუდგეს და მათ მიერ მოწყობილ საფარში მოხვდეს, სადაც ისინი მას კოდავენ და ჰკლავენ. აგრეთვე თუ დაინახეს, რომ მათ წინააღმდეგ დიდი ლაშქარია დაძრული, ისინი ხანდახან უკან იხევენ ერთი ან ორი დღის სავალზე, თავს ესხმიან ქვეყნის მეორე ნაწილს. ადამიანებს ჟლეტენ იქ და ყოველივეს ანადგურებენ და ძარცვავენ. თუ დაინახეს, რომ ამის გაკეთებაც არ ძალუძთ, ათი და თორმეტი დღის სავალზე იხევენ და ხანდახან უშიშარ ადგილას ჩერდებიან და მთელ ქვეყანას აოხრებენ. ომებში მეტად მზაკვარნი არიან. ...თათრები, თუ ეს მათთვის მოსახერხებელია, გაურბიან ხელჩართულ ბრძოლას, ხოლო ადამიანებსა და ცხენებს ისრებით კოდავენ და ხოცავენ; ისინი ხელჩართულ ბრძოლაში მაშინ ებმიან, როცა მტრის ადამიანები და ცხენები დაღლილი არიან ისრებით. როცა ისინი ხედავენ, რომ მტრის დაძლევა არ შეუძლიათ, თვალთმაქცურად ილტვიან მისგან; როდესაც მდევარი იღლება ხანგრძლივ დევნისაგან, თათრები დასვენებულ ცხენებზე გადასხდებიან, მოტრიალდებიან, მტერს თავს ესხმიან და ატყვევებენ ან ხოცავენ. ხანდახან გაქცეული თათრები იფანტებიან, რათა მტერს გზა დაუთმონ თავიანთ რაზმებს შორის, ხოლო შემდეგ სტვენისა და ძახილის ხმაზე სწრაფად ერთდებიან, მტერს გარს ერტყმიან და ანადგურებენ“ [2].

თათრების ბრძოლის ერთ ხერხს, რომელიც პლანო კარპინის აქვს ზემოთ აღწერილი, ბრძოლებში სახელგანთქმული ქართველებიც შეცდომაში შეუყვანია და სასტიკად დამარცხებულან. კიდეც. ჟამთააღმწერელი წერს: „ხოლო მეფემან (ლაშა გიორგიზეა საუბარი, ი. ც.) მოუწოდა სპათა თვისთა, იმერთა და ამერთა, და შეკ-

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 529.

[2] მასალები საქართვ. და კავკ. ისტორიისათვის, 1942, ნაკვ. II, გვ. გვ. 33—34.

რიბა ოთხმეოცდა ათი ათასი მჴედარი, და წარემართნეს თათართა კერძ, გაგისა ბოლოს მდგომთა. იქით ივანე ათაბაგი და ძმისწული ზაქარიას-ძე ამირ-სპასალარისა, შანშე, და ვარამ გაგელი მსახურთ-უხუცესი მოერთნეს დიდითა ლაშქრითა, და წარემართნეს. ხოლო იგინი (თათრები, ი. ც.) დაბანაკებულნი წყალსა ზედა ბერდუჯისა... მყის ამჴედრდეს და ეწყვნეს ურთიერთას, და იქმნა ძლიერი ბრძოლა. ნახევარნი ივლტოდეს თათარნი. და ნახევართა მზირ ეყო. და უკანით მიუჴდეს. მაშინ მოიწია რისხუა ზეგარდმო, უსჯულოებათა და ცოდუათა ჩვენთათჳს, და ივლტოდეს ქართუჱლნი, და თჳით მეფე ლაშა...“[1]. როგორც ვხედავთ ქართველი სარდლები მოტყუვდნენ. მონღოლების ლაშქრის ერთი ნაწილი სადღაც ჩასაფრებული ყოფილა ბრძოლის ველიდან მოშორებით. მონღოლების მეორე ნაწილი ქართველებთან ბრძოლაში ჩაბმულა და ცხარე ბრძოლა გაუმართნია. რამდენიმე ხნის შემდეგ მონღოლები დამარცხებულებივით გაიქცნენ და მათ ქართველები დაედევნენ. როცა მონღოლებმა კარგა შორს გაიტყუეს ქართველები ისე, რომ ჩასაფრებულ მონღოლთა ლაშქარი ზურგში მოექცა ქართველებს, გაქცეული და ჩასაფრებული მონღოლები ერთად თავს ესხმიან წინიდან და ზურგიდან და მტერი გამარჯვებას ზეიმობს. ქართული წყაროებიდან ჩანს, რომ ასეთი ხერხის შესახებ ქართველებს მანამდე არაფერი ცოდნიათ. მართალია ქართველთა სარდლობას ზურგიდან მოვლის ხერხი თავისებური ჰქონდა, მაგრამ მონღოლების წესით ბრძოლა ქართველებისათვის სრულიად უცხო აღმოჩნდა.

საყურადღებოა, რომ, როცა საქართველოში მონღოლები გაბატონდნენ და ქართველი მეფე თავისი ჯარით მონღოლთა ლაშქრობებში მონაწილეობას იღებდა, როგორც ვასალი და მონღოლების სარდლობას ექვემდებარებოდა, ერთ-ერთ ბრძოლაში მონღოლთა ნოინის განკარგულებით ქართველებს მონღოლებთან ერთად უკან უნდა დაეხიათ. მაგრამ ქართველ მეფეს განუცხადებია, რომ: „არა არს წესი ჩვენ ქართველთა უკუე რა ვიხილოთ მტერი ჩვენ კერძო მომავალი შეუბმელად ზურგი შემოვაქციოთ დაღათუ იყოს სიკუდილი“. მონღოლებს გაჰკვირებიათ ასეთი პასუხი. ქართველი ისტორიკოსი წერს: „ვითარცა ესმა თათართა განჰკვირდეს და განსწყრეს და ზედა მიუჴდეს მეფესა და ეტყოდეს არა იცი რასა იქმ, არა გაქვს ბრძანება აბაღასი (ყაენის სახელია)“. მონღოლები ერთხანს თხოვდნენ ქართველებს, შემდეგ დაემუქრნენ, მაგრამ ქართველები

[1] ქართლის ცხოვრება, II, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 505.

მტრის მრავალრიცხოვან ლაშქრის დასახვედრად დაეწყვნენ. მონღოლებმაო, წერს ქართველი ისტორიკოსი, შეატყობინეს სარდალ აბაღა ყაენსო: „მოვიდა ბარახა სულტანი დიდითა ლაშქრითა და ჩვენ ვხედავთ მტერსა დიდისა ამოსისა მინდორსა... და ჩვენ ბრძანებისაებრ თქვენისა გვენება გარე შექცევა და წინაშე შენსა მოსვლა, გარნა ქართველნი უცნობო ქმნილნი არა მოვლენ ჩვენთანა. ამას იტყვიან ვითარმედ არა გვაქვს ჩვეულება, რათამცა მტერი თვალითა ვნახოთ და გარე შევიქცეთ. აწ არა თუ შენ ყაენი მოხვალ და შენ განაგებ... ისწრაფე შეწევნად ჩვენდაო“. შიკრიკი თურმე ყოველგვარი გაფრთხილების გარეშე აბაღა ყაენის კარავში მიიჭრა წინა ხაზიდან და ქართველების თვითნებობა აუწყა. ყაენი სასწრაფოდ გაექანა ბრძოლის ველისაკენ თავის ჯარებით და როცა ქართველების მეფე ნახა, მაშინვე უსაყვედურა: „ვიცი სიმჴნე თქვენი ბრძოლათა შინა თქვენ ქართველნი ურჩნი ხართ და შმაგნი. უკეთუმცა ნოინს რომელსამცა ექმნა ეგე მომცავკალ ამისთვის. გარნა არა ბრალეულ გყო შენ რამეთუ უმეცარნი ხართ წესისა ჩვენისანი, აწ დადეგ წინათ ლაშქრითა შენითა..ხოლო მეფე (ქართველთა მეფე ულო დავით ლაშა გიორგის-ძე) გარდაჴდა ცხენისაგან თაყუანისცა და ჰრქვა: დიდო ყაენო! არა არს ჩვეულება ქართველისა რათა მტერი იხილოს და ზურგი შემოაქციოს....“[1] მოტყუების გზით ალყაში მოაქციეს მონღოლებმა 1223 წელს გაერთიანებული რუსეთის მთავრებისა და ყიეჩაღების ლაშქარი და სასტიკად დაამარცხეს.

მონღოლები ალერსიანსა და ტკბილ სიტყვებსაც იყენებდნენ მტრის წინააღმდეგ. პლანო კარპინი ერთგან აღნიშნავს: „როცა (მონღოლები) ციხე-სიმაგრესთან დგანან, ალერსიანი სიტყვებით ატყუებენ ალყაშემორტყმულთ და მრავალ რამეს აღუთქვამენ მათ, რათა ისინი დანებდნენ. ხოლო თუ მართლა დანებდნენ, ეუბნებიან: „გამოდით, რათა აღვრიცხოთ ჩვენი წესის მიხედვით“. როცა ისინი გამოდიან, თათრები ჰკითხავენ, რომელმა თქვენთაგანმა იცით რამე ხელობაო და ასეთებს სტოვებენ; სხვებს კი, იმათ გარდა, რომელთაც მონებად იხდიან, ნაჯახით თავს სჭრიან...“[2] ასე გულუბრყვილოდ მიენდო მათ დაპირებებს რუსეთის მთავარი მსტისლავ კიეველი, რომელიც მდ. კალკასთან (1223 წ.) ომის დროს ალყაში მოექ-

---

[1] ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, ექვთ. თაყაიშვილის გამოც., გვ. 705—706.

[2] მასალები საქართვ. და კავკ. ისტ., ნაკვეთი II, გვ. 34.

ცა თავისი რაზმებით და სამი დღის განმავლობაში თავდაცვითი ბრძოლების შემდეგ მონღოლების დაპირებებით გაბრიყვებული მტერს დანებდა. მონღოლებმა მთავრებიცა და ჯარისკაცებიც დაუნდობლად ამოჟლიტეს.

მონღოლები ყოველთვის ლაშქრის სიჭარბით არ ფიქრობდნენ ბრძოლის მოგებას. ქართველ ისტორიკოსს ერთგან საყურადღებო ცნობა მოჰყავს. როდესაც მონღოლები და ქართველები ერთად ებრძოდნენ ყიასდინ სულტანს, სელჩუკ თურქების მბრძანებელს, ბრძოლის დაწყების წინ გამორკვეულა, რომ სულტანს 400 ათასამდე ლაშქარი ჰყავდა შეყრილი. როცა ლაშქარი საბრძოლოდ დაეწყო და ეს ამბავი მონღოლებმა გაიგეს, თურმე ძალიან სასიამოვნოდ დარჩათ. ამ ამბის მსმენელი მონღოლთა ნოინი ბიჩუის ქართველებთან მისულა და იქ მყოფ სარგის ჯაყელისათვის უთქვამს: მახარობლად მოვედი და სამახარობლო საჩუქარს რას მომცემო. შეკითხვაზე თუ რა უნდა ახაროს მან, ბიჩუს განუცხადებია, რომ სულტანი ყიასდინი დიდი ლაშქრით უკვე მოსულა და ხვალისათვის საბრძოლველად ემზადებაო. სარგის ჯაყელს გაკვირვებია და უთქვამს: თქვენი ვაჟკაცობა ცნობილია, მაგრამ მათი სიმრავლის გამო სასიხარულოს არაფერს ვხედავო. ბიჩუის ნოინს გაეცინა და უთხრა სარგის ჯაყელს: „არა თურმე კეთილად მეცნიერ ხარ ნათესავისა ჩვენ მონღოლთასა, რადგან ღმერთმან მოგვცა ჩვენ ძლევა, არად შეგვირაცხია სიმრავლე სპათა, რამეთუ უმრავლესთა უმჯობესად ვიდრემე ვსძლევთ, და უმრავლესითა ალვივსებით ალაფითა.... ესე ზომ განლაღებულ იყუნეს ყოველთა ნათესავთა ზედა"-ო [1] შენიშნავს ბოლოს ქართველი ისტორიკოსი.

მონღოლებს ბრძოლაში წინ წითელი დროშა მიქონდათ, რაც თითქოს მტრის სისხლის დაღვრის ემბლემა იყო. ამის შესახებ ქართველი ისტორიკოსი წერს: „ხოლო დროშათა მათთა სიმეწამული (სიწითლე, ი. ც.) მოასწავებდა სისხლისა დამღვრელობასა მტერთასა" [2].

მონღოლთა ლაშქარი შეტევის წინ სამჯერ დაიძახებდა „აჰლა"-ს. ჟამთააღმწერელი წერს: „და რა მიეახლნეს ურთიერთას, იწყეს თათართა ჴმითა მაღლითა ძლიერად ზახილი, აჰლა, აჰლა, აჰლა, რომელი ძნელად სათარგმანებელ არს და უცნაურ, და სამჯერ იტყვიან ამას: აჰლა, აჰლა, აჰლა და მყის მიეტევიან..." [3].

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. გვ. 528—529.

[2] იქვე, გვ. 529.

[3] იქვე.

მონღოლთა სამხედრო ხერხებისა და ადათ-წესების შესახებ ზემოთ მოტანილი ცნობები უმთავრესად პლანო კარპინის თხზულებიდან არის ჩვენ მიერ ამოკრეფილი. გზადაგზა კარპინის ცნობებს ქართველი ისტორიკოსის თხზულებაში დაცულ მასალებითაც ვამოწმებდით და ვავსებდით. პლანო კარპინი თათართა სამხედრო წყობისა და ხერხების შესახებ ცნობებს მონღოლეთში ყოფნის დროს ჰკრებდა ტყვე ქრისტიანების მეოხებით და სხვა წყაროებთან მათი შეჯერება, პლანო კარპინის თხზულებისადმი ნდობას აორკეცებს.

მონღოლთა სამხედრო ხელოვნების შესახებ ზემოთ მოტანილი მასალები ცხადყოფენ, რომ მონღოლები, მათ მიერ დაპყრობილ ხალხებთან შედარებით, უკეთესად იყვნენ ორგანიზებულნი. მათ უპირატესობას შეადგენდა მათი საზოგადოებრივი ცხოვრების მარტივი პირობები — მომთაბარეობა, პატარაობიდანვე ყოველი მონღოლის ცხენოსნად აღზრდა, ცხენების სიმრავლე და კარგი ჯიში, მონღოლ მამაკაცთა მასიურად სამხედრო წვრთნა, ლაშქარში მტკაცე დისციპლინა, ორიგინალური საბრძოლო ტაქტიკა და ნიჭიერი სარდლობა.

———

## მონღოლთა ტომების სახელმწიფოებრივი გაერთიანება

მონღოლთა შესახებ არსებული წყაროებიდან კარგად მოჩანს, რომ მონღოლურ ტომებში, ე. წ. ველის არისტოკრატიული საზოგადოებრივი ფენის წარმოშობის შემდეგ, თითქმის მთელი მეთორმეტე საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში შეუწყვეტელი ბრძოლები წარმოებდა ტომობრივი გაერთიანებისათვის. რა თქმა უნდა, ამ ბრძოლებს არავითარი წინასწარ დასახული სახელმწიფოებრივი გაერთიანების იდეა არ ამოძრავებდა. ბრძოლები წარმოებდა ჯოგებისათვის, საძოვრებისათვის და ამა თუ იმ ტომის დაქვემდებარებისათვის. ამ შინაბრძოლების სათავეში ბაყათურები იდგნენ. წყაროებიდან ჩანს, რომ ამა თუ იმ ბაყათურს ცალკეული ტომების, ანდა ტომების განაყოფების, დაქვემდებარება მოუხერხებია. ასეთი ძლიერი ბაყათურები დასახელებულებიც არიან მონღოლების ისტორიის წყაროებში.

რაშიდ-ად-დინს თავისი თხზულების ერთ-ერთი თავის დასაწყისში აღნიშნული აქვს, რომ: „...მონღოლებს (მანამდე — ე. ი. ჩინგის ყაენამდე, ი. ც.) არასოდეს არ ჰყოლიათ ერთი უძლიერესი და მძლავრი ხელმწიფე, რომელიც ყველა ტომების მმართველი ყოფილიყო, არამედ თვითეულ ტომს თავისი ხელმწიფე და ემირი ჰყავდა. დიდი ხნის განმავლობაში ისინი ერთიმეორეს ებრძოდნენ, ექიშპებოდნენ და ერთმანეთს ძარცვავდნენ... თითოეულ ტომს ერთი გარკვეული ემირი ჰყავს, რომელიც არავის სხვას არ ემორჩილება. რადგანაც ხატაეთის (ჩინეთის) მოსახლეობა ამ თურქ-მონღოლთა ხალხის უშუალო მეზობლად ცხოვრობს. ეს უკანასკნელნი... ძარცვავდნენ და აწიოკებდნენ ხატაეთის მხარეს. იმის გამო, რომ მონღოლ მომთაბარეების მუდმივი შიში ჰქონდათ, ხატაეთის ხელმწიფეებმა

ხატაეთსა და ამ ტომებს შორის ააგეს კედელი ალექსანდრეს (მაკედონელის, ი. ც.) მსგავსად, რითაც დიდი წინდახედულება და მათი (თარეშების) შეჩერების უნარი გამოიჩინესო“[1].

მონღოლთა ტომების სახელმწიფოებრივი გაერთიანება მოახდინა ესუგეი ბაყათურის შვილმა „თ ე მ უ ჯ ი ნ მ ა“ (ტემუჯინი — ტემუჩინი), შემდეგში ჩ ი ნ გ ი ზ-ყ ა ე ნ ი ს სახელწოდებით ცნობილმა, ხანგრძლივი და ძლევამოსილი ბრძოლების შედეგად.

თ ე მ უ ჯ ი ნ ი ს მოდგმისა და ნათესაობის შესახებ ცნობები დაცულია წყაროებში. ისე როგორც ყოველი დინასტიის შესახებ, აქაც საქმე უნდა გვქონდეს ისტორიული ცნობების გადაკეთებასა და ზოგჯერ საგანგებო დავალებით შეთხზვასთანაც, მაგრამ ინტერესს მოკლებული არ იქნება მოკლედ ამ მასალის გადმოცემა. რაშიდ-ად-დინი აღნიშნავს, რომ ჩინგიზ-ყაენის გვარშთამომავლობის შესახებ ზუსტი ცნობები არ შემონახულა, მაგრამ ამ დინასტიას ოთხასი წლის ისტორია მაინც უნდა ჰქონდესო. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რაშიდ-ად-დინი მეცამეტე საუკუნის ბოლოსა და მე-14 საკუნის პირველ მეოთხედში ცხოვრობდა, და მის დროს ჩინგიზიდების დინასტიას ოთხასი წლის ისტორია ჰქონდა, ჩინგიზის წინაპარი მეათე საუკუნეში უკვე დაწინაურებული უნდა ყოფილიყო თავის ტომში.

რაშიდ-ად-დინი ჩინგიზიდების დინასტიის ფუძემდებლად ასახელებს დუბუნ (დობონ) ბაიანის, ჩინური ცნობით „დობუნ მერღენი“-ს და მისი მეუღლის „ალან-გოას“ (ჩინური ცნობით „ალან-ღოა-ს“) ოჯახს. დუბუნ ბაიანისაგან ალან-ღოას ორი ვაჟი გაუჩნდა და დაქვრივდა. დუბუნ ბაიანი ახალგაზრდა გარდაიცვალა. ამის შემდეგ ალან-ღოას დიდი გაჭირვება გადახდა თავს. რაშიდ-ად-დინს ეტყობა თვითონაც არ სჯერა მონღოლური გადმოცემისა და თავს იმართლებს: „ამტკიცებენ, რომ ალან-ღოას, დაქვრივების შემდეგ, ერთხელ სახლში ეძინა და კარავის საკვამლე მილით სინათლის სხივი ჩამოვიდა და მის მუცელში ჩაიძირა. ის თითქოს გააკვირვა ამ გარემოებამ, შეაშინა, მაგრამ არავისთვის ამის შესახებ არაფერი უთქვამს. რამოდენიმე ხნის გასვლის შემდეგ იგი მიხვდა რომ ფეხმძიმედ იყო“. აქვე აღნიშნავს რაშიდ-ად-დინი, რომ პასუხისმგებლობა ამ ცნობისათვის მთხრობელის კისერზე იყოსო. მონღოლების ადათით ქვრივი ქალის გათხოვება ან საყვარელთან ცხოვრება სასტიკად ისჯებოდა, მაგრამ მახლობლების აღშფოთებას ალან-ღოას პასუხი ბოლოს უღებს. თითქოს ყველა რწმუნდება მის სიმართლეში. ასე ზენაარ-

---

[1] Рашид-ад-дин, Сборник летописей, ტ. I, წიგნი II, ო. სმირნოვის თარგმანი, 1952, გვ. გვ. 7—8.

სის განგებით სამი შვილი გაუჩნდა ალან-ღოას. უმცროსი, მზის სხივით ჩასახული შვილის ბოდონჩარისაგან მომდინარეობს თითქოს ჩინგიზ-ყაენი“[1]. ჩინგიზ-თემუჯინი ყიათების ტომიდან ყოფილა[2]. ქართველ მემატიანესაც სცოდნია თემუჯინის ტომის სახელწოდება: „ხოლო ამათ ნათესაეთა „ყ ი ა თ თ ა გუარისათა გამოჩნდა კაცი ერთი სახელით თემურჩინი, რომელ არს ჩინგიზ-ყაენი-ო“[3].

თემუჯინის მამა ესუგეი ბაყათური — ბართან ბაყათურის-ძე ყოფილა. რაშიდ-ად-დინის ცნობით იგი თითქოს მონღოლთა ტომების უძრავლესობის ხელმწიფე იყო· თითქოს იგი მთელი მახლობელი ნათესავი არისტოკრატების თანხმობით იყო არჩეული ხელისუფლად[4]. მაგრამ ჩინური ცნობით იგი უბრალო ათისთავი იყო. აკად. ბარტოლდი ამის გამო სწორად შენიშნავს,რომ ორივე ცნობა გადაჭარბებული უნდა იყოს. ესუგეი ბაყათური უდაოდ დაწინაურებული პიროვნება უნდა ყოფილიყო. იგი შორეული ლაშქრობების მონაწილე ჩანს, მას თავისი მეუღლე ჩინეთის კედლის მახლობლად მცხოვრებ ტომებში მოუტაცია.

ესუგეი ბაყათურს მრავალი ცოლი ჰყოლია სხვადასხვა ტომიდან წამოყვანილი. უფროს მეუღლეს ოელუნ-ფუჯინ (ხათუნ) რქმევია. ამისაგან ოთხი ვაჟი ჰყოლია ესუგეის. უფროსისათვის თემუჯინი (ტემუჩინი) დაურქმევია, რომელსაც შემდეგ ჩინგიზ-ყაენი ეწოდა.

რაშიდ-ად-დინის ცნობით თემუჯინი 1153 წელს დაბადებულა და თითქოს მას საშოდან გამოსვლისას მარჯვენა ხელში შედედებული სისხლი ეპირა ნიშნად ქვეყნის მომავალი მპყრობელობისათ. ეტყობა მონღოლთა შორის გავრცელებული ყოფილა ლეგენდა ვითომდა თვით განგების მიერ ჩინგიზ-ყაენის ქვეყნების მპყრობელად დანიშვნის დასამტკიცებლად. მეორე ვაჟიშვილს ჯოჩი-კასარი უწოდეს. ეს უკანასკნელი არაჩვეულებრივი აღნაგობისა და ღონის მქონე ყოფილა და ჩინგიზ-ყაენი მას და მის შთამომავლობას, სხვა ძმების ნათესაობისაგან განსხვავებით, საკუთრ შვილებს. შორის დასვამდა შეკრებულების დროს. დანარჩენებს ყველას ემირებს შორის ჰქონიათ ადგილები განკუთვნილი. ესუგეი ბაყათური მონღოლთა ტომებთან ბრძოლაში დაღუპულა. ამ დროს თემუჯინი 13 წლის ყოფილა და იგი და მისი მცირეწლოვანი ძმები დედის მზრუნველობის

---

[1] Р а ш и д-а д-д и н, Сборник летописей, ტ. I, წიგნი II, 1952, გვ. 14.

[2] იქვე, გვ. 32—33. იხ. აგრეთვე ბარტოლდის—Образование империи Чингис-хана. Записки Восточного отделения имп. р. арх. общ., ტ. I, გამ. I — IV, 1897 წ., გვ. 109.

[3] ქართლის ცხოვრება, II, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 501.

[4] იხ. რაშიდ-ად-დინის დასახელ. ნაშრომი, გვ. გვ. 50—51.

ქეეში დარჩენილან. ესუგეის მორჩილ ტომებს და მათ ბელადებს მიუტოვებიათ წინანდელი მათი მბრძანებლის ოჯახი და თავიანთ გზას გადგომიან.

ესუგეი ბაყათურის ხელქვეით მყოფ ტომებს შორის ყველაზე უფრო გავლენიანი ყოფილა თაიჯუტების ტომი, მაგრამ ამათ ესუგეის ბატონობა არ მოსწონდათ და ამდენად არც მისი შვილის თემუჯინის ერთგულება იკისრეს. მაგრამ ამაზედაც საქმე არ შეჩერებულა. თაიჯუტების ხანებმა გავლენა იქონიეს ესუგეის მორჩილ სხვა მცირე ტომებზედაც და თაიჯუტებს მიემხრნენ. ზოგიერთი ამათგანი თურმე ტყის მონღოლები იყვნენ. მათ ყველამ ერთხმად მიატოვეს ესუგეის დაობლებული ოჯახი, მცირეწლოვანი შვილები და სხვა მხარეზე დაიწყეს მომთაბარეობა. ესუგეის ოჯახი მაშინ თურმე მდინარეების — ონონისა და კელურენის მიდამოებში იმყოფებოდა.

მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი თემუჯინი კარგა ხანს მოკლებული იყო პატივს, ბევრი უბედურება გადახდა თავს, მაგრამ, როცა დავაჟკაცდა, ფიზიკურმა გამძლეობამ და გამჭრიახმა გონებამ საშუალება მისცა თანამეტომეებში სახელი გაეთქვა და სხვადასხვა ტომები დაექვემდებარებინა. ესუგეი ბაყათურის მორჩილი ტომებიც მასთან იწყებენ თავის მოყრას.

ამის შემდეგ თემუჯინს კავშირი დაუმყარებია მამამისის, ესუგეის, ძველ მეგობართან ონ-ხანთან და გაერთიანებული ძალებით უტევდნენ მოწინააღმდეგე ტომებს და იმორჩილებდნენ, ხოლო ნადავლს ინაწილებდნენ. სპარსელ ისტორიკოსს რაშიდ-ად-დინს საქმის ვითარება ისე აქვს წარმოდგენილი, თითქოს ონხანი, სანამ თემუჯინს დაუმეგობრდებოდა, მტრებმა ისე დააუძლურეს, რომ თითქოს მას 5 თხისა და რამდენიმე აქლემის მეტი არარაფერი შერჩენოდეს. ასეთ მდგომარეობაში მყოფს გაუგია თემუჯინის გამდიდრება და გაძლიერება, მის ბანაკში მისულა და, ვითარცა მამამისის ძველ მეგობარს დახმარება უთხოვია. თემუჯინს იგი პატივით მიუღია, მისი მოწინააღმდეგენი დაუმარცხებია და ქონებაც უბოძებია. ამის შემდეგ თითქოს გაერთიანებული ძალებით იბრძოდნენ მტრების წინააღმდეგ.

რაშიდ-ად-დინს შემდეგ აღნიშნული აქვს, რომ ონ-ხანსა და თემუჯინს შორის კონფლიქტი წარმოიქმნაო, თითქოს ამ უკმაყოფილების ხელის შემწყობი ონ-ხანის შვილი სანგუნი იყო, რომელსაც თემუჯინის დაღუპვა სურდაო. თითქოს ერთხანს ონ-ხანი თავის შვილს ეწინააღმდეგებოდა, მაგრამ შემდეგ ონ-ხანი დაარწმუნეს, რომ თემუჯინი ონ-ხანის წინააღმდეგ ასამხედრებლად ემზადებოდა. ამის შემდეგ ონ-ხანსა და თემუჯინს შორის მეგობრობა შეწყდა. თემუ-

ჯინი თითქოს შეეცადა საგანგებო ელჩებითა და წერილით მეგობრულ დამოკიდებულების აღდგენას, მაგრამ აქედან არაფერი არ გამოვიდა და საკითხი საბოლოოდ ომმა გადაწყვიტაო, ონ-ხანი თავისი შვილით დამარცხდა და დაიღუპა[1].

წყაროებში, თემუჯინის მოწინააღმდეგეთა შორის, მნიშვნელოვან პიროვნებად არის წარმოდგენილი ჯამუყა, ჯაჯირათების ტომის ერთ-ერთი ბელადთაგანი. იგი თემუჯინის ძმადნაფიცი იყო თითქოს ბავშობიდანვე, მაგრამ შემდეგ თემუჯინის მოწინააღმდეგე გახდა და მას მცირე დამსახურება არ მიუძღვის ონ-ხანსა და თემუჯინს შორის მტრობის გაღვივებაში. მან აუმხედრა ნაიმანები და დასავლეთის მონღოლები თემუჯინს. ნაიმანებმა თავის მხრივ ონღუნებს მოუწოდეს დასახმარებლად, მაგრამ ამაოდ. თემუჯინმა მოწინააღმდეგენი დაამარცხა. ჯამუყა ერთხანს მძარცველი მოთარეშე რაზმის მეთაური შეიქნა, თუმცა რომელი მონღოლის ბაყათური არ იყო მძარცველი და მოთარეშე, მაგრამ წყაროებში, ალბათ, მოხსენებულია ის მდგომარეობა, როცა მონღოლთა ტომის ერთი ბელადი სხვასაც თავს ესხმის და საკუთარი მეურნეობაც (ჯოგები) ჰყავს, ხოლო მეორეს, ამ შემთხვევაში ჯამუყას, მხოლოდ ძარცვა აქვს ხელობად და არავითარ მეურნეობაზე იგი არ ფიქრობს.

მონღოლთა გადმოცემებში ჯამუყა, ვითომ თემუჯინის მტერიც იყო და ძმობილობასაც არ ივიწყებდა, თითქოს მის მიერ თემუჯინის წინააღმდეგ ამხედრებულ მტრების გეგმებს საიდუმლოდ თემუჯინს ატყობინებდა და ამ გზით თითქოს შეელოდა თავის ძმადნაფიცს.

როდესაც ჯამუყა თავისიანებმაც მოიძულეს და დატყვევებული თემუჯინს გადასცეს, ამ უკანასკნელმა დაუფასა მას დახმარება და შესთავაზა მტრობის დავიწყება და სთხოვა ძველი მეგობრობის აღდგენა. ჯამუყას თითქოს განუცხადებია, რომ მას არ შეუძლია თემუჯინის გულწრფელი მეგობრობა და არჩევს სიკვდილს, მხოლოდ ერთი შეღავათით — თემუჯინს სისხლის დაუღვრელად სიკვდილის ნება მიეცა მისთვის (მონღოლების რწმენით ადამიანის სული სისხლში არის და სისხლის დაუღვრელად სიკვდილით სულის მთლიანობა იქნება დაცული). თემუჯინს თითქოს ძმადნაფიცის სურვილი შეუსრულებია[2].

საინტერესოა ქართველი ისტორიკოსის მიერ მოთხრობილი ამბავი. იგი წერს თემუჯინის შესახებ, რომ თემუჯინი თვით მოვიდა ონხანთან სამსახურადო: „ესე (თემუჯინი. ი. ც.) წარვიდა ნიჭისა და პა-

[1] Р а ш и д-а д-д и н, Сборник летописей, 1952, გვ. 110.

[2] В. Б а р т о л ь д, Образование империи Чингиз-хана, გვ. 113.

ტივის მოღებად უმთავრესისა მათისა, რომელსა ხანობით უქმობდეს, კელმწიფესა მათსა, რომელსა ერქუა ონ-ხანად. ხოლო ვითარ იხილა, შეიყვარა სიკეთისა მისისათვის, და დიდსა პატივსა აღიყუანა, უწარჩინებულეს ყოველთა სწორთა მისთა, და მქედართმთავრობა, კელთ-უდვა ლაშქართა მისთა, და ყოველგნით მოსწყვედდიან ურჩთა და განდგომილთა მისთა, ვინაცა ყოველგნით გამარჯვებული მივიდის პატრონსა მისსა ონ-ხან კელმწიფეს წინაშე. ხოლო მან უაღრესსა პატივსა აღიყუანის. ესე შეიშურვა ძმამან ონ-ხანისამან, სახელით უთქინ, და ძემანვე მისმან ქოლაქ, და შეასმინეს ონ-ხანს, ვითარმედ ჰნებავს დაპყრობად მეფობისა შენისა, რომელსა ხანობით უქმობენ. და მან განიზრახა მოკლვა მისი, გარნა აგრძნა თემურჩინ (თემუჯინმა, ი. ც.) განზრახვა ესე, რამეთუ უთხრეს ორთა ვიეთამე კაცთა, ვითარმედ ნებავს სიკუდილი შენი ონ-ხანსა. ხოლო იგი ილტვოდა და ორნიცა იგი კაცნი მისთანა, და მოვიდა სახლსა შინა თვისსა, აიყარა დედაწულითურთ და იარა ერთ დღე და ერთ ღამე და მერე დაჰყარა დედა-წული, და ბარგი და ხვასტაგი, და მივიდა წყლისა მის პირსა, რომელსა ჰქვიან ბლაჯუნი. და განაშორა ლაშქარი მცირედ, და უკუ-დგა კეესა რასმე. და ცნა ონ-ხან სივლტოლა თემურჩისა მსწრაფლ დევნა უყო, და მოეწია დედაწულსა და ბარგსა მისსა. აღიღეს ტყვე ურიცხვი, და დამძიმდეს ალაფითა ლაშქარი მისი. მაშინ ზედა-მოუქდა თემურჩი ყოველთა ლაშქართა ონ-ხანისათა. იქმნა ბრძოლა სასტიკი და ძლიერი, მოსწყდა ორგნითვე ურიცხვი, და იძლია ონ-ხან. ხოლო მათ დევნა უყვეს, მოეწივნეს და შეიპყრეს და მოკლეს ონ-ხან“[1]. უფლების მოყვარე თემუჯინს გუშინდელი მისი მოკავშირის (ონ-ხანის) დამორჩილება ან სრული განადგურება ადვილად შესაძლებელია მიზნად ჰქონდა, ხოლო ასეთი მისწრაფება ონ-ხანის ბანაკის წევრებისათვის შეუმჩნეველი არ უნდა დარჩენილიყო.

სანამ თემუჯინი დამოუკიდებელი ხელისუფალი შეიქნებოდა და ონ-ხანის ხელქვეითი მოკავშირე იყო, მას ონ-ხანთან ერთად (ეს უკანასკნელი წყაროებში თოღრულადაც იწოდება), ჩინეთის სახელმწიფოს დავალებაც შეუსრულებია. ჩრდილოეთ ჩინეთის სახელმწიფო (ცძინის დინასტიის დროს) მონღოლთა ტომებს ერთი მეორეს უპირისპირებდა და ამით თავის საზღვრების დაცვას ახერხებდა. ამ გზით, მაგალითად, მეთორმეტე საუკუნეში გაძლიერებულ ტომს, რომელსაც „მონღოლი“ ეწოდებოდა და „ცძინის“ დინასტიის არსებობას ემუქრებოდა ჩრდილო ჩინეთში, ჩინელებმა

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. გვ. 501—502.

აუმხედრეს ბუირ-ნორის თათრები და ცხარე ბრძოლების შედეგად სრულიად დააუძლურეს. მაგრამ ახლა თვით ბუირ-ნორის თათრები იწყებენ ჩინელების შევიწროებას თავადსხმებითა და თარეშებით. ჩინელებმა ახლა თვით მონღოლებში ახალი მოკავშირე გაიჩინეს ონ-ხანი, იგივე თოღრული, ყარაიტების (ქრისტიანები იყვნენ) ხანი. თემუჯინი შეუერთდა რა ონ-ხანს თავის ხელქვეითი ტომებით ებრძოდა ბუირ-ნორელ თათრებსა და ნაიმანების ტომებს ჩინელების ლაშქართან ერთად. აქ თემუჯინს თავი უსახელებია. თემუჯინს აღუდგენია განადგურებული ტომის „მონღოლის“ სახელწოდება და თავისი თავი ამ მონღოლების ხანად გამოუცხადებია. თემუჯინი, ხანის ანუ ყაენის ტახტზე არისტოკრატების გარკვეულ ჯგუფს დაუსვამს, რომელთა შორის იყო ამ „მონღოლ“ ტომის უკანასკნელი ყაენის, ხუტულა ყაენის შვილი — ალთანი. მონღოლების გადმოცემებში ხაზგასმულია, რომ თითქოს თემუჯინის მამა ესუგეი ბაყათური ამ ხუტულა ყაენის სისხლითი ნათესავი იყო. სავსებით სამართლიანი ჩანს აკად. ბარტოლდის შენიშვნა, რომ ნათესაობის ეს ვერსია თვით თემუჯინის გამოგონილი უნდა იყოს „მონღოლი“-ს ტახტზე თავისი უფლებების დასასაბუთებლად.

რაშიდ-ად-დინის გადმოცემით თითქოს თემუჯინს ტახტზე ასვლის დროს შეჰფიცეს: „როდესაც შენ მეფე იქნები მრავალრიცხოვან მტრებთან ბრძოლებში ჩვენ მოწინავენი ვიქნებით და ტყვედ ჩავიგდებთ ლამაზ ქალიშვილებს, ცოლებს და კარგ ცხენებს, ჩვენ ამათ შენ მოგართმევთ. სანადიროთ სხვებზე უფრო ადრე ჩვენ გამოვალთ და ჩვენ მიერ დაჭერილ ნადირებს შენ მოგართმევთ“. აკად. ბარტოლდი აქაც სამართლიან დასკვნას აკეთებს, როცა ზემომოტანილი ტექსტის გამო შენიშნავს: აქ მოხაზულია უფლებები და ვალდებულებანი მონღოლთა არისტოკრატიის წინამძღოლის: ყაენს თავისი თანამებრძოლები მიჰყავს გამარჯვებისაკენ, მბრძანებლობს მათზე ლაშქრობებისა და ნადირობის დროს და ამისათვის ნადავლის საუკეთესო ნაწილს ღებულობს[1].

აკად. ბარტოლდს თემუჯინის ტახტზე ასვლა, სავსებით სამართლიანად აქვს წარმოდგენილი, როგორც ველის არისტოკრატიის გამარჯვება. თემუჯინი მას მიაჩნია ამ არისტოკრატიის წინამძღოლად, ამავე დროს ერთი მისი მოწინააღმდეგე ჯამუყა, ჯაჯირათის ტომის ერთი ბელადთაგანი (რომელზედაც ზემოთ იყო საუბარი), დაბალი

---

1 იხ. აკად. ბარტოლდის Образование империи Чингиз-хана. Записки восточного отделения императорского русск. арх. общ., т. X, вып. I—IV, 1897 წ., გვ. გვ. 109—111.

ხალხის — ექსპლოატირებული მასის წინამძღოლად. აკად. ბარტოლდი აღნიშნავს, რომ ოფიციალურ წყაროებში (ალბათ მხედველობაში აქვს რაშიდ-ად-დინის თხზულება, ი. ც.) ჯამუყა გამოყვანილია მოხერხებულ ინტრიგანად, რომელიც თემუჯინის წინააღმდეგ ამხედრებს ცალკეულ ბელადებსა და მათ შორის ონ-ხანის შვილს სენგიუნს, ამ საქმიანობისათვის იგი სასტიკად დაისაჯა კიდეც. ხოლო ხალხური გადმოცემებით ჯამუყასა და თემუჯინის წინააღმდეგობა თითქოს სულ სხვა საფუძველზე იყო აღმოცენებული.

გადმოცემით თემუჯინი და ჯამუყა ბავშვობიდან მეგობრები, „ანდები“ იყვნენ, ე. ი. ძმადნაფიცები (ამის შესახებ ცნობა ოფიციალურ წყაროშიაც მოიპოვება). ერთხელ ჯამუყა მიმართავს თითქოს თავის ძმადნაფიცს: „თუ ჩვენ გაჩერდებით მთასთან, მაშინ ის ვინც ცხენებს აძოვებს იურტებს იშოვის (საძოვრის ნაკვეთს); და თუ მდინარის მახლობლად, ცხვრისა და ბატკნების მწყემსებ იშოვნიან საჭმელს (ყელისათვის, პირისათვის). თემუჯინმა თითქოს მისი ძმობილის სიტყვების მნიშვნელობა ვერ გაიგო, ამ სიტყვებმა იგი დააეჭვა და დედის რჩევით იგი თავის მეგობარს დაცილდა. განსვენებული აკადემიკოსი ფიქრობს, რომ თემუჯინისათვის გაუგებარი სიტყვები, ჯამუყას მიერ წარმოთქმული, მან გაიგო და გვთავაზობს ასეთ განმარტებას: „ჩვენი შეხედულებით ჯამუყას წინასწარმეტყველების შინაარსი ნათელია: ცხენების მაძოვრები — ველის არისტოკრატიაა. ცხვრებისა და კრავების მაძოვრები, რომელნიც მხოლოდ ჭამაზე ფიქრობენ, დაბალი ხალხია, რომლის მხარეზე, თემუჯინისაგან განსხვავებით, ჯამუყა დგება“[1]. ჯამუყა, მაშასადამე, დემოკრატიული მოძრაობის სათავეში დგას, როცა თემუჯინს ებრძვის და მის წინააღმდეგ ამხედრებს ონ-ხანს და სხვა ბელადებს.

უდაოდ საყურადღებო სურათი გადაიშალა შორეულ აღმოსავლეთის ტომების ცხოვრებაში. არისტოკრატია და დემოკრატია ერთი მეორეს ებრძვის, ერთს თემუჯინი ბელადობს, მეორეს ჯამუყა. ამ აზრს ერთხანს აკად. ვლადიმირცოვიც იზიარებდა. მაგრამ შემდეგში წყაროების ღრმად შესწავლამ იგი დაარწმუნა, რომ ჯამუყა არავითარი დემოკრატიული მოძრაობის მეთაური არ ყოფილა და რაც მთავარია, მონღოლური თხრობა ჯამუყასა და თემუჯინის საუბრის შესახებ არ გამოდგება მყარ საფუძვლად ისეთი დასკვნის გამოსა-

---

[1] В. Бартольд, Образование империи Чингиз-хана. იხ. Записки восточного отделения имп. русск. общества, т. X, выпуски I—IV, გვ. გვ. 111 — 112.

ტანად, როგორიც არის ჯამუყას დემოკრატიული მოძრაობის მეთაურობა.

აკად. ვლადიმირცოვის ამ სამართლიანი და მეცნიერული სიფრთხილით გამოთქმული მოსაზრების წინააღმდეგ, წარმოუდგენელი სიმკაცრით გაილაშქრა ი. იაკუბოვსკიმ. იგი აღტაცებას გამოთქვამს მონღოლური ტექსტის აკად. ბარტოლდისეულ გააზრების გამო და აკად. ვლადიმირცოვის მისამართით შენიშნავს: «Б. Я. Владимирцов говорит, что очень мало фактов, чтобы утверждать наличность «демократической программы» у Джамухи. На это можно только ответить: надо их искать, тем более что почти нет и противоположных фактов. Такое огромное государство, как монгольское, на заре феодального общества в условиях кочевой степи могло родиться только в обстановке классовой борьбы. С этой точки зрения и приходится... считать новые взгляды Б. Я. Владимирцова на классовое содержание внутренней борьбы в Монголии ш а г о м н а з а д»[1].

ასეთი უმართებულო შეფასების გამო უნდა შევნიშნოთ, რომ ვლადიმირცოვის მიერ ბარტოლდის მოსაზრების საწინააღმდეგოდ გამოთქმული მოსაზრება სავსებით დამაჯერებელია და არავითარ შემთხვევაში იგი მეცნიერებაში ნაბიჯის უკან გადადგმა არ არის. არსად აკად. ვლადიმირცოვს აღნიშნული არა აქვს, რომ ა რ ი ს ტ ო კ რ ა ტ უ ლ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს ს ა წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ო მ ო ძ რ ა ო ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ მ ა ს ა ლ ე ბ ი ს ძ ე ბ ნ ა ს ა ჭ ი რ ო ა რ ა რ ი ს ო. პირიქით, თუ რაიმე ვიცით ჩვენ დღეს მონღოლთა საზოგადოებრივი ფენების შესახებ გარკვეულად, ეს აკად. ვლადიმირცოვის დამსახურებაა, რის უარყოფა განსვენებულ იაკუბოვსკის არ შეეძლო. აკად. ვლადიმირცოვმა დაასაბუთა, რომ ჯამუყა ისეთივე უზურპატორი და გაბატონებული კლასის სათავეში მდგომი პიროვნება იყო, როგორც თემუჯინი, ონ-ხანი და სხვანი. ჯამუყა მიისწრაფოდა იმავე უფლებებისაკენ, რომელიც ხელთ იგდო თემუჯინმა. ბრძოლა თემუჯინსა და ჯამუყას შორის ყაენის ტახტისათვის და უფლებისათვის მიმდინარეობდა. ჯამუყას გვერდით ედგა ისეთივე ბაყათურები, როგორც თემუჯინს. რაში გამოიხატა ჯამუყას დემოკრატობა არც ბარტოლდმა იცის და არც იაკუბოვსკიმ. მონღოლური გადმოცემის უაზრო სიტყვებში, სურვილისამებრ, დემოკრატიული მოძრაობის პროცესის დანახვა დამატებითი ცნობების გარეშე მართებულად არ მიგვაჩნია. ყოველივეს დამტკიცება უნდა; მარქსიზმის კლასიკოსები ფაქტის დადგენას მკაცრად მოი-

[1] Б. Д. Г р е к о в, А. Ю. Я к у б о в с к и й. Золотая Орда и ее падение, 1950, გვ. გვ. 44—45.

თხოვდნენ ყოველთვის. რაშიდ-ად-დინს ერთგან აღნიშნული აქვს, რომ: „იმ დროს, როცა ჯერ-კიდევ ჩინგიზ-ხანი (თემუჩინი) ფადიშაჰად არ იყო გამხდარი და ტომები მიისწრაფოდენ პირველობისა და მეფობისაკენ, ეს სურხანი (თემუჩინის მიერ დაწინაურებული პირი ბაიაუთის ტომიდან, ი. ც.) ამბობდა: „ხალხი, რომელთაც მისწრაფება აქვს გამეფებისაკენ: ერთი აოლან უდურია თათრების ტომიდან; მეორე საჩა-ბეგი ყიუთ-იურყინის ტომიდან და მესამე ჯ ა მ უ ყ ა-ს ე ჩ ე ნ ი ჯ ა ჯ ი რ ა თ ი ს ტ ო მ ი დ ა ნ. ესენი ეძიებენ დიდებას და მიისწრაფიან მეფობისაკენ, მაგრამ გაიმარჯვებს თემუჩინი"[1].

მოწინააღმდეგეთა დამარცხებისა და განადგურების შემდეგ თემუჩინისათვის გზა გაიხსნა მონღოლთა ტომების გასაერთიანებლად, მას წინააღმდეგობას ვერავინ გაუბედავდა, მონღოლთა ის ტომები, რომელნიც არ ჩარეულან შინა ბრძოლებში და მონღოლეთის ტახტის არც ერთ პრეტენდენტს არ მიმხრობიან, ახლა თემუჩინს უნდა დამორჩილებოდნენ. თემუჩინი ახლა ასეთ წვრილფეხა ურჩებზე პირადად თავს არ იწუხდება და თავის ხელქვეითებს გზავნიდა მათ მორჩილებაში მოსაყვანად. საკითხი იმის შესახებ, თუ რომელ წელს გამოაცხადა თემუჩინმა თავისი თავი მონღოლთა ტომების მბრძანებლად და როდის ავიდა იგი ყაენის ტახტზე ჩინგიზ-ყაენის სახელწოდებით, დღემდე ზუსტად დადგენილად არ ჩაითვლება. ოფიციალური გადმოცემით 1206 წელს მოხდა თემუჩინის ჩინგიზ-ყაენად გამოცხადება, ე. ი. ნაიმანების ტომების დამარცხების შემდეგ, მაგრამ ზოგიერთი ძეგლი 1203 წელს მიიჩნევს თემუჩინის იმპერატორად გამოცხადების თარიღად, ე. ი. კერაიტების ტომების დამარცხების წელს, როცა ონ-ხანი დაიღუპა[2]. ქართველი ისტორიკოსიც ამის შესახებ წერს: „იქმნა ბრძოლა სასტიკი და ძლიერი... და იძლია ონ-ხან... და დაჯდა ტახტსა ზედა ონ-ხანისასა, და უწოდეს თემურჩის სახელად ჩინგიზ-ყაენი..."[3].

მაგრამ 1206 წელი იმით არის მნიშვნელოვანი მონღოლებისათვის, რომ ამ წლიდან თემუჩინ-ჩინგიზ-ყაენს ტახტის მოქიშპენი ყველა დამარცხებული ჰყავდა და მონღოლთა ძირითადი ტომები ერთი ხელისუფალის ხელქვეით იყვნენ გაერთიანებული. ამიტომ 1206 წელს მონღოლთა სახელმწიფო, თუ შეიძლება ასე ითქვას, შავად მოხაზულია და ერთ მბრძანებელს ექვემდებარება.

---

1 ბარტოლდის მოსაზრებათა კრიტიკა იხ. Б. Я. Владимирцов. Общественный строй монголов..., 1934 წ., გვ. გვ. 83 — 86.

2 В. Бартольд, Образование империи Чингиз-хана, გვ. გვ. 113—114.

3 ქართლის ცხოვრება, II, ს. ყ ი ფ ი ა ნ ი ძ ი ს გამოც., გვ. 502.

ჩინგიზის პიროვნების შესახებ, მისი გარეგნობისა და ოჯახის შესახებ ძირითადი ცნობები შემონახულია. დაწვრილებითი ცნობები ჩინგიზ-ყაენის გარეგნობის შესახებ დაცულია ჯუზჯანის და მენ-ხუნის თხზულებებში. ჯუზჯანის ჩინგიზი პირადად არ უნახავს, იგი მონღოლთა მბრძანებლის გარეგნულ აღწერილობას გვაწვდის მნახველის ნაამბობის მიხედვით. ჩინგიზ-ყაენი ხორასანში ლაშქრობის დროს უნახავთ, როცა იგი 65 წლის იქნებოდა. ტანად მაღალი, სხეულის აღნაგობა ძლიერი ჰქონია, კატის მსგავსი თვალებით, თავზე მცირე რაოდენობით ჭაღარა თმები ჰქონია შერჩენილი. ჩინელი ელჩის მენ-ხუნის აღწერილობით, რომელმაც 1221 წელს ინახულა იგი, ჩინგიზი სხვა მონღოლებისაგან დიდი სიმაღლით, ფართო შუბლით და გრძელი წვერით გამოირჩეოდა[1]. ქართველ ისტორიკოსსაც საჭიროდ დაუნახავს ჩინგიზის გარეგნობის შესახებ ცნობები მოეძიებია და თავის თხზულებაში შეეტანა: „ესე იყო ჰაეროვანი და შვენიერი, ტანითა ახოვანი, თმითა მომწითურო, ძლიერი, მჴნე, შემმართებელი, მოისარი ჴელოვანი, ღრმად გამგონე, განმზრახი კეთილი"[2].

რაშიდ-ად-დინის ცნობით ჩინგიზ-ყაენს ხუთასამდე ცოლი და ხასა ჰყოლია, თითოეული მათგანი სხვადასხვა ტომებიდან ჰყავდა მოყვანილი. უმეტესობა კი ომების დროს ტყვედ ჩავარდნილი ყოფილა. ამ ხუთასიდან ხუთი ცოლი უფროსად ითვლებოდა („ხათუნ-ბუზურგ"), რომელთაც მბრძანებელი პატივს ცემდა თურმე სხვათაგან განსხვავებით. მაგრამ ერთი ცოლი, რომელსაც ბორთე-ფუჯინი ერქვა სახელად, ყველაზე პატივცემული და უფროსი მეუღლე იყო ჩინგიზ-ყაენის. ამ მეუღლისაგან ნაშობი ოთხი ვაჟიშვილი და ხუთი ქალიშვილი ყველაზე ავტორიტეტიანი უფლისწულები იყვნენ ჩინგიზ-ყაენის შთამომავლობას შორის. ეს ოთხი ვაჟიშვილი შეიქნა სხვადასხვა მხარეში ჩინგიზის დინასტიის ფუძემდებლად. ჩინგიზ ყაენმა, რაშიდ-ად-დინისა და სხვა ავტორთა ცნობით, პირველი მეუღლისაგნ შობილ ოთხ ვაჟიშვილს გაუნაწილა დაპყრობილი და ჯერ კიდევ დაუპყრობელი, მაგრამ დაპყრობითი გეგმით გათვალისწინებული ტერიტორიები.

უფროს ვაჟიშვილს ჯოჩი, ანუ ჯუჩი ერქვა სახელად, მეორეს ჩაღათა, მესამეს უგედე (ქართული გამოთქმით ოქოთა), მეოთხეს თულუი (ქართული — თული)[3].

---

[1] В. Бартольд, Туркестан в эпоху монгольского нашествия, II, 1900, გვ. 497.

[2] ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 501.

[3] Рашид-ад-дин, Сборник летописей, ნაწ. I, წიგნი II, 1952 წ., გვ. 68.

ჩინგიზის ოჯახის შემადგენლობის შესახებაც ქართველ ისტორიკოსს ცნობები აქვს დაცული: „ხოლო ამა ჩინგიზ-ყაენსა ცოლნიცა მრავალი ესხნეს და შვილნიცა. უხუცესის ცოლის სევინჯისაგან ესეა შვილი, რომელსა ერქვა თუზის, რომელსა ქართველნი ჯოჩიდ უკმობდნენ. მეორე ჩაღათა, მესამე ოქროფა (ოქოთაი), მეოთხე თული. ესე ოთხნი ყაენად განაჩინა, ხატაეთს მყოფმან (ჩინგიზ-ყაენმა, ი. ც.), უხუცესსა შვილსა თუზის (ჯოჩის) მისცა ლაშქრისა ნახევარი და წარავლინა დიდსა საყივჩაყეთსა ზედა, ოვსეთს, ხაზარეთს და რუსეთს, ვიდრე ბნელეთამდე... და მეორესა შვილსა ჩაღატას მისცა ლაშქარი და უიღურთა ქვეყანა, სამარყანი, ბუხარა ვიდრე ალმუთისა ქვეყანამდის. ამას ვგონებ ესე იყო თურანი და მესამესა შვილსა ოქროფას მისცა თვით მისი ტახტი ყარაყუმი და ჩინმაჩინი, ემეთისა, ყაყეისა ქვეყანა და ხატაეთი. და მეოთხესა შვილსა თულის მისცა ლაშქარი და უქუთის ზედა მოკიდებით ქვეყანა აღმოსავლეთისა. ესე ოთხნი განაჩინა ყაენად და ამცნო, რათა წელიწადსა შინა ერთ-გზის ოქროფას მიმართ მოვიდოდნენ უხუცესნი ძმანი მისნი, ყურნუთის (ყურულთაის — ყრილობის) საქნელად-ო"[1].

ჟამთააღმწერელის ამ ცნობებში ჩვენს ყურადღებას იქცევს ჩინგიზ-ყაენის პირველი მეუღლისა და პირველი ვაჟიშვილის საკუთარი სახელები. რაშიდ-ად-დინით პირველ მეუღლეს „ბორთე-ფუჯინი "ერქვა. „ფუჯინი" რაშიდის განმარტებით ჩინური სიტყვაა და ქალბატონს, ხათუნს, მეუღლეს ნიშნავს. საიდან აიღო ქართველმა ისტორიკოსმა „სევინჯი" სახელწოდება არ ჩანს. ჯოჩის სახელწოდებაც ქართველ ისტორიკოსს განსხვავებულად აქვს მოცემული, თუმცა იქვე განმარტავს, რომ „თუზის" იგივე ჯოჩი არის, რომელსაც ქართველები უწოდებდნენ მას. (ქართველ ისტორიკოსს, ალბათ, მხედველობაში აქვს ქართული საისტორიო თხზულება, რომელშიაც ჩინგიზის უფროსი შვილის სახელი „ჯოჩი"-თ იყო მოხსენებული და ჩვენდა სამწუხაროდ ახლა ჟამთააღმწერელის ქართული წყაროები დაკარგულია). არავითარი ეჭვი არ შეიძლება ვიქონიოთ, რომ ჩინგიზ-ყაენი ბუნებრივად დაჯილდოებული იყო სარდლისა და სახელმწიფო მოღვაწისათვის საჭირო დიდი ორგანიზატორული ნიჭით. მას უნარი ჰქონდა ხალხის შერჩევისა ისე, რომ მონღოლეთის სახელმწიფოს შექმნაში მის მიერ შერჩეულ ხალხს თავისი მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიაც ჩინგიზ ყაენის პიროვნება, როგორც უნიჭიერესი

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. გვ. 503—504.

მეთაურისა, ჩრდილავდა ყველას და ულმობელმა ისტორიამ ყოვლის შემოქმედად მხოლოდ ჩინგიზ-ყაენის პიროვნება წარმოგვიდგინა.

მონღოლთა იმპერიის შემოქმედს არავითარი განათლება არ ჰქონია, არამცთუ პოლიტიკური მოღვაწეობის დასაწყისში, არამედ სიცოცხლის უკანასკნელ წლებშიაც. მას, გარდა მონღოლური ენისა, არც ერთი ენა არ სცოდნია. არც წერა-კითხვა უსწავლია ისე გარდაიცვალა 1227 წელს 72 წლის ჰასაკში [1]. მონღოლთა სახელმწიფოს ჩამოყალიბებამდე მართალია მონღოლეთში არავითარი წერა-კითხვა არ ყოფილა გავრცელებული და არც დამწერლობა ჰქონიათ, ალბათ ასეთი საჭიროება არც იყო იქ მაშინ, მაგრამ მომთაბარე სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ, ჩინგიზის სამეფო კარს დამწერლობა დასჭირდა და, როგორც ცნობილია, უიღურებს დამწერლობა გადაიღეს და უიღური მასწავლებლები მიიყვანეს. ამ საქმეშიაც ინიციატივა პირადად ჩინგიზ-ყაენს ეკუთვნის. მას ნაიმანების დაპყრობის დროს ტყვედ ჩაუგდია სახელმწიფო ბეჭდის მფარველი უიღური, რომელმაც ჩინგიზ-ყაენს ბეჭედი და მისი დანიშნულება, კანცელარია, საქმის წარმოება და წერილობითი საბუთის მნიშვნელობა გააცნო. როგორც ჩანს, ჩინგიზ-ყაენმა სახელმწიფოსათვის დამწერლობისა და საქმისწარმოების მნიშვნელობა გაიგო და განკარგულება გასცა მისი შვილებისათვის და სხვა მონღოლ თავადების შვილებისათვის წერა-კითხვა ესწავლებინათ. უიღურული ანბანი, ეტყობა მონღოლურ ენას კარგად მიუდგა და ადვილი შესასწავლიც ყოფილა. ქართველი ჟამთააღმწერელი ამის შესახებ წერს: „ხოლო მოიპოეს წერილიცა ამა მცირედითა ასოთა, რამეთუ ათ-ექუსმეტითა ასოთა დასწერენ წიგნთა, რომელ ადვილ სასწავლელოცა არს, და ადვილ გულის-ხმის-საყოფელი-ო“ [2].

მონღოლთა პირველი მასწავლებლები სახელმწიფოებრივ მართვა-გამგებლობის ხაზით უიღურები არიან ძირითადად. აკად. ბარტოლდი მართალია, როცა მონღოლების დაწინაურებასა და განვითარებაში ჩინელების მნიშვნელობას უარყოფს. ჩინურ დამწერლობის პრინციპების გასაცნობად ერთი საუბარიც საკმარისი უნდა ყოფილიყო მონღოლისათვის, რომ მას საერთოდ ყოველი დამწერლობა შეძულებოდა. ჩინელები კი ჩინგიზის სიცოცხლეშივე ავრცელებდენ თურმე ხმებს, რომ თითქოს თემუჯინის წარმატებები ჩინური

---

[1] В. Бартольд, Туркестан в эпоху монгольского нашествия, II, გვ. 416.

[2] ქართლის ცხოვრება, II, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 500.

გავლენის შედეგიაო და სამისოდ ფაქტებს თხზავდნენ: თითქოს თემუჯინი სიყრმის დროს ტყვედ ჩაიგდეს ჩინელებმა და ათი წლის განმავლობაში ჩინეთში ცხოვრების შედეგად ჩინური კულტურა აითვისა და განათლების მეოხებით სახელმწიფო შექმნა და მერე მისი მოვლაც შესძლოო.

რა თქმა უნდა, მას შემდეგ რაც ჩინგიზ-ყაენმა ჩინეთი დაიპყრო, ჩინურ ცხოვრებას და კულტურას თავისი გავლენა მოუხდენია მონღოლეთის არისტოკრატიაზე, მაგრამ ძირითადად, მონღოლთა სახელმწიფო, ჩინგიზის მეთაურობით უკვე ჩამოყალიბებული იყო 1211 წლამდე ე. ი. ჩინეთზე გალაშქრებამდე.

მონღოლთა სახელმწიფოს არსებობა თვით ჩინგიზ-ყაენს და შემდეგ მის მემკვიდრეებსაც ასე ჰქონდათ გააზრებული: ნაბდის კარვებში მცხოვრებთა ყოველი თაობის ე. ი. მონღოლთა ხალხის სათავეში ჩინგიზ-ყაენი და მისი შთამომავლობაა. მონღოლური ტომები და გვარები ჩინგიზისა და მისი შთამომავლობის — ულუსი არის, ხოლო მთელი ტერიტორია, რომელზედაც ეს ხალხი ცხოვრობს და ჯოგებს აძოვებს — ჩინგიზის იურტია. სახელმწიფოს ცალკეული ნაწილები რიგდება ჩინგიზის ოჯახის წევრებს შორის, რომელთაც მათ წილ ტერიტორიაზე მომთაბარე ნოინები ემორჩილებიან თავისი ნუქერებით, აილებით და მონებით. ეს საზოგადოება იმავე დროს სამხედრო ორგანიზაციაა, რომელიც დაყოფილია 10 000-ად, 1000-ად, 100-ად, 10-ად. ეს დაყოფა აილებზეა დაყრდნობილი, რომელნიც არა მარტო სამეურნეო ბეგრით არიან დაქვემდებარებული ნოინების ხელქვეით, არამედ ნადირობითა და სამხედრო სამსახურითაც. აილები ვალდებული არიან შეავსონ სამხედრო დანაყოფების „ათეულების", „ასეულების", „ათასეულების" და „ათიათასეულების" რიგები, ვითარცა მეომრებმა. მსხვილ სამხედრო დანაყოფების სათავეში ველის არისტოკრატიის წარმომადგენლები დგანან, რომელნიც ჩინგიზ-ყაენის, თუ მისი მემკვიდრეების, პირველ მოწოდებისთანავე თავიანთი რაზმებითა და საჭურველით დანიშნულ ადგილას უნდა გამოცხადდენ. ამ ლაშქრის სათავეში ჩინგიზ-ყაენის გვარდია — „ქეშიგი" დგას.

მონღოლეთის მბრძანებლის ლაშქარი დაპყრობებისა და ძარცვის ამოცანას ახორციელებდა, ხოლო „ქეშიგი" წესრიგს ამყარებდა თვით მონღოლეთში, იგი გაბატონებული კლასის ძალმომრეობის აპარატის დასაყრდენი იყო, რომელიც უშუალოდ ამ აპარატის, ე. ი. სახელმწიფოს სათავეში მყოფს — ჩინგიზ-ყაენს ემორჩილებოდა უსიტყვოდ. „ქეშიგი" ომში მაშინ მიდიოდა, როცა თვით ჩინგიზ-ყაენი მიდიოდა სალაშქროდ. ამ გვარდიის წევრები ყველაზე უფრო

პრივილეგირებული ადამიანები იყვნენ მონღოლეთის სახელმწიფოში. რიგითი გვარდიელი ლაშქრის სარდლებზე მაღლა მდგომი პიროვნება იყო[1]. ჩინური ძეგლის გადმოცემით ჩინგიზ ყაენს უთქვამს: „წინათ მე მხოლოდ ოთხმოცი კაცი მყავდა ღამის გუშაგი და სამოცდაათი მცველი... ახლა, როცა ზეცამ მიმბრძანა მე ვმართო მთელი ხალხები, ჩემს დასაცავად შეკრიბონ ათიათასი... ეს ხალხი, რომელიც ჩემთან იქნება, შეიძლება შერჩეულ იქნეს სახელმწიფოს მოხელეებში და საზოგადოების თავისუფალთა ფენებში, მაგრამ უნდა შეირჩეს მტკიცენი, ძლიერნი და მარდნი"[2].

ქეშიკები სამსახურს რიგრიგობით ასრულებდნენ. ერთ რიგს „თურღუეტი" ეწოდებოდა, ამათ სამსახური დღისით ევალებოდათ, მეორე ნაწილს კი ღამით უნდა ედარაჯნა ყაენის რეზიდენციაში და ამათ „ქებტეულს" ეძახდნენ. ყაენის ეს სეფე-რაზმი პირველად თურმე 150 კაცისაგან შედგებოდა, 70 კაცი დღით გუშაგობდა და 80 ღამით. მარკო პოლოს დროს „ქეშიგები"-ს რიცხვი 12.000 აღწევდა და ოთხ ჯგუფად ყოფილა დაყოფილი. თითოეულში 3000 კაკაცი იყო და მორიგეობა თითოეულს ამათგანს სამ დღე-ღამეს უწევდა ზედიზედ. ყაენის კარავში ქეშიკის თანხლების გარეშე არ შეიძლებოდა შესვლა.

მონღოლების სახელმწიფოში მაღალი თანამდებობანი, ყაენისა და მისი შვილების შემდეგ, ნოინებს ჰქონდათ. მაგრამ ნოინები ყველანი ერთი რანგისანი არ ყოფილან. ქართველი ჟამთააღმწერელი ასახელებს „ნოინთა დიდთა და მცირეთა". იგი ერთგან წერს, რომ არღუნი ბათო ყაენმა: „წარავლინა ყოველსა საბრძანებელსა მისსა... რათა განაჩინოს ნოინთა დიდთა და მცირეთა ღირსებისაებრ მათისა ულუფა-ო". „დიდნი ნოინნი" ჟამთააღმწერელს არაერთხელ ყავს მოხსენებული. მაგრამ „დიდ ნოინებს" შორის ყველაზე მაღალი თანამდებობა ყოფილა „ულუსის ნოინობა". ჟამთააღმწერელს აღნიშნული აქვს, რომ ყაენმა განკარგულება გასცა: „რათა თვინიერ ულუსისა ნოინისა კიდე ურდოს შესვლასა მეფისა (აქ საუბარია ქართველ მეფე დავით ლაშა გიორგის-ძეზე) ზედათ არავინ დადგებოდის". „ულუსის ნოინი" ქართველ მეფეზე მეტი პატივით სარგებლობდა თურმე ყაენის

---

[1] В. Бартольд. Образование империи Чингиз-хана. Записки восточн. отд. императ. русск. арх. общества, X, вып. I—IV, გვ. გვ. 114—115.

[2] მონღოლთა სახელმწიფოს აღნაგობის სისტემის დახასიათება და ზემოთ მოტანილი ტექსტი იხ. Б. Д. Греков, А. Ю. Якубовский. Золотая Орда и ее падение, 1950, გვ. გვ. 45—47.

კარზე. „ულუსის ნოინი“ პირველ რიგში მხედართმთავარია და შემდეგ ერისმთავარიც.

ულუსის ნოინის შემდეგ, ნოინებს შორის, პირველი ადგილი „თ ა ი ჯ უ ტ თ ა ნ ო ი ნ ე ბ ს“ ეჭირა. ულო ყაენის დროს მის საბრძანებელს ოთხი ნოინი განაგებდა „ტაიჯუტ“ ანუ „თაიჯუტ“ (ტაიჯი“ მხოლოობ. რიცხვი) თავადს, აზნაურს ნიშნავს მონღოლურ ენაზე. „ნოინი“ კი ჩვეულებრივ ათიათასის, ანუ, მონღოლური სიტყვით რომ ვთქვათ, „დ უ მ ა ნ ი“-ს თავი, ანუ უფროსი იყო[1].

ყაენს „კარის მცველნი მეკარენი“ ჰყოლია. მონღოლურად მათ „ეგვდარჩი“ ეწოდებოდა. კარის მცველობა დიდი საპატიო თანამდებობა ყოფილა, კარის საპატიო თანამდებობა ყოფილა აგრეთვე „ულდანჩი“. ქართველი ისტორიკოსის განმარტებით „ულდანჩი“ „არს მეჴრმლე რომელსა არტყია ჴრმალი და კარსა ზედა მდგომარე არს“. ჟამთააღმწერელის ცნობით ამ საპატიო საკარისკაცო თანამდებობით არა ერთი ქართველი დიდებული დაჯილდოებულა ილხანების მიერ.

საპატიო მოხელედ ითვლებოდა აგრეთვე „ყორჩი“, „რომელთა აქვნდა შვილდ-კაპარჭი“. „ყორჩად“ წარჩინებული გვარიშვილები ინიშნებოდნენ ყაენის კარზე[2]. საფიქრებელია, რომ „ყორჩს“ ყაენის იმდროინდელი არსენალი ებარა. ჩინგიზ-ყაენის კარზე დიდი მნიშვნელობის თანამდებობა ყოფილა „ახტაჩი“ — ანუ „ახტაჯი“. ორი ახტაჯი ჰყოლია ჩინგიზ-ყაენს. ერთი მათგანი თვით ჩინგიზის ძმა ყოფილა. მის გამგებლობაში იმყოფებოდა იმპერატორის ცხენები. ე. ი. „მეჯინიბეთ უხუცესი“ იყო. მას ევალებოდა ვაყა ცხენების დატაიჭებისა და გახედვნის თვალყურის დევნება, ლაშქრობისათვის მზად ყოფნა, ცხენების პასაკის შემოწმება და ჯიშების გაუმჯობესებაზე ზრუნვა. ცხენი იყო მონღოლების სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი დასაყრდენი[3].

სამი პირი განაგებდა საყაენო კარის ჭამა-სმის თადარიგს. ამათგან ერთი დილის სმა-ჭამას განაგებდა, მეორე — საღამოს. რა

---

[1] ქეშიგებისა და ნოინების შესახებ არსებულ სპეც. ლიტერატურისა და ქართული ძეგლების ოსტატურად გამოყენების საფუძველზე, მართებული დასკვნები აქვს განსვ. აკად. ივ. ჯავახიშვილს და ჩვენ მასალა მისი ნაშრომიდან ამოვკრიბეთ. იხ. მისი ქართველი ერის ისტორია, წ. III, 1949 წ., გვ. გვ. 89—92.

[2] ამ ტერმინების შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია. III, გვ. 88.

[3] Б. Я. В л а д и м и р ц о в, Общественный строй монголов..., გვ. 38. „ახტაჯის“ შესახებ იხ. აგრეთვე, В. Бартольд, Туркестан..., II, გვ. 411.

ეწოდებოდა ჩინგიზის დროს ამ საქმის ზედამხედველებს — არ ჩანს, მაგრამ შემდეგ „ბ უ ქ ა უ ლ ი“ ან „ბ ა უ რ ჩ ი“ ეწოდებოდა. ერთი პირი ზედამხედველობდა ცხვრების ფარების მწყესვას, რაშიდ-ად-დინი მასაც „ა ხ ტ ა ჩ ს“ უწოდებს.

ერთი ზედამხედველობდა ბორბლიანი ტრანსპორტის საქმეს. შემდეგში ამ საქმის მოქმედს „ი უ რ ტ ჩ ი“ ეწოდებოდა. ერთი პირი „ჩერბი“ უფროსობდა ყაენის რეზიდენციის შინა მსახურებს. სამი პირი ზედამხედველობდა ცხენების კვებას.

ოთხი პირი ხელმძღვანელობდა „შ ო რ ე უ ლ და მ ა ხ ლ ო ბ ე ლ ი ს რ ე ბ ს“ (მონღოლურად „ხოლა“ და „ოირა“); ესენი უნდა იყვნენ პირადად ყაენის დავალებათა შემსრულებელნი. ისრით საიდუმლო წერილის გაგზავნის ჩვეულება ჩინეთში ყოფილა ძველად[1], საინტერესო ცნობა აქვს ქართველ ისტორიკოსს, ჟამთააღმწერელს, მონღოლების მიერ ისრის საშუალებით საიდუმლო წერილის გაგზავნის შესახებ. მას აღნიშნული აქვს, რომ ორი ძმა თეგუთარ-ყაენი და ბარახა-ყაენი აბაღა-ყაენის წინააღმდეგ ლაშქრობის მოწყობას ფიქრობდნენ, მაგრამ უბედურება იმაში იყო, რომ აბაღა-ყაენი და მისი სამფლობელო მოწინააღმდეგე ყაენების სამფლობელოთა შუაზე მდებარეობდა. ქართველი ისტორიკოსი შენიშნავს, რომ „ყოველგან გზისა მცველნი გაჩენილ იყუნეს თათართაგან ძველთაგან და განიკითხიან მგზავრი და მოციქული“. ამიტომ პაემანის დასადგენად და ლაშქრობის დასაზუსტებლად საიდუმლო წერილი ბარახამ ისრით გამოგზავნა. ჟამთააღმწერელი წერს: „და შთადვა მანცა თავსა შინა ისრისასა წიგნი ესე. და წარმოვიდა მოციქული, და მოიწია თეგუთარს წინაშე, და მოსცნა ისარნი. და განაღო თავი ისრისა, და პოვა დაწერილი ძმისა მისისა ბარახასი. და ჟამიცა იგი პაემანისა მოახლოებული ჰპოვა წერილსა მას შინა“[2]. ორი პირი ჩინგიზ-ყაენს ე. წ. „უხუცესი მ ც ვ ე ლ ე ბ ი“ ჰყოლია კრებაზე. აკად. ბარტოლდის აზრით ესენი ყაენის მრჩევლები იყვნენ, რომელნიც კრებაზე წესრიგს იცავდნენ და დიდ საპატიო პირებად ითვლებოდნენ ისინი ჩინგიზის კარზე.

მონღოლურ წყაროში მოხსენებული არის ჩინგიზის კარზე დიდი საპატიო წოდებულება „ბიგი“ ანუ „ბიკი“ („ბეგი“). წყაროში აღნიშნულია, რომ თითქოს ჩინგიზმა მოხუც უსუნს უთხრა: „ამჟამად... ბეგობა სასახელო წოდებულებაა; უსუნ! შენ უფროსი წინაპარი ხარ ბაარინის ტომიდან და შენ გეკადრება „ბეგი“ იყო. რაკი „ბეგი“ იქ-

---

1 ამ თარიმლებობათა შესახებ იხ. В. Бартольд, დასახ. ნაშრ. გვ. 411.

2 ქართლის ცხოვრება, II, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 588.

ნები თეთრ ცხენზე მჯდომი ივლი, თეთრ ტანსაცმელს ჩაიცვამ და (შეკრებულობაში) საზოგადოებაშიაც უმაღლეს ადგილზე დაჯდები". „ბეგათ" არა ერთი პირია მოხსენებული წყაროებში, მაგრამ მეცნიერთა დაკვირვებით ეს ტიტული თან ახლავს უფროს ვაჟიშვილების საკუთარ სახელებს. ჩინგიზის თანამეტომეთა შორის და მის მახლობელ გვარით ნათესავებს შორის მოხუცი უსუნი ყველაზე უხუცესი და უფროსი ყოფილა. სიტყვა „ბეგი" შამანების მღვდელმთავარა ეწოდებოდა. „ბეგი" ეწოდებოდა ტყის მონღოლების ტომის ბელადს, რომელიც იმავე დროს შამანების ქურუმიც იყო. ჩინგიზის დროს კი „ბეგებად" იწოდებოდნენ ათი ათასის თავი, ათასის თავი და ასისთავიც[1].

მონღოლთა სახელმწიფოს უზენაესი კანონმდებელი და მოსამართლე თვით იმპერატორი იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, იგი უფრო უმაღლეს არისტოკრატიის წრეების სადაო საქმეებს — სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს, განიხილავდა. პლანო კარპინის ერთგან აღნიშნული აქვს: „იმპერატორი თავის დედას გამოეთხოვა. ეს უკანსკნელი ერთი მხრით გაემგზავრა, ხოლო იმპერატორი მეორეთი, რათა გასამართლება მოეხდინა. ამ იმპერატორის მამიდა დატუსაღებული იყო იმისათვის, რომ მოწამლა თავისი მამა როდესაც მათი ჯარი ჰუნგრეთში იყო. ამიტომ მათი ჯარი, რომელიც იმ ქვეყნებში იმყოფებოდა, უკან გამობრუნდა. ამის გამო ის ქალი გაასამართლეს მრავალ სხვასთან ერთად და ყველანი დახოცეს"[2]. როგორი წესით მიმდინარეობდა სასამართლოს სხდომები ჩვენ არ ვიცით, მაგრამ პლანო კარპინი ერთგან შენიშნავს, რომ იმპერატორის სასამართლოში ვექილები არა ჰყავთო, „იმიტომ რომ ყოველივე დავა იმპერატორის ნებით სწყდება სამსჯავროს განხილვისა და აურზაურის გარეშე. თათრების სხვა მთავრებიც ასე იქცევიან"[3]. როგორც ჩანს, იმპერატორი გაიკითხავდა საქმეს და განაჩენსაც თვით გამოიტანდა. მოტანილი ციტატის უკანასკნელი წინადადება გვაფიქრებინებს, რომ ყოველი დიდი მფლობელი თავის სამფლობელოში ისეთივე უზენაესი მოსამართლე იყო, როგორც თვით დიდი ყაენი.

---

1 „ბეგის" შესახებ იხ. Б. Владимирцов. Общественный строй монголов. გვ. გვ. 49—50. В. Бартольд, Туркестан..., გვ. 421, აგრეთვე ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 91.

2 მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, II ნაკვეთი, 1942 წ., გვ. 59.

3 იქვე, გვ. 61.

უიღური დამწერლობის შემოღების პირველი შედეგი იყო ჩინგიზ-ყაენის მიერ ადათობრივი სამართლის კოდიფიკაცია (იასა), რომელიც, ჩინგიზ-ყაენის მიერ წარმოთქმულ „სიბრძნეების“ დამატებით („ბილიგის“), დიდხანს დარჩა მონღოლ ხელისუფალთა სახელმძღვანელოდ. ჩვენ წყაროების მიმოხილვის დროს აღნიშნული გვქონდა, რომ ჩინგიზის დროიდან მონღოლებს თავისი კანონები დაწერილი ჰქონდათ სათანადო ფურცლებზე და ინახებოდა ჩინგიზის უფროსი შვილებისა და მისი შთამომავლობის ხაზინის საცავში[1].

ჩინგიზ-ყაენის მახლობელ პირთაგან, სხვებზე ადრე, უიღური დამწერლობა შეუსწავლია და განათლება მიუღია „შიკი ხუტუყუნოიონს“. ეს ნოინი თათართა მოდგმისა ყოფილა, რომელიც პატარაობიდანვე შვილად აუყვანია ჩინგიზის მეუღლეს. იმპერატორს „ხუტუყუსათვის“ სასამართლოს საქმეების წარმოება მიუნდვია. წყაროში აღნიშნულია, რომ ჩინგიზმა ეს პირველი მონღოლი მოსამართლე ასე დამოძღვრაო: „შენ განდობ გასამართლებას და მსჯავრის დადებას ქურდობისა და მატყუარობისათვის; ვინც სიკვდილს დაიმსახურებს, ის სიკვდილით დასაჯე; ვინც დაიმსახურებს სასჯელს, მას გარდაახდევინე; საქმეები ხალხის ქონების შესახებ შენ გადაწყვიტე. გადაწყვეტილი ჩაწერე შავ დაფებზე, რათა სხვებს საშუალება არ ექნეს მათი შეცვლის“. რაშიდ-ად-დინი აღნიშნავს, რომ ჩინგიზის ეს მოსამართლე მიუდგომლად არჩევდა საქმეებს და ყურადღებას არ აქცევდა ბრალდებულის მიერ შიშის ზეგავლენით მოცემულ ჩვენებასო. მოსამართლეს მონღოლურად „იარაღუჩი“ ეწოდებოდა[2].

ქართველ ისტორიკოსს ერთგან მოსამართლის მონღოლური სახელწოდება აქვს მოხსენებული. იგი წერს, რომ ქართველი მეფე, დავით ლაშა გიორგის-ძე, ულო ყაენმან დააჯილდოვა და ნოინებთან სასამართლოს წევრობა მიუბოძაო: „და ვითარ მოიღო დავით მეფემან სამეფო თვისი, წარვიდა ულოს-ყაენს წინაშე, ძღუნითა და ნიჭითა დიდითა, რომელი იხილა-რა ულო-ყაენ-მან, პატივით შეიწყნარნა, და ნოინთა თანა დააწესა დგომად და ჯდომად, და იარაღუჩად, რომელ არს გამკითხველობაი და ბჭობაი“[3]. მოტანილი ტექსტი ნათელჰყოფს, რომ მოსამართლე ყოველთვის უმაღლესი არისტოკრატიის წრიდან ინიშნებოდა და იგი ერთი პიროვნების პრეროგატივა არ უნდა ყოფილიყო. ერთპიროვნულად

1 В. Бартольд. Туркестан..., გვ. 42.

2 მოსამართლის შესახებ იხ. იქვე, II, გვ. გვ 420—421.

3 ქართლის ცხოვრება, II, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, გვ. 551.

„იარალუჩი“ საქმეს არ გაიკითხავდა, იარალუჩების საბჭო ყოფილა, რომელშიაც ნოინები შედიოდნენ.

იმპერატორის სამართალი ალბათ სხვა უნდა ყოფილიყო, იგი ერთპიროვნულად სწყვეტდა საკითხებს. ამას გვაფიქრებინებს პლანო კარპინის ზემოთ მოტანილი ტექსტის ის ადგილი, სადაც მას საუბარი აქვს იმპერატორის სასამართლოსა და ვექილის შესახებ.

რუბრუკვისის მოგზაურობის აღწერილობაში მონღოლეთის სახელმწიფოში არსებულ სასამართლოზე საგანგებოდ არის საუბარი, მაგრამ ზოგი რამ ბუნდოვნად აქვს მოთხრობილი. ის სამართლის შესახებ თხრობას ასე იწყებს: „რაც შეეხება მათ სამართალს, უნდა მოგახსენოთ, რომ, როდესაც ორი პირი დავობს, ვერავინ გაბედავს მათ დავაში ჩარევას: თვით მამას არ შეუძლია თავის ვაჟს დაეხმაროს. ვინც უფრო სუსტი აღმოჩნდება, ხელმწიფის სასამართლოს უნდა მიმართოს; თუ ამის შემდეგ მ ე ო რ ე (ალბათ ძლიერი იგულისხმება ამ მეორეში, ი. ც.) მას შეეხება, ამ უკანასკნელს ჰკლავენ“. რუბრუკვისი აქვე აღნიშნავს, რომ სასამართლოში არ გამოცხადება არ შეუძლია არავის თუკი მას უჩივიან. არ ჩანს, ამ წყაროში, მოსამართლეს გასამრჯელოს სახელმწიფო უხდის თუ ჯარიმებიდან აუნაზღაურდება შრომა[1].

ჩინგიზ-ყაენს სამოქალაქო მმართველობის უფროსიც ჰყოლია, რომელსაც „ტ ა ი შ ი“ თუ „დაიში“ ეწოდებოდა. ეს სიტყვა ჩინელებისაგან ნასესხები ჩანს. ჩინგიზის დროს „ტაიში“ ეწოდებოდა მონღოლეთის იმპერატორის წარმომადგენელს ჩინეთში, რომელიც სამოქალაქო საქმეებს განაგებდა ახლად დაპყრობილ ჩინეთში[2].

მონღოლეთის იმპერატორს მდივნები ჰყოლია, პლანო კარპინის თხზულებიდან ჩანს, რომ ორი მდივანი პირველ მდივნად ითვლებოდა. პ. კარპინი წერს ერთგან: „იმ ადგილზე, სადაც იმპერატორი ტახტზე იქნა აყვანილი, ჩვენ მასთან მიგვიწვიეს. როცა მისმა პ ი რ ვ ე ლ მ ა მ დ ი ვ ა ნ მ ა ჩ ი ნ გ ა ი მ ჩასწერა, როგორც ჩვენი, აგრეთვე ჩვენი წარმოგზავნილების სახელები... მან სია ხმამაღლა წაიკითხა იმპერატორისა და ყველა მთავრობის წინაშე...“[3] პლანო კარპინი ასახელებს პირველი კატეგორიის მეორე მდივანსაც, მას ბ ა ლ ა რქმევია. სხვა მწერლებიც მრავალი ჰყოლია იმპერატორს. იმპერატორს თავის სახელმწიფოს მმართველის თანამდებობაც ჰქო-

---

[1] მასალები საქართველოსა და კავკ. ისტ., 1942, ნაკვ. V, გვ. 30.

[2] В. Бартольд. დასახ. ნაშრ., გვ. 421.

[3] მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. II, 1942 წ., გვ. 57.

ნია, იგი საფიქრებელია იმპერიის კანცლერი იყო, მას კადაკი რქმევია სახელად. პლანო კარპინი წერს: „რამდენიმე დღის შემდეგ ბრძანება გასცა ხელახლა დაეეძახნეთ და მთელი თავისი სახელმწიფოს მმართველის კადაკის პირით, რომელთანაც პირველი მდივნები ბალა და ჩინგაი და სხვა მრავალი მწერალი იყვნენ, შემოგვითვალა, რომ ჩვენ ყოველი სიტყვა გაგვემეორებინა“ [1].

იმპერატორს 1206 წლის შემდეგ სახელმწიფო ბეჭედიც გაუჩენია უიღური მოხელის რჩევით. ბეჭედი ორი სახის ყოფილა: ერთს „ალთამღა“, რაც წითელ ბეჭედს ნიშნავდა, მეორე ბეჭედს „ქიოქ თამღა“ ეწოდებოდა და ლურჯ ბეჭედს ნიშნავდა. ეს ტერმინები თურქულია. წითელი ბეჭედი ხშირად იხმარებოდა. ლურჯი კი საგანგებო შემთხვევებში, განსაკუთრებით დაასვამდნენ იმ საბუთზე რომელიც იმპერიის დინასტიის რომელიმე წარმომადგენლის მისამართით იყო გასაგზავნი [2].

რუბრუკვისის მოგზაურობის აღწერილობის ერთი ადგილიდან საფიქრებელი ხდება, რომ იპერატორის კარზე უნდა არსებულიყო მოხელე, რომელსაც დესპანების მიღება უნდა ჰქონოდა დავალებული. რუბრუკვისი წერს, რომ, როდესაც მან ბათო ყაენის შვილის სარტახის რეზიდენციამდე მიაღწია, რომელიც სამი დღის სავალი მანძილით იყო დაშორებული მდ. ვოლგას, „მეგზურმა მიმართა ერთ ნესტორიანელს, სახელად კოიაკს, რომელიც დიდი კარისკაცი იყო. მან შორს გაგვაგზავნა, ერთ მოხელესთან, რომელსაც „იამიამს“ უწოდებენ (ასე ეძახიან მოხელეს, რომელსაც დესპანების მიღება აქვს დაკისრებული...). ჩვენ წარვუდექით ამ მოხელეს და ფეხზე დავდექით მის წინაშე, ის კი ბრწყინვალე გარემოცვაში იჯდა და გიტარას უკრავდა, ხოლო მის გარშემო ცეკვავდნენ“ [3]. მართალია, „იამიამი“ ბათო ყაენის შვილის სარტახის კარზე იყო ელჩების მიმღებად, მაგრამ ასეთი თანამდებობის კაცი დიდ ყაენსაც უნდა ჰყოლოდა, რადგანაც ჩინგიზის შთამომავლობას თავიანთ საბრძანებელში სამმართველო კარი ყაენის კარის მსგავსად ჰქონდა მოწყობილი. „იამიამის“ თანამდებობა სარტახის შემოღებული არ შეიძლებოდა ყოფილიყო. როგორც რუბრუკვისის ცნობიდან ჩანს ის „იამიამი“, რომელმაც რუბრუკ-

---

[1] მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. II, 1942 წ, გვ. 60.

[2] В. Бартольд, დასახელებული ნაშრომი, გვ. 416.

[3] მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. V, 1942 წ., გვ. 47.

ერსი მიიღო, უბრალო კაცი არ ყოფილა. მაშ „იამიამობა“ საპატიო თანამდებობა უნდა ყოფილიყო დიდი ყაენის კარზედაც, სადაც აუარებელი უცხო ქვეყნის წარმომადგენლები იყრიდნენ თავს, რომელთაც ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ თვეების განმავლობაში უხდებოდათ იმპერატორის სარეზიდენციო ქალაქში ცხოვრება.

მონღოლთა დაპყრობების დამთავრების შემდეგ, ამ უზარმაზარ იმპერიას ცენტრი ისევ შორეულ აღმოსავლეთში ჰქონდა. იმპერიის ცენტრს პერიფერიებთან კავშირგაბმულობა უნდა მოეწესრიგებინა, სხვარიგად იმპერიის მართვა შეუძლებელი იქნებოდა. მონღოლებს ეს საქმე იმ დროის შესაფერისად კარგად ჰქონიათ მოწესრიგებული. მცირე აზიიდან მოკიდებული ირანით შუა-აზიაზე გადავლით ყარაყორუმამდე (მონღოლეთის იმპერიის ცენტრამდე), რუსეთიდან ვოლგაზე გადასვლით შორეულ აღმოსავლეთამდე საიმპერიო გზები იყო და ამ უზარმაზარ გზებზე სადგურები ყოფილა მოწყობილი, სადაც დასვენებული ცხენები, ღამის გასათევი, სასმელი წყალი და საჭმელი იყო მომარაგებული. სადგურებს თავისი მსახურები ჰყავდა. ევროპიდან მომავალი პლანო კარპინი ერთგან წერს: „კომანიაში (სამხრეთი რუსეთის ტერიტორიაა. მაშინ ყივჩაყეთად იყო წოდებული ანუ კომანიად, ყივჩაყებს კომანებიც ეწოდებოდა) ჩვენ დიდი სისწრაფით ვმოგზაურობდით, ვინაიდან ცხენებს დღეში ხუთჯერ და ხანდახან მეტჯერაც ვიცვლიდით, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა უდაბურ ადგილებზე მივდიოდით, მაშინ ჩვენ საუკეთესო ულონიერეს ცხენებს ვღებულობდით, რომელთაც შეეძლოთ ხანგრძლივი ჯაფა აეტანათ გამოუცვლელად. ამრიგად ვიმოგზაურეთ დიდი მარხვის დაწყებიდან აღდგომის კვირის დასრულებამდე... მთელი გზა ჩვენ დიდი სისწრაფით განვვლეთ, იმიტომ რომ ჩვენს თათრებს ნაბრძანები ჰქონდათ, რაც შეიძლება ჩქარა მიევყვანეთ იმ ადგილას, სადაც უკვე რამდენიმე წლის წინათ საზეიმო ყრილობა იყო დანიშნული ამ იმპერატორის ასარჩევად. ამიტომ ადრე ვდგებოდით და საღამომდე უჭმელი ვმოგზაურობდით, ხშირად ღამის გასათევ სადგურზე ისე გვიან მივდიოდით, რომ უვახშმოდ ვრჩებოდით და საღამოს კერძი მხოლოდ მეორე დილით გვეძლეოდა. ცხენებს სრულიად არ ვზოგავდით. ხშირად დღისით ახალ ცხენებს ვღებულობდით, ხოლო ღონეგამოცლილთ უკან ვაბრუნებდით. ამრიგად, რაც ძალი და ღონე გვქონდა წინ მივჰქონდით“[1].

თავდაპირველად (ე. ი. როცა ამ ქვეყნების დაპყრობა მონღოლებს ახალი დასრულებული ჰქონდათ) პლანო კარპინის მიერ გავლილი

[1] მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, II ნაკვ. 1942 წ., გვ. გვ. 52—54.

ტრასა მონღოლებს კარგად მოწესრიგებული არ ჰქონიათ და ყარაყორუმისაკენ მიმავალი მგზავრები იღუპებოდნენ კიდეც. იგივე პლანო კარპინი გვაუწყებს, რომ, როცა ის და მისი მხლებლები „კანგიტების“ ქვეყანაში შესულან, „რომელიც მრავალ ადგილას მოკლებულია წყალს და ამ უწყლობის გამო ნაკლებ დასახლებულია... რუსეთის მთავრის იაროსლავის კაცებიდან, რომელნიც თათრების ქვეყანაში მიდიოდნენ ამ ტრამალის გზით, მრავალი დაიხოცა წყურვილით. ისევე, როგორც კომანთა ქვეყანაში, აქაც გზათ მრავალი მიცვალებული ადამიანის თავის ქალები და ძვლები ენახეთ, მიწაზე დაყრილი ნაკელის მსგავსად“[1].

მოგზაურობის შესახებ საყურადღებო ცნობები აქვს დაცული რუბრუკვისსაც, რომელსაც მონღოლებივით ცხენოსნობა გაუჭირდა და ჩივის დამქანცავი მოგზაურობის გამო[2].

გზებზე მოწყობილ სადგურებს „ი ა მ ი“ ეწოდებოდა მონღოლურად. ამ სადგურების შესანახად გადასახადი იყო გაწერილი დაპყრობილ სახელმწიფოში. მას ქართული წყაროებიც „ს ა ი ა მ ო გ ა დ ა ს ა ხ ა დ ს“ უწოდებენ. ამიტომ მართებული იქნება კითხვის დაყენება — „ი ა მ ი ა მ ი ს“ გამგებლობაში ხომ არ ყოფილა იმპერიის საფოსტო გზებიც და მისი სადგურები?

როგორც აღვნიშნეთ, მონღოლთა ყაენი განუსაზღვრელი უფლების მქონე მონარქი იყო, მაგრამ იმპერატორის ტახტზე ასვლა უბრალო მემკვიდრეობის წესით არ ხდებოდა. ჩინგიზ-ყაენის შთამომავალთაგან „ა ლ თ ა ნ უ რ უ ღ ი დ ა ნ“ (ოქროს გვარიდან) ერთ-ერთი იმპერიის მბრძანებელი „ყ ა ე ნ ი“ ხდებოდა, რომელსაც „ყურულტაიზე“ ანუ „ყურილთაიზე“ აირჩევდნენ. დანარჩენი მამრობითი სქესის უფლისწულები ანუ მეფისწულები „ქ ი ო ბ ე გ ი უ ნ ე ბ ი“ ღებულობენ საუფლისწულოებს — ულუსებს[3].

რას წარმოადგენდა „ყ უ რ უ ლ ტ ა ი“. ყურულტაი არის ჩინგიზის შთამომავალი ყაენების, მათი შვილების, აგრეთვე მაღალი თანამდებობის არისტოკრატიის წარმომადგენელთა და მათი ცოლების ყრილობა. ყრილობა იკრიბებოდა ყაენის ასარჩევად, დიდი ლაშქრობების წინ, დაპყრობილ ტერიტორიების გასანაწილებლად და სხვ. ყრილობების დღის წესრიგი სისრულით ჩვენ არ ვიცით. ყურულტაიზე დამსწრე ბატონიშვილებს - შორის დაჯგუფებები ყოფილა, თითოეულს თავისი კანდიდატი ჰყოლია და მათ გასამარჯვებლად

---

1 მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. II, 1942 წ., გვ. 52.

2 იქვე, ნაკვ. V, 1942 წ., გვ. 66.

3 Б. Я. Владимирцов, Общественный строй монголов..., გვ. 99.

მოქმედებდნენ. არ ჩანს რა წესით მიმდინარეობდა ყრილობის სხდომები და რის მიხედვით წყდებოდა კანდიდატის გამარჯვების საკითხი. რაშიდ-ად-დინი მოგვითხრობს, თუ როგორ იქნა არჩეული მანგუ-ყაენი. ჩინგიზის შვილების, ძმების, ჯუჩის და თულუის ოჯახები (შთამომავლობა) ერთად გამოვიდნენ მათივე ღვიძლი ძმების უგედეს და ჩაღათას შთამომავლების წინააღმდეგ. მთავარ როლს ამ დაჯგუფებაში ბათუ-ყაენი ასრულებდა (ჯუჩის შვილი). ბათუ მხარს უჭერდა თულის შვილის მენგუს (მანგუ—მუნკე) კანდიდატურას საიმპერატორო ტახტის დასაკავებლად. ბათუს მხარს უჭერდა აგრეთვე დიდი გავლენის მქონე მისი ძმა ბერქე. ბერქე წავიდა მონღოლეთში (ოქროს ურდოდან) ყურულტაიზე მონაწილეობის მისაღებად. ბათუს თურმე დიდი-ყურულტაის შეკრება შორეულ აღმოსავლეთში კი არ უნდოდა მომხდარიყო, არამედ ყიჩაყეთში (ე. წ. დეშტი-ყიფჩაყ-ში). ეს ტერიტორია ჯუჩის, ბათუს მამის (ჩინგიზის უფროსი ვაჟის) ულუსად ითვლებოდა. ეს ადგილის შემთხვევითი არჩევანი არ ყოფილა, ბათუს მისი ურდოს ავტორიტეტის აწევა სურდა, და რაც მთავარია, ყურულტაის მუშაობის თავის სურვილისამებრ წარმართვა. აქ მას მეტი საშუალება ექნებოდა ყრილობის წევრების მიმხრობის — საგანგებო პირობების შექმნით, საჩუქრებითა და სხვა დაპირებებით. უგედესა და ჩაღათას ნაშიერები დაჟინებით მოითხოვდნენ ყრილობის მოწვევას ტრადიციულ ადგილას მდინარე კერულენის (კელურენის) ნაპირას, სადაც ძველიდანვე ჩინგიზ-ყაენის ბანაკი (ურდო) იდგა. დიდი დავის შემდეგ, გავლენიანი ნოინების დახმარებით ბათოს წინადადება უარყოფილ იქნა და ყურულტაი ყარაყორუმში მოიწვიეს, მაგრამ იმპერატორად ბათოს სასურველი კანდიდატურა გავიდა, მენგუ გაყაენდა[1]. მაშასადამე, „ყურულტაი" უბრალო საზეიმო შეკრებილობა არ იყო; იგი იმპერიის უმნიშვნელოვანეს საკითხებს წყვეტდა. შედარებით გართულების გარეშე უნდა არჩეული ყოფილიყო იმპერატორად ჩინგიზის შვილი უგედე („ოქოთა"), რადგანაც მისი კანდიდატურა თვით ჩინგიზ-ყაენმა წამოაყენა თურმე. უგედე ყაენის დროს ყურულტაი არა ერთხელ შეკრებილა დაპყრობების დაწყების წინ. საინტერესოდ აქვს აღწერილი ყურულტაის შეკრება პლანო კარპინს. იგი დაესწრო გუიუქის იმპერატორად არჩევას და თვითმხილველი შეიქნა ყრილობის შეკრების. ზედმეტი არ იქნება მისი აღწერილობა აქვე მოვიტანოთ: „როცა ჩვენ გუიუქთან მივედით, მან ბრძა-

---

[1] Б. Д. Греков, А. Ю. Якубовский. Золотая Орда и ее падение, 1950, გვ. გვ. 122 — 123.

ნება გასცა, ჩვენთვის კარავი და სურსათი მოეცათ, როგორსაც ჩვეულებრივ თათრები იძლევიან... მასთან კი არ მივუწევევივართ იმიტომ, რომ ის ჯერ იმპერატორად არჩეული არ იყო და არავის ღებულობდა მართვა-გამგეობის საქმეების გამო... მას შემდეგ, რაც ჩვენ იქ ხუთი თუ ექვსი დღე დავყავით, მან თავის დედასთან გაგვაგზავნა, სადაც საზეიმო კრება იყრიდა თავს. როცა იქ მივედით, ისეთი უზარმაზარი კარავი დავინახეთ, თეთრი პორფირიდან გაკეთებული, რომ, ჩვენი აზრით, მასში ორი ათას კაცზე მეტი დაეტეოდა; მის გარშემო შემოვლებული იყო ფიცრის ღობე, რომელიც სხვადასხვა გამოხატულებით იყო აჭრელებული. ამრიგად, ჩვენ მცველებად დაყენებულ თათრებთან ერთად მივედით იქ, სადაც თათართა ყველა მხედართმთავრები შეიკრიბნენ; თითოეული მათგანი თავისი კაცებითურთ გარშემო დანავარდობდა ველებსა და გორაკებზე. პირველ დღეს მათ ყველას თეთრი პორფირი ეცვა, ხოლო მეორე დღეს — წითელი. მაშინ გუიუქიც მოვიდა ამ კარავთან. მესამე დღეს ყველანი ცისფერ პორფირში იყვნენ გამოწყობილი, ხოლო მეოთხე დღეს საუკეთესო ბალდაკინში. ზემოხსენებულ ღობეს კი ორი დიდი ჭიშკარი ჰქონდა: ერთს მათგანში მხოლოდ იმპერატორს შეეძლო შესვლა და თუმცა ის ღებული იყო, იქ გუშაგები არ იდგნენ, ვინაიდან არავის შეეძლო ამ ჭიშკარში შესვლა-გამოსვლა. მეორე ჭიშკარში ყველა შედიოდა, ვისაც ამის ნებართვა ჰქონდა და იქ ყარაული იდგა დაშნებით, მშვილდებით და ისრებით... იქ მრავალი იყო ისეთი, რომელთაც აღვირსა, რახტსა, უნაგირსა და თოქალთოზე, ჩვენი ანგარიშით, თითქმის ოცი მარკის ოქრო ჰქონდა.

კარავში თავმოყრილი მხედართმთავრები, როგორც ეტყობოდა, იმპერატორის არჩევაზე თათბირობდნენ. დანარჩენი ხალხი კი გარეთ იყო მოთავსებული, მოშორებით ღობიდან. ამრიგად ისინი დარჩნენ თითქმის შუადღემდე, შემდეგ კი დაიწყეს ცხენის რძის სმა და საღამომდე იმდენი დალიეს, რომ მათი ცქერა გაოცებას იწვევდა... ღობის გარეთ იყვნენ რუსი მთავარი იაროსლავ სუზდალელი (ალექსანდრე ნეველის მამა, ი. ც.), მრავალი ჩინელი და სოლანგელი მთავარი, აგრეთვე ორი ქართველი უფლისწული (დავით ლაშა გიორგის-ძე და დავით ნარინი რუსუდანის-ძე, ი. ც.)... მმართველებმა ჩვენ გვითხრეს, რომ იქ იყო ოთხი ათას კაცზე მეტი ელჩი იმათგან, ვინც ხარკს იხდიდა ან საჩუქარს გზავნიდა, აგრეთვე, სულთანები და მთავრები, რომელნიც თვით მოვიდნენ დასამორჩილებლად, შემდეგ ისეთები, რომელთაც თათრებმა გამოუძახეს ან

რომელნიც ქვეყნის გამგებად იყვნენ. ისინი ყველანი აგრეთვე ლობის გარეთ იდგნენ და ყველას სასმელს თავაზობდნენ"[1].

პლანო კარპინი თვით ყურულტაის სხდომას არ დასწრებია, იგი სასახლის ღობის გარეთ იყო სხვა სტუმრებთან ერთად და ამდენად მან არ იცის რა წესით მიმდინარეობდა ყრილობის მუშაობა. კარპინი მხოლოდ ცერემონიალის აღწერილობას იძლევა. ამ ცერემონიალის შესახებ სომეხი ისტორიკოსი მალაქიაც გვაწვდის ცნობას[2]. ყურულტაი ერთი თვის განმავლობაში იყო შეკრებილი და შემდეგ იშლებოდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყურულტაი მარტო საიმპერიო კი არ იკრიბებოდა. შემდეგში ყველა მონღოლურ სახელმწიფოში იკრიბებოდა თავისი ყურულტაი. იგივე სომეხი ისტორიკოსი წერს, რომ: „ჰულაყუ ყაენის გარდაცვალებიდან ერთი წლის გასვლის შემდეგ მოწვეულ იქნა დიდი ყურულტაი, რომელმაც ყაენის ტახტზე აბაღა აიყვანა — ჰულაყუს უფროსი ვაჟიშვილიო"[3]. ჰულაყუ სპარსეთის ყაენი იყო, რომელიც 1264 წელს გარდაიცვალა. ისე რომ ყურულტაის იწვევდა თავის სამფლობელოში ყოველი ყაენი, იმპერიის დაქუცმაცების შემდეგ· მენგუ-ყაენის სიკვდილის შემდეგ კი (1259 წლის შემდეგ) სრულიად მონღოლეთის ყურულტაი, რომლის გადაწყვეტილებები ყოველი ულუსისათვის სახელმძღვანელო და სავალდებულო იყო, აღარ იკრიბებოდა. დამოუკიდებელი ხელისუფლები შეიქნენ ჩინგიზის შთამომავალნი ოქროს ურდოში, ირანში და სხვ., რომელნიც იმპერიის ცენტრს აღარ ემორჩილებოდნენ[4].

ყურულტაის გარეშე, მე-13 საუკუნის პირველი ნახევრის ცნობებით, ყაენი ტახტზე ვერ დაჯდებოდა. პლანო კარპინის ერთგან აღნიშნული აქვს: „...თუ ვინმე გაამაყდა და იმპერატორად გახდომა მოინდომა თვითნებურად, მთავრების არჩევნების გარეშე, ის შეუბრალებლად მოკლულ უნდა იქნეს. ამიტომ ახლანდელი გუიუქ ხანის არჩევამდე ერთი მთავარი, ჩინგიზ-ყაენის შვილიშვილი, მოკლული იქნა იმიტომ, რომ მას უარჩევნოდ უნდოდა მეფობა"-ო[5].

---

1 მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1942 წ., ნაკვ. II, გვ· გვ· 55—56.

2 К. П. Патканов, История монголов по армянским источникам, вып. I, გვ· 16.

3 Б. Д. Греков, А. Ю. Якубовский, Золотая Орда и ее падение, 1950, გვ· 125.

4 იქვე, გვ· 123.

5 მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, II, 1942 წ., გვ· 26.

მაგრამ მასალებიდან არ ჩანს, შეეძლო თუ არა ყურულტაის მათ მიერ არჩეული ყაენის გადაყენება. ყურულტაის შეკრების დადგენილი ვადა წყაროების უმრავლესობაში არ ჩანს. ვიცით, რომ იგი იკრიბებოდა ყაენის განკარგულებით არა მარტო იმპერატორის ასარჩევად, არამედ საგარეო პოლიტიკის საკითხების გადასაწყვეტადაც. სომეხი ისტორიკოსი მალაქია წერს, რომ მენგუ ყაენმა, სანამ ჰულაყუ ყაენს ირანის დასაპყრობად გაგზავნიდა, ყურულტაის მოწვევა გადაწყვიტაო: „იარაღუჩი მოვიდა რა ადგილზე, მენგუ-ყაენის ბრძანების თანახმად მოიწვიეს ყურულტაი, სადაც მოიწვიეს ყველა წინამძღოლი, რომელიც ჰულაყუსთან ერთად მოვიდნენ“ [1].

ზოგჯერ კი საკითხები ერთად იყრიდა თავს და ყურულტაი იკრიბებოდა იმპერატორის ასარჩევად და სხვა მიმდინარე საკითხების გადასაწყვეტადაც. მაშასადამე, ისე გამოდის, რომ ყურულტაი საჭიროების მიხედვით იკრიბება, შეიძლებოდა წლის განმავლობაში რამდენიმეჯერ შეკრებილიყო, შეიძლება ერთხელაც არა. მაგრამ ქართველ ისტორიკოსს ერთგან საინტერესო ცნობა აქვს დაცული. იგი წერს, რომ ჩინგიზ-ყაენმა თავისი ოთხი შვილი იმპერიის სხვადასხვა ნაწილში განაწესა ყაენებად „და ამცნო რათა წელიწადსა შინა ერთ-გზის ოქროფას (ოქოთას—უგედეს) მიმართ მოვიდოდნენ უხუცესნი ძმანი მისნი, ყურნუთის საქნელად. ამისთვის რამეთუ ტახტი ოქროფას მისცა“-ო [2].

აქ, როგორც ვხედავთ, ყურულტაის შეკრება წელიწადში ერთხელ დადგენილია ჩინგიზ-ყაენის მიერ. უფროსი ძმები უგედეყაენის კარზე წელიწადში ერთხელ გამოცხადდებიან თავიანთი დიდებულებით, ე. ი. ყურულტაი შეიკრიბება. არ ვიცით საიდან აქვს აღებული ქართველ ისტორიკოსს ეს ცნობა, მაგრამ იგი მისი შეთხზული არ შეიძლება იყოს. ასეა თუ ისე, მონღოლთა იმპერატორები მნიშვნელოვან საკითხებს ერთპიროვნულად არ სწყვეტდნენ პირველ ხანებში. ყურულტაი ერთგვარად ზღუდავდა ალბათ მონღოლთა მბრძანებლებს. მონღოლეთის სახელმწიფო აპარატი, რაც დრო გადიოდა, ალბათ უფრო რთულდებოდა. ამა თუ იმ თანამდებობის ფუნქციები ზუსტდებოდა და ახალი თანამდებობანი იქმნებოდა.

---

[1] ციტირებულია გრეკოვისა და იაკუბოვსკის დასახ. ნაშრომიდან გვ. 124.

[2] ქართლის ცხოვრება, II, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 520.

# მონღოლთა დაპყრობები

## ჩინეთის დაპყრობა

მონღოლების შესახებ არავითარი ცნობა არ ჰქონიათ მე-13 საუკუნის ოციან წლებამდე არც ირანელებს, არც ქართველებს, არც სომხებს და არც რუსებს. წყაროები ერთხმად აღნიშნავენ, რომ მონღოლთა შემოსევამდე მონღოლების არსებობის შესახებ არაფერი ვიცოდითო. ქართველი ისტორიკოსი წერს: „ქუეყანასა მზისა აღმოსავლეთისასა, კერძოსა, რომელსა ეწოდების ჩინმაჩინი, გამოჩნდეს კაცნი ვინმე საკვირველნი, ადგილსა ყარყურუმად წოდებულსა, უცხო და უცხო სახითა, წესითა, ქცევითა და შესახედავითა. რამეთუ არცა ძველთა წიგნთა შინა სადამე იპოვების ამბავი მათი"[1]. რუსი მემატიანეც წერს 1224 წლის ქვეშ მოთხრობილ ამბებს შორის: «Том же лете, по грехом нашим, придоша языци незнаемы, их же добре никтоже не весть: кто суть, и отколе изидата, и что язык их, и которого племене суть, и что вера их; а зовут их татары... Бог един весть, кто суть и отколе изодоша... сде вписахом о них памяти... слышахом бо, яко многы страны поплениша, ясы, обезы, касоги и половчь безбожных множество избиша»[2].

კულტურულ სახელმწიფოთაგან მხოლოდ ჩინელებმა იცოდნენ მონღოლების არსებობა და უშუალო ურთიერთობა ჰქონიათ მათთან საუკუნეთა მანძილზე. მონღოლთა ტომებისაგან თავდასაცავად იქნა აგებული ცნობილი დიდი ჩინეთის კედელი —ზღუდე. მე-13

[1] ქართლის ცხოვრება, II, ს. ყიყინაძის გამოცემა, გვ. 499.

[2] Новгородская летопись по синодальному сп. изд. арх. комиссии, 1888 г., გვ. 215.

საუკუნის დასაწყისამდე ჩინეთის მეფეები შედარებით ადვილად ახერხებდნენ მონღოლთა ტომებისაგან ქვეყნის დაცვას. მათი ერთი საუკეთესო ხერხთაგანი იყო მონღოლთა ტომების ერთიმეორეზე წაკიდება და ეს ხერხი კარგახანს სჭრიდა.

მაგრამ იმის შემდეგ, რაც ჩინგიზ-ყაენმა მონღოლთა ტომები დაიმორჩილა და მისი ხელისუფლების ქვეშ გააერთიანა, ჩინეთისაკენ სალაშქროდ მოემზადა და 1211 წელს ჩინეთის საზღვრებში შეიჭრა. რაშიდ-ად-დინის ცნობით, ჩინგიზს თავის ლაშქრის ერთი ნაწილი მონღოლეთში დაუტოვებია, რათა ძალით დამორჩილებულ მონღოლთა ტომებს, ჩინგიზის ჩინეთში ლაშქრობის დროს, აჯანყება არ მოეწყოთ [1]. მონღოლთა იმპერატორს თავისი ვაჟიშვილებიც ჯოჩი, ჩაღათა და უგედე თან წაუყვანია და თავისი ლაშქრის ცალკეული ნაწილების სარდლობა დაუვალებია, აქვე სარდლობდა ჩინგიზის ცნობილი სარდალი ჯებეც.

საკმაოდ ცნობილია, რომ ჩინეთი იმ დროისათვის მაღალი კულტურის ქვეყანა იყო, მსოფლიო მას იცნობდა, როგორც ყოველ დარგში დაწინაურებულ ქვეყანას, ჩინური სიბრძნე მაშინდელ კულტურულ სამყაროში საყოველთაოდ ცნობილი იყო. შესანიშნავი არქიტექტურული ძეგლებით შემკული, მრავალრიცხოვანი მცხოვრებლებით, მაშინდელ ტექნიკის შესაფერისად ციხე-ზღუდეებით კარგად გამაგრებული ქალაქები ჰქონდა ჩინეთს. ჩინური ქალაქების სიმდიდრის სახელი შორს იყო გავარდნილი, ისე რომ ძარცვა და რბევას დაჩვეული ჩინეთის მეზობლები — ახლობელი და შორებელი — ჩინეთში შეჭრაზე ოცნებობდნენ. სწორედ იმ დროს, როცა მონღოლები ჩინგიზის მეთაურობით ჩინეთს დაესხნენ თავს, შუა აზიის მფლობელი ჩინეთზე გასალაშქრებლად ემზადებოდა და აღარ დასცალდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთი იმ დროსაც მაღალი კულტურის სახელმწიფო იყო ჩინგიზ-ყაენმა შედარებით ადვილად დაიმორჩილა. რაშიდ-ად-დინის ცნობით, ჩინელებს სასტიკი ბრძოლები გადაუხდიათ, მაგრამ გამარჯვება მაინც მონღოლებს დარჩათ. ჩინელების მარცხის ორი ძირითადი მიზეზი კარგად მოჩანს რადიშ-ად-დინის თხზულებაში. ერთგან, მაგ., მას აღწერილი აქვს, თუ როგორ აიღეს მონღოლებმა აღმოსავლეთ ჩინეთის სატახტო ქალაქი ტუნ-კინ (ჩინურად დუნ-ცზინი). იგი წერს: „იმავე შემოდგომაზე (1211 წ.) მან (ჩინგიზ-ყაენმა) გაგზავნა ჯებე ქალაქ ტუნ-კინზე სალაშქროდ, იგი ჯურჯეს პროვინციის უზარმაზარი ქალაქია. როცა ჯებემ ამ ადგილამდე მიაღწია, ქალაქის გარე-

1 Рашид-ад-дин, Сборник летописей, изд. I, книга II, 1952 г., გვ. 163.

შოცვა კი არ ისურვა, არამედ უკან გამობრუნდა და ნელა დაიწყო უკან დახევა, სვენებ-სვენებით, ისე რომ მათი დასვენების ადგილებიდან იმ ქალაქამდე ამბავი მიდიოდა ვითომც და (მონღოლების) ჯარი საერთოდ არ ფიქრობდა ამ ქალაქის აღებას და მას დიდი მანძილით დაშორდა. იმის შემდეგ, რაც ჯებემ (და მისმა ლაშქარმა) 50 ფარსანგი გაიარა, ხოლო ქალაქის (ტუნ-კინის) მოსახლეობა დარწმუნდა იმაში, რომ (მონღოლთა) ლაშქარი წავიდა, მან (ჯებემ) დატოვა თავისი საბარგულები, გამოარჩია სწრაფი ცხენები და გაემართა ისევ იმ ქალაქისაკენ დღითა და ღამით ცხენების ჰენებით ისე, რომ ქალაქს სრულიად მოულოდნელად მიადგა და აიღო იგი"[1].

მოტანილი ტექსტიდან აშკარად ჩანს, რომ მონღოლები ჩინელებისათვის სრულიად უცნობი სამხედრო მზაკვრული ხერხით იბრძოდნენ.

პლანო კარპინიც ერთგან მონღოლების ზემოთ აღწერილ სამხედრო ხერხის შესახებ წერს: „...ათი და თორმეტი დღის სავალზე იხევენ და ხანდახან უშიშარ ადგილას ჩერდებიან სანამ მტრის ჯარი არ დაიშლება; მაშინ მოულოდნელად ჩნდებიან და მთელ ქვეყანას აოხრებენ. ომებში მეტად მზაკვარნი არიან, ვინაიდან სხვა ხალხებს ორმოც წელზე მეტს ებრძვიანო"[2].

მეორე გარემოება, რამაც მონღოლებს ჩინეთის დიდი ნაწილის დაპყრობა გაუადვილა და რაზედაც რაშიდ-ად-დინი საგანგებოდ ჩერდება, ეს არის ჩინელი ფეოდალების ძალთა გაუერთიანებლობა და შინაგანი წინააღმდეგობა. არა ერთი ფაქტი აქვს აღწერილი რაშიდ-ად-დინს, როცა ჩინელი ფეოდალი თავის იმპერატორს ღალატობს და ჩინგიზის მხარეზე გადადის. რაშიდ-ად-დინი ერთგან აღნიშნავს, რომ ჩინეთის იმპერატორი მტკიცე მოწინააღმდეგე იყო ჩინგიზ-ყაენისო, მაგრამ: „მისი ემირები და ხალხი მერყეობდნენ, ხან ერთ მხარეს მიენდობოდნენ, ხან მეორეს... თვითეული ემირი ისევე, როგორც საუფლისწულოების მეფეები იყვნენ, დამოუკიდებელი ხელმწიფეები ხდებოდნენ რომელიმე სამფლობელოსი"[3].

როგორც ვხედავთ, ასეთ ვითარებაში ჩინეთის დაპყრობა სავსებით გასაგები ხდება. 1215 წელს მონღოლებმა პეკინი აიღეს და

---

1 Рашид-ад-дин, Сборник летописей, т. I, кн. II, 1952, გვ. 165.

2 მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1942, II ნაკვ., გვ. 33.

3 Рашид-ад-дин, Сборник летописей, т. 1, кн. II, 1952, გვ. გვ. 172—173.

1216 წლამდე ჩინგიზ-ყაენი ჩინეთში იმყოფებოდა და დაპყრობილ პროვინციებში მმართველობის თავის წესებს ამყარებდა.

მონღოლების მიერ ჩინეთის დაპყრობის შესახებ მოკლე ცნობა მოეპოვება ქართველ ისტორიკოსსაც. ჟამთააღმწერელი ერთგან წერს: „ხოლო იქმნა რა (ჩინგიზი) ყაენად. მივიდა ხატაეთს. ებრძოლა ხატაეთის ხელმწიფესა, არსლან-ხანსა ზედა, და სძლო, ესრეთქელთ-იგდო, რომელ ორ-ასათასი კაცი მოაკუდინა არსლან-ახანისა, ამისმან მცნობელმან არსლან-ხან, სახლსა შინა შესრულმან, ცოლით და შვილითურთ, ცეცხლისა მოდება უბრძანა მსახურთა თვისთა, რომელთა ჰყვეს ეგრეთ, და დაიწვა არსლან ხან დედა-წულითურთ ცეცხლსა მას შინა და შევიდა ჩინგიზ ყაენი და დაჯდა ტახტსა მის ზედა, და დაიპყრა ხატაეთი...“[1].

ქართველ ისტორიკოსს ჩინეთის იმპერატორის სახელი სწორად მოხსენებული არა აქვს, მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს შეცდომა მარტო ქართველი ისტორიკოსისათვის არ ყოფილა დამახასიათებელი. რაშიდ-ად-დინი ერთგან აღნიშნავს, რომ ჩინეთის ის იმპერატორი, რომელიც ჩინგიზ-ყაენს ებრძოდა თავისი ჯარებით, დაი-კამ-ვან აგუდეს შთამომავალიაო: „ამ აგუდეს მონღოლები ჰაყუტაის ეძახიან, ხოლო ყველა ჩინეთის ხელმწიფეს, რომელიც ამ ჰაყუტაის მოდგმისაა, მონღოლეთში ალტან-ხანს უწოდებენ. სახელი უკანასკნელ ალტან-ხანისა, რომელიც ჩინგიზ-ყაენს და უგედე-ყაენს ებრძოდა, ს უ ს ე ა“[2]. ჩინგიზის დროის ჩინეთის იმპერატორის სახელი ჩინურად ი უ ნ-ც ზ ი ყოფილა. მაგრამ მონღოლურ წყაროში ამ იმპერატორს ალტან-ხანს უწოდებენ. მონღოლების ზეგავლენით რაშიდ-ად-დინიც ა ლ ტ ა ნ-ხ ა ნ ს უ წ ო დ ე ბ ს ჩ ი ნ ე თ ი ს უ კ ა ნ ა ს კ ნ ე ლ ი მ პ ე რ ა ტ ო რ ს, რომელიც მონღოლებმა დაღუპეს. თუმცა, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, რაშიდ-ად-დინმა კარგად იცის, რომ „ალტან-ხანი“ ჩინეთის იმპერატორის სახელი არ იყო. ამიტომ საფიქრებელია, რომ ქართველ ისტორიკოსს რომ ჩინეთის იმპერატორად არსლან-ხანი ჰყავს მოხსენებული, მონღოლური ძეგლების ალტან-ხანი უნდა იყოს.

ქართველი ისტორიკოსი არც ჩინეთში დახოცილთა რიცხვის დასახელებაში უნდა აჭარბებდეს რაიმეს. რაშიდ-ად-დინი წერს: „მონღოლების ლაშქარმა, მიუხედავად მცირერიცხოვანობისა სწრაფად დაამარცხა ჩინელების, ყარაჩინელებისა და ჯურჯეს ლაშქრები. მონღოლებმა ისინი იმოდენი გაჟლიტეს, რომ ველები ჰყარდა“[3]. ის-

[1] ქართლის ცხოვრება, II, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 503.

[2] Р а ш и д-а д-д и н. Сборник летописей 1, часть II, 1952, გვ. 167.

[3] იქვე, გვ. 167.

ტორიკოსი ჯუზჯანი წერს, რომ, როცა ხვარაზმეთის ხელისუფლებამ ელჩები გაგზავნა ჩინეთში მყოფ ჩინგიზ-ყაენთან, ელჩებს გზაზე ქვეყნის განადგურების საშინელი სურათი უნახავთ. მოკლულ ჩინელების ძვლები მთებად იყო, ნიადაგი ადამიანის ცხიმისაგან გაპოხიერებული ყოფილა. მიცვალებულთა გვამების ლპობამ სნეულება გამოიწვია და ხვარაზმელთა ელჩების ზოგიერთი წევრი დაიღუპა კიდეც. პეკინის მისადგომებთან ძვლების უზარმაზარი ხროვა ყოფილა. ელჩებს უამბეს თურმე, რომ პეკინის აღების დროს სამოცი ათასმა ჩინელმა ქალიშვილმა მონღოლების ხელში ჩავარდნას ქალაქის ზღუდის კედლებიდან თავის გადმოგდება არჩიაო[1].

ჩინეთში დატრიალებულ უბედურებასა და ქართველი ისტორიკოსის ცნობებზე მცირე მოცულობის წიგნში ასე საუბარი ზედმეტადაც შეიძლებოდა ჩაგვეთვალა, რომ ამ ცნობებს მნიშვნელობა არ ჰქონოდა მონღოლთა, კერძოდ ჩინგიზ-ყაენის და მის ახლო მყოფთა პოლიტიკის ასახსნელად. ჩინგიზ-ყაენის დროის მონღოლთა არისტოკრატიის უმრავლესობის აზრით, მონღოლეთისათვის სასურველი იყო დაპყრობილ ქვეყნების მკვიდრი ბინადარი მოსახლეობის სრული გაჟლეტა უკანასკნელ ადამიანამდე, ხოლო მათი მიწების ჯოგების საძოვარ ადგილებად გადაქცევა. არისტოკრატიის ეს დიდი ნაწილი ჩინგიზ-ყაენისაგან ბრძანებას მოელოდა ამ ჯოჯოხეთური გეგმის სისრულეში მოსაყვანად. მიუხედავად იმისა, რომ ჩინგიზ-ყაენი იზიარებდა მისი არისტოკრატიის უმრავლესობის ამ მოსაზრებას, ასეთი უკიდურესი ღონისძების ცხოვრებაში გატარება *მთლიანად ვერ გაუბედნია*. საფიქრებელია რაიმე მოსაზრებით თავი შეუკავებია[2]. დაპყრობილ ქვეყნების ბინადარი მოსახლეობისა და ქალაქების მოსპობის მომხრე ყაენთაგან არა მარტო ჩინგიზ-ყაენი ყოფილა, არამედ მისი შვილები გუიქ (დიდი) ყაენი და ჩაღათა (ულუსის) ყაენი, თუმცა ესენიც სოფლის მკვიდრ მოსახლეობას მთლიანად არ ჟლეტდნენ, ალბათ ჩინგიზს ბაძავდნენ, ქალაქები კი დაუნდობლად ნადგურდებოდა, რაზედაც ქვემოთ იქნება საუბარი. ისტორიკოს ჯუზჯანის გადმოცემით ჩინგიზის უფროსი შვილი ჯუჩი თითქოს ჰგმობდა დაპყრობილ ქვეყნებში მოსახლეობის მასიური ჟლეტის პოლიტიკას. ამავე პოლიტიკის მომხრე ყოფილა შემდეგში უგედე-ყაენი და მენგუ-ყაენი. მონღოლთა სამხედრო მომთაბარე არისტოკრატია პროტესტს აცხადებდა დანგრეული ქალაქების აღდგენისა და საერთოდ ბინადარი მოსახლეობის მიმართ

[1] В. Бартольд, Туркестан..., II, გვ. გვ. 423—424.

[2] И. П. Петрушевский, Рашид-ад-дин и его исторический труд, იხ. Рашид-ад-дин, т. I, ч. I, გვ. 12.

დათმობაზე წასვლის წინააღმდეგ. მონღოლეთის ფეოდალური არისტოკრატიის შიგნით ბრძოლა ამ ორ მიმართულებას შორის შემდეგ საუკუნეშიაც გრძელდებოდა.

აკად. ბარტოლდი ფიქრობდა, რომ მონღოლეთის არისტოკრატიაში არსებული ამ ორი ძირითადი მიმართულების ამოცანა იყო: დარჩენილიყო მონღოლური ტომები მომთაბარედ თუ მკვიდრ ბინადარ ცხოვრებაზე გადასულიყო. თითქოს ჯუჩი და მისი მომხრენი მიისწრაფოდნენ მკვიდრ-ბინადარ ცხოვრებაზე გადასვლისაკენ, ხოლო ჩინგიზი და მისი მიმდევრები მომთაბარულ ცხოვრების განგრძელებას იცავდნენ. მართებულად უნდა იქნეს მიჩნეული პროფ. ი. პეტრუშევსკის შენიშვნა ბარტოლდის მოსაზრების გამო. შემონახულია ცნობები მონღოლთა ისეთი არისტოკრატიული წრეების არსებობის შესახებ, რომელნიც სრულიად არ ფიქრობდნენ მომთაბარე ცხოვრების უარყოფას, მაგრამ დაპყრობილი ქვეყნების ქალაქებისა და მოსახლეობის მოსპობის წინააღმდეგნი იყვნენ. ამრიგად, დავა მონღოლთა ფეოდალურ წრეებში მიმდინარეობდა დაპყრობილი ქვეყნების და მისი მკვიდრი მოსახლეობის ექსპლოატაციის მეთოდების შესახებ. ამასთანავე დავა მიმდინარეობდა დაპყრობილი ქვეყნების მაღალ ფეოდალურ წრეებთან და მის სახელმწიფოებრივ და კულტურულ ტრადიციებთან დამოკიდებულების შესახებ და არა იმის გამო მომთაბარეობა შეენარჩუნებინა მონღოლურ ტომებს თუ ბინადარ ცხოვრებაზე გადასულიყვნენ[1].

როგორც ვხედავთ, მონღოლების მოქმედება დასაპყრობად გამიზნულ ქვეყნებში ომის დროს და ომის შემდეგაც გარკვეული მიზანდასახულებით იყო ნაკარნახევი. მონღოლებს განსაკუთრებით სძაგდათ ქალაქები და მათი ზღუდე-კოშკები. ქალაქებთან ბრძოლამ მონღოლები განსაკუთრებით მოქანცა. მათ უფრო გაშლილ ველზე მტრის ძირითად ძალებთან ბრძოლა ეხერხებოდათ, ახალი ტაქტიკითა და ბრძოლის ხერხებით, გაწვრთნილ ცხენოსანთა რაზმებით მტრის დამარცხება ველზე უადვილდებოდათ. გამაგრებული ქალაქები მებრძოლ ხელოსნების რაზმებით დიდხანს ახერხებდნენ წინააღმდეგობის გაწევას და მონღოლთა დაზარალებას. ამით აიხსნება, რომ ჩინგიზ-ყაენს თავის „ი ა ს ა შ ი" საგანგებოდ მოუთხოვია ქალაქების ზღუდე-კედლების დანგრევა. ციხე-სიმაგრეების საფუძვლი-

---

[1] И. И. Петрушевский, Рашид-ад-дин и его исторический труд. პეტრუშევსკის დასახელებული ნაშრომი იხ. Рашид-ад-дин. Сборник летописей, том I, кн. I, გვ. გვ. 12—14.

თურთ მოთხრა, ერთი პირობათაგანი იყო მათთვის, დაპყრობილ ქვეყანაზე ხანგრძლივად და უშიშრად ბატონობისა[1].

დავუბრუნდეთ საკითხს. ჩინგიზ-ყაენს ჩინეთი მთლიანად არ დაუპყრია, მან მხოლოდ ჩრდილო ჩინეთის დაპყრობა მოასწრო. ჩინეთში ბრძოლები უგედე-ყაენმა განაგრძო. ჩინგიზი იძულებული იყო მის ხელთ არსებული ძალები გაეყო შუა-აზიის დასაპყრობად. იგი დარწმუნდა, რომ შუა აზიის დაპყრობის ხანგრძლივად გადადება მონღოლთა ბატონობას ჩინეთშიაც სასიკეთოს არაფერს უქადდა, ამიტომ 1216 წელს ჩინგიზი მონღოლეთში დაბრუნებულა და შუა-აზიის საქმეების „მოწესრიგებას“ შედგომია.

## შუა აზიის დაპყრობა

მეცამეტე საუკუნის პირველი მეოთხედისათვის შუა-აზიაში ხვარაზმელთა დიდი სახელმწიფო ჩამოყალიბებული, რომლის სატახტო ქალაქი ურგენჩი იყო. ამ სახელმწიფოში შედიოდა შუა-აზიის გარდა (მდ. სირდარიამდე) ირანის მნიშვნელოვანი ნაწილი და ავღანეთის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი[2]. ხვარაზმეთის სახელმწიფოში მონღოლთა შესახებ ცნობები მეთორმეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან მაინც უნდა არსებულიყო. შუა-აზიიდან ვაჭრები დადიოდნენ მონღოლთა ტომების მეთაურთა ბანაკებში და მათთვის საჭირო საქონელს აწვდიდნენ, სამაგიეროდ იქაური ბეწვეული მოჰქონდათ. მონღოლურ ძეგლში, რომელიც ჩინური დამწერლობით არის შესრულებული და რომელსაც „თქმულებათა საგანძური“... ეწოდება, ერთგან მოხსენებულია შუააზიელი მაჰმადიანი ვაჭარი ჰასანი, რომელიც მდინარე არღუნის ხეობით მიერეკებოდა 1000 ცხვარს და ერთ თეთრ აქლემს ციყვისა და სამურის ბეწვზე გადასაცვლელად[3]. ვაჭრებს გარდა ხელოსნებიც მოდიოდნენ შუა-აზიიდან და მონღოლთა ტომების ბელადებთან რჩებოდნენ სამუშაოდ. ამრიგად შუა-აზიის სახელმწიფოსათვის მონღოლები ისე „უცნაური“ ხალხი არ უნდა ყოფილიყო, როგორც ქართველებისა, სომხებისა და რუსებისათვის. ჩინგიზ-ყაენის პოლიტიკურ ასპარეზზე დაწინაურების დროიდან გაძლიერებულა შუა-აზიიდან გამოსულ მსხვილი ვაჭრე-

---

[1] ამ საკითხების შესახებ იხ. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან ვ. გაბაშვილის რედაქციით. რ. კიკნაძის წერილი „მონღოლთა შემოსევები“, გვ. გვ. 164 — 165.

[2] Б. Д. Греков. А. Ю. Якубовский. Золотая Орда и ее падение, გვ. 48.

[3] Б. Я. Владимирцов. Общественный строй монголов..., გვ. 35.

ბის გავლენა ჩინგიზის კარზე. უდავოა, რომ ჩინგიზი საიდუმლოდ ჰკრებდა ცნობებს შუა-აზიისა და საერთოდ დასავლეთი მხარეების შესახებ.

მონღოლეთსა და ჩინეთში მიმდინარე პროცესებისათვის გულგრილად არ შეეძლო ეცქირა ხვარაზმეთის შაჰს (სულტანს) მუჰამედს (1200 — 1220 წლ.), იგი, შუააზიაში მოპოვებულ გამარჯვებების შემდეგ, თვით ემზადებოდა ჩინეთისაკენ გასალაშქრებლად და ახლა დაწვრილებით ცნობების მისაღებად ჩინგიზ-ყაენთან ელჩები გაგზავნა საჩუქრებით, ვითომდა მეგობრულ ურთიერთობის გასამტკიცებლად. მუჰამედის ელჩები, ბეჰადდინ-რაზის მეთაურობით, ჩინგიზ-ყაენს ჩინეთში ხვდებიან. ჩინგიზს კარგად მიუღია ხვარაზმშაჰის ელჩები და დაუვალებია მათთვის ხვარაზმშაჰისათვის გადაეცა მეგობრობის სურვილი, რომ ჩინგიზი მას თვლის დასავლეთის მფლობელად, ისევე როგორც თავისთავს აღმოსავლეთის მფლობელად, აგრეთვე ელჩებს უნდა ეუწყებინა ჩინგიზის სურვილი ვაჭრების თავისუფალი მიმოსვლის შესახებ ორთავეს სამფლობელოში [1].

აკად. ბარტოლდი იმ აზრისაა, რომ ჩინგიზ-ყაენი თითქოს გულწრფელად სთავაზობდა ხვარაზმშაჰს მეგობრობას და სავაჭრო ურთიერთობის მოწესრიგებას, რადგანაც ჩინეთზე ლაშქრობამ და ამ ქვეყნის განადგურებამ შეაფერხა მონღოლეთთან ვაჭრობა, პურიც კი ჩრდილოეთის მთების იქედან უნდა მოეტანათო. ხვარაზმშაჰის ელჩობა კი თვალთმაქცურად მზვერავების დანიშნულებას ასრულებდა და არავითარ კეთილმეგობრულ ურთიერთობის დამყარებას ჩინგიზ-ყაენთან მიზნად არ ისახავდაო. ამასთანავე დასძენს განსვ. აკადემიკოსი, რომ იმ დროს ჩინგიზ-ყაენი მსოფლიო ბატონობაზე ალბათ არ ოცნებობდა-ო [2]. რა თქმა უნდა, დროებით ჩინგიზ-ყაენს ხვარაზმეთთან მშვიდობიანი ურთიერთობა შეიძლება მართლაც ესაჭიროებოდა, მით უმეტეს, როცა ჩინეთთან ომი ჯერ კიდევ სავსებით დასრულებულად არ ჩაითვლებოდა, და არც მონღოლთა ტომები იყვნენ სავსებით შერიგებული ჩინგიზის ბატონობასთან, მაგრამ საქმე ის არის, რომ თუ ჩინგიზი ჩინეთის არსებობას ვერ ითმენდა და მისი სრული დაპყრობა და მისი სახელმწიფოებრივობის სრული გაჩანაგება დაისახა მიზნად და ჩინეთის იმპერატორის მიერ შემოთავაზებული მეგობრული ურთიერთობის წინადადება არ მიიღო, რა

---

[1] В. Бартольд, Туркестан в эпоху монгольского нашествия, II, გვ. გვ. 423—424.

[2] იქვე, გვ. გვ. 424—425.

საფუძველი გვაქვს ჩვენ დავიჯეროთ, რომ ხვარაზმეთის შაჰთან ჩინგიზი გულწრფელ მეგობრობას ფიქრობდა.

ჩინგიზ-ყაენს ხვარაზმეთში საპასუხო ელჩობა გამოუგზავნია. საყურადღებოა, რომ ჩინგიზის ელჩები მონღოლები კი არ იყვნენ, არამედ შუააზიელები. ელჩების მეთაური ხვარაზმელი მაჰმუდი ყოფილა, ხოლო მისი ორი თანაშემწე ბუხარელი ალი-ხოჯა და ოთრარელი იუსუფი. ამ ელჩებს თან მოჰყვებოდა ვაჭრების ქარავანი. 1218 წლის გაზაფხულზე ხვარაზმშაჰმა ელჩები მიიღო მავერანაჰრში. ელჩებმა ძვირფასი საჩუქრები მიართვეს და ამასთანავე აუწყეს, რომ ჩინგიზ-ყაენმა იცის ხვარაზმშაჰის ძლიერება და მას იგი თვლის მის უსაყვარლეს შვილად, თავაზობს მას მეგობრობას და საამისო ხელშეკრულების გაფორმებასა და სავაჭრო ურთიერთობას. ერთ ღამეს ხვარაზმშას გამოუწვევია ჩინგიზის ელჩობის მეთაური ხვარაზმელი მაჰმუდი და წინადადება მიუცია მისთვის, როგორც ხვარაზმელისათვის, სამშობლოს ინტერესებისათვის სამსახური, სახელდობრ შესთავაზა მას ჩინგიზის კარზე ყოფნა და ხვარაზმეთის სასარგებლოდ ჯაშუშობა. მას თანხმობა განუცხადებია და ჯილდოდ ძვირფასი ქვა მიუღია.

მონღოლეთიდან, ელჩებთან ერთად წამოსული ვაჭრების ქარავანი ხვარაზმშას საზღვრის პირა ქალაქში, ოთრარში, სწორედ მაშინ მისულა, როცა ჩინგიზის ელჩები მონღოლეთში გაემგზავრნენ დადებითი პასუხით. ქარავანი 450 კაცისაგან და 500 დატვირთული აქლემისაგან შედგებოდა. ეს 450 კაცი ყველა მაჰმადიანი ყოფილა. აქლემები ძვირფასი საქონლით ყოფილა დატვირთული: ოქრო, ვერცხლი, ძვირფასი ქსოვილები, ბეწვეული და სხვ. საქონლით. საზღვრის ადგილობრივმა ხელისუფალმა ხვარაზმშას შეატყობინა, რომ ვაჭრები ჯაშუშებივით იქცევიან და ვაჭრობა ამ საქმიანობის შესანიღბავად არის გამოყენებული. მუჰამედ ხვარაზმშას განკარგულება გაუცია მათი დატუსაღების შესახებ, მაგრამ ადგილობრივ ხელისუფლების წარმომადგენელს ქაირ-ხანს (ინალჩიკს) ეს 450 კაცი მოუკლავს და მთელი მათი საქონელი მის განკარგულებაში გადასულა[1].

წყაროებში სხვადასხვაგვარად არის ახსნილი ვაჭრების ამოწყვეტის ფაქტი. ზოგიერთი ცნობით, თითქოს, ადგილობრივი მართველი ვაჭრების მიერ მოტანილ სიმდიდრეს დაეხარბა და უდანაშაულოდ გაწყვიტა ვაჭრები. ჩვენ ვაჭრები დამნაშავედ გვესახება, სხვა წყაროების ცნობა ვაჭრების ჯაშუშობისა და მზვერავობის შესახებ

---

[1] В. Бартольд, Туркестан..., II. გვ. გვ. 426—429.

უფრო დამაჯერებელი გვგონია. ჩინგიზ-ყაენის მფარველობის ქვეშ მყოფი ვაჭრების მოკვლა და მათი ქონების კონფისკაცია ადვილად გასაბედავი საქმე არ იყო. ჩინეთის საშინელი მარცხის შესახებ ხვარაზმეთის სულტანს უტყუარი ცნობები ჰქონდა, 1215 წელს ჩინგიზ-ყაენთან ელჩების მივლენის შედეგად. როგორც ზემოთ აღნიშნული იყო, ხვარაზმეთის ელჩებმა ჩინგიზი დაპყრობილ ჩინეთში ინახულეს და საკუთარი თვალით ნახეს მონღოლთა ლაშქრის უძლეველობის ფაქტები. ამას გარდა, ჩინგიზის საპასუხო ელჩობის მეთაური წარმოშობით ხვარაზმელი იყო და სულტანს მრავალი ახალი ამბავი აუწყა მონღოლთა ძლიერების შესახებ. მართალია ჩინგიზის ელჩმა ისიც აუწყა სულტანს, რომ ჩინგიზის ლაშქრის რაოდენობა ხვარაზმეთის სულტანისას ჩამორჩებაო; მაგრამ მაჰმუდ სულტანმა თავისი ვასალების ამბავი კარგად იცოდა და მათი ნდობა მას იმთავითვე არ ჰქონია. ჩვენ ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ ჩინგიზის ელჩობის მეთაურმა მაჰმუდ სულტანისაგან ძვირფასი საჩუქარი მიიღო და ჯაშუშობა იკისრა ჩინგიზის კარზე. როგორც კი გაისტუმრეს ჩინგიზის ელჩები, ვაჭრების ქარავანი მივიდა ოთრარში და გაიყლიტა კიდეც. ასეთი საქციელი ცხადია ჩინგიზ-ყაენის ბრძოლის ველზე გამოწვევას ნიშნავდა. ეს არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა ხვარაზმეთის სულტანს და ამდენად რა მიზანი ჰქონდა მას, როცა ვაჭრებს ჟლეტდა? მას უდავოდ ინფორმაცია ჰქონდა ჩინგიზის გეგმების შესახებ, მან იცოდა რომ ხვარაზმეთზე თავდასხმას ამზადებდა მონღოლთა იმპერატორი და ელჩების გამოგზავნა მეგობრობის შემოსათავაზებლად თვალთმაქცობა იყო.

ჩინგიზ-ყაენს ვაჭრები, დიდი ქარავნით, უფრო ხვარაზმეთის დასაზვერავად ჰყავდა გამოგზავნილი, ვინემ სავაჭროდ. ვაჭრები მაჰმადიანები ყოფილან და არა მონღოლური წარმოშობისა და სარწმუნოების. როგორც ჩანს, მათ ისეთი ცნობების შეკრებაზე წააწრეს, რომელიც ვაჭარს არ უნდა დასჭირებოდა. ვაჭრების დატუსაღება საკმარისად არ იქნა მიჩნეული, ალბათ იმიტომ, რომ მაჰმადიან ვაჭრებს მონღოლების ერთგულება ვერ აპატიეს. მაჰმუდ სულტანი მონაწილე და სულისჩამდგმელი ჩანს ოთრარში მომხდარ ტრაგედიისა. ჩამორთმეული საქონლის წილი სულტანს ამა თუ იმ სახით მიუღია კიდეც. როდესაც ეს ამბავი ჩინგიზს აუწყეს, სასწრაფოდ ახალი ელჩობა გამოგზავნა ხვარაზმეთში და ასეთი ვერაგობის გამო პროტესტი განაცხადა და ამასთანავე ოთრარში მყოფი ხელისუფლების წარმომადგენლის ინალჩიკის (ანუ ქაირ-ხანის) გაცემა მოითხოვა. მაგრამ ჩანს, რომ სულტანს მონღოლეთთან ომი გადაწყვეტილი ჰქონია. ჩინგიზის ელჩი მოაკვლევინა, ხოლო მის

მძლებლებს წვერები დაჰპარსა და ასე გაისტუმრა. მას ზედმეტად მიაჩნდა ჩინგიზ-ყაენთან მოლაპარაკება. ალბათ იცოდა, რომ ყოველგვარი მოლაპარაკება უაზრობა იყო.

მონღოლური ცნობით ხვარაზმელებმა ასი კაცი მოკლეს გაგზავნილი ქარავნიდან. ჯუვეინის ცნობით 450 კაციდან მხოლოდ ერთი კაცი გადარჩა — აქლემების მომვლელი და ჩინგიზ-ყაენს ცნობა მან მიუტანა თითქოს[1]. საფიქრებელია, რომ ჯუვეინის ცნობა მონღოლურ ცნობას, გაჟლეტილთა რაოდენობის შესახებ, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს. იმიტომ, რომ ქარავნის შემადგენლობაში ყველა ხომ ვაჭარი არ იქნებოდა. 500 დატვირთული აქლემის ასეთ დიდ მანძილზე წამოყვანა მსახურების დიდ რაოდენობას მოითხოვდა ისე, რომ 450 კაციდან 100-ზე მეტი ვაჭარი შეიძლებოდა არც ყოფილიყო. მონღოლები ალბათ ასი ვაჭრის დაღუპვას ანგარიშობდნენ, ხოლო ამათი მსახურების დაღუპვას სათვალავში არ უნდა ღებულობდნენ.

ამრიგად მონღოლეთის სახელმწიფოსა და ხვარაზმეთის დიდი სასულტნოს დასაჯახებლად საბაბი მომზადებული იყო. განსვ. აკად. ბარტოლდს ამხელად ომის წამომწყებად ხვარაზმეთი მიაჩნია, თითქოს ხვარაზმეთის სულტანი ნაწყენი იყო იმით, რომ ჩინეთის დაპყრობა ჩინგიზმა დაასწრო მას, თითქოს მონღოლეთთან უშუალო ვაჭრობით ხვარაზმეთი დაინტერესებული არ ყოფილა და ამდენად კონფლიქტს აღარ მოერიდაო. ამ მოსაზრებებს საკსებით ეწინააღმდეგება თვით განსვ. აკადემიკოსის ნაშრომის მომდევნო გვერდებზე აღწერილი ხვარაზმელების საომარი სამზადისი და შტაბის სხდომის შინაარსის გადმოცემა. მუჰამედ სულტანს იმდენად მტრული დამოკიდებულება ჰქონია თავის სარდლებთან, ე. ი. ვასალებთან, რომ ხვარაზმეთში არსებულ ლაშქრის ერთად შეყრა და ჩინგიზის წინააღმდეგ გენერალური ბრძოლა შეუძლებლად მიუჩნევია. 1220 წლისთვისაც კი ლაშქარი სახელმწიფოში არ შეგროვდა. ჯუვეინის ცნობით, როცა მაჰმუდ სულტანი ამუდარიის ნაპირებზე იმყოფებოდა, მის ლაშქარში შეთქმულება გამოაშკარავდა, თურმე მისი მოკვლა განუზრახავთ. მუჰამედს თითქოს ღამით თავისი კარავი დაუტოვებია, დილით კი კარავი მრავალი ისრით დახვრეტილი უნახავთ.

მონღოლებს მაჰმუდ სულტანი არც შებმია. მისი წინააღმდეგობის მთელი ამოცანა ბრძოლის დაწყებისთანავე იმაში მდგომარეობდა, რომ მონღოლებს დამალოდა. ეს ამოცანა მან „ბრწყინვალედ"

---

[1] ამ საკითხების შესახებ იხ. აკად. ვ. ბარტოლდის დასახელებული ნაშრომი, გვ. გვ. 428 — 429.

შესრულა, მას ვერ დაეწია ისეთი სწრაფად მავალი სარდლები, როგორიც ჯებე და სუბედაი იყვნენ, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ. ასეთ ვითარებაში მყოფ ხვარაზმეთს და მის მთავრობას, შესაძლებელი რომ ყოფილიყო ჩინგიზის მეგობრული ურთიერთობისა და ვაჭრობის განვითარების წინადადებაზე დანდობა, განა შეიძლებოდა უარი ეთქვა და უსაფუძვლოდ ელჩი და ვაჭრები გაეჟლიტა?

თუ ჩვენ მუჰამედ ხვარაზმშას ნორმალურ ადამიანად ჩავთვლით და მის მოქმედებაში ლოგიკური აზროვნების კვალის ძიებას შევეცადებით, საქმის ვითარება ასე უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ხვარაზმეთის მმართველი წრეები კარგა ხანს თვალ-ყურს ადევნებდნენ, ოფიციალური და არაოფიციალური მზვერავების მეშვეობით, აღმოსავლეთში მიმდინარე პროცესებს. ჩინგიზის მიერ ჩინეთის დაპყრობის შემდეგ აშკარა შეიქნა, რომ მონღოლეთი მიღწეულ გამარჯვებით არ დაკმაყოფილდებოდა, სწორედ ისე, როგორც თვით ხვარაზმშა არ ფიქრობდა მოპოვებულით დაკმაყოფილებას და ჩინეთის საძარცვავად ემზადებოდა ერთ დროს. ხვარაზმშა შეეცადა მოლაპარაკება გაემართა მონღოლეთის მბრძანებელთან და მათი ზრახვები დაეზუსტებინა. ჩინგიზის ელჩების მეთაურისაგანაც მას ცნობა უნდა მიეღო ჩინგიზის თვალთმაქცობისა და ხვარაზმეთში სალაშქროდ მზადების შესახებ. ჩინგიზის ელჩებს თვალთმაქცური პასუხის გადაცემა დაავალა, ალბათ დროის მოგებისა და სამზადისის ჩატარების მიზნით. ოთრარში მოსული ქარავანის ხელმძღვანელთა ჯაშუშურმა საქმიანობამ ნათელჰყო, ალბათ მათი დატუსაღებისა და დაკითხვის შემდეგ, რომ ჩინგიზ-ყაენი დღეს არა და ხვალ ხვარაზმეთს შემოესეოდა. ქარავნის უკან გაბრუნება სამხედრო თვალსაზრისით შეცდომა იქნებოდა. ერთადერთი გამოსავალი აქ ვაჭრების დატუსაღება იყო, ნესევის ცნობით მუჰამედ სულტანმა, როცა ოთრარიდან ვაჭრების ჯაშუშობის შესახებ უწყება მიიღო, განკარგულება გასცა ვაჭრები დაეტუსაღებინათ, მაგრამ შემდეგ მათ ცოცხლად დატოვებას აზრი აღარ ჰქონდა, რაკი მონღოლთა შემოსევა რეალური მომავალი იყო. ამითვე უნდა აიხსნას ჩინგიზის ელჩის მოკვლაც. ჩინგიზის წინაშე, რომელიმე პოლიტიკური ხელისუფალის აგრესორად გამოყვანას, უფრო სხვა ცნობები სჭირდება ვინემ აკად. ბარტოლდს ჰქონდა[1].

ხვარაზმშა სამზადისს შეუდგა. პირველ რიგში მას განკარგულება გაუცია გზების ჩაკეტვის შესახებ. იგი არც უცხოეთიდან უშვებ-

[1] აკად. ბარტოლდის მოსაზრებანი იხ. დასახ. ნაშრომის 426—430 გვერდებზე.

და ვაჭარს და არც თავის ქვეყნიდან. იმ დროს ასეთ ღონისძიებას მიმართავდნენ ყოველთვის, ომისათვის მზადების დროს. უცხოეთში ინფორმაცია უფრო მოხერხებულად ვაჭრებს გააჩნდათ ყოველთვის. ამავე დროს, ვაჭრების ამოჟლეტის შემდეგ, მუჰამედს სამხედრო თათბირი მოუწვევია და საკითხი განუხილავთ, თუ როგორ უნდა ყოფილიყო ორგანიზებული თავდაცვა. იბნ-ალ-ასირის ცნობით, თათბირზე წინადადება შემოსულა მდინარის — სირდარიის ნაპირას მთავარი ძალების თავმოყრისა და დიდი მანძილის გამოვლის შედეგად მოქანცულ მონღოლთა ლაშქარზე ანაზდეული თავდასხმის მოწყობის შესახებ. მაშასადამე, მოწინააღმდეგეთა გენერალური ბრძოლა უნდა მომხდარიყო მდ. სირდარიის მიდამოებში. სხვები კი უმჯობესად მიიჩნევდნენ მტრის შემოშვებას მავერანაჰრში და იქაურ მოხერხებულ ბუნებრივ მდებარეობის გამოყენებით მტრის განადგურებას. ჯუვეინის ცნობით, თათბირზე ისეთი მრჩევლებიც ყოფილან, რომელნიც ამუ-დარიამდე უკან დახევას უმჯობესად მიიჩნევდნენ და აქ თავდაცვის ისე ორგანიზებას, რომ მტერი მდინარეზე არ გადმოეშვათ. უფრო სულმოკლენი თუ „ფრთხილნი" ყველაზე უფრო ხელსაყრელად ვარაუდობდნენ ღაზნაში ჯარების თავის მოყრას, ე. ი. ჰინდუყუშამდე სახელმწიფოს ტერიტორიის მტრისათვის დათმობას და შემდეგ თუ საჭირო იქნებოდა ინდოეთში გაქცევას. ეს იმას ნიშნავს, რომ ომი დაწყებამდე უკვე წაგებულად მიაჩნდათ.

მუჰამედ სულტანს მთელი ლაშქრის ერთად შეყრა ვერ გაუბედია; ისტორიკოსების აზრით, ფეოდალ სარდლების ერთად შეყრა ეშინოდაო, რადგანაც სულტანსა და სარდლებს შორის მტრული დამოკიდებულება სუფევდაო[1]. ჩვენთვის ნათელი არ არის პატივცემულ ისტორიკოსთა მოსაზრება. თუ ასეთი მდგომარეობა იყო ხვარაზმეთში, გაუერთიანებელ ლაშქრის ნაწილებს განა მტრის შემოსევის დროს არ შეეძლო მუჰამედის წინააღმდეგ ამხედრება და მონღოლების მხარეზე გადასვლა?

უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ მონღოლებთან გენერალური ბრძოლის ეშინოდათ მუჰამედსა და მის სარდლობას. მონღოლები სწორედ მთავარ ძალებთან შეტაკების მსურველნი იყვნენ, მათ ამ გზით ქვეყნის დაპყრობა ეადვილებოდათ. ხვარაზმეთის ხელმძღვანელობას ალბათ საკმაო ინფორმაცია ჰქონდა მონღოლების ძლიერების შესახებ. ხვარაზმეთის ლაშქარი ისეთი დისციპლი-

---

[1] В. Бартольд, Туркестан..., II, გვ. 437. А. Якубовский, Золотая орда и ее падение..., გვ. 49.

ნით გაერთიანებული როდი იყო, როგორც მონღოლეთისა. მუჰამედ სულტანი უყვარდათ თუ სძულდათ სარდლებს, ეს მეორე საკითხია. გენერალურ ბრძოლაში ხვარაზმეთი იმთავითვე წაგებული მოჩანდა. ამიტომ ქვეყნის დაცვა მთავარი ქალაქების გამაგრებით და თავდაცვისათვის მზადებით დაიწყო. აკად. ბარტოლდი ამტკიცებს, რომ სულტანს 1220 წლისათვისაც კი ლაშქარი შეყრილი არ ჰყავდაო. მობილიზაციამ მოსახლეობაში გამოხმაურება არ ჰპოვაო, ასეთ ვითარებაში გენერალური ბრძოლა არ შეიძლებოდა მოწყობილიყო, სულტანს საკმარისი ჯარი არ შეუგროვდა. ამ ცნობების შემდეგ, რომელიც ჩვენ აკად. ბარტოლდის ნაშრომიდან ამოვკრიბეთ, ხვარაზმეთის მთავრობის აგრესორად აღიარება, ხოლო ჩინგიზ-ყაენის შეურაცხოფილად გამოცხადება, როგორც ამას აკად. ბარტოლდი ამტკიცებს, შესაწყნარებელი არ არის.

მუჰამედ სულტანს განკარგულება გაუცია მავენარაჰრის ქალაქებს თავდაცვა ეწარმოებინა მათ განკარგულებაში დატოვებულ გარნიზონების დახმარებით, ხოლო თვით ჯარების შესაგროვებლად წამოვიდა დასავლეთის სამფლობელოში და ქალაქში დატოვებულ გარნიზონებს აღუთქვა მცირე ხნის შემდეგ დაბრუნება და დახმარება.

1219 წელს, რაშიდ-ად-დინის ცნობით, ჩინგიზ-ყაენს ყურულტაი მოუწვევია და ხვარაზმეთზე ლაშქრობის დაწყება შემოდგომისათვის გადაწყვეტილა. ზაფხული მდ. ირტიშის მიდამოებში გაუტარებიათ და სალაშქრო ცხენები საძოვრებზე დაუსვენებიათ. ჩინგიზს მუჰამედ ხვარაზმშასათვის თითქოს წინასწარ უცნობებია თავისი გადაწყვეტილების შესახებ. აკად. ბარტოლდის ვარაუდით ჩინგიზ-ყაენს 150.000 — 200.000 მეომარი უნდა ჰყოლოდა. შემოდგომის მიწურული იქნებოდა, როცა მონღოლეთის მთავარი ძალები ხვარაზმეთის საზღვრებს მიადგნენ და პირველ რიგში. ქ. ოთრარის მიდამოებში დაბანაკდნენ. ოთრარის დაცვას ქაირ-ხანი ედგა სათავეში. ქალაქი კარგად ყოფილა გამაგრებული, ზღუდე კოშკები განუახლებიათ და სათანადო მარაგი მოუმზადებიათ. ხვარაზმშას ქაირ-ხანთან 10.000 ცხენოსანი, ყარაჩა-ხანის სარდლობით, გამოუგზავნია დამატებით.

ჩინგიზ-ყაენს თავისი ლაშქარი აქ ოთრართან ცალკე კორპუსებად დაუყვია. თავის შვილებს ჩაღათას და უგედეს ოთრარის გარემოცვა და აღება დაავალა, ჯოჩი, კუთვნილი კორპუსით, ჯენდსა და იანიკენტზე გაგზავნა. ორივე ქლაქი მდ. სირდარიის მიდამოებში იყო, (ახლა ნანგრევებიღაა გადარჩენილი). ჯენდი ხვარაზმეთის ერთი უდიდეს ციხექალაქთაგანი იყო. სხვა სარდლები ხოჯენდისა და

ბენაკეტის მიმართულებით წავიდნენ. ხოჯენდი ახლანდელი ლენინაბადია (ტაჯიკეთის რესპ.), სირდარიის მარცხენა ნაპირას მდებარე, იგი ცალკე მფლობელის რეზიდენცია იყო, ხან ბუხარის მფლობელს ექვემდებარებოდა, ხან ფერღანის მმართველებს.

თვით ჩინგიზ-ყაენი თული-ხანის თანხლებით ბუხარაზე გაემართა.

ოთრარის პატრონი ქაირ-ხანი იშვიათი მებრძოლი ყოფილა. ხუთი თვის განმავლობაში ვერაგი მტერი ქალაქში არ შემოუშვა. მონღოლები, როგორც ჩანს, მოტყუილებით ფიქრობდნენ ქალაქის აღებას, ზავსა და შეწყალებას თავაზობდნენ დამცველებს. ხვარაზმშას გამოგზავნილი დამხმარე ცხენოსანი რაზმის მეთაური, ყარაჩა-ხანი, ქაირ-ხანს მონღოლებთან შეთანხმებას ურჩევდა, მაგრამ, რაკი ეს უკანასკნელი კატეგორიულ უარს აცხადებდა, ყარაჩა-ხანი ღამით თავისი რაზმით ქალაქის ზღუდიდან გაიპარა და მონღოლებს დაემორჩილა. ჩინგიზის ვაჟიშვილებმა თითქოს მას განუცხადეს, რომ პატრონის მოღალატე, ჩვენც გვიღალატებო და თავისი რაზმითურთ ამოჟლიტეს.

ოთრარის ზღუდე ბოლოს მონღოლებმა შეანგრიეს, მოსახლეობა ქალაქიდან გამორეკეს, ქონება გაიტაცეს, მაგრამ ქალაქის ციხე ისევ თავდაცვას განაგრძობდა. ქაირ-ხანი ერთი თვის განმავლობაში კიდევ იბრძოდა. ბოლოს, როცა მისი რაზმი მთლიანად დაიღუპა, იგი კოშკის სახურავზე ავიდა იარაღშემომტერეული და აგურებს ესროდა მტერს. მონღოლებმა ყოველი მხრიდან შემოუტიეს, სახურავიდან ჩამოათრიეს, სამარყანდის სასახლეში მიიყვანეს და იქ სიკვდილით დასაჯეს. ოთრარის ციხე და ზღუდე გაასამტვერეს. მოსახლეობა გაჟლიტეს, ვინც გადარჩა ხელოსანი და ფიზიკურად ვარგისი თან წაიყვანეს. ხელოსნები თავიანთი საქმიანობით ესაჭიროებოდათ, ხოლო ფიზიკურად ვარგისი მოსახლეობა „ჰ ა შ ა რ შ ი" წაიყვანეს. „ჰაშარი" ეწოდებოდა დაპყრობილი ქვეყნების მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც მონღოლებს თავის ლაშქართან ერთად ბრძოლაში შეჰყავდათ. ამ განწირულებს ისინი იყენებდნენ ციხე-სიმაგრის აღების დროს. საშიშ ადგილებზე „ჰაშარებს" მირეკავდნენ და მათ ზურგს მოფარებული მონღოლები გზას იკაფავდნენ[1].

---

[1] აქ მოცემული მასალა მთლიანად ამოკრებილია რაშიდ-ად-დინის თხზულებიდან. იხ. მისი დასახ. ნაშრ., გვ. გვ. 198—199. რაშიდ-ად-დინის ცნობები ემთხვევა ჯუვეინის ცნობებს. ეს უკანასკნელი გამოყენებული აქვს ქართველ ახალგაზრდა ორიენტალისტს რ. კიკნაძეს და ამდენად გვიადვილდება ცნობების შემოწმება.

ჩინგიზ-ყაენი, იმის შემდეგ, რაც ოთრართან ძალები გაანაწილა თავისი შვილის თულის თანხლებით, ბუხარას მიადგა. ბუხარამდე გზაზე არსებული ციხე-ქალაქები ზარნუქი და ნური უბრძოლველად დაიკავა, შეჰპირდა, რომ თუკი უბრძოლველად დამნებდებით არას გავნებთო. მოსალაპარაკებლად მაჰმადიან ვაჭრებს გზავნიდა, რომელთაც თავზარდაცემული ქალაქის მოსახლეობა ენდობოდა. ზარნუქის ახალგაზრდა მოსახლეობა ჰაშარში გადარიცხა. ნურში ჩინგიზმა მოიკითხა, თუ რამდენს იხდიდა ქალაქი წლიურ გადასახადს და როცა გაიგო, რომ 1500 დინარს იღებდა მაჰმედ სულტანი ნურელებისაგან, განკარგულება გასცა — მომეცით ახლავე ნაღდად 1500 დინარი და აღარაფრით შეგაწუხებთო; მისი ბრძანება სისრულეში იქნა მოყვანილი. 1220 წლის მარტში ქ. ბუხარის მახლობლად დაბანაკდა, ისე რომ ქალაქის ციხე-კოშკიდან ყველაფერი ჩანდა. დასაბანაკებელი ადგილი განზრახ აირჩია ქალაქის დასანახავად. ქალაქის მცველი გარნიზონი,რაშიდ-ად-დინის ცნობით, 20.000 კაცისაგან შედგებოდა. ამ რაზმის ხელმძღვანელობა ღამით ქალაქიდან გაიპარა, მაგრამ მდ. ამუდარიის ნაპირას მყოფმა მონღოლთა გუშაგებმა დაიჭირეს და გაჟლიტეს. მეორე დღეს ბუხარაში მყოფი სასულიერო პირები და მეცნიერები მონღოლთა მბრძანებელთან გამოცხადდენ მორჩილების გამოსაცხადებლად. ჩინგიზი თავისი შვილით ქალაქში შევიდა, მთავარ სამლოცველო სახლში ხალხი შეკრიბა და ცხენებისათვის საჭმელი მოითხოვა. დაიბარა მდიდრები, რომელთაც ძვირფასეულობა ჰქონდათ გადამალული, 270 კაცი გამოცხადდა და ძვირფასეულობა მოატანინა. მიტანილს გარდა ზედმეტი სხვა არაფერი მოუთხოვია, მაგრამ ამის შემდეგ ქალაქის ცალკეულ უბნებს ცეცხლი გაუჩნდა და ეს უზარმაზარი ქალაქი გადაიწვა. ცეცხლს მხოლოდ აგურის დიდი შენობები გადაურჩა. მოსახლეობიდან მამაკაცები ჰაშარში წაიყვანა. ქალაქის ციხე-სიმაგრეში მყოფი გარნიზონი ერთხანს იბრძოდა, მაგრამ შემდეგ ნავთის ცეცხლითა და ქვების მსროლელი იარაღით აიძულეს მეომრები იარაღი დაეყარათ. მოსახლეობის ნაწილი გაჟლიტა, ქალები და ბავშვები ტყვედ წაიყვანა.

აქედან ჩინგიზ-ყაენი სამარყანდზე გაემართა. სამარყანდი თავდაცვისათვის ომის დაწყებამდე ემზადებოდა და თითქოს ქალაქი უძლეველი უნდა ყოფილიყო. რაშიდ-ად-დინის ცნობით, 110 ათასი მეომარი იცავდა მას. რა თქმა უნდა, ეს რიცხვი ფანტასტიურია, მაგრამ ეტყობა სხვა ქალაქებთან შედარებით სამარყანდს მნიშვნელოვანი გარნიზონი ჰყავდა. ჩინგიზ-ყაენი თურმე ჯერ-კიდევ ოთრართან იყო, როცა სამარყანდის შესახებ საგანგებო ცნობა მიიღო,

რომ მას მრავალრიცხოვანი ჯარი იცავდა და თვით ქალაქიც კარგად გამაგრებული იყო. ამიტომაც მონღოლთა მბრძანებელი საგანგებოდ მოემზადა, პირველ რიგში სამარყანდის გარშემო არსებული ციხე-სიმაგრეები და ქალაქები აიღო, რათა მთელი ძალებით შესაძლებელი ყოფილიყო სამარყანდზე თავდასხმა. სამარყანდთან მოიყარა თავი ჩინგიზის შვილების ლაშქარმაც, რომლებმაც მოათავეს თავიანთი საქმეები და დიდძალი ჰაშარით სამარყანდთან მოვიდნენ. ჩინგიზი თურმე ორი დღის განმავლობაში პირადად გარს უვლიდა ქალაქს და მისი აღების გეგმას ადგენდა. როგორც ჩანს, ქალაქი ადვილად ასაღები არ ყოფილა. ჩინგიზს აშინებდა სამარყანდს ხვარაზმშა მუჰამედი არ მოშველებოდა გარედან და მონღოლები შუაზე არ მომწყვდეულიყვნენ. ამიტომ ჩინგიზის სახელოვანი სარდლები ჯებე და სუბედაი ოცდაათი ათასიანი კორპუსით ხვარაზმშას წინააღმდეგ გაგზავნა, რომელიც არსებითად მონღოლების წინააღმდეგ ბრძოლების ორგანიზებაზე ახლა უკვე აღარ ზრუნავდა, არამედ თავს შველოდა და მრავალრიცხოვანი ჰარამხანით, შვილებითა და ხაზინით ირანისაკენ გარბოდა. მტერმა მისი გაჭირვება იცოდა, მაგრამ მაინც სიფრთხილეს იჩენდა, მისი ხელში ჩაგდება საჭირო იყო.
სამარყანდის გარნიზონმა ბრძოლა დაიწყო. ორივე მხრით მსხვერპლი მნიშვნელოვანი ყოფილა. მოწინააღმდეგენი ღამემ გაჰყარა. მეორე დღეს ჩინგიზ-ყაენი პირადად ხელმძღვანელობდა ბრძოლას, ქალაქის დამცველებს დიდი ზარალი მოუვიდათ; ქალაქის შენარჩუნების იმედი აღარ ჰქონდათ თავგამოდებულ სამარყანდელებს. მესამე დღესაც ბრძოლა გრძელდებოდა, მაგრამ ქალაქის მუსულმანური ეკლესიის ხელმძღვანელობა ჩინგიზ-ყაენთან გამოცხადდა და მორჩილების გადაწყვეტილება აუწყა.

რაშიდ-ად-დინის თხრობიდან ისე ჩანს, რომ სამარყანდს ბრძოლა კიდევ შეეძლო, რომ ხელმძღვანელობა ვარგებულიყო. გარნიზონს ოცი სპილო ჰყოლია. ბრძოლაში არ გამოუყენებიათ ისე მიუყვანეს ჩინგიზ-ყაენს, რომელმაც ზედმეტად ჩათვალა მათ გამოკვებაზე თავის შეწუხება. ველზე გარეკა და რაკი საკვები ვერ იშოვეს, შიმშილით დაიხოცნენ. ჯარის ნაწილი ციხე-სიმაგრეში ჩაიკეტა და ერთხანს თავს იცავდა. ერთი გაბედული სარდალი ალფ-ერ-ხანი ათასი თავგანწირული ვაჟკაცით ციხიდან გამოვიდა, გზა გაიკაფა და გაიქცა, მაგრამ მათ მხოლოდ თავს უშველეს. სამარყანდელებისათვის მეომრების მიშველებაზე არავინ ფიქრობდა და ბოლოს ისინიც დაიღუპნენ. განმეორდა ის, რაც სხვა ქალაქებსა და მის მოსახლეობას დაემართა. მარცხისა და უბედურების სურათის ნათელსაყოფად ზედმეტი არ იქნება აქვე მოვიტანოთ სიტყვები ბუხარადან გა-

ქცეული ერთი მცხოვრებისა, რომელმაც ხორასანს მიაღწია. ბუხარას ამბავი რომ ჰკითხეს თურმე უპასუხა: „მოვიდნენ, მითხრეს, გადაწვეს, დახოცეს, წაიღეს (წაიყვანეს) და წავიდნენ“-ო[1]. ეს სიტყვები ჯუვეინის თხზულებაშია მოყვანილი. სამარყანდი და მისი რაიონები გაუკაცრიელდაო, — წერს ისტორიკოსი რაშიდ-ად-დინი.

ჩინგიზ-ყაენს განუწყვეტლივ მიდიოდა ცნობები მუჰამედ ხვარაზმშას მდგომარეობის შესახებ. საგანგებოდ გაგზავნილი მზვერავები მუჰამედ სულტანის ბანაკის წევრებს იჭერდნენ და უტყუარ ცნობებს ღებულობდნენ. მუჰამედი შიშისაგან დაბნეული ყოფილა და ვერავითარ გზას ვერ დადგომოდა. ერთადერთი მისი ვაჟკაცი შვილი ჯელალ-ად-დინი სულით არ დაეცა და მამას ურჩევდა თურმე: „ჩვენ უნდა შევკრიბოთ ლაშქარი იმ ადგილებიდან, სადაც ჩვენ ისინი მიმოვფანტეთ, დავუხვდეთ მტერს და დავამარცხოთ იგი-ო“[2]. მაგრამ მუჰამედი შვილს არ უჯერებდა. ჩინგიზ-ყაენს სამარყანდის გარემოცვის დროს, როგორც აღვნიშნეთ, ჯებე და სუბედაი ოცდაათი ათასი კაცით გაუგზავნია მუჰამედ სულტანის საზაფხულო რეზიდენციისაკენ, სადაც იგი იმხანად იმყოფებოდა. ამ სარდლებს ჩინგიზ-ყაენმა უბრძანა: „წადით და დაედევნეთ ხვარაზმშას და სადაც კი დაეწევით მას, თავს დაესხით. თუ ძალები არ გეყოფათ წინააღმდეგობის გასაწევად, არ დააყოვნოთ და შემატყობინეთ მე, თუ სუსტი აღმოჩნდეს წინააღუდექით... გაფიცებთ თქვენ დიდი უფალის ძალას არ დაბრუნდეთ უკან, სანამ მას არ შეიპყრობთ... თანახმად ჩემი ამ ბრძანებისა, როცა დაამთავრებთ ამ საქმეს სამი წლის განმავლობაში, თქვენ დაბრუნდებით ყივჩაყთა ველზე გადავლით და შემოგვიერთდებით ჩვენ ჩვენს ძველ იურტში — მონღოლეთში... მე მალე თქვენს შემდეგ გამოვგზავნი თული-ყაენს ხორასანის ქალაქების: მერვის, ჰერატის, ნიშაბურის და მათი ოლქების დასაპყრობად. ჯოჩის, ჩაღათას და უგედეს თავისი სახელოვანი ჯარებით გავგზავნი ხორეზმის დასაპყრობად, რომელიც ხვარაზმშას უმნიშვნელოვანესი ქალაქია“[3].

ჩინგიზი და მისი შვილი თული სამარყანდის მიდამოებში დარჩნენ ერთხანს დასასვენებლად. ჯებე, სუბედაი და თოღაჩარი 30 ათა-

[1] ჯუვეინის ზემომოტანილი ტექსტის ქართული თარგმანი ამოღებული გვაქვს ამხ. რ. კიკნაძის წერილიდან „მონღოლთა შემოსევები“. იხ. ნარკვევები მახლობელ აღმოსავლეთის ისტორიიდან, ვ. გაბაშვილის რედაქც., გვ. 170.

[2] Рашид-ад-дин, Сборник летописей, т. I, кн. II, გვ. 209.

[3] იქვე, გვ. 209.

სი გაბედული მეომრით მუჰამედ ხვარაზმშას დაედევნენ. მუჰამედს თან მიჰყვებოდა ყივჩაყთა ერთ-ერთი ტომის ურანელების ჯგუფი (მუჰამედის დედის ნათესავები), რომელთაც ხვარაზმშას მოკვლა მოინდომეს, მაგრამ ერთმა მათგანმა შეთქმულება გასცა და მუჰამედი გადარჩა. მაგრამ ახლა შიშმა კიდევ უფრო შეიპყრო და მარტო თავის შველაზე ფიქრობდა. მხოლოდ ნიშაბურში მოითქვა სული, გულის გასამაგრებლად ღვინის სმას მიჰყო ხელი და ამ გზით ერთხანს თავს ირთობდა.

მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა ნიშაბურში ნებივრობა. მალე მიიღო ცნობა, რომ მონღოლთა ლაშქარი ნიშაბურისაკენ მოდიოდა. მუჰამედი ყაზვინისაკენ გაიქცა. ჰარამხანა, შვილები და სალარო უფრო საიმედო ციხე-სიმაგრეში გადახიზნა, აქ ემირებთან ითათბირა. სადმე გამაგრებაზე და ჯარების შეყრაზე მუჰამედმა უარი განაცხადა. მონღოლთა სარდლები ფეხდაფეხ მოსდევდნენ ხვარაზმშას. იყო მომენტი, როცა მონღოლთა ცალკეული რაზმი დაეწია ხვარაზმშას და მისი საპალნიანი ცხენი ისრით დაიჭრა კიდეც, მაგრამ მონღოლებმა არ იცოდნენ, რომ მუჰამედი იქ იყო, ცხენის სიმარდემ იხსნა ხვარაზმშა. ასე განუწყვეტლივ ცხენების ჭენებით და მისი ვასალების ხელისშეწყობით კასპიის ზღვის ერთ კუნძულზე შეაფარა თავი.

ჯებე და სუბედაი დაიბნენ ისე, რომ მუჰამედი ვერ იპოვეს, ამიტომ უკან სპარსეთში გაბრუნდნენ და ახლა ციხე-სიმაგრეების აღებას მიჰყვეს ხელი. მათთვის სრულიად მოულოდნელად ერთ-ერთ ციხეში წააწყდნენ ხვარაზმშას ჰარამხანას, შვილებს და სალაროს. ეს ყველაფერი სამარყანდში მიუვიდა ჩინგიზ-ყაენს. მუჰამედმა რაკი ეს უბედურება გაიგო დარდით სული დალია, იგი კუნძულზე დაასაფლავეს, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ მისმა შვილმა ჯელალ-ად-დინმა გადაასვენა თეირანის მახლობელ ციხე-სიმაგრეში — არდაჰანში.

ხვარაზმეთის მონღოლთა მიერ დაპყრობის შესახებ ცნობა მოიპოვება ქართველ ისტორიკოსს ჟამთააღმწერელსაც. იგი საკმაოდ განსხვავებულია იმ ცნობებისაგან, რომელთაც ჩვენ რაშიდ-ად-დინი და სხვა ისტორიკოსები გვაწვდიან და ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ კიდეც. ქართველი ისტორიკოსი წერს: „ხოლო ესე რა ცნა მაღალმან და ყოველთა ჴელმწიფეთა უდიდეს-მან ხვარაზმშა, რომელი მაშინ დღეთა სიმრავლითა მიმჴცოვნებულ იყო, შვილისა თჳსისა ჯალალდინისდა ჴელთ-ედვა სულტნობა თჳსი და ქვეყანანი, რომელ-

ნი მას ეპყრა ჯიონს აქეთ, ხვარასნისა და ერანისა. ცნა რა მოახლოება თათართა, მოუწოდა სპათა მისთა, ვითარ ექუს ასი ათასთა კაცთა, და წარემართა ჩინგიზ-ყაენსა ზედა, ხოლო იგი ხვარაზმშა წინა დაემთხვია. იქმნა ძლიერი და ფიცხელი ომი, რომელ ორგნითვე მოსწყდა სიმრავლე ურიცხვი, და იძლივნეს ხვარაზმელნი. ხოლო ბერი ხვარაზმშა დაშთა რაზმთა შინა, მცირედითა ლაშქრითა, და თათარნი გარემოადგეს მას. ცნა ესე შვილმან მისმან სულტანმან ჯალალდინ, რომელი იყო კაცი მჴნე და ქველი, შემმართებული, უშიშარი ვითარ უკორცო. მივიდა მცირედითა კაცითა შველად მამისა, და მყის განარინა მამა თვისი, წარმოიყუანა და ივლტოდეს ხუარასნად"[1]. რამდენადაც ვიცით, არც ერთ ისტორიკოსს არ აქვს აღნიშნული, რომ ხვარაზმშამ თავის ლაშქარს მთლიანად თავი შეუყარა, ჩინგიზ-ყაენს გენერალური ბრძოლა გაუმართა და ამ ბრძოლით ხვარაზმეთის სახელმწიფოს ბედი გადაწყდა. ქართველი ისტორიკოსი ცდება. მას ბუნდოვნად აქვს აქ აგრეთვე აღნიშნული, რომ ჯებე და სუბედაი თითქოს ჩინგიზ-ყაენმა ჯალალ-ად-დინს დაადევნა დასაპყრობად.

სამარყანდში მყოფი ჩინგიზ-ყაენი თავისი შვილებით ხვარაზმეთის სხვადასხვა პროვინციის დაპყრობას განაგრძობდა იმავე წესით, როგორც დაიწყო. ქ. ბალხის მცხოვრებთ უვნებლობის პირობა მისცა, მაგრამ შემდეგ შეუბრალებლად ყველაფერი გაანადგურა.

1221 წელს ჩინგიზის განკარგულებით მონღოლთა ლაშქარი ხვარაზმეთის სატახტო ქალაქის — გურგანჯის ანუ ურგენჩის დასაპყრობად მოემზადა. ამ საქმის სისრულეში მოსაყვანად თავისი შვილები ჯოჩი, ჩაღათა და უგედე გაგზავნა, მათ ხელქვეით დაწესებულ ლაშქრით. რაშიდ-ად-დინის ცნობით, ამ დროს მუჰამედის გარდაცვალების შემდეგ, გურგანჯში ჯალალ-ად-დინი იყო და მას თავდაცვა უნდა მოეგვარებინა, მაგრამ მის წინააღმდეგ გურგანჯის დიდებულთა შეთქმულება მოეწყო და იგი იძულებული შეიქნა ხორასანში გაქცეულიყო. როგორც კი გურგანჯში ამბავი მივიდა მონღოლების თავდასასხმელად მზადების შესახებ, ჯელალ-ად-დინის ძმები და მათი მომხრე ამირები აიყარნენ და ხორასნისაკენ გაიქცნენ, მაგრამ გზაზე მონღოლები შეეყარნენ და ამოჟლიტეს. გურგანჯი დარჩა გამოცდილი სამხედრო ხელმძღვანელის გარეშე; მიუხედავად ამისა ქალაქის მცხოვრებნი საბრძოლველად მოემზადნენ. მალე დაიწყო სისხლის მღვრელი ბრძოლებიც. ქალაქის აღება გაძნელებულა, ჯოჩისა და ჩაღათას შორის წინააღმდეგობა წარმოშობილა. ჯიუტობისა

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა გვ. 504.

და შეუთანხმებლობის გამო მონღოლთა ლაშქარში წესრიგი დარღვეულა. რაშიდ-ად-დინის ცნობით, ხვარაზმელებმა ისარგებლეს ამ მდგომარეობით და მონღოლთა ლაშქარი საგრძნობლად დაზარალეს და შვიდი თვე გურგანჯი ბრძოლას განაგრძობდაო. ამ ხნის განმავლობაში ჩინგიზ-ყაენი ბალხისა და ჩრდილო ავღანეთისაკენ ლაშქრობდა. როცა იგი აქ ქ. ტალიკანს იღებდა გურგანჯის მიდამოებში მყოფ შვილებისაგან შიკრიკი მიუვიდა, რომელმაც აუწყა, რომ გურგანჯი აუღებელი იყო, ხოლო მონღოლთა ლაშქრის მნიშვნელოვანი ნაწილი დაღუპული და ყოველივე ამის მიზეზი - - ძმებს შორის (ჯოჩისა და ჩაღათას) უთანხმოება იყო.

განრისხებულ ჩინგიზ-ყაენს მთავარსარდლად უგედეი დაუნიშნავს, სხვებისათვის კი უსიტყვოდ მისი მორჩილება უბრძანებია. რაშიდ-ად-დინი აქვე შენიშნავს, რომ უგედე გონიერი და ტაქტიანი ადამიანი იყოო, ძმები შეარიგა, ლაშქარში წესრიგი აღადგინა, შეტევაზე გადაიყვანა და ცხარე ბრძოლების შემდეგ შვიდი დღის განმავლობაში ქალაქი აიღოო. მოსახლეობა ნაწილობრივ გაუჟლეტიათ. თვითეულ მონღოლ მეომარს 24 კაცი შისცეს მოსაკლავად, ხოლო მონღოლთა ლაშქარი თითქოს 50 ათასი კაცისაგან შედგებოდაო[1]. ქალაქი და ციხე-გალავანი გაძარცვის შემდეგ გადაწვეს, მაგრამ არც ეს აკმარეს, მდ. ამუდარიის ჯებირი გახსნეს, ქალაქზე წყალი მიუშვეს და ვინც მოკვლას გადაურჩა წყალს გაატანესო[2].

რაშიდ-ად-დინის ცნობით, მონღოლებს ხვარაზმეთის სახელმწიფოში ძარცვა-რბევისა, ადამიანის დაუნდობლად ჟლეტისა, ქალაქების ნგრევისა და კულტურული რაიონების სრულიად გაუკაცრიელებისა ახალი საქმეც გაუჩენიათ. რაშიდ-ად-დინი, იქ, სადაც ჩინგიზის მიერ ქალაქ თერმეზის აღებას გვიყვება, ერთგან წერს: „მეთერთმეტე დღეს მონღოლებმა ქალაქი ძალით აიღეს, ადამიანები გამორეკეს ქალაქის გარეთ და თავისი ჩვეულებრივი წესით დაურიგეს ჯარის კაცებს და ყველა დახოცეს. ერთი მოხუცი ქალი ევედრებოდა (თავის მკვლელ მონღოლს): ნუ მომკლავთ, მე თქვენ მოგცემთ მრგვალ დიდ მარგალიტსო. მონღოლებმა მოთხოვეს მას (იგი). ქალმა უპასუხა დამაცადეთ მე იგი გადაყლაპული მაქვსო. მონღოლებმა მაშინვე გაფატრეს იგი და მარგალიტი ამოიღეს. ამ შემთხვევის გამო მონღოლებმა ყველა მოკლულის მუცლის გაფატვრა დაიწყესო“[3].

---

[1] Рашид-ад-дин. Сборник летописей. I—II, გვ. 217.

[2] რ. კიკნაძე, მონღოლთა შემოსევები, იხ. ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან, გვ. 172.

[3] რაშიდ-ად-დინის დასახ. ნაშრომი, გვ. 218.

ჩინგიზის უმცროსი შვილი თული ხორასანზე წამოვიდა და აქაური ქალაქების განადგურებას შეუდგა. ქართველ ისტორიკოსს თულის შესახებ აღნიშნული აქვს, რომ თურანს მოსულმა ჩინგიზ-ყაენმა· „გამოგზავნა შვილი მისი უმრწამესი, მოსათვალავად ხვარასნისა. გამოვლო ჯიონი და მოიწია ნიშაბურს, და ნიშაბურელნი დაეკაზმნეს და შეებნეს თულის, და პირველსავე ომსა აღიღო ქალაქი და მოკლა სამასი ათასი კაცი თავისა მოკვეთითა. და მეორესა ომსა ასი ათასი, მესამესა ომსა ოცდათორმეტი ათასი". როგორც ჩანს, ნიშაბურელებს სამჯერ მოუხერხებიათ ბრძოლის ორგანიზება. ქართველი ისტორიკოსი, რომ ეჭვი არავის შეეპაროს მისი ცნობების სისწორეში, საგანგებოდ შენიშნავს: „და უკეთუ არა ჯერ ხართ, ამით დაირწმუნეთ, დიდისა სეიბდივნისა ხოჯა შამშადინის ძმა თანადამხვდარ იყო, და იგი იტყოდა ამას ყოველსა ნიშაბურისა მოოხრებასა" [1].

ნიშაპურის აღების დროს მოწინავე რაზმის მეთაურად ჩინგიზყაენის სიძე თოღაჩარი ყოფილა, იგი ბრძოლაში დაღუპულა. ამის გამო ნიშაბური სხვა ქალაქებთან შედარებით უფრო სასტიკად დასაჯეს. ჯუზჯანის ცნობით, ქალაქი ისე მოსპეს, რომ ნაქალაქარი გადახნეს. ამოდენა ქალაქიდან მხოლოდ 400 ხელოსანი დატოვეს ცოცხალი და თან წაიყვანეს [2].

როგორც ვხედავთ, ხვარაზმეთის სახელმწიფოს ქალაქები იბრძვიან, მაგრამ არსებობს თუ არა ხვარაზმეთის ხელისუფლება სადმე და რას აკეთებს იგი. მუჰამედ ხვარაზმშას სიკვდილის შემდეგ ხვარაზმეთის სულტანად, რამდენიმე ხნის შემდეგ, მისი შვილი ჯელალად-დინი იქნა აღიარებული. მან შეძლო მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლების ორგანიზება, მაგრამ ჯელალ-ად-დინს, მხოლოდ იმის შემდეგ დაუწყია მონღოლების წინააღმდეგ ლაშქრის შეყრა, როცა ჯებე და სუბედაი აზერბაიჯანისაკენ და საქართველოსაკენ საბრძოლველად წამოვიდნენ. ჯელალ-ად-დინი ჯერ კასპიის ზღვის ჩრდილო აღმოსავლეთის ნახევარკუნძულზე მისულა, მანგიშლაკზე, ხოლო იქედან ხორეზმში გადასულა, სადაც ჯერ მონღოლები შემოსული არ იყვნენ. მაგრამ აქ მას მოწინააღმდეგენი კამოუჩნდნენ და ამიტომ თავის ძველ საუფლისწულოში ღაზნინში მივიდა. მის გარშემო მრავლად მოიყარა თავი ლაშქარმა. მას შემოუერთდა ზოგიერთი მახლობელი მფლობელიც, მონღოლთა მოწინავე ლაშქართან

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. 520.

[2] ნარკვევები მახლობელ აღმოსავლეთის ისტორიიდან, ვ. გაბაშვილის რედაქც., გვ. 173.

ბრძოლაში ჯელალ-ად-დინმა ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა. მაგრამ როცა ჩინგიზ-ყაენი მთავარი ძალებით მისკენ გაემართა, იგი იძულებულია ცხარე ბრძოლების შემდეგ გაქცევით უშველოს თავს. უკანასკნელად, როცა მას ყოველმხრივ მონღოლთა ლაშქარი უტევდა და იგი მცირერიცხოვანი მეომრებით თავგანწირული ბრძოლის შემდეგ მდინარეს გადადიოდა, გაკვირვებული ჩინგიზ-ყაენი თავის შვილებს ეუბნებოდა თურმე: „მხოლოდ ასეთი ვაჟიშვილი უნდა ყავდეს მამას“-ო[1].

ქართველი ისტორიკოსიც გვაწვდის ცნობას ჯელალ-ად-დინის შესახებ: „ამისა შემდგომად ებრძოლა კუალადცა სულტანი ჯალალდინ მრავალ-ჯერ, რამეთუ სამჯერ ჯიონს იქით შეება და ოთხჯერ ხვარასანს, ჯიონს აქეთ, ხოლო ვინათგან ღმერთსა, ცოდვათა ჩვენთათვის (მონღოლთა) მიეცა ყოველი ქვეყანა, სრულიად იძლია და ივლტოდა. ცნა რა სივლტოლა ამისი და სიმაგრეთა შინა შევლტოლა ჩინგიზ-ყაენმან, წარავლინა ორნი თავადნი ზემოხსენებულნი, იამა და სალპიანი, რომელთა ქართველნი სება-ჯებობით უწოდდეს, რათა მოველონ ქვეყანა ხვარასნისა და ერაყისა, სადამდის ეძლოსთ სლვად, განიხილონ“[2]. ჟამთაალმწერელი აქ ცდება, ჩინგიზ-ყაენის მიერ ჯელალ-ად-დინის მდევრად გამოგზავნილ რაზმს ჯებე და სუბედაი არ ხელმძღვანელობდნენ, ეს უკანასკნელნი მუჰამედ ხვარაზმშას დაადევნა ჩინგიზმა. ჯელალ-ად-დინს ოთხი ნოინი დაადევნეს. ქართველი ისტორიკოსის ცნობით, დაინახა რა ჯელალ-ად-დინმა, რომ მონღოლთა წინააღმდეგ ბრძოლა შეუძლებელი იყო, გადაწყვიტა ხვარაზმეთის სახელმწიფოს სრულიად გაცლოდა. ჟამთაალმწერელი წერს: „რამეთუ ზემოხსენებული სულტანი ჯალალდინ, უღონო იქმნა რა ბრძოლილი თათართაგან, მოუწოდა სპათა თვისთა, ვითარცა ზემო ვთქუ, და ჰრქუა მათ... მრავალ გზის ბრძოლა ეყავთ, და მრავალი ღვაწლი დავითმინეთ, არამედ... ყოველგან ვიძლიენით. აწცა მოახლებულ არიან მდინარესა ჯიონსა... და აწ ესე არს განზრახვა ჩემი. ვინათგან მისცა ღმერთმან ძლევა (მონღოლთა), უკეთუ გთნავსთ, დაუტეოთ ქვეყანა ესე, აღვიღოთ დედა-წული, სიმდიდრე და ჯოგი, და წარვიდეთ საბერძნეთს, და მუნ დავემკვიდრნეთ. დალათუ ჩვენ თათარნი გვძლევენ, გარნა ყოველთა ნათესავთა ჩვენ ვძლოთ, უკეთუ ვის ენებოს, წარმოვიდეს ჩვენ-თანა, და თუ სთნავსთ ვისმე, იყავნ შინა, რამეთუ ნება იყავნ ყოველთა სათ-

---

[1] Рашид-ад-дин, Сборник летописей, I, книга вторая, გვ. 224.
[2] ქართლის ცხოვრება, II ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 504.

ნოდ. მაშინ თქმული ესე ყოველთა ეკეთა, და აღიღეს დედა-წული და ყოველი სიმდიდრე მათი, და წარმოიღეს და მოიწივნეს ადარბადაგანს, კაცი ვითარ ას ორმოცი ათასი, და მოიწივნეს ქვეყნად მკარგრძელთა... ხვარაზმელნი მოვიდეს წელსა მესამესა ლაშა-გიორგის მიცვალებითაგან"[1].

როგორც ამ ტექსტიდან ჩანს, ხვარაზმეთის სულტანი თავისი ერთგული ქვეშევრდომებით ქალით და ბავშვით, ჯოგებით და საქონ-საბადებლით მამა-პაპეულ ქვეყანას სტოვებს და მცირე აზიაში ფიქრობს დამკვიდრებას იმ იმედით, რომ ხვარაზმელნი შეძლებენ მონღოლებს გარდა სხვების ყველას დამარცხებას და დასასახლებელი ტერიტორიის დაპყრობას.

რადგანაც ჩვენ აქ არ შეგვიძლია ჩვენი ძირითადი საკითხით შეზღუდულობის გამო ჯელალ-ად-დინის ბრძოლებზე შევჩერდეთ, მოკლედ აღვნიშნავთ, რომ ჯელალ-ად-დინმა მართლაც შეძლო მოწინაალმდეგეთა დამარცხება, დიდი ზიანი მიაყენა საქართველოს სახელმწიფოს, განსაკუთრებით დაზარლდა აღმოსავლეთი საქართველო და თბილისი. მაგრამ, სანამ აღმოსავლეთ საქართველოში შემოიჭრებოდა ჯელალ-ად-დინი, მას მნიშვნელოვანი წინადადებით მიუმართავს ქართველთა დიდებულებისათვის. ქართველი ისტორიკოსი ამბავს ასე აგვიწერს „... მაშინ სცნა სულტანმა ჯალალდინ ავაგ ათაბაგისა და ამირ-სპასალარისა ბიჯნის ყოფა, ინება ნახვა მისი· მიუვლინა მოციქული და ჰრქუა: შენ ხარ ვაზირთ უხუცესი მეფისა (რუსუდანისა) და საქართველოსა უთავადესი, და ითვალავ საქართუელოსა. თითოთა კაცითა შეეკრბეთ, რამეთუ მნებავს სიტყვად შენ-თანა. და სთნდა ავაგსაცა, და ნება სცა ხილვად, და წარვიდა ჰურვილი და იქით ერთითა კაცითა სულტანი ხრამსა ზედა ბიჯნისისასა, ჰურვილი იგიცა და შეკრბეს მახლობლად ერთი ერთისა. მაშინ იწყო სულტანმა სიტყვისა თქმად: არა მოვედ მე რბევად საქართველოსა, არამედ ზავისა და მშვიდობისათვის. გარნა თქვენ მსწრაფლ საომრად აღიჰურვენით და ფიცხლად შემებენით, და არა იქმნა მშვიდობა. აწ ვინათგან წარჩინებულ ხარ ქართუელთა შორის და კარსა მეფისასა, ისმინე ჩემი... მე ვარ მაღლისა და დიდისა ჴელმწიფისა ხვარაზმშას-ძე ...ხოლო განგებითა ზენითა გამოჩნდეს... კაცნი ვინმე საკვირველნი, უცხონი... რომელთა ყოველი აღმოსავლეთი დაიმორჩილნეს და მრავალნი ჴელმწიფენი მოსრნეს. ხოლო ხელმწიფედ ჰყაესთ... სახელად ჩინგიზ-ყაენი... მრავალჯერ შევებენით და ბრძოლა ვყავთ ჯიონს იქით, და უკანასკნელ ჯიონს აქათ-

[1] ქართლის ცხოვრება, II, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, გვ. გვ. 508—509.

ცა, გარნა იქმნა ცვალება სიმკნე-ქველობისა ხვარაზმშას სახლისა და ყოველგნით ვიძლიენით... დავუტევე ქვეყანა და სამეფო ჩემი, და სიმდიდრე აურაცხელი, და წარმოვედ საქართველოსა, მშვიდობისა და ზავისა ყოფად. მესმა სიმაგრე საქართველოსა ნათესავისა, სიმკნე წყობათა შინა. აწ მნებავს რათა შევიერთნეთ და შევითქვნეთ მტკიცითა ფიცითა, და ვებრძოლნეთ მტერთა-მათ ჩვენთა, მასმიეს რომელ მეფე თქვენი დედა-კაცი არს, და მყოთ ქმარ მისა, და იგი ცოლად ჩემდა, და მე მეფედ თქვენ-ზედა. და თუ ესე იქმნების, ვსძლოთ ყოველთა მტერთა ჩვენთა. და უკეთუ ესე არა ჰყოთ მოოჴრდეს სამეფო თქვენი. და თუ მეცა წარვიდე, თათარნი ეგრეცა მოსრულ არიან. თქვენ ვერ წინააღუდგებით და ვერცა შემძლებელ ხართ ბრძოლად მათდა. აწ ფიცხლად გაგზავნე კაცი მეფესა თქვენსა წინაშე და აუწყე თქმული ესე ჩემი, რამეთუ არა მნებავს ოჴრება საქართველოსა, არამედ დაცვა მტერთაგან, და თქვენ მიერ მე განვძლიერდე და ვიყვნეთ მშვიდობით"[1]. როგორც მოტანილი ტექსტიდან ჩანს ჯელალ-ად-დინი საქართველოს სახელმწიფოში ფიქრობდა დასახლებას და ჩვენს ქვეყანაში ბატონობას. მას აქ მეფობა მოუსურვებია და მისი მეჯოგენი საქართველოს ქვეშევრდომად, და ალბათ დასაყრდენად. ამ წინადადებაზე კატეგორიული უარი მიიღო. ამის შემდეგ ძალით ფიქრობდა საქართველოს დამორჩილებას და მონღოლური მხეცობით მოსახლეობის დაშინებას, მაგრამ ვერ დაემკვიდრა სულტანი ამიერკავკასიაში. აქ წლების განმავლობაში სასტიკი ბრძოლები გაუმართეს მას. მიუხედავად არა ერთი მარცხისა საქართველოს სახელმწიფომ ქედი არ მოუხარა, სანამ მონღოლნი კვლავ არ გამოჩნდნენ, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ. შუა-აზია მონღოლებს მთლიანად დაპყრობილი და საბოლოოდ დამორჩილებული ჯერ კიდევ არ ჰქონდათ. მონღოლთა უმნიშვნელო მარცხის გაგონებაზე მონღოლთა წინააღმდეგ არა ერთი მხარე აჯანყებულა, მართალია უშედეგოდ, მაგრამ მონღოლები მაინც იძულებული იყვნენ ძალები მუდამ მობილიზებული ჰყოლოდათ. ირანის დიდი ნაწილი მართალია დარბეული იყო, მაგრამ დაპყრობილად არც ის ჩაითვლებოდა. მაგრამ ის რაც ჩინგიზ-ყაენის მეთაურობით მონღოლებმა 1211 წლიდან 1224 წლამდე შეძლეს, ცხენის, ხარისა და აქლემის ტრანსპორტის პირობებში, ჭეშმარიტად უდიდესი მოვლენა იყო მსოფლიო ისტორიაში. უძლიერესი მაღალი კულტურის ხალხები საუკუნეებით უკან დაექანა, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, გვ. 512—513.

ჩინგიზ-ყაენის შუა-აზიაში ლაშქრობის დროსაც (1219—1223 წწ.) საქართველო ერთი უძლიერესი სახელმწიფოთაგანი იყო, რომელსაც დიდ ანგარიშს უწევდნენ არა მარტო მახლობელი მეზობლები, არამედ შორეული სახელმწიფოებიც. ამ დროს საქართველოში თამარ მეფის ვაჟიშვილი ლაშა გიორგი იყო მეფედ.

სწორედ იმ წლებში, როცა ხვარაზმეთს (შუა აზიას) უბედურება დაატყდა თავს, ჩინგიზ-ყაენის თავდასხმის სახით, საქართველოს სახელმწიფო დიდ სამზადისში ყოფილა. ქართველი მეფე და მისი ამირ-სპასალარი ივანე მხარგრძელი თურმე რომის პაპის მოწოდების თანახმად ჯვაროსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად ემზადებოდა. ამ ფაქტის შესახებ უტყუარ ცნობას რომში, ვატიკანის არქივში, დაცული 1223 წლის ორი საბუთი გვაწვდის. ერთს ხელს აწერს საქართველოს მეფე-დედოფალი რუსუდან თამარის ასული, ხოლო მეორეს „მთელის საქართველოს და სომხეთის მხედართმთავარი" ივანე მხარგრძელი. რუსუდანის პაპისადმი გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „ძმა ჩემი ქართველთა მეფე (ლაშა გიორგი — ი. ც.) მიიცვალა და მისი სამეფო მე მერგო... დამიეტში მყოფის თქვენის ელჩისაგან მივიღეთ თქვენი დიდებული რჩევა და ბრძანება, რომ ჩემი *ძმა ქრისტიანების შესაწევნელად წასულიყო. ისიც ამ ზრახვასა და წასვლის მზადებაში იყო, როდესაც ბოროტნი თათარნი შემოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში*. ეს იქნება თქვენც შეიტყვეთ..."[1]. ივანე მხარგრძელის იმავე რომის პაპისადმი გაგზავნილ წერილში ვკითხულობთ: „გაუწყებთ, რომ ჩემი ბატონი მეფე მიიცვალა და მის ადგილს... სხვა ავირჩიეთ მეფედ. თქვენმა წმიდა და მართლბრძანებამ, რომელიც დამიეტში მყოფის ელჩის მიერ წარმოგვიელინეთ, მოაწია მეფემდე და ჩემამდე. ხოლო, როცა ჩვენ დიდის ძალით მოვამზადეთ რა ჯარი, ცხენოსნები, სურსათი და ვაპირებდით წასვლას ქრისტიანების შესაწევნელად და წმიდა ადგილების დასახსნელად, ამ დროს თათარნი, ჯვართწარმძღვანებელნი შემოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში, ქრისტიანობის მოჩვენებით მოგვატყუეს და ექვსი ათასამდე კაცი გაგვიწყვეტესო"[2]. ჟამთააღმწერელის თხზულებაშიაც საქმე ისეა წარმოდგენილი, რომ სანამ მონღოლები ჩვენი ქვეყნის საზღვრებში არ შემოიჭრნენ, საქართველოს მთავრო-

[1] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902 წ., გვ. 7, ლათინური ტექსტი იხ. იქვე, გვ. 564.

[2] იქვე, გვ. 9, ლათინური ტექსტი, გვ. 565.

ბას მონღოლების შესახებ თითქოს წარმოდგენაც არ ჰქონიათ. საოცარია, წლისა და ნახევრის განმაელობაში მთელი ხვარაზმეთი და სპარსეთი მონღოლთა შემოსევის გამო სისხლისაგან იცლებოდა და საქართველოს სახელმწიფოს მესვეურნი თითქოს სადმე ოკეანეში გადაკარგულ კუნძულზე ისხდნენ და სხვის ამბავს არ ჰკითხულობდნენ. სამარცხვინო დოკუმენტად მოეჩვენება ადამიანს საქართველოს მთავარსარდლის ივანე მხარგრძელის წერილი. მონღოლებმა ნიღაბად ქრისტიანობა აიფარეს, მოგვატყუეს და ექვსი ათასამდე კაცი გაგვიწყვიტესო. ასეთი უდარდელობა და სახელმწიფოსათვის აუცილებელი სადაზვერვო საქმის სრული უნიათობა დაუჯერებელი რამ არის, მაგრამ ჩვენს ხელთარსებული წყარო დაბეჯითებით ამაში გვარწმუნებს. არამცთუ 1220 წელს, 1223 წელსაც საქართველოს მთავრობას თითქოს რიგიანად არ გაუკითხავს რა ხდებოდა საქართველოს მეზობელ სახელმწიფოში—ირანში. ქართველი მეფე-დედოფალი რუსუდანი და მისი მთავარსარდალი 1223 წელს რომის პაპს იმავე წერილებში სწერენ: „დიდათ განვიხარეთ ახლა რა შევიტყვეთ, რომ გიბრძანებიათ იმპერატორის და დასავლეთის სხვა ქრისტიანებისათვის, რათა წამოვიდნენ წმიდა ადგილების დასახსნელად. აწ გაუწყებთ, რომ თქვენს ბრძანებას ველით და მზად გახლავართ მთელის ჩვენის ძალით წავიდეთ ქრისტიანების შესაწევნელად; მე თვით მზად ვარ წმიდა ადგილების დასახსნელად წავიდე ორმოცი ათასი მეომრით, სადაც თქვენ ისურვებთ. მსგავსადვე გაუწყებთ, რომ როგორც მე ეგრეთვე ჩვენის ქვეყნის ყველა მთავრებმა მიიღეს ჯვაროსნობა...“[1].

აქედან უნდა დავასკვნათ, რომ საქართველოს მთავრობას მაშინ სრულებით არ ესმოდა იმ დროს რა ხდებოდა შუა აზიასა და ირანში, არც ის ესმოდა თუ რა მოხდა 1220 წელს საქართველოს საზღვრებზე და სად წავიდა მონღოლთა ის ლაშქარი, რომელმაც საგრძნობი რაოდენობის ქართველთა ჯარი დაამარცხა. 1223 წელსაც ე. ი. იმ დროს, როცა საშინელი მტერი კარს იყო მომდგარი, საქართველოს სახელმწიფოს ხელმძღვანელობა ჯვაროსნულ ომში მონაწილეობის მიღებას ჰპირდებოდა რომის პაპს. ჩვენ არ ვიქნებით მართალი თუ იმას ვიფიქრებთ, რომ ჯვაროსნულ ლაშქრობებში ქართველებს საერთოდ მონაწილეობა არ უნდა მიეღოთ. მე-12 საუკუნეში დასავლეთ ევროპის სამეფო-სამთავროების მიერ მახლობელ აღმოსავლეთისაკენ მოწყობილი ლაშქრობანი საქართველოს სახელ-

---

[1] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902 წ., გვ. 9.

მწიფოსათვის სასარგებლო შეიქნა, რადგანაც მცირე აზიის მაჰმადიანური პოლიტიკური ერთეულები ამ ომების შედეგად დაუძლურდა. არც ბიზანტიის სახელმწიფოს დაადგა კარგი დღე. ქართველმა პოლიტიკოსებმა კარგად გამოიყენეს მცირე აზიაში შექმნილი ვითარება, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მეცამეტე საუკუნის პირველ მეოთხედისათვის საქართველოს სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგიდან თურქთა საკითხი არამცთუ მოხსნილი არ იყო, იგი ჯერ კიდევ პირველ საკითხად იდგა. ჩვენ არ შეგვიძლია დავიჯეროთ, რომ საქართველოში მმართველ წრეებს არავითარი ცნობა არ ჰქონოდეთ 1219—23 წლებში ხვარაზმეთსა და სპარსეთში მიმდინარე დიდი ბრძოლების შესახებ. საქართველო აღმოსავლეთის ვაჭრობაში ჩაბმული ქვეყანა იყო და ოთხი და ხუთი წლის განმავლობაში მთელი ირანი და შუა აზია ამ ვაჭრობას გამოეთიშა და ნუთუ შეიძლებოდა ამ მნიშვნელოვან მოვლენას საქართველოს მმართველი წრეების ყურადღება არ მიექცია და ამბავი არ ეკითხათ რა ხდებოდა მეზობლად.

მაგრამ, როგორც ჩანს, ხვარაზმეთის და ირანის დაქცევა ისეთივე სასიამოვნო მოვლენა იყო მიჩნეული მე-13 საუკუნის საქართველოში, როგორც ევროპიელების მიერ მახლობელ აღმოსავლეთისაკენ მოწყობილი ჯვაროსნული ლაშქრობანი მეთორმეტე საუკუნის საქართველოს მმართველი წრეებისათვის.

მართალია, საქართველოს სახელმწიფო და მისი სამხედრო უწყება მე-13 საუკუნეში უკვე თავის მოწოდების წინანდელ სიმაღლეზე შეიძლება აღარ იდგა, მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ საქართველოს გარშემო მიმდინარე პროცესებისათვის თვალყური არ ედევნებინოთ. განა სახელმწიფო მოღვაწეებს ასე გულუბრყვილოდ უნდა დაეჯერებინათ, რომ რაკი „უცნაური ხალხი" (მონღოლები) მაჰმადიანების წინააღმდეგ ლაშქრობდა შუა აზიასა და ირანში ქრისტიან ქართველებს არაფერს ავნებდა? როდის იყო, რომ სარწმუნოებრივი ერთიანობა წყვეტდა ომისა და მეგობრობის საკითხს? საქართველოს სამხედრო მინისტრმა ის არ იცოდა, რომ საქართველოს ქრისტიანულ ბიზანტიასთან ჰქონდა საუკუნეების მანძილზე სისხლისმღვრელი ომები? ქრისტიანულმა საქართველომ რა საფუძველზე ააგო ტრაპიზონის სახელმწიფო, თვით ივანე მხარგრძელის მონაწილეობით? ივანე მხარგრძელი ისე წერს, რომ თითქოს მონღოლების ვინაობა მხოლოდ მაშინ გაიგეს ქართველებმა, როცა ისინი საქართველოს საზღვრებში შემოიჭრნენ.

საქართველოს ისტორიიდან ცნობილია, რომ თამარ მეფის დროს სახელმწიფოს თავდაცვის ორგანიზაციაში ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება იქნა შეტანილი: დაარსდა მ ო ნ ა პ ი რ ე თ ა ინსტიტუტი. მონაპირედ დანიშნული დიდებული, ერისთავის ტოლი პიროვნება იყო, სამხედრო საქმის მცოდნე და იგი სახელმწიფოს საზღვრის ზოლს განაგებდა. მას ევალებოდა მეზობელი სახელმწიფოების სამხედრო ძლიერების დაზვერვა, საზღვრის, მისდამი რწმუნებულ უბნის, დაცვა მეზობლების თარეშებისაგან. თამარ მეფის დროს საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები შვიდ სანაპიროდ ყოფილა დაყოფილი. თითოეულ მონაპირეს თავისი ლაშქარი ჰყავდა და ზოგჯერ მის უბანზე შემოსეულ მტერს სხვის დაუხმარებლად თვით გასცემდა პასუხს, ისე რომ სრულიად საქართველოს ლაშქრის შეყრა არც იყო საჭირო. მაგრამ, თუ საფრთხე დიდი იყო, საქართველოს მთავრობის განკარგულებით სახელმწიფოს მთავარი ძალები იკრიბებოდა და მეფის ან სამხედრო ვაზირის წინამძღოლობით მომხდურ მტერს თავს ესხმოდა და გენერალური ბრძოლა გადაწყვეტდა საკითხს. სრულიად საქართველოს ძირითადი ძალების საბრძოლოდ ფეხზე დაყენებას და დანიშნულ ადგილას გამოცხადებას თურმე ათი დღე სჭირდებოდა. საქართველოს მთავრობას შესანიშნავად მოწყობილი სამობილიზაციო აპარატი ჰქონდა. გზებიც კარგად იყო მოწყობილი სადგურებითა და გაწვრთნილი „მალემსრბოლთა“ რაზმით[1].

ასეთ ვითარებაში მონღოლების ამბავი მანამდე ვერ გაიგეს ქართველებმა, სანამ ექვსი ათასი მეომარი ქვეშევრდომი არ გაუჟლიტა მონღოლთა რაზმმა? წყაროებში არ არის აღნიშნული, თორემ საქართველოს მმართველ წრეებს ზოგადი ინფორმაცია ჰქონდათ ხვარაზმეთსა და ირანში მიმდინარე მოვლენების შესახებ, ქართველები მხოლოდ ამ მოვლენების შეფასებაში შეცდნენ. მათ, როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ხვარაზმეთის დაქცევა და ირანის დაუძლურება, საქართველოსათვის ხელსაყრელ მოვლენად მიიჩნიეს და ამიტომაც რომის პაპის მოწოდებას ასე ერთსულოვნად გამოეხმაურენ როგორც გიორგი ლაშა, ისე მისი ხელქვეითნი. გიორგი ლაშა, როგორც რუსუდანის წერილიდან ჩანს, სწორედ ჯვაროსანთა ლაშქრობაში მონაწილეობის მისაღებად სამზადისში ყოფილა, როცა მონღოლები საქართველოს სახელმწიფოს მოადგნენ.

---

[1] ნ. ბ ე რ ძ ე ნ ი შ ვ ი ლ ი ს, ე. დ ო ნ დ უ ა ს, მ. დ უ მ ბ ა ძ ი ს და სხვ. საქართველოს ისტორია, I, 1958, წ.. გვ. 211.

ჩინგიზ-ყაენს საგანგებოდ საქართველოს დასაპყრობად სარდალი და ლაშქარი არ გამოუგზავნია. ამიერკავკასიაში შემოიჭრა მონღოლთა ის კორპუსი, რომელსაც ჯებე და სუბედაი სარდლობდნენ. ამ სარდლებს ჩინგიზ-ყაენმა უბრძანა: „წადით და დაედევნეთ ხვარაზმშას და სადაც არ დაეწევით მას თავს დაესხით. თუ ძალები არ გეყოფათ წინააღმდეგობის გასაწევად არ დააყოვნოთ და შემატყობინეთ მე, თუ სუსტი აღმოჩნდეს წინააღუდექით... გაფიცებთ თქვენ დიდი უფალის ძალას არ დაბრუნდეთ უკან, სანამ მას (ხვარაზმშას) არ შეიპყრობთ... თანახმად ჩემი ამ ბრძანებისა, როცა დაამთავრებთ ამ საქმეს სამი წლის განმავლობაში, თქვენ დაბრუნდებით ყივჩაყთა ველზე გადავლით და შემოგვიერთდებით ჩვენ ჩვენს ძველ იურტში — მონღოლეთში, რადგანაც იმის ანალოგიით, რაც უკვე მოვახდინეთ ჩვენ, ალბათ, ამ ვადაში სრულებით მოვრჩებით ირანის ქვეყნის დაპყრობას და სახლში დავბრუნდებით გამარჯვება მოპოვებული. მე მალე თქვენს შემდეგ გამოვგზავნი თული ყაენს ხორასანის ქალაქების: მერვის, ჰერატის, ნიშაბურის, სერაყსის და მათი ოლქების დასაპყრობად. ჯოჩის, ჩაღათას და უგედეს გავგზავნი ხორეზმის დასაპყრობად, რომელიც ხვარაზმშას უმნიშვნელოვანესი ქალაქია. ვფიცავ დიდი უფალის ძალას, ჩვენ შევძლებთ ამ რამოდენიმე საქმის სისრულეში მოყვანას და ჩვენ მიეალთ სახლში ზუსტად ამ დროის (სამი წლის, ი. ც.) განმავლობაში"[1].

აქ არის მოცემული ჩინგიზ-ყაენის მიერ შემუშავებული გეგმა. სამი მხედართმთავარი ჯებე, სუბედაი და თოღაჩარი (ჩინგიზის სიძე) ხვარაზმშას მდევრად არიან გამოგზავნილნი. რაშიდ-ად-დინს, ამ სამი სარდლის შესახებ, ცოტა ზემოთ აღნიშნული აქვს: „სამარყანდის გარემოცვის დროს ჩინგიზ-ყაენმა გაიგო, რომ ხვარაზმშა საზაფხულო რეზიდენციაში იმყოფებოდა, მან (ჩინგიზმა, ი. ც). გაგზავნა მოწინავე რაზმი ჯებე-ნოინის მეთაურობით, რომელიც ჰისუტის ტომიდან იყო, ერთი დუმენი ლაშქრით, მზვერავად და თვალყურის მდევნებლად. ხოლო სუბედაი ბაყათური, რომელიც ურიანყათის ტომიდან იყო, მეორე დუმენის მეთაურად (ჯებეს კვალდაკვალ), როგორც არიერგარდი, დაბოლოს, ამათ უკან მან (ჩინგიზმა) დაადევნა თოღაჩარ ბაყათური, ყუნღირათის ტომის ამირთაგანი, კიდევ ერთი დუმენით და უბრძანა"...[2].

მაშასადამე, ხვარაზმშას დაედევნა სამი სარდალი თავისი რაზმებით, სულ სამი დუმანი ლაშქარი ყოფილა, რაშიდ-ად-დინს იმავე,

---

[1] Рашид-ад-дин, Сборник летописей, 1, кн. II, გვ. 209.
[2] იქვე, გვ. 209.

გეერდზე ამ სარდლების ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფი ჯარის რიცხვი ზუსტად აქვს დასახელებული „30.000 გამოცდილი, გაბე-დული მეომრები“ [1].

მაგრამ, რაშიდ-ად-დინის ცნობით, თოღაჩარი ხან-მელიქის სამ-მართველოში, ჰერატის მხარეში, ჩინგიზის განკარგულებას არღვევს და იწყებს ძარცვას, ჯებესა და სუბედაის კი ამ მხარისათვის ხელი არ უხლიათ. მძარცველ თოღაჩარს შეებრძოლენ იქაური მთიელები და თითქოს მოჰკლეს[2]. ჯუზჯანისა და ჯუვეინის ცნობით, თოღაჩა-რი დაიღუპა ნიშაბურის მახლობლად. ჩინური ცნობით კი თოღა-ჩარს მხოლოდ პურის თავთავების დაკრეფის ბრძანება გაუცია ჰერატის მხარეში და როცა იგი, ხანმელიქის დაბეზღების გამო, ჩინგიზს უკან გაუწვევია, ჯერ თითქოს მისი სიკვდილით დასჯა უნდო-და დიდ ყაენს, მაგრამ შემდეგ საყვედური გამოუცხადა და თანამ-დებობიდან გადააყენაო[3].

ამის შემდეგ ჩვენ თოღაჩარის რაზმის შესახებ ცნობა აღარ მო-გვეპოვება. აკად. ბარტოლდის აზრით, თოღაჩარის რაზმი 1221 წელს ხორეზმის მხარეში იბრძვის. დაინიშნა თუ არა სხვა კორპუსი ჯებე და სუბედაის დასახმარებლად არც ერთ წყაროში ცნობა ამის შესახებ არ არის და ამიტომ ისე გამოდის, რომ ხვარაზმშას მხო-ლოდ ჯებე და სუბედაის კორპუსები დაედევნენ. მაშინ ხვარაზმშას მდევარი მონღოლების რიცხვი 20. 000 კაცზე მეტი აღარ უნდა ყო-ფილიყო. წყაროებში არ ჩანს სხვა სარდალი თოღაჩარის შემცვ-ლელი, რომელიც ხვარაზმშას დასაჭერად ირანისაკენ ლაშქრობდეს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხვარაზმშა კასპიის ზღვის სამხრეთ სა-ნაპირომდე მოვიდა და ერთ კუნძულს შეაფარა თავი და იქვე გარ-დაიცვალა 1220 წელს. მისი მდევარი მონღოლთა სარდლები რაკი დარწმუნდნენ, რომ ხვარაზმშას ვერ იპოვიდნენ, ჯერ ირანში გაბ-რუნდნენ და დაურბეველ და აუღებელ ქალაქებს გაუსწორეს ანგა-რიში, სადაც ერთგან ხვარაზმშას ჰარამხანას და სალაროს წააწყდნენ. თითქოს ამით მათი მისია დამთავრებულად უნდა ჩათვლილიყო და თანახმად ჩინგიზ-ყაენის განკარგულებისა ყივჩაყთა ველით ანუ ყივ-ჩაყეთზე გადავლით მონღოლეთში უნდა შეყროდნენ თავის მბრძა-ნებელს. რაშიდ-ად-დინის ცნობით ჯებე და სუბედაის რაზმები საგრძ-ნობ წინააღმდეგობებს წააწყდნენ ირანში. მრავალი ბრძოლები გა-დაიხადეს აქ. მართალია, მონღოლთა ჯარისკაცები კარგი მებრძოლე-

---

1 Рашид-ад-дин. Сборник летописей, I, кн. II, გვ. 209.

2 იქვე, გვ. 220.

3 В. Бартольд. Туркестан..., II, გვ. გვ. 456—457.

ბი იყვნენ, მაგრამ უკვდავები ხომ არ ყოფილან. ყაზვინთან ბრძოლას ასე აღწერს რაშიდ-ად-დინი: „ყაზვინის მოსახლეობა ქალაქში დანებით იბრძოდა თავისი ჩვეულებისამებრ, რის შედეგადაც 50.000 კაცი დაიღუპა ორივე მხრით“[1]. აქვე რაშიდ-ად-დინს აღნიშნული აქვს, რომ ჯებე და სუბედაი, ხვარაზმშას დევნის პროცესში და მისი გარდაცვალების შემდეგაც, განუწყვეტლივ შიკრიკებს გზავნიდნენ სხვადასხვა საკითხების გამო ჩინგიზთან „და რადგანაც, დაპყრობილ მხარეებში მშვიდობიანობა ჯერ კიდევ დამყარებული არ იყო, სამარყანდში მყოფ ჩინგიზთან არც ერთი ელჩი-შიკრიკი არ მიემგზავრებოდა თუ არ გაყვებოდა 300—400 ცხენოსანი მცველი“-ო[2]. ასეთ ვითარებაში არა გვგონია, რომ ჯებე და სუბედაის ის ოცი ათასი ცხენოსანი მებრძოლი უკლებლად შერჩენოდეს ამიერკავკასიამდე. ამიტომ არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ჯებე და სუბედაის *კორპუსები გზა და გზა შევსებას ღებულობდნენ ჩინგიზისაგან* და როცა ირანში ბრძოლები დაამთავრეს, თუ მეტი არა, სრულად დაკომპლექტებული ორი დუმენი მაინც უნდა ჰყოლოდათ, ე. ი. 20.000 ცხენოსანი მონღოლი მეომარი. სხვა რიგად წარმოუდგენელია იმ დავალებათა შესრულება, რაზედაც ჩვენ წყაროები ცნობებს გვაწვდიან. ბრძოლებს მონღოლები იგებდნენ, მაგრამ საგრძნობი ზარალი მათაც მოსდიოდათ.

ჯებე და სუბედაის შესახებ ცნობა ქართველ ისტორიკოსსაც მოეპოვება. იგი წერს: „...ჩინგიზ-ყაენმან წარავლინნა ორნი თავადნი ზემოხსენებულნი, იამა და სალპიანი, *რომელთა ქართუელნი სებაი-ჯებობით უწოდდეს*, რათა მოვლონ ქვეყანა ხვარასნისა და ერაყისა, სადამდის ეძლოსთ სვლად, *განიხილონ*, ხოლო *ესენი წარმოვიდეს ათორმეტითა ათასითა მჴედრითა, თვინიერ საჭურველისა და საზრდელისა ქონებითა*, არამედ მშვილდითოდენ, უკრმლოდო“[3]. არ ჩანს საიდან უნდა ჰქონდეს ამოღებული ასეთი ცნობა ქართველ ისტორიკოსს. ქართველი ისტორიკოსი მართალია იმაში, რომ მონღოლთა ეს ორი რაზმი დამპყრობი რაზმი არ იყო, იგი ქვეყნების დასაზვერავად მოდიოდა და იმავე დროს ხვარაზმშას მოსდევდა დასაჭერად. მაგრამ მარტო მშვილდ-ისრით შეიარაღებული 12 ათასი კაცი ასეთი დიდი ამოცანის შესრულებას ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეძლებდა. მხოლოდ თოფებითა და ზარბაზნებით თუ გაბედავდა ასე

---

[1] Рашид-ад-дин, Сборник летописей, I, кн. II, გვ. 227.

[2] იქვე, გვ. 227.

[3] ქართლის ცხოვრება, II, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. გვ. 501—505.

მცირე რაზმი ირანში, კავკასიაში, ყივჩაყეთსა და რუსეთში შეჭრას და შემდეგ გამარჯვებული მონღოლეთში მშვიდობით მისვლას. სომეხ ისტორიკოსს ვარდან ბარძრბერდელს აღნიშნული აქვს, რომ საქართველოს საზღვრებში შემოჭრილი მონღოლთა რაზმი 20.000 მეომრისაგან შედგებოდაო[1]. აკად. ი. ჯავახიშვილი სომეხი ისტორიკოსის ცნობას უფრო მართებულად მიიჩნევს.

საქართველოს სახელმწიფოზე მონღოლების პირველი თავდასხმის შესახებ არსებული წყაროები განსვ. აკად. ივ. ჯავახიშვილს მისთვის ჩვეული მეცნიერული კეთილსინდისიერებით აქვს განხილული, თავის ქართველი ერის ისტორიის მესამე წიგნში. აქ განხილული მასალა და მიღებული დასკვნები გვიადვილებს საქართველოზე მონღოლთა თავდასხმების დაახლოებითი სურათის აღწერას, თუმცა ზოგიერთი ფაქტის დაზუსტებას ამ სტრიქონების ავტორიც შეეცადა.

მონღოლების პირველი თავდასხმის შესახებ მოკლე ცნობას ლაშა გიორგის დროის ქართველი მემატიანე გვაწვდის. იგი წერს: „და შემოვიდეს უცხო თესლნი სომხითს და ჰერეთს, ევნო რამე მცირედი მათგანცა. შექცეულთა მიეწია ბალის წყალთა ზედა და პირველი წყლულება მათგან იქმნა“[2]. ლაშა გიორგის მემატიანე და სპარსი ისტორიკოსი რაშიდ-ად-დინი გვაუწყებენ, რომ 1220-21 წლებში ორჯერ იყო ბრძოლა მონღოლებსა და ქართველებს შორის. მეორე ქართველი ისტორიკოსი ჟამთააღმწერელი მონღოლებთან ქართველების ერთ დიდ ბრძოლას აღწერს და შემდეგ აღნიშნავს, რომ სამშვილდემდე მოსული მონღოლები გაბრუნდნენ და დარუბანდით ყივჩაყეთში გადავიდნენო.

სომეხ ისტორიკოსს მალაქია ბერსაც (აბელა) მონღოლთა ერთი თავდასხმა აქვს აღწერილი გაგის მახლობლად. ასეთსავე ცნობას გვაწვდის მეორე სომეხი ისტორიკოსი კვირიაკე განძელიც, ისიც მხოლოდ ერთი ბრძოლის შესახებ გვიყვება ამბებს[3].

მაგრამ ლაშა გიორგის დროინდელი ქართველი მემატიანისა და სპარსთა ისტორიკოსის რაშიდ-ად-დინის ცნობას, ქართველებსა და მონღოლებს შორის მომხდარი ორი ბრძოლის შესახებ, უპირატესობა უნდა მიენიჭოს. ლაშა გიორგის მემატიანე მომხდარი ამბების თანამედროვე იყო. იგი სწორედ იმ წლებში ცხოვრობდა, როცა მონღო-

---

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, 1949, გვ. 13.

[2] ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, ივ. ჯავახიშვილის გამოც., 1927 წ., გვ. 18.

[3] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, 1949 წ., გვ. 14.

ლები საქართველოს პირველად დაესხნენ თავს. ამას გარდა, ჩვენს ხელთ არის რუსუდან დედოფლისა და ივანე მხარგრძელის 1223 წელს რომის პაპისადმი გაგზავნილი წერილები, რომელშიაც მონღოლებთან ქართველების ორი ბრძოლაზე არის გარკვევით საუბარი.

რუსუდანი წერს: „უწმიდესს პაპს... ჩვენ მდაბალი რუსუდან აფხაზთა დედოფალი, თქვენი ერთგული მხევალი და ასული უმდაბლესად... მოგესალმებით... ძმა ჩემი ქართველთა მეფე მიიცვალა და მისი სამეფო მე მერგო.. დამიეტში მყოფის თქვენის ელჩისაგან მივიღეთ თქვენი დიდებული რჩევა და ბრძანება, რომ ჩემი ძმა ქრისტიანების შესაწევნად წასულიყო. ისიც ამ ზრახვასა და წასვლის მზადებაში იყო, როდესაც ბოროტნი თათარნი შემოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში. ეს იქნება თქვენც შეიტყუეთ, დიდი უბედურება მიაყენეს ჩვენს ერსა და დაგვიხოცეს ექვსი ათასი კაცი. ჩვენ მათ არ ვუფრთხილდებოდით, რადგან ქრისტიანები გვეგონა; მაგრამ როდესაც ვსცანით, რომ კარგი ქრისტიანები არ იყვნენ, მაშინ შევკრიბეთ ყოველი ჩვენი ძალა და წინ აღვუდექით, ოცდახუთი ათასი კაცი გავუწყვიტეთ, ბევრიც დავატყვევეთ და დანარჩენი მათი მხედრობა ჩვენის ქვეყნიდგან გავდევნეთო“ [1].

ასეთივე ცნობას აწვდის რომის პაპს საქართველოს სამხედრო „მინისტრი“, მთავარსარდალი, მონღოლებთან ბრძოლის უშუალო მონაწილე, ივანე მხარგრძელი: „გაუწყებთ, რომ ჩემი ბატონი მეფე მიიცვალა... თქვენმა წმიდა და მართლბრძანებამ, რომელიც დამიეტში მყოფის ელჩის მიერ წარმოგვიელინეთ, მოაწია მეფემდე და ჩემამდე. ხოლო როცა ჩვენ დიდის ძალით მოვამზადეთ ჯარი ცხენოსნები და სურსათი და წასვლას ვაპირებდით ქრისტიანების შესაწევნელად და წმიდა ადგილების დასახსნელად, ამ დროს თათარნი, ჯვართ წარმძლევარნებელნი შემოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში, ქრისტიანობის მოჩვენებით მოგვატყუილეს და ექვსი ათასამდე კაცი გაგვიწყვიტეს. ხოლო შემდეგ ვსცანით რა რომ ჭეშმარიტი ქრისტიანები არ იყვნენ... წინააღვუდექით, 25 ათასი ცხენოსანი გავუწყვიტეთ, ზოგიც დავატყვევეთ და დანარჩენიც ჩვენის საზღვრებიდან გავდევნეთ...ო“[2]. ქართველი მეფისა და მისი ვაზირის წერილებისაგან სრულიად დამოუკიდებელი ავტორი ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე წერს: „და შემოვიდეს უცხო თესლნი სომხითს და ჰერეთს, ევნო რამე მცირედი მათგანცა. შექცეულთა მიეწია ბალის

[1] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, 1902 წ., გვ. 7.

[2] იქვე, გვ. გვ. 8—9.

წყალთა ზედა და პირველი წყლულება მათგან იქმნა. შემდგომ მოხედვითა ღთისათა და ლმობიერ ქცევითა მეფისა გიორგისითა გააქცევნეს და ამოსწყუიდნეს გაქცეულნი"-ო[1].

სად იყო პირველი ბრძოლა გარკვევით არა ჩანს წყაროებში. ქართველი მემატიანე წერს, რომ „ბ ა ლ ი ს  წ ყ ა ლ თ ა  ზ ე დ ა" მიეწია ქართველთა რაზმი და აქ გამართულ ბრძოლაში დამარცხდნენ ქართველებიო, მაგრამ ამ ადგილის დაზუსტება ძნელდება[2]. საკამათო არ არის, რომ მონღოლები საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთის საზღვრებში შემოიჭრნენ რანის მხრიდან და სადღაც ამ მხარეში უნდა მომხდარიყო ბრძოლა.

ქართველ მემატიანეზე უფრო დაწვრილებით გვიყვება ამ პირველი ბრძოლის ამბავს სპარსი ისტორიკოსი რაშიდ-ად-დინი. იგი წერს, რომ, როდესაც მონღოლები თებრიზის (თავრიზის) მმართველს, უზბეგ ათაბაგს მოურიგდნენ და მას დიდძალი ფული და სურსათი გადაახდევინეს, მონღოლები დასაზამთრებლად რანში გაემართნენო: „მათი გზა საქართველოზე (გურჯისტანზე) მიემართებოდა. ათი ათასი ქართველი ვაჟკაცი (გურჯები) შემოეგება მონღოლებს და ბრძოლა გაუმართა. ქართველები (გურჯები) დამარცხდნენ, მათი უმრავლესობა მოიკლა, იმის გამო, რომ საქართველოში (გურჯისტანში) მონღოლებმა ტყიანი და დაბურული ძნელად გასასვლელი ადგილები და გზები დაინახეს უკან გაბრუნდნენ"-ო[3].

ქართველების ამ მარცხის შესახებ მოკლე ცნობას გვაწვდის ცნობილი არაბი ისტორიკოსი იბნ-ალასირიც. იგი წერს, რომ მონღოლები თავრიზის მფლობელთან მორიგების შემდეგ მუღანისაკენ წავიდნენ დასაზამთრებლად და ჯოგების გამოსაკვებადო. შემდეგ აღნიშნული აქვს: „ისინი გაემგზავრნენ მუღანში, ხოლო გზათ მიმავალნი ქართველების ქვეყანაში შევიდნენ. მათ წინააღმდეგ ქართველების დიდი ლაშქარი გამოვიდა, 10.000 მეომარი, და შეებრძოლა მათ. ქართველები გააქციეს და მათი დიდი ნაწილი გაწყვეტილ იქნაო"[4].

ამრიგად, სპარსული, ქართული და არაბული ცნობებით მონღოლთა პირველი თავდასხმა საქართველოზე შემდეგი სახით შეიძლება წარმოვიდგინოთ: 1220 წელს შემოდგომაზე ჯებე და სუ-

---

1 ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, ივ. ჯავახიშვილის გამოცემა, გვ. 18.

2 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, წ.III, 1949 წ., გვ. 15.

3 Р а ш и д-а д-д и н. Сборник летописей, I, кн. II, გვ. 227.

4 В. Т и з е н г а у з е н. Сборник материалов, относящихся к истории Золотой Орды, т. I, извлечения из сочинений арабских, 1884, გვ. 15.

ბედაის სარდლობით მონღოლთა ცხენოსანი ლაშქარი ირანიდან მომავალი საქართველოს სამხრეთ საზღვრებს მოადგა და სომხით-ჰერეთის პროვინციების დარბევა დაიწყეს, ალბათ სურსათ-სანოვაგე ესაჭიროებოდა რანისაკენ დასაზამთრებლად მიმავალ მონღოლთა ლაშქარს.

სომხით-ჰერეთის ტერიტორიის ეს მხარე ვარამ გაგელის სანაპირო იყო. სანამ საქართველოს მეფე ზომებს მიიღებდა, ვარამ გაგელის მეთაურობით, სახელმწიფოს ადგილობრივი სანაპირო ძალები უნდა შეკრებილიყო. ამას ამტკიცებს სპარსთა და არაბთა ისტორიკოსების ცნობები ათი ათასიანი ქართველთა რაზმის მონღოლებზე თავდასხმის შესახებ. ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის ცნობიდან ჩანს, რომ მონღოლები სომხით-ჰერეთის პროვინციების გაძარცვის შემდეგ საბრძოლველად განწყობილნი არ ყოფილან და თავისი გზით რანისაკენ დასაზამთრებლად მიბრძანდებოდნენ, მაგრამ ქართველების რაზმი მონღოლებს ბალის წყალთან დაეწია: „შექცეულთა მიეწია ბალის წყალთა ზედა და პირველი წყლულება მათგან იქმნა". ქართველები დამარცხებულან. თუ რუსუდან დედოფლისა და ივანე მხარგრძელის წერილებში დაცულ ცნობასაც გავითვალისწინებთ, ქართველთა რაზმს დიდი მარცხი მოსვლია. ათი-ათასიანი კორპუსიდან ექვსი ათასი თუ დაიღუპა ერთ ბრძოლაში, ისიც ცივი იარაღით მოქმედების დროს, ამ მარცხს დიდი შთაბეჭდილება უნდა მოეხდინა საქართველოს მმართველ წრეებში.

ქართველი პოლიტიკოსები არ დაბნეულან. როგორც ჩანს, ქართველი მეფის ლაშა გიორგის ინიციატივით საქართველოს მეზობლად შექმნილი მდგომარეობა საფუძვლიანად განუხილავთ და მონღოლთა საწინააღმდეგოდ მცირე აზიის ძალთა დარაზმვა დაუგეგმავთ.

ქართველების ამ ინიციატივის შესახებ ეჭვ-მიუტანელ ცნობას არაბი ისტორიკოსი იბნ-ალასირი გვაწვდის. იგი წერს, რომ „როცა ქართველები მონღოლებთან პირველ ბრძოლაში დამარცხდნენ, ელჩები გაუგზავნეს აზერბაიჯანის მფლობელს უზბეგს ზავის დადებისა და თათრების მოსაგერიებლად კავშირის შეკვრის შესახებ. შეთანხმდნენ ერთად შეკრებილიყვნენ, როცა ზამთარი გაივლიდა. გაგზავნეს მათ აგრეთვე ელ-მელიქ-ელაშრეფთან, ელ-მელიქ-ელადილის შვილთან, ხლათის და მესოპოტამიის მფლობელთან, დახმარების აღმოჩენის შესახებ. ისინი ყველა ასე ფიქრობდნენ, რომ თათრები იქ (მუღანში, ი. ც.) მშვიდათ გაატარებდნენ ზამთარს ვაზაფხულამ-

დე, მაგრამ ასე ისინი (მონღოლები, ი. ც.) არ მოქცეულან, არამედ წამოვიდნენ ქართველების ქვეყანაზე"[1].

იბნ-ალასირის ცნობა სარწმუნო ჩანს. მონღოლებს ალბათ ინფორმაცია ჰქონდათ მიღებული მოკავშირეების სამზადისის შესახებ და, სანამ კოალიციის ლაშქარი შეიყრებოდა, მოკავშირეთა მეთაურის, საქართველოს ძალების შემუსვრა გადაუწყვეტიათ თათრებს და ანაზდეულად საქართველოზე წამოსულან.

მაგრამ, „ბალის წყალთან" პირველი მარცხის შემდეგ, საქართველოს მოსაზღვრენიც ფრთხილად ყოფილან, მთელი წლის განმავლობაში მეზობელ ქვეყნებში მონღოლთა მოძრაობას თვალყურს ადევნებდნენ და ხვარაზმეთისა და ირან-აზერბაიჯანის უბედურებას ახლა ისე ცალმხრივად და ზერელედ აღარ აფასებდნენ, როგორც თავდაპირველად. ახლა, მეფის ლაშა-გიორგის თაოსნობით, სახელმწიფოს ძირითადი ძალები შეყრილა. მონღოლების საქართველოსაკენ დაძვრა არ გამოპარვიათ, მიუხედავად იმისა, რომ მოკავშირეთა ძალების შეკრება გაზაფხულისათვის იყო ნავარაუდევი.

საქართველოს ლაშქრის რაოდენობა ამ მეორე ბრძოლაში ზუსტად დადგენილი არ არის. ჟამთააღმწერელის ცნობით, ქართველმა მეფემ 90.000 მეომარი შეკრიბა. სომეხი ისტორიკოსი მალაქია ქართველთა ლაშქრის რაოდენობას 60.000 მეომრით განსაზღვრავს[2]. ქართველი ისტორიკოსის ცნობა ამ შემთხვევაში შეიძლება უფრო სარწმუნო იყოს.

მაგრამ მონღოლთა ჯარების რიცხვი ქართველ ისტორიკოსს უცნაურად შეუმცირებია, თითქოს მონღოლებს 12 ათასი მეომარი ჰყავდათ. აქ თუ ხელნაწერში რაიმე შეცდომა არ არის დაშვებული გადაწერის დროს, ჟამთააღმწერლის წყარო უდაოდ ყალბია. მაჰმადიან ისტორიკოსების ცნობით ჩვენ ახლა ნამდვილად ვიცით, რომ ჯებესა და სუბედაის 20.000 ცხენოსანი მეომარი მონღოლი ექვემდებარებოდა იმთავითვე.

ნუთუ ოთხმოცდაათი ან სამოცი ათასიან ქართველთა ლაშქარს 12.000 ან 20.000 მონღოლთა მეომარი უნდა გამკლავებოდა? საერთოდ ძველი ომების ლაშქრების რიცხვის განსაზღვრა დაახლოებით თუ შეიძლება. წყაროებში დასახელებული რიცხვები უმეტეს შემთხვევაში განზრახ ან შემცირებულია ან გაზვიადებული. მაგრამ, რომ მონღოლები შედარებით მცირე რაზმებით მოწინააღმდეგეების მრა-

---

1 В. Тизенгаузен, Сборник материалов, относящихся к истории Золотой Орды, I, გვ. 15.

2 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, ტ. III, გვ. 15.

ვალრიცხოვან ლაშქრებს ამარცხებდნენ ეს სადაო ახლა აღარ არის. მონღოლებს ლაშქრის ორგანიზაციაც კარგი ჰქონდათ, სამხედრო ხერხებიც თავისებური, სარდლები ნიჭიერი, ჯარისკაცები კარგი მეომრები და კარგი ცხენოსნები, მაგრამ ამავე დროს მონღოლები ძალიან უფრთხილდებოდნენ თავისი მეომრის სიცოცხლეს. ამისი აშკარა მაჩვენებელია „ჰაშარის" რაზმების შექმნა. ყოველი ციხე-სიმაგრისა და ზღუდიანი ქალაქის აღების დროს ისინი პირველ რიგში დაპყრობილ ადგილებიდან საგანგებოდ გამოყვანილ მამაკაცებს გზავნიდნენ. მონღოლები ხომ დაპყრობილ ქალაქების მცხოვრებთ გადაარჩევდნენ, ხელოსნებს თავის ქვეყანაში გზავნიდნენ, ქალებს, ბავშვებსა და ხანში შესულთ ჰკლავდნენ, ხოლო მეომრად ვარგის მამაკაცების გარკვეული რაოდენობა „ჰაშარში" მიჰყავდათ და ბრძოლის დროს ამ უბედურებს საფარად იყენებდნენ.

ამიტომ საქართველოს საზღვრებს მომდგარი მტრის რაოდენობა მხოლოდ მონღოლური ტომის ჯარისკაცების რიცხვის მიხედვით კი არ უნდა განვსაზღვროთ, არამედ დაპყრობილი ქალაქების მცხოვრებლებიდან ჰაშარში წამოყვანილი მეომრებითაც. მაგრამ აქ ისიც უნდა კარგად გვახსოვდეს, რომ აზერბაიჯანის მაშინდელ მაჰმადიანურ მოსახლეობას საქართველოს წინააღმდეგ ლაშქრობაში მონაწილეობა არასოდეს არ დაზარებია. მეტის-მეტად საყურადღებო ცნობას გვაწვდის საქართველოსაკენ მეორედ დაძრულ მონღოლთა ლაშქრის შემადგენლობის შესახებ ისტორიკოსი იბნ-ალასირი. იგი წერს, რომ მონღოლებს „შეუერთდა კიდევ თურქი ყმა, უზბეგის (აზერბაიჯანის ათაბაგის, ლაშა-გიორგის მოკავშირის, ი. ც.) ერთი მონათაგანი სახელად აქუში, რომელმაც შეკრიბა ამ მხარის მთების და ტრამალების მცხოვრებნი — თურქმენები, ქურთები და სხვები. აქუშთან თავი შეიყარა მრავალრიცხოვანმა ხალხმა და მოლაპარაკება გამართა თათრებთან მოკავშირეობის თაობაზე. ისინი (თათრები) დათანხმდნენ ამ წინადადებაზე, რადგანაც ერთიმეორის მიმართ კეთილად იყვნენ განწყობილი, როგორც ერთი მოდგმისანი. გაერთიანდნენ ისინი და თათრების მეთაურობით ქართველებზე გაემართნენ-ო"[1].

ასეთი ცნობის შეთხზვა იბნ-ალასირს არ შეეძლო, იგი უდაოდ სარწმუნო ჩანს, საქართველოს ლაშქარს მონღოლებმა დიდძალი ლაშქარი დაუპირისპირეს და ზედმეტია ლაპარაკი მონღოლთა მცირერიცხოვანობის შესახებ.

---

[1] ვ. ტიზენჰაუზენის დასახელებული ნაშრომი, გვ. 16.

მაშასადამე, იმ დროს, როდესაც ქართველები და მათი მოკავშირეები 1221 წლის გაზაფხულზე ფიქრობდნენ გაერთიანებული ძალებით მონღოლებზე თავდასხმას, მონღოლებმა თვით იმოვეს აზერბაიჯანის ათაბაგის ქვეშევრდომთა შორის მოკავშირენი და საკუთარი ძალების ამარა დარჩენილ საქართველოს თავს დაესხნენ. საფიქრებელია, რომ ქართველებისა და მისი მოკავშირეების სამზადისის შესახებ ცნობა მონღოლებს ზემოხსენებულმა „აქუშმა" მიაწოდა.

მონღოლები მეორეჯერაც საქართველოს სახელმწიფოს საზღვრებში სამხრეთ-აღმოსავლეთის მხრიდან შემოჭრილან — გაგის მხარეში. ქართველი მეფე დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ჯარებით წასულა გაგის ციხისაკენ. ჟამთააღმწერელის ცნობით, დანიშნულ დროისათვის სამხრეთიდან ივანე ათაბაგი მხარგრძელი და მისი ძმისწული (ზაქარია მხარგრძელის შვილი) და მსახურთ-უხუცესი ვარამ გაგელი დიდი ლაშქრით მეფე გიორგის შეეყარა. გაგის მხარეში „წყალსა ზედა ბერდუჯსა აწ საგიმად წოდებულსა", საგამის ველთან საქართველოს ლაშქარი მონღოლების ბანაკს მიახლოვებია. მოწინააღმდეგენი საბრძოლველად მომზადებულან.

ქართველი და სომეხი ისტორიკოსები, მონღოლებთან ქართველების ბრძოლის ადგილად „საგამის მინდორს" ასახელებენ. საგამის მინდორი სომხითის მხარეს, გაგის ციხის რაიონში ყოფილა [1]. საგამის ველზე მომხდარ ბრძოლას საინტერესოდ აღწერენ ისტორიკოსები და ჩვენ დაახლოებითი სურათის აღდგენის საშუალება გვეძლევა. სომეხი ისტორიკოსის, მალაქიას, გადმოცემით ქართველების სარდლობას ლაშქარი სამ ნაწილად გაუყვია. მარჯვენა ფრთის სარდლად ვარამ გაგელი ყოფილა, მარცხენა ფრთის სარდლად ივანე მხარგრძელი ათაბაგი. ლაშქრის ცენტრს და მეწინავეს თვით მეფე სარდლობდა. იმავე სომეხი ისტორიკოსის ცნობიდან ჩანს, რომ ქართველების მთავარ შტაბს მონღოლების წინააღმდეგ ამ ბრძოლაში იგივე სამხედრო ხერხი გამოუყენებია, რომელიც ქართველმა სარდლებმა თამარის დროს ბასიანის და შამქორის დიდ ბრძოლებში გამოიყენეს და მაშინ ქართველებზე რიცხობრივად მეტი მტერი სასტიკად დაამარცხეს და ერთხანად მთელი მცირე აზიის თურქობა დააჩოქეს. ეს სამხედრო ხერხი იმაში მდგომარეობდა, რომ მოწინააღმდეგის მეომარ ძალების შეუმჩნევლად, ქართველთა ერთი ცხენოსანი კორპუსი მტრის განლაგებას შორიდან შემოუვლიდა და

[1] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, 1949 წ., გვ. 16.

ბრძოლით გართულ მოწინააღმდეგეს ზურგიდან მოულოდნელად თავს დაესხმოდა.

მონღოლებს თავისი ლაშქარი ორად გაუყვია. ერთს მთავარ ნაწილს (მოწინავეს) სუბედაი სარდლობდა თურმე, მეორე ნაწილს, რომელიც მხოლოდ ხუთი ათასი მეომრისაგან შედგებოდა (რაშიდ-ად-დინის ცნობით), ჯებე სარდლობდა, ეს მცირე კორპუსი თურმე გარკვეულ ადგილას ჩასაფრებული იყო და გარკვეულ დრომდე ბრძოლაში მონაწილეობას არ ღებულობდა.

ლაშქრების საბრძოლოდ დაწყობის შემდეგ მოწინააღმდეგენი ერთმანეთს ეკვეთნენ. ჟამთააღმწერელი წერს: „მყის ამჴედრდეს და ეწყვნეს ურთიერთას და იქმნა ძლიერი ბრძოლა"-ო. პირველი თავდასხმა ორივე მხრით ძლიერი უნდა ყოფილიყო. მონღოლ სარდალთა გეგმით, ქართველების სარდლობა გარკვეულ მომენტში უნდა დარწმუნებულიყო ქართველი ლაშქრის უპირატესობაში. ამიტომ მონღოლები თავგანწირული შემოტევის შემდეგ უკან შებრუნებულან და გაქცეულან. ქართველი მეფე და მისი სამხედრო ვაზირი, ათაბაგი ივანე მხარგრძელი, თავისი ლაშქრით გაქცეულ მტერს დაედევნა. მაშასადამე, ქართველთა ლაშქრის ცენტრი და მარცხენა ფრთა დაედევნა მონღოლთა მთავარ ძალებს. ეტყობა მონღოლური ცხენი ისე ფეხმარდი იყო, რომ გაქცეულთ ქართველები ადვილად ვერ დაეწიენ. ამიტომ მონღოლთა ლაშქარში წესრიგი არ დარღვეულა და იგი სარდალს ასეთ ვითარებაშიაც წესით ემორჩილებოდა. ამ ხერხით მონღოლებმა ქართველები გაიტყუეს. სწორედ ქართველთა მარცხენა ფრთის ერთ-ერთ მოხერხებულ საფართან მონღოლთა მეორე სარდალი ჯებე, თავისი რაზმით და დასვენებული ცხენებით, მტერს დადევნებული ქართველი მეომრებისა და სარდლების გავლას ელოდებოდა. როცა ქართველები ჯებეს კორპუსის საფარს გასცდნენ და ქართველების ზურგი გამოჩნდა, ჩასაფრებული მონღოლები მოულოდნელად შეტევაზე გადავიდნენ და ზურგიდან დაუწყეს ქართველებს ჩეხა. ამ დროს სუბედაის გაქცეული კორპუსი შედგა და მეორე მხრიდან ქართველებზე იერიში მოიტანა. ქართველები მონღოლების ორ კორპუსს შუა მოექცნენ. ბრძოლის ეს ხერხი ქართველებისათვის უცნობი აღმოჩნდა, ისე, რომ საპასუხო ხერხი იმ მომენტში ვერაფერი გამონახეს, გარდა იმისა, რომ გაქცევით თავი გადაერჩინათ. ქართველთა რიგებში წესრიგი დაირღვა და ბრძოლის ველის ამ ორ უბანზე (ცენტრი და მარცხენა ფრთა) გამარჯვებული მტერი ქართველებს ჟლეტდა. რაშიდ-ად-დინი ასე გვიყვება ამ ბრძოლის ამბავს: „ისინი საქართველოსაკენ გაემართნენ, ხოლო იმათ (ქართველებმა, ი. ც.) ლაშქარი საბრძოლო წესრიგში

მოიყვანეს და საომრად მოემზადნენ. როდესაც ისინი ერთიმეორეს შეხვდნენ ჯ ე ბ ე-ხუთი ათასი კაცით ერთ ფარულ ადგილას ჩასაფრდა, ხოლო სუბედაი ჯარით წინ წავიდა (ე. ი. ქართველებს შეეგება, ი. ც.) ბრძოლის დაწყებისთანავე მონღოლები გაიქცნენ, ქართველები მათ დაედევნენ. ამ დროს ჯებე საფარიდან გამოვიდა, ქართველები შუაზე მოიქციეს მონღოლებმა და მცირე დროში ოცდაათი ათასი ქართველი მოჰკლეს. აქედან მონღოლები დარუბანდისაკენ გაემართნენო"[1].

ქართველი მემატიანე ამ ბრძოლის პროცესს მოკლედ ასე გადმოგვცემს: „ნ ა ხ ე ვ ა რ ნ ი ი ლ ტ ო დ ე ს თ ა თ ა რ ნ ი, დ ა ნ ა ხ ე ვ ა რ თ ა მ ზ ი რ ი ეყო და უკანით მოუკდეს. მაშინ მოიწია რისხუა... და ივლტოდეს ქართუელნი, და თვით მეფე ლაშა, და ურიცხვი სული ქრისტიანე მოკუდა. სადა-იგი დიდიცა ივანე ათაბაგი (მხარგრძელი), სამცხისა სპასალარი, ძლით ცოცხალი განერა, და მეჭურჭლეთ-უხუცესის შვილი ბექაი მოიკლა, ძლიერად ბრძოლილი"[2]. დამარცხებული მეფე და მისი სარდლობა თბილისში მოსულა. „ესრეთ ლტოლვილნი მოიწივნეს ქალაქსა ძლიერნი იგი და საქებოვანნი, რომელნი სულთქმითა, მწუხარებითა, შეიწევებოდესო"[3]. როგორც ვხედავთ, ისე ცუდად ყოფილა საქმე, რომ დიდის გაჭირვებით გადარჩენილა ივანე მხარგრძელი. აშკარად ჩანს, რომ მეფეს და მის ვაზირს უკანიდან დაესხა თავს ჯებეს კორპუსი. სპარსი ისტორიკოსის ცნობით, ამ ბრძოლაში თითქოს ოცდაათი ათასი ქართველი მეომარი დაიღუპა სულ მცირე დროის განმავლობაში. ბრძოლაში დაღუპულ ქართველთა რიცხვი შესაძლებელია სინამდვილესთან ახლოს იყოს. მაგრამ იბნ-ალასირის ცნობით, არც მონღოლთა მეწინავე ლაშქარს დადგომია კარგი დღე. როგორც აღნიშნული იყო, მონღოლთა შემომტევ კორპუსს სუბედაი სარდლობდა. სუბედაის ხელქვეშით მყოფ ლაშქარში ზემოთ ხსენებული აზერბაიჯანელი აქუში ყოფილა თავისი მრავალრიცხოვანი თურქმანებით და ქურთებით. იბნ-ალასირი წერს, რომ ქართველებს პირველად აქუში შეხვდა მის მხარეზე მყოფ ჯარებითო. სასტიკი ბრძოლა გაიმართაო, ყველა შეუპოვრად მონაწილეობდა ბრძოლაში და აქუშის მომხრეებიდან დიდძალი ხალხი დაიღუპაო. შემდეგ კი თვით თათრები დაესხნენ თავს ქართველებს, ეს უკანასკნელნი კი ბრძოლით უკვე მოღლილნი იყვნენ. ქართველებიც ბევრი დაიღუპა, ველარ გაუძლეს თათრებს და

[1] Рашид-ад-дин, Сборник летописей, I, кн. II, გვ. 118.
[2] ქართლის ცხოვრება, II, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 205.
[3] იქვე, გვ. 205.

სამარცხვინოდ გარბოდნენო... იმდენი მოიკლა რომ ვეღარც დათვლიდიო"[1].

მაგრამ სომეხი ისტორიკოსის მალაქიას ცნობით, ამ ბრძოლაში მონღოლების საქმე არც ისე კარგად წასულა. ქართველების მარჯვენა ფრთა, რომელსაც მსახურთ-უხუცესი ვარამ გაგელი სარდლობდა ბრძოლის ველიდან სხვებთან ერთად არ გაქცეულა. მალაქია სომეხი ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ ვარამ გაგელმა და მისმა კორპუსმა ქართველების ცენტრისა და მარცხენა ფრთის დამარცხების ამბავი საღამომდის ვერ შეიტყვეს. მტერს მისდევდნენ, მიჰხოცდნენ და საგამის მინდორი დახოცილ თათართა მძორით მოიფინაო[2]. რატომ ვერ გაიგო ვარამ გაგელმა სხვა ქართველი სარდლების დამარცხება? როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ქართველი ლაშქრის მარჯვენა ფრთაზე მყოფი კორპუსი ვ. გაგელის მეთაურობით მონღოლებს საიდუმლოდ შორიდან უვლიდა და ზურგიდან უნდა შეეტია მტრისათვის. როგორც ჩანს, ვარამ გაგელის რაზმი მონღოლების იმ რაზმებს წააწყდა, რომელიც ჰამართან ერთად ბრძოლის ველის უკანა უბანზე იდგა და ომში თავის დროს და რიგს უცდიდა. ბრძოლის ამ უბანზე ეტყობა ქართველებმა დიდი გამარჯვება მოიპოვეს და მონღოლებს დიდძალი ხალხი გაუწყდა. ისე, რომ სავსებით სამართლიანი უნდა იყოს ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის ცნობა: „შემდგომ მოხედვითა ღვთისა-თა და ღმობიერ ქცევითა მეფისა გიორგისითა გააქციენეს და მოსწყვიდნეს გაქცეულნი"-ო. ქართველების ბრძოლის ამბები იბნ-ალასირსაც მოხსენებია და ერთგან საგანგებოდ შენიშნავს კიდეც „შეიკრიბნენ ქართველები და მათ (მონღოლების, ი. ც.) წინააღმდეგ გამოვიდნენ თავისი მამაცობით და რკინისებური სიმტკიცითო".

იბნ-ალასირი გვაუწყებს, რომ მონღოლებსა და ქართველებს შორის დიდი ბრძოლა 1221 წლის იანვარში მომხდარა. ქართველ მეფეს კვლავ დიდი ღონისძიებები ჩაუტარებია, ცალკეული რაზმებით მტრისათვის თბილისისაკენ მომავალ გზებზე თავდასხმები მოუწყვია. ხეობებით და ტყით დაბურული გზებით მოჰერხებულად უსარგებლიათ და მტერი იძულებული გამხდარა საქართველო დაეტოვებინა 1221 წლის თებერვალში. ამ ცნობების ჭეშმარიტება იმითაც დასაჯერებელი ხდება, რომ არსად მონღოლები ისე არ მოქცეულან როგორც საქართველოში. მათ რომ საგამის ველის ბრძოლა

---

[1] В. Тизенгаузен, Сборник материалов, относящихся к истории Золотой Орды, I, გვ. 15.

[2] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, 1949, გვ. 18.

ადვილად მოეგოთ ასე მარტივად საქართველოს საზღვრებს არც დატოვებდნენ. ისე ჩანს, რომ თბილისში დაბრუნებული მხედრობა კვლავ საბრძოლოდ დარაზმა ქართველმა მეფემ და შამშვილდემდე მისული მტერი ისევ აზერბაიჯანში დაბრუნებას აჯობინებს. როგორც ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის ცნობიდან ჩანს, აზერბაიჯანში გადასვლის შემდგომ მონღოლებს ძალები კვლავ შეუკრებიათ, მაგრამ არ ჩანს საქართველოზე წამოსასვლელად იყვნენ გამზადებული, თუ ჩრდილოეთისაკენ სალაშქროდ ასვენებდნენ ცხენებს. სამწუხაროდ, იბნ-ალასირის მასალებიდან არ ჩანს, მოეშველა თუ არა გაზაფხულზე მცირე-აზიელ მოკავშირეთა ლაშქარი საქართველოს სახელმწიფოს. ლაშა გიორგის ისტორიკოსი ერთგან წერს: „მეორესა წელიწადსა კუალადცა მომართეს (მონღოლთა, ი. ც.) და დადგეს ბარდავის ჰალასა. შეიყარა სამეფო მისი და მოირთნა კარნუქალაქისა ლაშქარნი, დადგა (ლაშა-გიორგი თავისი ლაშქრით, ი. ც.) ლომთა-გორასა და აგარათა შუა და ვიდრე ზედა მისულამდე გაექცნეს (მონღოლნი, ი. ც.), განვლეს დარუბანდისა გზა“-ო[1]. შესაძლებელია ამ ხელად ლაშა გიორგი მოკავშირეების ძალებით მოემზადა მონღოლებზე თავდასასხმელად, მაგრამ დანამდვილებით თქმა ძნელდება. ქართველი მეფე ენერგიულად მოქმედებს. მონაპირენი გაფაციცებით ადევნებდნენ ახლა თვალყურს მონღოლთა მოძრაობას. ამ ხელად კარნუქალაქის ლაშქარიც დაუბარებია და სამშვილდის მახლობლად შეუყრია ჯარი. მეფე ლაშქრით ბარდავისაკენ დაძრულა კიდეც, იქ დაბანაკებულ მონღოლებზე თავდასასხმელად, მაგრამ „ვიდრე ზედა მისულამდე“, ე. ი. მეფე ლაშქრით მიახლოვებია მონღოლთა ბანაკს, სანამ შეტევაზე გადავიდოდა მონღოლები გაიქცნენ და დარუბანდის გზით წავიდნენო.

ამ ცნობების შემდეგ საეჭვო აღარ უნდა იყოს 1223 წელს რომის პაპისადმი გაგზავნილ, რუსუდან დედოფლისა და ივანე მხარგრძელის, წერილებში აღნიშნული ინფორმაცია: „...თათარნი შემოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში... და ექვსი ათასამდე კაცი გაგვიწყვიტეს... ხოლო შემდეგ წინააღვუდექით, 25 ათასი ცხენოსანი გავუწყვიტეთ, ზოგიც დავატყვევეთ და დანარჩენიც ჩვენის საზღვრებიდან გავდევნეთო“[2].

მონღოლებს მაინც დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ქართველებზე. იბნ-ალასირი ამ მხრივ საინტერესო ცნობას გვაწვდის, მას

---

[1] ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, გვ. გვ. 18—19.

[2] მ. თამარაშვილი, კათოლიკობის ისტორია, გვ. 9.

პირადად ჰქონია საუბარი ერთ წარჩინებულ ქართველთან. იგი წერს: „ქართველები მონღოლების შიშმა შეიპყრეს. ერთი კეთილშობილი ქართველი, რომელიც ელჩად იყო ჩვენში გამოგზავნილი ჩემი თანდასწრებით ამბობდა: თუ თქვენ ვინმე გეტყვის, რომ თათრები (ბრძოლის ველიდან) გაიქცნენ, ან ტყვედ დანებდნენ, არ დაიჯეროთ, თუ გაიგონოთ, რომ თათრები ამოწყვეტილ იქნენ ეს შეიძლება დაიჯეროთ, იმიტომ, რომ გაქცევით ეს ხალხი არასოდეს არ გარბის. ერთხელ ტყვეთ ჩავიგდეთ ერთი იმათგანი, მაგრამ ისე გადმოიგდო თავი ცხენიდან და ისე დაჰკრა თავი ქვას, რომ იქვე გარდაიცვალა, მაგრამ ცოცხალი არ დაგვნებდაო"[1].

ამ შთაბეჭდილების მიუხედავად საქართველოს სახელმწიფოს თავდაცვა მაინც თავის სიმაღლეზე მდგარა. ლაშა გიორგის ენერგიული თაოსნობა კარგად მოჩანს წყაროებში. იმ დროს, როდესაც აღმოსავლეთის ქვეყნები დაიბნენ და სახელმწიფოებრივი თავდაცვის აპარატი მთლიანად მოიშალა ხვარაზმეთსა, ირაქსა და აზერბაიჯანში და ქალაქები თავის ძალების ამარა დაქსაქსულად, უშედეგოდ თავს იცავდნენ, მათი არისტოკრატია კი მტერთან შეთანხმებაზე ან გაქცევაზე ოცნებობდა, საქართველოს სახელმწიფო, მცირე აზიის ძალების დარაზმვას და გაერთიანებას თაოსნობდა. მონღოლებს არაერთგზისი ბრძოლა გაუმართა, სახელმწიფოს თავდაცვის ცენტრი არ მოშლილა, საქართველოს სათავეში მყოფი მეფე შეუდრეკელი აღმოჩნდა. იბნ-ალასირი აღნიშნავს: „ისინი (მონღოლები) წავიდნენ საქართველოს მხარეებიდან, რადგანაც დაინახეს, რომ მათ წინაშე დიდი ძალაა კვლავ თავმოყრილი, ამასთანავე ვიწრო ხეობები, რომელიც ბრძოლებს და თავისმტვრევას მოითხოვდა. ისინი (მონღოლები, ი. ც.) მათ (ქართველებს, ი. ც.) გაეცალენ"[2].

როგორც ჩანს, ძვირად დაუჯდა მონღოლებს საქართველოს სახელმწიფოზე ეს თავდასხმა. ლაშა გიორგი საქართველოს სახელმწიფოს ენერგიული და უშიშარი მეთაური მოჩანს. იგი არა მარტო თავდაცვის ორგანიზაციის მეთაურია, არამედ ბრძოლების უშუალო მონაწილე. იმდროინდელი ქართველი მემატიანე ლაშა გიორგის გულადობას და მეომრობას საგანგებოდ აღნიშნავს: „მშვილდოსანი და ცხენოსანი, გულოვანი და შემმართებელი, რომელ მისითა

---

[1] იბნ-ალასირის ზემოთ მოტანილი ტექსტის რუსული თარგმანი, იხ. ჟურნ. Византийский Временник XXIV. 1926 წ., გვ. 13, იხ. აგრეთვე ვ. ტიზენჰაუზენის დასახელებული ნაშრომი, გვ. 24.

[2] ვ. ტიზენჰაუზენის დასახელებული ნაშრომი, გვ. 17.

მკლავითა ომნი დასხნა და გარდაიკადნა სიმცროსავე შინა სწორნი დავით პაპის-პაპისა მისისანი“-ო[1].

ეს ზოგადი დახასიათება კონკრეტული ისტორიული ფაქტის აღწერითაც არის განმტკიცებული. საინტერესოდ აქვს ქართველ ისტორიკოსს აღწერილი ის დამახასიათებელი შემთხვევა, როცა თამარის გარდაცვალების შემდეგ პირველად განძის მფლობელი საქართველოს განუდგა და ხარკი შეუწყვიტა. ლაშა გიორგის განკარგულებით მაშინვე ლაშქარი შეიყარა, ხოლო დიდებულთა შეკრებაზე, სადაც ივანე მხარგრძელი ესწრებოდა, ვითარცა ათაბაგი და მეფის კარის ვაზირი „უმეტეს სხვათა ერისთავთასა განდიდებული“, სიტყვა წარმოუთქვამს ლაშა გიორგის: „ვინათგან მეფეთა შორის ბრწყინვალემან და სანატრელმან დედა-მან ჩემ-მან დამიტევა მეფობა, ყოველნი წინა-აღმდგომნი პაპათა და მამათა ჩემთანი მოხარკეთ შექმნა დღესამომდე, და მორჩილი ბრძანებისა ჩემისანი არიან, აწ განძისა ათაბაგსა საწუნელ უქმნიე, და ხარკისა არღარა ჰნებავს მოცემა, მე ესრეთ განმიზრახავს, რათა შური ვიგო განძისა ზედა, და თქვენ შრომასა შეგამთხვიო, რამეთუ ძალითა და თანადგომითა თქვენითა დაუცემია სანატრელთა პაპათა და მამათა ჩვენთა დიდთა სულტანთა ძლიერებანი ყოვლითურთ, და აწ მიიღეთ ჩემგან პატივი და ნიჭი. და ალვიმქედროთ განძის ზედა, რათა სხუათა მტერთაგან არღარა საწუნელ ვიქმნეთ...“[2] ეს ინიციატივა და მეფის მიერ წარმოთქმული სიტყვა შემთხვევით არ აქვს ისტორიკოსს მოტანილი თავის ნაშრომში. მეფე საქართველოს განლაღებულ დიდებულთა წრეების მისწრაფებათა სურვილების გამომხატველი რომ იყო ამ გარემოების ხაზგასმა სურდა ისტორიკოსს და ამიტომაც შეკრებილ დიდებულთა პასუხიც ტექსტუალურად მოუტანია თავის ნაშრომში: „დიდი ნუგეშის ცემა მოგვეცემატა ღვთისა მიერ, რამეთუ გპოვეთ ახოანი და გოლიათი, გორგასლიანი და დავითიანი, მსგავსი მათი. მინდობითა ღვთისათა და ძალითა თქვენითა დავიმორჩილნეთ ურჩნი მეფობისა თქვენისანი, და შევანანოთ ყოველთა ურჩება თქვენი...“ ცნობილია, რომ ამ განძის ათაბაგის განდგომილების გამო მოწყობილ ლაშქრობის დროს, ლაშა გიორგის ოთხი ათასი მესხელი მეომრით, განძის ციხე ქალაქის „გარეშემოვლა“ მოუწყვია. ისე, რომ სამეფოს მთავარ ძალებს და მის სარდლებს, რომელნიც ახლობლად იყვნენ დაბანაკებულნი, მეფის ამ განზრახვის შესახებ არაფერი სცოდნიათ. განძის გარ-

[2] ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანე, ივ. ჯავახიშვილის გამოცემა, 1927 წ., გვ. 18.

ნიზონს ქართველი მეფე უცვნია, ქალაქის კარები გაუღიათ და 10.000 მეომარი ქართველი მეფის რაზმს, „ვითარ მკეცნი ზედა მიეტევნესო". მიუხედავად იმისა, რომ ქართველთა რაზმი მცირე-რიცხოვანი იყო: „იხილა მეფემან — ლაშა სიმრავლე მათი უში-შითა გულითა თვით მეფე ლაშა წინა მიეტევა მკნედ და ძლიე-რად, რომლისა თანა წინაბრძოლობდეს ყვარყვარა ჯაყელისა შვილი პირ-მშო, ბიბლა გურკელი, ბოცო, ბოცოს-ძე მემნი"[1]. ძალთა შე-ფარდების ასეთ პირობებშიაც ბრძოლა მოგებულ იქნა.

ლაშა გიორგის პიროვნებისათვის ის გარემოებაც დამახასიათე-ბელია, რომ საგამის ველზე მონღოლებთან ბრძოლის დროს, სამად გაყოფილ ლაშქარში ცენტრის და მოწინავე რაზმების ხელმძღვანე-ლობა თვით ლაშას უკისრია. ცენტრი ყველაზედ საშიში და საპა-სუხისმგებლო უბანი იყო სამეფოს ლაშქარში. საქართველოს ლაშ-ქარში მეწინავეედ — ყოველთვის მესხები იყვნენ. ლაშა გიორგი მესხების რაზმებთან ამჯობინებდა ყოფნას. ზემოთ აღწერილ განძის ბრძოლაშიაც ოთხი ათასი მესხი მეომარი წაიყვანა.

ჩვენ არა ერთი ცნობა გვაქვს დავით სოსლანის დიდ ბრძოლებ-ში მონაწილეობის შესახებ, მაგრამ იგი ყოველთვის მტრისათვის ზურგიდან მომვლელ კორპუსს ახლავს და ძირითად ბრძოლებს მორიდებულია. ბრძოლის მთელი სიმძიმე მეწინავე ლაშქარს და ცენტრს გადააქვს, რომელსაც მაშინ ზაქარია მხარგრძელი ან თმოგ-ველი ხელმძღვანელობდნენ. ასე იყო შამქორის და ბასიანის დიდი ბრძოლების დროს.

იმ დროს, როცა ყოველი მფლობელი ხარკით და სურსათ-სანო-ვაგით ფიქრობდა მონღოლთა გულის მოგებას, ლაშა გიორგი სა-ხელმწიფოს მოსახლეობას ედგა სათავეში და ქედის მოხრა არ იკადრა.

რომ ლაშას თაოსნობას საქართველოს მაშინდელ სახელმწიფოში თავისებური მნიშვნელობა ჰქონდა, ამის უტყუარი არგუმენტია ლა-შას გარდაცვალების შემდეგ მომხდარი ფაქტები. როდესაც მონ-ღოლები მეორედ შემოესიენ საქართველოს, საქართველოს სახელ-მწიფოს თავდაცვის ცენტრი ველარ მოქმედებდა, სახელმწიფოს მე-თაური არ აღმოუჩნდა. რუსუდან დედოფალი დასავლეთ საქართ-ველოში გადახიზნული სრულიად დაბნეული იყო და ქართველი ვა-ზირები და სარდლები რას აკეთებდნენ მისთვის უცნობი იყო. ამ ხელად, რუსუდანის დროს, ხვარაზმეთისა და ირან-აზერბაიჯანის დაპყრობის სრული სურათი განმეორდა საქართველოში, იმ განსხ-

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 495.

ვავებით მხოლოდ, რომ ქართველ დიდებულთა ციხე-სიმაგრეები მონღოლებისათვის ისე ადვილად დასანგრევი არ აღმოჩნდა, როგორც შუა-აზიისა და ირანის. გენერალური ბრძოლის გარეშე ჩაბარდა მონღოლთა ნოინებს საქართველოს სახელმწიფო. მაშინ, საქართველოს ნაქებ სარდლებს ქვეყნის დასაცავად ბრძოლების ორგანიზება ვერ მოუხერხებიათ[1]. მაგრამ დავუბრუნდეთ საკითხს.

ბარდავიდან აყრილი მონღოლთა ბანაკი შირვანისაკენ გაემართა და ქალაქ შემახას დაესხა თავს. ქალაქის მცველებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს მონღოლებს. შემახელებს ახლა უკვე საკმაო ცნობები ჰქონდათ მონღოლების მხეცობისა და დაუნდობლობის შესახებ და ამიტომ თავგამოდებით იბრძოდნენ. იბნ-ალ-ასირს საგანგებოდ აქვს საუბარი შემახელთა გმირული ბრძოლების შესახებ. მაგრამ ბოლოს გამარჯვება მონღოლებს დარჩათ. შემახის მოსახლეობა სასტიკად გაიჟლიტა. რაშიდ-ად-დინის ცნობით, ამის შემდეგ მონღოლებმა აზერბაიჯანი დატოვეს და დარუბანდით ჩრდილოეთ კავკასიის ველებზე გავიდნენო. მაგრამ, რადგანაც დარუბანდის კარით გავლა დიდ ბრძოლებს მოითხოვდაო, სწერს სპარსი ისტორიკოსი, შირვან-შაჰს საზავო პირობებზე მოსალაპარაკებლად რწმუნებულების გამოგზავნა თხოვესო, შირვანშაჰის ელჩებისათვის კი სინამდვილეში წინადადება მიუცია ჯებე და სუბედაის, რომ დარუბანდის გარდა კავკასიიდან გასასვლელი მეორე გზა ესწავლებინათ, თორემ სიკვდილით იმუქრებოდნენო. შირვან-შაჰის ელჩებს შეშინებიათ, გზა უსწავლებიათ და მონღოლები ჩრდილოეთ კავკასიაში გადასულან[2].

რაშიდ-ად-დინის ცნობით, მონღოლები ოსებისა და ყივჩაყების გაერთიანებულ ძალებს წაწყდომიან და ბრძოლა ვერ მოუგიათ, თუმცა გამარჯვება არც ყივჩაყებსა და ოსებს არ მოუპოვებიათ. მაგრამ შემდეგ მონღოლებს ერთი ხერხისათვის მიუმართავთ. ყივჩაყებისათვის ძვირფასი საჩუქრები და ელჩი გაუგზავნიათ წინადადებით: „ჩვენ და თქვენ ერთი მოდგმისა და ტომის ხალხი ვართ, ხოლო ალანები (ოსები) ჩვენთვის უცხონი არიან. დავდოთ ხელშეკრულება, რომ ერთმანეთს არას ვავნებთ, ჩვენ სამაგიეროდ ოქროს და ტანსაცმელს მოგცემთ თქვენი სურვილისამებრ, თქვენ კი ოსები დაგვიტოვეთ ჩვენ"-ო[3].

---

[1] იხ. ამის შესახებ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, 1949 წ., გვ. გვ. 93—101.

[2] Р а ш и д-а д-д и н, Сборник летописей, I, кн. II, გვ. 228.

[3] იქვე, გვ. 229.

ყივჩაყები გაბრიყვებულან, საჩუქრებს დახარბებიან და თავიანთ მხარეში დაფანტულან. მონღოლებმა კი ოსები სასტიკად დაამარცხეს და გაძარცვეს თურმე.

ყივჩაყები კი, საზავო ხელშეკრულებით დაიმედებულნი, სრულიად მოუმზადებელნი შეხვდნენ შემოსეულ მონღოლებს. რაღა თქმა უნდა, დაუნდობლად გაულიტეს და გაძარცვეს მონღოლებმა ყივჩაყების მრავალრიცხოვანი ტომები და ყოველივე ის, რაც საჩუქრებად მიიღეს მონღოლთაგან, მონღოლებმა ისევ უკან დაიბრუნესო, შენიშნავს სპარსთა ისტორიკოსი. ყივჩაყთა გადარჩენილი ტომები რუსეთის სამთავროებისაკენ გაქცეულან. მონღოლთა ბარდავიდან წასვლის შემდგომი თავგადასავალი ქართველ ისტორიკოსს ჟამთააღმწერელსაც აქვს მოკლედ მოთხრობილი: „წარვიდეს გზასა დარუბანდისასა, რამეთუ ვერცა შირვანშა წინააღუდგა, და ვერცა დარუბანდელნი. განვლეს კარი დარუბანდისა და შევიდეს ყივჩაყეთს, რომელთა ბრძოლა აჰკიდეს და მრავალგან შემოებნეს ყივჩაყნი, და ყოველგნით თათარნი მძლე ექმნნეს, და წარვიდეს ესრეთ ომითა"-ო[1].

რაშიდ-ად-დინის და ჟამთააღმწერელის თხზულებიდან კარგად მოჩანს, რომ ჩრდილოეთი კავკასია, ამიერკავკასიაში მიმდინარე მოვლენებს თვალყურს ადევნებდა. ოსებისა და ყივჩაყთა ძალების გაერთიანება არც ისე მარტივი საქმე იყო, რომ მტრის გამოჩენისთანავე მოწყობილიყო. მაგრამ, როგორც ჩანს, ყივჩაყებს არც იმდენი შორსმჭვრეტელობა ჰქონიათ და საჩუქრებს დახარბებული მეჯოგე ყივჩაყები ადვილად გააბრიყვეს ცბიერმა მონღოლებმა. მხოლოდ აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ყივჩაყეთი მაინც ადვილად არ დანებებია მონღოლებს. ქართველი ისტორიკოსის ცნობა ამის უტყუარი საბუთია: „ბრძოლა აჰკიდეს და მრავალგან შემოებნეს ყივჩაყნიო".

ლაშა-გიორგის დროინდელი მემატიანე ისე ამთავრებს მონღოლების შესახებ საუბარს, რომ ადამიანს ეგონება საქართველოს წინააღმდეგობამ აიძულა მონღოლები არა მარტო ბარდავის მიდამოებიდან გაქცეულიყვნენ, არამედ ამიერ-კავკასიიდანაც. ასეთივე შთაბეჭდილება რჩება მკითხველს რუსუდან დედოფლისა და ივანე მხარგრძელის რომის პაპისადმი 1223 წელს გაგზავნილი წერილებიდანაც. საქართველოს სახელმწიფოს მთავრობა 1223 წელს ისევ ჯვაროსნების დასახმარებლად მზადებას შედგომია და რომის პაპის წინაშე ბოდიშს იხდიან — დროზე პირობა ვერ შევისრულეთ მონ-

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, ს. ყიფიანის გამოცემა, გვ. 506.

ღოლების თავდასხმის გამო, ახლა კი მზად ვართ, სადაც გვიბრძანებთ იმ მხარეს შევესევით და ქრისტიანობას დახმარებას და მფარველობას აღმოეუჩენთო.

რა თქმა უნდა, ლაშა გიორგის მიერ წარმოებული ბრძოლების შედეგად მონღოლებს ხელი შეეშალათ, მაგრამ ბარდავის მხარეში მონღოლების დაბანაკება 1222 წელს საქართველოზე კვლავ თავდასასხმელად არ უნდა ყოფილიყო გამიზნული. საფიქრებელია, რომ მონღოლები აქ ისვენებდნენ და ცხენებს შორი გზებისა და ომებისათვის ძალებს აკრებინებდნენ. ჯებესა და სუბედაის ხომ ჩინგიზ-ყაენმა სამი წლის ვადა მისცა 1220 წელს, ირანით კასპიის ზღვის პირით, ყივჩაყთა ველზე გადავლით მონღოლეთში დაბრუნების შესახებ. 1222 წელშიაც ამიერკავკასიაში ბრძოლას, მონღოლთა ხსენებულ სარდლებისათვის, არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა. მათ ხომ ირანის, მცირე აზიის მაჰმადიან სამფლობელოებისა და ამიერკავკასიის დაზვერვა და გაძარცვა ჰქონდათ ნაბრძანები და არა სრული დაპყრობა.

ამდენად, ბარდავში დაბანაკებულმა მონღოლებმა ალბათ ლაშა გიორგის გამოწვევა უმთავრესად ამიტომ არ მიიღეს და სასწრაფოდ აიყარნენ. ცხადია, ქართველებთან ბრძოლა რომ ადვილი ყოფილიყო და წინა წლების ბრძოლებში მიღებული გაკვეთილები მწვავე არ ყოფილიყო, მონღოლები მოულოდნელად და ანაზღეულად არ აიყრებოდნენ ბარდავიდან, მაგრამ მაინც ხაზგასასმელია, რომ მონღოლების სარდლები ჯებე და სუბედაი ჩინგიზის ბრძანების მიხედვით მოქმედებდნენ და ეს გეგმა კი ამიერკავკასიაში დიდხანს დარჩენას მათ არ უკარნახებდა.

## თავდასხმა რუსეთზე

ჩვენ ერთგან აღნიშნული გვქონდა, რომ მონღოლების შესახებ არც რუსულ სამთავროებს სცოდნიათ რაიმე, სანამ ყივჩაყებს არ დაესხნენ თავს. მემატიანე საგანგებოდ აღნიშნავს იმასაც, რომ „გავიგონეთ მრავალი ქვეყანა დაარბიეს მონღოლებმაო" და მათ შორის ჩამოთვლის ოსებს, ქართველებს, ქაშაგებს (ჩერქეზებს) და ყივჩაყებს. მეცამეტე საუკუნის რუსეთი მრავალ სამთავროებად დაყოფილი ქვეყანა იყო, ზოგიერთი ამ სამთავროთაგანი შედარებით მსხვილ პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა. უფრო მეტი კი წვრილი სამთავროები იყო. რუსულ სამთავროთა გამაერთიანებელი ცენტრი არ არსებობდა. უკეთეს შემთხვევაში სამთავროთა ერთი ჯგუფის ძალთა გაერთიანება ხდებოდა მეორე თავის მოძმე სამთავროთა ჯგუფის

საწინააღმდეგოდ და ომის შემდგომ ეს კოალიციებიც დაიშლებოდა და ახლა კოალიციის წევრები დაერეოდნენ ერთმანეთს. ამ შინა წინააღმდეგობებმა განაპირობეს სწორედ ყივჩაყთა თარეშები რუსეთში. მთელი მეთორმეტე საუკუნე (პირველი მეოთხედის გამოკლებით) რუსეთის წინაშე ყივჩაყთა თავდასხმების აღაგმვის პრობლემა იდგა და იგი გადაუჭრელად გადმოეცა მეცამეტე საუკუნის რუსეთსაც. კარგად აისახა ყივჩაყთა თავდასხმების პრობლემა რუსულ მხატვრულ ნაწარმოებშიაც (თქმულება იგორის ლაშქრობაზე). ასეთს, ფეოდალურ ეპოქისათვის დამახასიათებელ, შინა წინააღმდეგობასა და ყივჩაყთა მრავალრიცხოვან ტომებთან ბრძოლაში გართულ რუსეთს ჯებესა და სუბედაის სარდლობით მონღოლთა ლაშქარი ესტუმრა 1223 წელს. აქვე წინასწარ უნდა აღინიშნოს, რომ მონღოლებმა მთელი 1222 წელი ოსებთან და ყივჩაყებთან ბრძოლებში გაატარეს. ყივჩაყთა ზოგიერთი ტომის ბელადი სხვა გამოსავალს რაკი ვერ პოულობს სამხრეთ რუსეთის სამთავროებისგან ითხოვს დახმარებას. ყივჩაყთა არისტოკრატიის წრეებიდან გამოსული ქალები ცნობილი იყვნენ მეზობელ სახელმწიფოებში თავისი გარეგნული სილამაზით, და მიუხედავად იმისა, რომ ყივჩაყები წარმართები იყვნენ, რუსეთში, დასავლეთ ევროპაში და საქართველოშიაც არა ერთ ხელისუფალს ყივჩაყთა ქალი ჰყავდა დედოფლად. ცნობილია, რომ დავით აღმაშენებლის მეუღლეც ყივჩაყთა მთავრის ასული იყო.

მიუხედავად იმისა, რომ რუსებსა და ყივჩაყებს შორის საუკუნის განმავლობაში მტრობა სუფევდა, რუსებმა შეძლეს ყივჩაყთა ზოგიერთი ტომის მაღალი წრეების გაქრისტიანება და მათთან ნათესაური ურთიერთობის დამყარება.

ყივჩაყთა ტომების ბელადთა შორის დიდმთავრად გიორგი ყონჩაყის-ძე ითვლებოდა, ეტყობა იგი ქრისტიანი იყო. სხვათა შორის გიორგი და მისი მამა ყონჩაყი „ყივჩაყთა უმთავრესის" ათრაქა შარაღანის-ძის, დავით აღმაშენებლის სიმამრის, შთამომავალი იყო. ყივჩაყეთში ქრისტიანობა ორი გზით იკაფავდა გზას — საქართველოდან და რუსეთიდან.

რუსი მემატიანე აღნიშნავს, რომ მონღოლთა წინააღმდეგ ყივჩაყთა თავდაცვის ორგანიზებას ეს გიორგი ყონჩაყის-ძე მეთაურობდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა და ბრძოლაში დაიღუპა. მდ. დნეპრამდე მოსდევდნენ თათართა რაზმები დამარცხებულ ყივჩაყებს. დნეპრის ნაპირებამდე მოსვლის შემდეგ მონღოლები უკან გაბრუნდნენ ყივჩაყთა საბანაკო ადგილებში.

გალიციის მთავარს მსტისლავ მამაცს 1223 წელს თხოვნით მიმართა ყივჩაყთა ცნობილმა ხანმა კოტიანმა დახმარებისათვის. მან პირველმა აუწყა გალიციის მთავარს მონღოლების თავდასხმის ამბავი და ის საშიშროება, რომელიც რუსეთს მოელოდა. სამხრეთ-რუსეთის მთავრები შეაშფოთა ამ ცნობამ. ყივჩაყთა დამარცხება რომ ადვილი საქმე არ იყო, ამის გამოცდილება რუსეთის მთავრებს არ აკლდათ. ყივჩაყთა ბელადები ახლა რუსებს თხოვდნენ ძალთა გაერთიანებასა და მონღოლების წინაალმდეგ ერთად ბრძოლას. რუსი მთავრებისადმი მიმართულ ყივჩაყთა ბელადების სიტყვებს მემატიანე ასე გადმოგვცემს: «аще не поможете нам, мы ныне изсечены бяхом, а вы наутрее изсечени будете»[1]. ყივჩაყებს ახლა კარგად ესმოდათ ალბათ, თუ რა უგუნურება იყო მათ მიერ მუხანათურად ოსების მიტოვება და მონღოლთაგან საჩუქრების მიღება. და აკი საკუთარი გამოცდილების საფუძველზე რუსებს აფრთხილებდნენ: „თუ ჩვენ არ მოგვეხმარებით, დღეს ჩვენ ამოგვწყვეტენ, ხოლო ხვალ თქვენო".

რაკი ყველაზე ადრე სამხრეთ-რუსეთის სამთავროებს შეესეოდა მონღოლები, ყივჩაყების წინადადებასაც ისინი გამოეხმაურნენ პირველ რიგში. ძალთა გაერთიანება გალიციის მთავარმა მსტისლავ მამაცმა ითავა და რამდენიმე გავლენიანი დიდი მთავარი ჩააბა ამ საქმეში, მათ შორის კიეველი — მსტისლავ რომანის-ძე, ჩერნიგოველი მსტისლავ სვიატოსლავის-ძე და სხვა წვრილი მთავრები, მათ შორის ვოლინის მთავარი დანიელ რომანის-ძე, რომელიც იშვიათი აღნაგობისა და გაბედულების მქონე ახალგაზრდა ყოფილა. მსტისლავ მამაცს ვლადიმერ-სუზდალის მთავრისათვისაც მიუმართავს კოალიციაში მონაწილეობის მისაღებად, მაგრამ რადგანაც ნოვგოროდის გამო მათ შორის წინაალმდეგობას ჰქონდა ადგილი, სუზდალელი მთავარი არ იჩქაროდა დამხმარე რაზმის გამოგზავნას. რუსი მთავრების თათბირი კიევში გამართულა. მემატიანის გადმოცემით თათბირს ასეთი გადაწყვეტილება მიუღია: „უმჯობესია მტერს შევებრძოლოთ სხვის მიწაზე, ვინემ ჩვენს ქვეყანაში"-ო[2].

მონღოლებმა გაიგეს, რომ ყივჩაყებმა თავი რუსეთის სამთავროებს შეაფარეს და რუსები ყივჩაყების დასახმარებლად ემზადებოდნენ. რუსეთის მთავრებს მონღოლთა ელჩები ეწვია. რუსეთის მემატიანეს დაწვრილებით აქვს აღწერილი მონღოლების წინადადება: „გავიგეთ, რომ ყივჩაყებს დაუჯერეთ და ჩვენს წინაალმდეგ მოდიხართ. ჩვენ თქვენი მიწა არ გვინდა, არც თქვენი ქალაქი და არც

---

[1] Летопись по ипатскому списку, 1871, გვ. 495.
[2] იქვე, გვ. 495.

სოფელი და არც თქვენსკენ ვფიქრობთ წამოსვლას. ჩვენ ღმერთმა გამოგვიშვა უწმინდური ყივჩაყების წინააღმდეგ. საზავო ხელშეკრულება დავდოთ ერთმანეთთან. გამორეკეთ ისინი მაქედან, ხოლო მათი ქონება წაიღეთ თქვენ. ისე ისიც გაგვიგონია, რომ თქვენ (ყივჩაყებმა) მრავალი ბოროტება მოგაგეს. ამიტომ ჩვენც იმათ ვესხმით თავს"-ო[1].

ყივჩაყებმა ალბათ რუსეთის მთავრებს ისიც გააგებინეს თუ რა ცბიერები იყვნენ მონღოლები და როგორ არაფრად მიაჩნდათ ფიცით განმტკიცებული პირობის დარღვევა. როგორც ვიცით, ყივჩაყები საკუთარი გამოცდილებით იცნობდნენ ამ მხრივ მონღოლებს. რუსეთის მთავრებს საკადრისი პასუხი გაუციათ, ელჩები გაუჟლეტიათ და რუსებისა და ყივჩაყების გაერთიანებული ლაშქრით მონღოლების შესახვედრად დაძრულან. მე-17 დღეს ჯარი ქ. ოლეშიას მახლობლად დაბანაკდა მდ. დნეპრის შავი ზღვის შესართავთან[2]. მონღოლებმა ყივჩაყთა ველზე გამოიზამთრეს. ცხენები დაასვენეს. მანამდე კი ყირიმის ნახევარკუნძულის სამხრეთ სანაპიროზე მყოფი ცნობილი სავაჭრო ქალაქი სუდაკი დაიპყრეს და გაძარცვეს. როგორც ეტყობა, აზოვისა და შავი ზღვების ნაპირებისაკენ იყვნენ მონღოლები დაბანაკებულნი და გაზაფხულისათვის საბრძოლველად ემზადებოდნენ.

აქ აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ მონღოლებს ჩინგიზის ბრძანების თანახმად სამშობლოში წასვლა ეჩქარებოდათ. სამი წელი მალე დამთავრდებოდა, ისე რომ რუსეთისაკენ ლაშქრობა ამხელად მონღოლებს არ სჭირდებოდათ, მაგრამ, რაკი ყივჩაყები ჯერ კიდევ საბოლოოდ განადგურებული არ იყვნენ და რუსეთთან შეთანხმებული თავდასასხმელად ემზადებოდნენ. მონღოლებმა რუსეთის გამოწვევა მიიღეს და მათთვის ჩვეული თვალთმაქცობით მოქმედება დაიწყეს. რუსეთის მთავრებს მეორეჯერ გაუგზავნეს ელჩები, თავისი გულისწყრომა და საყვედური აუწყეს მონღოლთა პირველი ელჩების ამოწყვეტის გამო. ამასთანავე ყივჩაყებისადმი ნდობას აყვედრიდნენ და მართალივით ღმერთს იმოწმებდნენ — ჩვენ თქვენთვის არაფერი დაგვიშავებიაო.

მონღოლებმა რუსებისა და ყივჩაყების საწინააღმდეგოდ აზოვის ზღვასა და დონის გასწვრივ მცხოვრები ე. წ. ბროდნიკები იშოვეს მოკავშირედ. ეს ცნობილი მეომარი მოსახლეობა იყო, სლავური წარმოშობის, რომელიც კიევისა და ჩერნიგოვის მთავრების მი-

[1] ციტირებულია იაკუბოვსკის და გრეკოვის ზემოდასახელებული ნაშრომიდან, გვ. 202.

[2] იქვე.

მართ მტრულად იყო განწყობილი. ამას გარდა, მონღოლთა ლაშქარში იყო ამიერკავკასიიდან წაყვანილი მოსახლეობის ვარგისი ნაწილი. მაგრამ ყივჩაყებისა და რუსების კოალიციური ლაშქარი, რა თქმა უნდა, მონღოლებისას სჭარბობდა[1]. ყივჩაყთა ტომები მრავალრიცხოვანი იყო, სამხრეთ რუსეთის მთავართა ლაშქარიც საგრძნობ ძალას წარმოადგენდა და ამათი გაერთიანება ადვილად დასაძლევი როდი იყო. მაგრამ გამარჯვების საკითხს, როგორც ჩანს, რაოდენობა ყოველთვის არ წყვეტდა.

მონღოლებმა ისე მოაჩვენეს რუსებს და ყივჩაყებს თავი, თითქოს შეშინებული იყვნენ და გენერალურ ბრძოლას გაურბოდნენ, მონღოლებს მცირერიცხოვანი ცალკეული რაზმები საგანგებოდ დნეპრის მარცხენა ნაპირამდე წამოეწიათ. რუსეთის მთავრებს შორის, როგორც ჩანს, თათბირი გამართულა; ალბათ, მონღოლთა ამ მოწინავე რაზმების მნიშვნელობას არკვევდნენ. ყველაზე უფრო ავტორიტეტიანი მთავრები კიევისა და გალიციისა ვერ შეთანხმდნენ და სხვადასხვა რიგად აფასებდნენ შექმნილ ვითარებას[2].

მემატიანის გადმოცემით, დნეპრის მარჯვენა ნაპირზე თავმოყრილი რუსეთის ლაშქარი და მთავრები მოულოდნელად ცნობას ღებულობენ, რომ მტრის რაზმები გამოჩნდნენ დნეპრის მარცხენა ნაპირზე რუსების დასაზვერავად. ვოლინელი მთავარი დანიელ რომანის-ძე თავისი ცხენოსნებითა და სარდლებით გაექანენ თათრების სანახავადო, წერს მემატიანე. ვოლინელი სარდალი გიორგი დომამირის-ძე თურმე თავისიანებს ეუბნებოდა მონღოლები მშვილდისრით არიან შეიარაღებულნიო. სხვები გაიძახოდნენ თურმე — უბრალო ხალხია ყივჩაყებზე უფრო მდარეო. სარდალი გიორგი დომამირის-ძე არწმუნებდა თავისიანებს, რომ მონღოლთა ჯარისკაცები არიან და კარგი მეომრები სჩანანო[3].

გალიციის მთავარი მსტისლავი ვოლინელ მთავართან ერთად გადავიდა დნეპრზე და იქ მყოფ მონღოლთა რაზმს შეუტია და დამარცხებული გააქცია. ჩანს, რომ მონღოლთა ამ რაზმს გაქცევა საკუთარი მთავარსარდლებისაგან ჰქონდა ნაკარნახევი, ჯებემ და სუბედაიმ აზოვის ზღვისაკენ გაიტყუეს ამ ხერხით გათამამებული რუსები და ყივჩაყები. მონღოლებს ბრძოლის ველი წინასწარ შერჩეული ჰქონდათ, ძირითადი ძალები იქ, გეგმის თანახმად, თავის პოზიციებზე იდგა და მტრის მოახლოების მოლოდინში ისვენებდა. დნეპრი გად-

---

[1] იაკუბოვსკისა და გრეკოვის დასახ. ნაშრ., გვ. 203.

[2] იქვე, გვ. 204.

[3] Летопись по ипатскому списку, 1871, გვ. 496.

მოლახეს სხვა მთავრებმაც და მათთან ერთად ყივჩაყებმაც. ახლა მონღოლთა მეორე რაზმი გამოჩნდა. ახალგაზრდა დანიელ რომანის ძე (ვოლინელი მთავარი) თავისი რაზმით შეეგება და მონღოლთა რაზმი დაამარცხა, გააქცია და საქონლის ჯოგი დაატოვებინა. რვა დღის განმავლობაში ასე უშიშრად მიიწევდნენ წინ რუსები და ყივჩაყები. ამრიგად მიაღწიეს მდ. კალკას, რომელიც აზოვის ზღვას ერთვის ჩრდილოეთიდან. აქ მონღოლთა მთავარი ძალები იყო დაბანაკებული და გუშაგები ეყენათ. 1223 წლის 16 ივნისს მოწინააღმდეგეთა მთავარი ძალები ერთმანეთს შეებრძოლნენ. რუსული წყაროებიდან არ ჩანს ყივჩაყებისა და რუსების სარდლობას ჰქონდა თუ არა შემუშავებული საბრძოლო საერთო გეგმა. მემატიანე უფრო ერთმანეთის დაუჯერებლობას უჩივის რუსეთის მთავრებს. ყივჩაყები ეტყობა რუსებს ემორჩილებიან, ისინი წინა რიგებში დაუყენებიათ რუსებს. დიდ აქტივობას იჩენდნენ ვოლინელი და გალიჩელი მთავრები. რუსულმა მატიანემ არც მონღოლთა სარდლობის გეგმა იცის, იგი მხოლოდ ცალკეული რუსი მთავრის რაზმელების გაბედულ ბრძოლებს აღწერს და იქვე შენიშნავს, რომ თათრებმა მაინც დაგვამარცხესო. ერთგან ისიც შენიშნული აქვს, რომ კიეველი და ჩერნიგოველი მთავრები თავისი რაზმებით თანამოძმეებს ცხარე და გადამწყვეტი ბრძოლის დროს არ მოეშველნენო, რადგანაც მსტისლავ გალიჩელი და დანიელ ვოლინელი სხვა მთავრებს არ უცდიდნენ და მტრის დამარცხებას საკუთარი ძალებით ფიქრობდნენო. ყივჩაყთა ლაშქარს მოულოდნელად უკან დაუხევია და უკან მყოფი რუსების ლაშქართა ბანაკში არევ-დარევა შეუტანია, წესრიგის აღდგენა რუსებს ველარ მოუხერხებიათ და მტერს ამ გარემოებით კარგად უსარგებლია. თუ რატომ გაიქცა ყივჩაყების ლაშქარი, არ იცის მემატიანემ. აშკარად ჩანს, რომ რუსი მთავრების რაზმები ბრძოლაში ერთი გეგმით არ მოქმედებდნენ; მდ. კალკის მახლობელ ერთ ბორცვზე თურმე სახელდახელოდ გამაგრებულ ბანაკში მყოფი კიეველი და ჩერნიგოველი მთავრები თავისი რაზმებით ბრძოლების უმოქმედო მაყურებლები ყოფილან[1].

არ არის დასაჯერებელი, რომ რუსების მარცხის მიზეზი მხოლოდ ასეთი შეუთანხმებლობა იყო. მონღოლების ცბიერული სამხედრო ხერხები აქ მთავარი თუ არა, მნიშვნელოვანი როლის შემსრულებელი იყო. მათ ისეთი შთაბეჭდილება შეუქმნეს ზოგიერთ რუს მთავარს, რომ თითქოს მონღოლები რუსეთის ძალებისათვის

[1] Полное собрание русских летописей, том XXV, Московский летописный свод конца XV века, 1949, გვ. გვ. 119—120.

სამიშნი არ იყვნენ. განსაკუთრებით ადვილად გაბრიყვდნენ ახალგაზრდა მთავრები და მათ აიყოლიეს უფროსებიც. რუსეთის ლაშქარი ხომ ფეოდალური ლაშქარი იყო, სამთავროებად დაქუცმაცებულმა რუსეთმა, რომელსაც პოლიტიკური ცენტრი არ ჰქონდა, ერთ სარდლობას დაქვემდებარებული ჯარის ნაწილები ვეღარ შექმნა. ყივჩაყების თავზარდაცემული უკან დახევა, რომელთაც უკან მყოფი რუსების ბანაკიც წალეკეს, მონღოლების თავისებური სამხედრო ხერხის გამოყენების შედეგი უნდა იყოს.

რუსეთის და ყივჩაყების გაერთიანებული ძალების წინააღმდეგ ბრძოლის მონღოლური გეგმა რაშიდ-ად-დინის თხზულების ერთი ადგილიდან შეიძლება ადამიანმა დაახლოებით წარმოდგინოს. სპარსი ისტორიკოსი წერს: „შემდეგ ისინი (მონღოლები) თავს დაესხნენ ურუსების (რუსების) ქვეყანას და იქ შეხიზნულ ყივჩაყებს. ამ დროისათვის მათ... შეჰყარეს (რუსებმა და ყივჩაყებმა) მრავალრიცხოვანი ლაშქარი. როცა მონღოლებმა მათი უპირატესობა დაინახეს, უკან დახევა დაიწყეს. ყივჩაყებსა და რუსებს ეგონათ, რომ მონღოლები შიშის გამო გარბოდნენ და (გათამამებული) დაედევნენ, თორმეტი დღის სავალი გზა გაიარეს. მოულოდნელად მონღოლების ლაშქარი შემობრუნდა და შეუტია რუსებს და სანამ ისინი ერთად შეიკრიბებოდნენ, მონღოლებმა მოასწრეს მრავალრიცხოვანი ხალხის გაჟლეტა. ისინი იბრძოდნენ ერთი კვირის განმავლობაში, ყივჩაყები და რუსები ბოლოს გაიქცნენ. მონღოლები მათ დაედევნენ, ანგრევდნენ მათ ქალაქებს, სანამ უკაცრიელი არ გახადეს მათი ადგილები"[1].

რუსული ცნობებით მდ. კალკასთან რუსებისა და მონღოლების ბრძოლა 1223 წლის 16 ივნისიდან 19 ივნისამდე გრძელდებოდა. მემატიანე წერს, რომ იმის შემდეგ, რაც ყივჩაყები და რუსები დამარცხდნენ და გაიქცნენ, კიევის მთავარი მსტისლავი სხვა მთავრების თანხლებით და ლაშქრით მდ. კალკის ნაპირას იყო დაბანაკებული. სამი დღის განმავლობაში მსტისლავი წინააღმდეგობას უწევდა მონღოლებსო. რუსი მემატიანე აღნიშნავს, რომ მონღოლთა ჯარის ერთი ნაწილი დამარცხებულ რუსებს და ყივჩაყებს დაედევნა და დნეპრამდე მისდიაო, ხოლო მონღოლთა ორი სარდალი — „ჩიგირყანი" და „თეშუყანი" მათ ხელქვეით დაწესებულ ჯარით მსტისლავ კიეველის ბანაკს შემოერტყა გარს და ებრძოდაო. მონღოლთა ლაშქრის ამ ნაწილებთან „ბროდნიკების" (სლავები, დონის მიდამოებში მცხოვრებნი, მონღოლთა მხარეზე გადასულნი) რაზმი იმყოფებოდა თავისი ბელადით, სახელად პლოსკინია, და ალყაშემორტყმულ

---

[1] **Рашид-ад-дин,** Сборник летописей, I, кн. II, გვ. 229.

მსტისლავ კიეველს ჯვრის მთხვევით ფიცი მისცა თურმე, რომ, თუ დაგვნებდებით, არავის ხელს არ გახლებთ ისე გაგიშვებთ, მხოლოდ თავის გამოსასყიდი უნდა გამოგვიგზავნოთო. მთავრებმა ეს დაიჯერეს და გამოვიდნენ, პლოსკინიამ მაშინვე დაატყვევა ისინი და მონღოლებს გადასცა. რუსების ბანაკი აიღეს, ხოლო ტყვედ დანებებული რაზმელები გაჟლიტეს. მთავრები კი მონღოლებმა ფიცრებს ქვეშ ამოდვეს, ხოლო ამ ფიცრებზე ნადიმი გამართეს და ასე უმსგავსოდ გამოასალმეს სიცოცხლეს[1].

არ არის გამორკვეული რატომ გაიმეტეს ქრისტიანმა ბროდნიკებმა ამდენი თანამეტომენი. ზოგიერთი რუსი მეცნიერი ფიქრობს, რომ წინააღმდეგობას ბროდნიკებსა და კიევის მთავრებს შორის კლასიური საფუძველი ედო, თითქოს ბროდნიკები თავისუფალი სმერდები იყვნენ, რომელთა თავისუფლებას და მიწებს მიტაცებით ემუქრებოდნენ კიეველი და ჩერნიგოველი მიწათმფლობელება მთავრების ხელმძღვანელობითო. ეს მოსაზრება საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს.

მემატიანე წერს, რომ გადმოცემით თითქოს კალკასთან ბრძოლაში 10.000 მარტო კიეველი დაიღუპაო, ხოლო ბრძოლის ველიდან გაქცეული, გზაზე, დნეპრამდე სანამ მიაღწევდნენ 6 მთავარი იქნა მოკლულიო, მათ შორის ჩერნიგოველი მთავარი მსტისლავი თავისი ვაჟიშვილითო. რუსი მთავრების ლაშქრის მეათედი დაბრუნებულა ცოცხალი. გალიჩის მთავარი მსტისლავი ყველაზე ადრე მისულა დნეპრთან და მონღოლებისათვის დნეპრზე გადასასვლელად ხელი რომ შეეშალა, ნავები დააწვევინა და ზოგი დააპობინა, ხოლო ნაწილი მარცხენა ნაპირიდან დასძრა და წყალს გაატანაო. მემატიანე იმასაც შენიშნავს, რომ ამით მსტისლავი თავის თავს შველოდა, ეშინოდა თათრებმა არ შემიპყრონო. თვით კი გალიჩში გაქცეულა. მემატიანე არას ამბობს ნავების მოსპობის შედეგად მსტისლავის უკან მომავალ რუსებს ხელი შეეშალა თუ არა.

მონღოლები დნეპრის იქეთ აღარ წასულან. სასწრაფოდ დატოვეს რუსეთის პროვინციები და ყივჩაყთა ველით ვოლგაზე გადასვლით თავის პატრონთან და მბრძანებელთან გამოცხადდნენ შორეულ აღმოსავლეთში, თანახმად სამარყანდში გაცემული ბრძანებისა.

დამშვიდებული რუსი მემატიანე მონღოლთა პირველი გამოჩენის თხრობას ასე ამთავრებს: „მოწყალე და კაცმოყვარე ღმერთი იმედოვნებდა რა ქრისტიანების (ე. ი. რუსების) მიერ ცოდვების მონა-

[1] Полное собрание русских летописей, том XXV, 1949, გვ. 120.

ნიებას, გააბრუნა სასწრაფოდ თათრები მდ. დნეპრიდან აღმოსავლეთ ქვეყნებისაკენ"-ო[1].

არა მარტო რუსი მემატიანე დამშვიდდა ამ დიდი მარცხის შემდეგ. რუსეთის მთავრებსაც არავითარი დასკვნა არ გაუკეთებიათ 1223 წელს მომხდარი ამბებიდან. თითქოს ერთი სტიქიური უბედურება ყოფილიყოს, მოვიდა, წალეკა, წავიდა და „ღვთისწყალობით მეტს აღარ მოვიდოდა", — ეგონათ. დროებით შეწყვეტილი კინკლაობა და ძმათა სისხლის ღვრა განახლდა.

## ჩინგიზის გარდაცვალება

ჩინგიზ-ყაენი და მისი ვაჟიშვილები 1223 წლამდე ისევ შუააზიის ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ და დროგამოშვებით სხვადასხვა ციხე-ქალაქებს იღებდნენ და მოსახლეობას მონღოლური წესის მიხედვით ანგარიშს უსწორებდნენ. ზაფხულს მაღალ ადგილებში ატარებდნენ. 1223 წელს გაზაფხულის დასაწყისში ჩინგიზი მდ. ჩირჩიკის მიდამოებში იმყოფებოდა და წესისამებრ ნადირობდა. 10 მარტს იგი ნადირობის დროს ცხენიდან გადმოვარდნილა და ძლივს გადაურჩა ველურ ტახს. ამ დროს ჩინგიზის ურდოში ჩინეთის ცნობილი ბრძენი მკურნალი ჩან-ჩუნი იმყოფებოდა (ეს უკანასკნელი ჩინგიზმა 1222 წელს გამოიწვია ჩინეთიდან და „უკვდავების წამალი" მოთხოვა მას, რაზედაც გულახდილი პასუხი მიიღო მონღოლთა მბრძანებელმა), და ჩინგიზს ურჩია ნადირობისათვის თავი დაენებებინა მისი ჰასაკის გამო. ჩინგიზი პრინციპულად დათანხმებულა, მაგრამ ამავე დროს განუცხადებია, რომ ასე ერთბაშად ჩვეულების თავის დანებება არ შემიძლიაო[2]. შუა-აზია საბოლოოდ დაპყრობილი არ ჰქონდა ჩინგიზ-ყაენს, ისე დატოვა იგი 1223 წელს. მხოლოდ მავერანაჰრი და ხორეზმი უდავოდ მონღოლების ხელთ იყო და აღარავინ აქ მათი მოდავე არ ჩანდა. ამიტომაც ამ მხარეებში დარბეული ქალქების აღდგენა მალე დაიწყო.

1224 წელს ჩინგიზი მდ. ირტიშის მიდამოებში ატარებდა ზაფხულს. მონღოლეთში იგი 1225 წელს დაბრუნდა შემოდგომაზე (რაშიდ-ად-დინის ცნობით კი გაზაფხულზე). ჩინგიზ-ყაენთან ერთად მისი შვილებიც მონღოლეთში დაბრუნდნენ, გარდა უფროსი ვაჟიშვილის ჯოჩისა.

---

[1] Полное собрание русских летописей, том XXV, 1949 г., გვ. 121.

[2] В. Бартольд, Туркестан в эпоху монгольского нашествия, II, გვ. 493.

ზოგიერთი იმდროინდელი წყაროს გადმოცემით ჯოჩისა და ჩინგიზს შორის წინააღმდეგობა და უსიამოვნება იყო ჩამოვარდნილი. ჯუზჯანის ცნობით, თითქოს ჯოჩის თავის მახლობლებთან მამის მისამართით საყვედური გამოუთქვამს, რომ იგი გასულელებულია და ამდენ ქვეყნებს ანადგურებს და ხალხს სპობსო. ამიტომ თითქოს ჯოჩის განზრახული ჰქონდა მოეკლა მამა ნადირობის დროს და მეგობრობის ხელშეკრულება დაედო მაჰმადიანებთან. ჯოჩის ეს განზრახვა მეორე ძმას ჩაღათას გაუგია, ამ უკანასკნელს მაშინვე მამისათვის უცნობებია. ჩინგიზს განკარგულება გაუცია ჯოჩის საიდუმლოდ მოწამვლის შესახებ.

რაშიდ-ად-დინი კი მამა-შვილს შორის წინააღმდეგობის მიზეზად სხვა ფაქტს ასახელებს, თითქოს ჩინგიზმა ჯოჩის იმ „ჩრდილოეთის მხარეების" დასაპყრობად გალაშქრება უბრძანა, რომელიც ჯებე და სუბედაიმ დაზვერეს. თითქოს მამის ეს განკარგულება შვილმა არ შეასრულა და, როცა ჩინგიზი მონღოლეთში დაბრუნდა, ურჩი ვაჟიშვილი თავის ურდოში გაიწვია, მაგრამ მას ავადმყოფობა მოუმიზეზებია და მამასთან არ გამოცხადებულა. შუა-აზიიდან დაბრუნებულ ერთ მონღოლს კი ამბავი მიუტანია ჩინგიზისათვის, რომ თითქოს ჯოჩი მან პირადად ინახულა ნადირობის დროს. ჩინგიზი თითქოს დარწმუნდა რა შვილის ურჩობაში, ჩაღათა და უგედეი გაგზავნა წინდაწინ ჯოჩის წინააღმდეგ, ხოლო თვით ჩინგიზი წასასვლელად ემზადებოდა, როცა ცნობა მოუვიდა ჯოჩის გარდაცვალების შესახებ[1].

მოტანილ მასალაზე მკითხველის ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რომ ჩინგიზის სიცოცხლეშიაც მონოლიტური სახელმწიფო არ იყო ჩამოყალიბებული. არც მონღოლთა მიერ დაპყრობილი ქვეყნები შერიგებიან თავიანთ ბედს.

ჩინგიზის მონღოლეთში დაბრუნების შემდეგ 1225—26 წწ. თანღუთების ქვეყანა მეორედ აუჯანყდა მონღოლეთის სახელმწიფოს და ჩინგიზი იძულებული შეიქნა თავისი შვილებით აჯანყებულთა წინააღმდეგ წასულიყო. ეს მისი უკანასკნელი ლაშქრობა იყო და ერთხელ კიდევ გული იჯერა ადამიანების ჟლეტით. მაგრამ, ბოლოს ჩინგიზი დასნეულდა და ლაშქრად მყოფმა სიკვდილის მოახლოება იგრძნო. მაშინვე შვილები გამოიწვია ბრძოლის ველის სხვადასხვა უბნიდან. დილით მასთან მყოფ ემირებისა და კარისკაცებისათვის განუცხადებია, რომ მას საიდუმლო თათბირი სურს შვილებთან და იქ მყოფთ კარავის დატოვება უბრძანა. რაშიდ-ად-დინი ასე აგვი-

[1] В. Бартольд, Туркестан в эпоху монгольского нашествия, II, გვ. 494—495, ჯოჩი გარდაიცვალა 1226 წელს.

წერს ამ საიდუმლო თათბირს: „როცა ემირები და იქ მყოფნი გარეთ გავიდნენ, ჩინგიზი შვილებით სათათბიროდ დაჯდნენ. ხანგრძლივი დამოძღვრისა და დარიგების შემდეგ მან (ჩინგიზმა) შვილებს უთხრა: ჩემს შემდეგ დარჩენილო ჩემო შვილებო! იცოდეთ, რომ ჩემი იმ ქვეყნად გამგზავრების და გარდაცვალების დრო მოახლოვდა... იყავით ერთსულოვანნი მტრების წინააღმდეგ... შემდეგ უგედე ყაენი მემკვიდრედ დაამტკიცა რა, ისევ დაარიგა შვილები და უბრძანა: წადით და თქვენს ულუსებსა და სახელმწიფოებს სათავეში ჩაუდექით, რომელნიც ახლა მიტოვებულია. მე არ მსურს, რომ სახლში მოვკვდე, ამიტომ მე ახლა კვლავ სახელისა და დიდებისათვის მივდივარ. ამიერიდან ჩემი ბრძანება არ უნდა შეცვალოთ. ჩაღატა ახლა აქ არ არის, ღმერთმა ნუ ჰქმნას, რომ ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემი სიტყვები მან შეცვალოს და განხეთქილება გამოიწვიოს სახელმწიფოში. ახლა თქვენ შეგიძლიათ წახვიდეთ. თვით კი ჯარით წავიდა ნანგიასების ქვეყანაში"[1].

რაშიდ-ად-დინი შემდეგ გვაუწყებს, რომ ლაშქრობის დროს ჩინგიზი ცუდად გამხდარა და უკანასკნელი განკარგულება გაუცია, მორჩილების გამოსაცხადებლად გამზადებულ თანღუთების ქალაქის მცხოვრებთა გაჟლეტის შესახებ. ამავე დროს მის ხელქვეითებისათვის უბრძანებია, რომ მისი გარდაცვალების შესახებ მტერს არაფერი გააგებინოთო. 1227 წ. აგვისტოში ჩინგიზი გარდაიცვალა. დასასაფლავებელი ადგილი-თითქოს თვით ჩინგიზს წინდაწინ ჰქონდა შერჩეული. ერთხელ ნადირობის დროს შეუნიშნავს ერთი ხე, რომლის ჩრდილში მას დაუსვენებია, ადგილი მოსწონებია და განუცხადებია: „ეს შესაფერისი ადგილია ჩემს დასასაფლავებლად, ნიშანი გააკეთდეს აქო". რაშიდ-ად-დინის სიტყვით მთელს იმპერიაში გლოვობდნენ იმპერატორის გარდაცვალებას. ზოგიერთი ტომის წარმომადგენელს, ჩინგიზის დასატირებლად წამოსულს, სამი თვე დასჭირებია მიცვალებულის სასახლემდე მისაღწევად. ჩინგიზის შთამომავლობის ერთი ნაწილი შემდეგ ჩინგიზის მახლობლად დაუსაფლავებიათ. ჯოჩის, ჩაღატას, უგედეს და მათ შთამომავლობას სხვა ადგილებში გაუთხარეს სამარე[2]. ჩინგიზის საფლავი არავის სცოდნია მეცამეტე საუკუნეშიაც. რუბრუკვისი წერს: „თუ მიცვალებული კეთილშობილი იყო, ესე იგი, თათრების სახელმწიფოს შემქმნელის და მფლობელის, ჩინგიზის, მოდგმას ეკუთვნოდა, მის საფლავზე ერთ-ერთ მისდამი კუთვნილ კარავს სდგამენ. არავინ იცის

---

[1] Р а ш и д-а д-д и н. Сборник летописей, I, кн. II, გვ. გვ. 231—232.
[2] იქვე, გვ. 233—235.

სად არის ჩინგიზის საფლავი. კეთილშობილთა სასაფლაოს მახლობლად ყოველთვის სადგომი აქვთ საფლავთა მცველებისთვის. მე არ გამიგონია, რომ ისინი თავიანთ მიცვალებულებს მათ განძეულობას ატანდნენ" [1].

მონღოლთა არისტოკრატიის დასაფლავების წესის შესახებ ცნობას პლანო კარპინიც გვაწვდის. იგი წერს: „სულის და ხორცის გაყრის შემდეგ, თუ მიცვალებული წარჩინებული პირი იყო, მას სადმე მინდორში მარხავენ ფარულად; მასთან ერთად მარხავენ მის სადგომსაც, რომლის შუაზე მას დასვამენ ხოლმე, ხოლო წინ უდგამენ მაგიდას, ხორცით სავსე ხონჩას და ცხენის რძით სავსე ქოთანს. მასთან ერთად ასაფლავებენ აგრეთვე კვიციან ჭაკს და ალვირამოდებულ, უნაგირიან ცხენს... მიცვალებულთან მარხავენ აგრეთვე ოქრო-ვერცხლს... ზოგიერთ წარჩინებულ პირს სხვანაირადაც მარხავენ. ფარულად მინდორში გადიან, ბალახს სთხრიან ფესვიანად... გამოთხრილ ხაროში სდებენ მიცვალებულს, თან ზემოხსენებულ ნივთებს ატანენ, შემდეგ მთელ საფლავს მიწით ავსებენ და წინანდებურად ბალახით ფარავენ, რათა მისი აღმოჩენა შეუძლებელი გახდეს. მათ ქვეყანაში ორი სასაფლაოა. ერთზე მარხავენ იმპერატორებსა, მხედართმთავრებსა და კეთილშობილებს. სადაც უნდა დაიხოცნონ ისინი, მოაქვთ თუ ეს მოხერხდა. მათთან ერთად დიდძალ ოქრო-ვერცხლს მარხავენ..." [2]

პლანო კარპინის ცნობა, ძვირფასეულობის საფლავში ჩატანების შესახებ, სწორი უნდა იყოს, სხვა რიგად გაუგებარია რატომ გუშაგობენ მონღოლები უმაღლესი არისტოკრატიის საფლავებს, ან რატომ ფარულად მარხავენ მათ. იქ, სადაც კვიციან ჭაკს და უნაგირიან ცხენს მარხავენ მიცვალებულთან ერთად, ძვირფასეულობის თან ჩატანება სავსებით ლოგიკურია. რუბრუკვისს, როგორც ჩანს, არ გაუმხილეს ყველაფერი. პლანო კარპინი მონღოლეთში მყოფ ქრისტიანებისაგან, როგორც მზვერავი, ბევრ საიდუმლოებას გებულობდა და თავის დღიურში შეჰქონდა. სამწუხაროდ, ჩვენ შესაძლებლობა არ გვქონდა დღევანდელ მონღოლეთის არქეოლოგიურ კვლევაძიების მუშაობისათვის თვალყური მიგვედევნებინა.

მაგრამ პლანო კარპინის ცნობას ჯუზჯანის თხზულებაც ადასტურებს. ამ ავტორს, იქ, სადაც ბათუს გარდაცვალების ამბავი აქვს

---

1 მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1942, ნაკვეთი V, გვ. 32.

2 იქვე, ნაკვეთი II, გვ. გვ. 13—15.

მოთხრობილი, აღნიშნული აქვს: „დაასაფლავეს იგი (ბათუ-ყაენი) მონღოლური ადათით. ამ ხალხს ასე აქვთ მიღებული, რომ როცა ვინმე იმათგანი მოკვდება, მიწის ქვეშ გააკეთებენ სახლს ხალიჩით, ჭურჭლებით და ნივთებით და იქვე ასაფლავებენ მას იარაღითა და მთელი მისი ქონებით. მასთან ერთად მარხავენ მის რამდენიმე ცოლს და მსახურს და იმ ადამიანს, რომელიც ყველაზედ უფრო უყვარდა მიცვალებულს სიცოცხლეში. შემდეგ ღამით მიწას მიაყრიან ამ ადგილს და საფლავზე მანამდე აჭენებენ ცხენებს, სანამ არავითარი ნიშანი არ დარჩება, რომ იქ საფლავია“[1].

ჩინგიზ-ყაენი გარდაიცვალა, მაგრამ მის მიერ ცეცხლითა და მახვილით შეკოწიწებული იმპერია მაშინვე არ დაქცეულა, თუმცა იგი ჩინგიზის სიცოცხლეშივე გაბზარული იყო. აკად. ვ. ბარტოლდი სამართლიანად შენიშნავს, რომ ჩინგიზის არც ერთი შვილი და შვილიშვილი არ ყოფილა დიდი ნიჭით დაჯილდოებული. ყოველ შემთხვევაში მონღოლთა იმპერიის ფუძემდებელს, კულტურულ კაცობრიობის საბედნიეროდ, ვერც ერთი ამათგანი ვერ შეედრებოდა. ჩინგიზს, მრავალრიცხოვან შვილებს შორის, უფროსი მეუღლისაგან ნაშობი უგედე მიუჩნევია ღირსად იმპერიის ტახტი დაეკავებინა. რაშიდ-ად-დინის ერთი ცნობიდან ჩანს, რომ უგედე, ძმებს შორის, იმთავითვე გამოირჩეოდა და ჩინგიზ-ყაენი მას ყველაზედ უფრო საპასუხისმგებლო საქმეს ანდობდა.

ერთგან ჩვენ ზემოთ აღნიშნული გვქონდა, რომ, როცა ხვარაზმეთის სატახტო ქალაქის ასაღებად ჩინგიზ-ყაენმა ჯოჩი, ჩაღათა და უგედე მიავლინა სათანადო ლაშქრით, ჩაღათასა და ჯოჩის შორის წინააღმდეგობა წარმოიქმნა. ამის გამო მონღოლებმა დიდი ზარალი ნახეს და ქალაქი შვიდი თვის განმავლობაში ვერ აიღეს. ძმებს შორის უთანხმოების შესახებ ჩინგიზს აცნობეს. რაშიდ-ად-დინი წერს: „ჩინგიზი განრისხდა და ბრძანა, რომ უგედე ინიშნება მთელი იქ მოქმედი ჯარების უფროსად, თუმცა იგი იქ მოქმედ ძმებს შორის (ჯოჩისა და ჩაღათაზე) უმცროსი იყო ჰასაკით. ყველას უნდა ებრძოლა უგედეს განკარგულების მიხედვით. ის (უგედე) ცნობილი

1 Б. Д. Греков, А. Ю. Якубовский, Золотая Орда и ее падение, გვ. 72. მონღოლთა არისტოკრატიის დასაფლავების წესზე მკითხველის ყურადღება იმიტომ შევაჩერე, რომ აღმოსავლეთის ეთნოგრაფიული ცნობები იცოდეს დაინტერესებულმა მკითხველმა. ამას გარდა, მონღოლთა გაპატონებული კლასის მიცვალებულთა საფლავების ინვენტარი, მონღოლთა გამაჰმადიანებამდე, მდიდარი რომ უნდა იყოს, ამ გარემოების ხაზგასმა გვინდოდა დაინტერესებულთა საყურადღებოდ.

იყო ნიჭითა და შორსმჭვრეტელობით... უგედემაც დაიწყო მოქმედება ბრძანებისამებრ. უგედე ტაქტიანი და გონიერი ადამიანი იყო, იგი ყოველდღე პირადად ინახულებდა რომელიმე თავის ძმას. მას მათთან კარგი დამოკიდებულება ჰქონდა და მოხერხებული განკარგულებით ძმებს შორის შეთანხმებას აღწევდა, ლაშქარში წესრიგს აღადგენდა, დისციპლინას განამტკიცებდა და ერთობლივად შეტევაზე გადაყავდა ლაშქარი..."[1] როგორც ჩანს, ჩინგიზ-ყაენი ტახტის მემკვიდრეობის საკითხს შვილის პირადი ღირსებების, ნიჭისა და უნარის მიხედვით წყვეტდა და არა ჰასაკით უფროსობით. უგედე ჩინგიზის პირველი დედოფლისაგან ნაშობი მესამე შვილი იყო.

მართალია, ჩინგიზ-ყაენმა საიმპერატორო ტახტზე თავის მემკვიდრედ უგედე დაასახელა, მაგრამ ყურულთაის დასტურის გარეშე უგედე იმპერატორად არ გამოუცხადებიათ. ჩინგიზის გარდაცვალებიდან, ერთი წლის განმავლობაში, ყურულთაის მოწვევამდე სახელმწიფოს ჩინგიზის მეოთხე შვილი, თული, განაგებდა. მონღოლების ადათით უმცროსი ვაჟიშვილი დედ-მამის ოჯახის კერის მცველად ითვლებოდა. ყურულთაი მხოლოდ 1228 წელს შეიკრიბა, მდ. კერულენის მხარეში — ჩინგიზის იურტაში. აქ გამოცხადდნენ ჩინგიზის შვილები და შვილი-შვილები, ამათი მახლობელი ნათესაობა და გაბატონებული კლასის წარმომადგენლები. ამათ აირჩიეს 1228 წელს მონღოლთა იმპერატორად უგედე. ამ აქტის საპატივცემულოდ დიდი ნადიმი გამართეს. ჩინგიზის „სულს" კი მონღოლთა არისტოკრატიის ოჯახებიდან გამოყვანილი 40 ულამაზესი ქალიშვილი მსხვერპლად შესწირეს[2].

უგედეს უზარმაზარი სახელმწიფო ჩაჰბარდა. მონღოლეთს გარდა, ამ სახელმწიფოს საზღვრებში შედიოდა: ჩრდილო ჩინეთი, აღმოსავლეთი თურქესტანი, მთელი შუა-აზია, მდ. ირტიშიდან მდ. ვოლგამდე არსებული ტრამალები, და ირანის ნაწილი. უკვე დაზვერილი იყო და დასაპყრობად დაგეგმილი ჰქონდათ ირანი, აზერბაიჯანი, საქართველო, მცირე აზიის მაჰმადიანური სამფლობელოები ეგვიპტემდე, ყივჩაყეთი, ალანეთი, რუსეთი და ვოლგის ბულგარეთი, მაგრამ აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ „გაერთიანებისათვის მებრძოლმა ჩინგიზ-ხანმა თავის დიადს საბრძანებელს თვითვე გამოუთხარა საძირკველი და ჯერ კიდევ სიცოცხლეშივე „განუყო ოთხად ლაშქარი თვისი და განაჩინა შვილნი ოთხნი ყაენად"[3]. თითოეულ ამათგანს თავი-

---

1 Р а ш и д-а д-д и н, დასახელებული ნაშრომი, გვ 216.

2 История Монгольской народной республики. Изд. Академии Наук СССР и комитета наук Монгольской народной республики. 1954, გვ. 94.

3 ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 83.

სი ულუსი მიუბოძა, ე. ი. იმპერია ოთხ ვაჟიშვილს შორის განაწილდა. უფროსი შვილის ულუსი მონღოლეთიდან ყველაზე უფრო დაშორებული იყო, მომდევნოსი შედარებით ნაკლებ და ასე, უმცროს ვაჟიშვილს, თულის უშუალოდ მამის (ჩინგიზის) კუთვნილი ულუსი მიებოძა. ჯოჩის, უფროს ვაჟიშვილს, მიებოძა დასავლეთის მიწები— მდ. ირტიშიდან მოკიდებული შორს დასავლეთით, „სადაც კი მონღოლთა ცხენის ფეხმა გაიარა“. შუა-აზიის სამფლობელოდან ჯოჩის ულუსში შევიდა მდ. ამუ-დარიის ქვემო დინება, ე. ი. ჩრდილოეთი ხვარაზმეთი და მისი სატახტო ქალაქი ურგენჩი, აგრეთვე მდ. სირდარიის ქვემო დინება. ჯოჩის საბრძანებელი ურდო მდ. ირტიშის დაბლობებში მოთავსდა. მეორე ვაჟიშვილმა ჩაღატამ ქაშგარი, შვიდი მდინარეთი და მავერანაჰრი მიიღო, მისი ურდო კი მდ. ილის დაბლობებში იყო.

უგედეს ჩინგიზმა, დასავლეთი მონღოლეთი და თარბაღათაი მიუბოძა, უგედეს ურდო ჩუგუჩაყის მახლობლად მოეწყო[1].

ჩინგიზის მიერ იმპერიის თავის შვილებს შორის განაწილების შესახებ ცნობები ქართველ ჟამთაალმწერელსაც მოეპოვება. იგი წერს: „მაშინ განყო ლაშქარი მისი ოთხად, დააჩინა შვილნი მისნი ყაენად. პირველსა გაუჩინა და მისცა ლაშქრის ნახევარი, და წარგზავნა დიდსა ყივჩაყეთს, ვიდრე ბნელეთამდის, ხაზარეთს, ოვსეთს, რუსეთს, ვიდრე ბორღალეთამდე, სერბთა და კავკასთა, და ჩრდილოთა ყოველთა მკვიდროვანთა... და მეორეს შვილსა ჩაღატას მისცა ლაშქარი და უიღურთა ქვეყანა, სამარყანი, ბუხარა ვიდრე ალმუთისა ქვეყნამდის. ამას ეგონებ ესე იყო თურანი. და მესამესა შვილსა ოქროთას (ოქოთას — უგედეს, ი. ც.) მისცა თვით მისი ტახტი ყარყუმი და ჩინმაჩინი, ემეთისა, ყაყვისა ქვეყანა და ხატაეთი. და მეოთხესა შვილსა თულის მისცა ლაშქარი და უქუთის ზედა მოკიდებით ქვეყანა აღმოსავლეთისა. ესე ოთხნი განაჩინა ყაენად. და ამცნო რათა წელიწადსა შინა ერთგზის ოქროფას მიმართ მივიდოდნენ უხუცესნი ძმანი მისნი, ყურულთოს საქნელად. ამისათვის რამეთუ ტახტი ოქროთას მისცა“[2].

სანამ ჩინგიზ-ყაენი ცოცხალი იყო, შვილებიც მისი მორჩილნი იყვნენ და მამის ავტორიტეტი სახელმწიფოს მთლიანობას ხელს უწყობდა, თუმცა, როგორც ერთგან აღნიშნული გვქონდა, უფროსმა ვაჟმა ჯოჩიმ მამის ურჩობა გაბედა და მამასთან არ გამოცხადდა, ავადმყოფობა მოიმიზეზა, ისე რომ ჩინგიზი შვილის წინააღმდეგ სა—

---

[1] История Монгольской народной республики, 1954. გვ. 94.
[2] ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., გვ. გვ. 519—520.

ლაშქროდ მოემზადა კიდეც. ცხადია, ჩინგიზის გარდაცვალების შემდეგ შვილებს მამისაგან მიბოძებული ულუსები თავის სამფლობელოებად უნდა მიეჩნია. ამ ულუსებს მაინც შინაგანი დამაკავშირებელი დუღაბი არ გააჩნდა და ჩინგიზ-ყაენს რომ სიცოცხლეში არ დაენაწილებინა სამფლობელო, ძალით შეკოწიწებული იმპერიის დანაწილება ჩინგიზის გარდაცვალების შემდეგ თავისით მოხდებოდა და ალბათ უფრო მტკივნეულად. ჩინგიზი ეტყობა ჰვრეტდა ამას და, შინა ომების თავიდან ასაცდენად, შვილებს შორის სახელმწიფოს ულუსებად დანაწილება თავის სიცოცხლეშივე ამჯობინა. ხოლო სახელმწიფოს მთლიანობის შესანარჩუნებლად ყურულთაის ინსტიტუტი გამოდგებოდა ეგონა, მაგრამ, ეს უკანასკნელი, იმპერიის მთლიანობის საფუძვლად უვარგისი აღმოჩნდა და ჩინგიზის იმპერია რამდენიმე ათეული წლის შემდეგ დაიშალა კიდეც.

მართალია, უგედემ, გუიქმა და მენგუმ შეძლეს იმპერიის მთლიანობის შენარჩუნება, მაგრამ სახელმწიფოს დაშლის შინაგანი პროცესი სწორედ ამ ყაენების დროს მიმდინარეობდა და არც ერთ გასახელებულ ყაენს ამ პროცესის მოსპობა არ შეეძლო. სანამ მონღოლთა დაპყრობები წარმატებით გრძელდებოდა, იმპერიის მთლიანობა არსებობას განაგრძობდა, მაგრამ დაშლის შინაგანი პროცესიც ნელი ტემპით მაინც გზას იკაფავდა და მომავალი სახელმწიფოების კონტურები მკაფიოდ იხაზებოდა.

## მონღოლთა ლაშქრობანი ჩინგიზის შემდეგ

უგედე-ყაენს დასავლეთისაკენ ლაშქრობის მოსაწყობად ყურულთაი ორჯერ მოუწვევია. 1229 წელს მოწვეულ ყურულთაიზე ყივჩაყთა ველის, ვოლგის ბულგარეთის, რუსეთის და სხვა ქვეყნების დასაპყრობად ლაშქრობის მოწყობის საკითხი განხილულა. მაგრამ სიძნელეების გამო ასეთი დიდი წამოწყების ორგანიზება გადაუდვიათ და 1235 წლამდე იგი არც განხორციელებულა. მაგრამ 1229 წელს ყურულთაიზე ირან-აზერბაიჯანისაკენ ლაშქრობა გადაწყვეტილა. ჯალალ-ედ-დინის მცირე აზიაში დატოვება საშიშროებას ჰქმნიდა ახლად დაპყრობილ ხვარაზმეთში. მონღოლთა ბატონობა ისე მძიმე ტვირთად დააწვა ~~წელ~~ხზიის მოსახლეობას, რომ თუკი ვინმე ღირსეული ორგანიზატორი მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებისაკენ მოუწოდებდა მოსახლეობას, ყველა მის გარშემო შეიძლებოდა დარაზმულიყო. ჯალალ-ედ-დინს სამშობლოში დიდი სახელი ჰქონდა გავარდნილი. ამიტომ მონღოლებს მისთვის დაუხანებლად ბოლო უნდა მოეღოთ.

~~1922~~ 1229 წელს ყურულთაიზე, მართალია, ჯალალ-ედ-დინის განადგურება გადაწყდა, მაგრამ, როგორც შემდეგი მოვლენებიდან ჩანს, მონღოლთა იმ ლაშქარს, რომელიც ჯალალის წინააღმდეგ გამოიგზავნა, სხვა დავალებებიც ჰქონია. ქართველი ისტორიკოსი, ჟამთააღმწერელი, ერთგან გვიამბობს: „წარმოვიდეს ოთხნი ნოინნი: ჩორმაღანი, ჩალატა, იოსური და ბიჩოი, გამოვლეს ჯიონი, ხვარასანი ვითარ ორმოცი ათასითა კაცითა და დ ე დ ა-წ უ ლ ი თ ა...“[1]. ლაშქრის ქალიან-

[1] ქართლის ცხოვრება, II, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 522.

ბავშვიანად ჩამოსვლა იმას ნიშნავდა, რომ ამხელად მონღოლები ქვეყნების დასაპყრობად და დასასახლებლად მოდიოდნენ და, რაც მთავარია, არა მარტო იმ ადგილების, სადაც ჯალალ-ედ-დინი იმყოფებოდა, არამედ მთელი მცირე აზიის დასაპყრობად. მონღოლთა ლაშქარი სწრაფად მოიწევდა ირანის გზით, აზერბაიჯანისაკენ. წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. უბრძოლველად დანებდა მრავალი ქალაქი. ჯუზჯანის ცნობით, ირანის ზოგიერთმა მფლობელმა ყოველწლიურად ხარკის გადახდის შეპირებით დაიხსნა თავისი ქვეყანა ჟლეტისა და აოხრებისაგან. მაგ. ფარსის ათაბაგმა და ქერმანის გამგებელმა [1]. ახლა უკვე იკადრა ჯალალ-ედ-დინმა გაქცევა. ქართველი ისტორიკოსი წერს: „მსწრაფლ აიყარა დედაწულითა და წარვიდა საბერძნეთად, და თათართა დევნა უყვეს, და მიიწივნეს ბასიანს. იხილეს რა, მსწრაფლ განიბნიეს, ესოდენ დაიფანტნენ, რომელ სულტან ჯალალდინ მარტო დაშთა, სადა იგი მიიწია სოფელსა რასამე შეურაცხსა და დაიძინა ხეთა ძირსა. იხილა იგი კაცმან ვინმე შეურაცხმან და მოაკუდინა, რომლისა სარტყელი, და უნაგირი და კაპარჭი უფასოთა თვალთა მიერ და მარგალიტთა შემკობილი იყო, და მის ძლით მოიკლა კაცი იგი მაღალი და სახელოანი ჴელმწიფე... ამაო იქმნეს სპანი მისნი და სიმტკიცე იგი ქედისა მათისა, და წყობათა შინა მძლეობა და გარდარეული სიმდიდრე მათი... ესე რა ხვარაზმელნი იგი განიბნიეს და უმრავლესნი მათნი გარმიანს ივლტოდეს, და სულტანი ჯალალდინ მოიკლა, ამასა შინა დასრულდა სრულიად ჴელმწიფობა იგი მაღლისა...“ [2]

ჯალალ-ედ-დინი, მართალია, გაბედული სარდალი იყო, მაგრამ მცირე აზიის ძალთა გაერთიანების უნარი მას არ აღმოაჩნდა. მას ეგონა, რომ მცირე აზიის ხელმწიფეები მხოლოდ მისი მეთაურობით შეძლებდნენ ძალთა გაერთიანებას და მონღოლთა წინააღმდეგ გამოსვლას. საამისოდ გამართულ მოლაპარაკების დროს, როგორც საქართველოში, ისე ხლათსა და ერაყში, თავი უკვე ბატონივით მედიდურად ეჭირა და უფროსობას იჩემებდა. ქართველი ისტორიკოსი ამის გამო ერთგან შენიშნავს: „ხოლო მივიდა რა მოციქული სულტანისა (ხლათის, ერაყის და ბაღდადის მპყრობელებთან,

---

[1] ნარკვევები მახლობელ აღმოსავლეთის ისტორიიდან. ე. გაბაშვილის რედაქციით, გვ. 175.

[2] ქართლის ცხოვრება, II, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 522—523.

ი. ც.), მათ უქმად წარმოავლინეს და არა ისმინეს"-ო[1]. ბოლოს ძალით მოინდომა ისეთი სახელმწიფოს შეკოწიწება, რომელიც ვითომ მონღოლებს წინაღუდგებოდა. მის მიერ გაბრიყვებულ ხვარაზმელთა მოსახლეობის რჩენას ირანსა, აზერბაიჯანსა და საქართველოში მოპოვებულ ნაძარცვით ფიქრობდა. ასეთ ხელისუფალს მხარდამჭერი აქეთ, რა თქმა უნდა, არავინ აღმოუჩნდა და ამიერკავკასიიდან გაქცეულს ბასიანში ხვარაზმელნი ისე შემოეფანტა, რომ იგი ყველას მიერ მიტოვებული ხის ძირას მძინარე მოიკლა, ერთი მხლებელიც კი მის ძილს არ იცავდა. იმის ნაცვლად, რომ სამშობლოდან გამოქცევის შემდეგ, მონღოლთა საწინააღმდეგოდ წარმართულიყო მისი საქმიანობა, მთელი მისი მოღვაწეობა მონღოლთათვის საბატონოდ გზის გაკაფვა გამოვიდა. კ. მარქსი ერთგან შენიშნავს ჯალალ-ედ-დინის მცირე აზიაში ბრძოლების შესახებ: „...მონღოლთა სასარგებლოდ ილუპება მაჰმადიანთა მთავარი ძალები აზიაში"-ო[2].

ჯალალ-ედ-დინის განადგურების შემდეგ (1231 წლის აგვისტო) მონღოლთა ლაშქარს ხლათისა და ვალაშკერტის მხარეების ძარცვა და რბევა დაუწყია. ხლათის მფლობელს ბრძოლა ვერ გაუბედავს, მაგრამ მორჩილებაც არ გამოუცხადებია და ციხე-ქალაქებში გამაგრებულა[3]. მონღოლთა ლაშქარი აზერბაიჯანში გამობრუნებულა. 1231 — 32 წლებში თავრიზს მიაღწიეს და მოლაპარაკება გამართეს მმართველ წრეებთან. ამ ხელადაც თავრიზის არისტოკრატიამ მონღოლების გულის მოგება ძვირფასი საჩუქრებით და ფულით შეძლო. ამასთანავე მონღოლთა სარდლობამ მქსოველი ოსტატების მნიშვნელოვანი რიცხვი მოითხოვა ყარაყორუმში გასაგზავნად. ამას გარდა, სარდლებმა იბნ-ალასირის ცნობით, დიდი ყაენის საკადრისი აბრეშუმის ტანსაცმელი „ხირკა" მოითხოვეს თავრიზის მფლობელისაგან და ასეთი გაუმზადეს და მიართვესო[4].

ჩრდილოეთ აზერბაიჯანის დაპყრობის შესახებ დაწვრილებითი ცნობები უმთავრესად სომეხ ისტორიკოსებს აქვთ დაცული. კვირია-

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, გვ. 520.

[2] А. Али-Заде, Социально-экономическая и политическая история Азербайджана XIII — XIV вв., 1956 г., გვ. 109.

[3] ქართლის ცხოვრება, II, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, გვ. 523.

[4] ალი-ზადეს ,დასახელებული ნაშრომი, გვ. გვ. 111—112, იხ. აგრეთვე ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, გვ. 92.

კე განჯელი განჯის მონღოლთა მიერ აღებას აღწერს. მონღოლთა მიერ გარემოცული განჯა გააფრთებით იცავდა თავს თურმე. ქალაქის არა მარტო მაჰმადიანური მოსახლეობა, არამედ ქრისტიანულიც მონღოლთა წინააღმდეგ დაირაზმა და თავგანწირვით იბრძოდა. ქალაქის ზღუდე-გალავანი მონღოლებმა ჩინეთიდან წამოღებული მანქანებით დაანგრიეს თურმე, მაგრამ ერთი კვირის განმავლობაში ქალაქში შესვლას ვერ ბედავდნენ. და ბოლოს, მოღლილ განჯელებს დაერივნენ და ამოჟლიტეს, ეს 1235 წელს მომხდარა.

მონღოლებისათვის ირან-აზერბაიჯანის საფუძვლიანად დაპყრობას მცირე აზიის დასავლეთი ტერიტორიებისაკენ გასალაშქრებლად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამ შემთხვევაში ირანი და აზერბაიჯანი საკომუნიკაციო გზების კვანძი ხდებოდა მონღოლებისათვის და, როგორც ჩანს, 1235 წლისათვის ირანისა და აზერბაიჯანის დაპყრობის ოპერაცია ძირითადად დამთავრებული ჰქონდათ.

## საქართველოს დაპყრობა

1235 წელს მონღოლები საქართველოს სახელმწიფოს მოადგნენ. სამწუხაროდ წყაროები საქართველოს დაპყრობის ისტორიისათვის საჭირო ცნობებს ძუნწად გვაწვდიან. ამ მეორე ლაშქრობის შესახებაც, წყაროებში უფრო ზოგადი ცნობებია. თუ როგორ მიმდინარეობდა ქვეყნის დაპყრობა და რა წინააღმდეგობის გაწევა შეძლეს, ან რა დაბრკოლებებს წააწყდნენ ქართველები თავდაცვის ორგანიზაციის დროს, ამის შესახებ თანმიმდევრული მასალის გადმოცემას თავს არიდებენ. რას აკეთებდა საქართველოს სახელმწიფო 1230 წლიდან 1235 წლამდე, მონღოლთა მოსალოდნელი შემოტევის საწინააღმდეგოდ, ჩვენ არაფერი არ ვიცით. არ შეიძლება ადამიანმა დაიჯეროს, რომ ხუთი წლის განმავლობაში (1230—1235) საქართველოს მეზობელთა ტერიტორიებზე მოთარეშე მონღოლების საწინააღმდეგოდ საქართველო არ ემზადებოდა. შეუძლებელია მკერდზე ხელებდაკრეფილი ეცქირა საქართველოს მთავრობას აზერბაიჯანში მიმდინარე ბრძოლებისათვის და მხოლოდ მონღოლთა მოსვლის მოლოდინით დაკმაყოფილებულიყო. რომ მონღოლებთან შერიგებას არ ფიქრობდა მთავრობა, წყაროებიდან აშკარაა. რუსუდანის განკარგულება თბილისის დაწვის შესახებ, ქართველ სარდალთა მიუვალ ციხეებში გამაგრება და მონღოლებთან მოლაპარაკებაზე უარის თქმა სრულ დამარცხებამდე, აშკარა მაჩვენებელია იმისა, რომ საქართველო თავდასაცავად და საბრძოლველად ემზადებოდა. არ არის დასაჯერებელი, რომ საქართველოს სახელმწიფოს მმართ-

ველ წრეებში. იმ დროს ვინმეს შეეძლო ეფიქრა თითქოს მონღოლები საქართველოში არ შემოვიდოდნენ. ამიტომ სავარაუდებელია, რომ თავდაცვის რაღაც გეგმა არსებობდა და შესაფერისი სამზადისიც მიმდინარეობდა.

მაგრამ წყაროები ისეთ შთაბეჭდილებას ჰქმნიან, რომ თითქოს ქართველი სარდლობა დაბნეულა და სახელმწიფოში ლაშქრის მობილიზაცია არ ჩატარებულა. რა უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი?

დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად პირველ რიგში გასათვალისწინებელია მონღოლთა ლაშქრის რაოდენობა. ზემოთ ჩვენ აღნიშნული გვქონდა, რომ ოთხ ნოინს 40.000 მეომარი გამოაყოლეს „დედა-წულითა"-ო. მაჰმადიან ისტორიკოსთა და სომეხ ისტორიკოსთა ცნობებიდან უეჭველი ხდება, რომ ის ხელისუფალნი, რომელნიც მონღოლებს უბრძოლველად ან ბრძოლის შედეგად მოურიგდნენ, ვალდებულნი ხდებოდნენ თავიანთი ლაშქრით მონღოლებს გამოჰყოლოდნენ ბრძოლებში. სომეხი ისტორიკოსი კვირიაკე განძელი ერთგან შენიშნავს, რომ, როცა მონღოლებმა დაგვიპყრეს და ტყვეები მივყავდით „ჩვენი თვალყურის დ ე ვ ნ ე ბ ა ს ა ს პ ა რ ს ე ლ ე ბ ს მ ი ა ნ დ ვ ე ს, რომელთაც ქრისტიანების სისხლი სწყუროდათ, გვაწამებდნენ ჩვენ დაუნდობლად და გვაიძულებდნენ ისეთივე სისწრაფით გვევლო, როგორც ცხენებსო"[1]. მაშასადამე, მონღოლებთან ერთად საქართველოს თავს დაესხნენ სპარსელ და აზერბაიჯანელ მფლობელთა ჯარები. ამასთანავე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ მაჰმადიან მფლობელთა მეომრებს საქართველოზე თავდასხმა არ ეზარებოდათ, მიუხედავად იმისა, რომ მონღოლების მიერ იძულებით იყვნენ წამოყვანილნი. ასეთი მრავალრიცხოვანი ლაშქრით თავისუფლად შეიძლებოდა იმ ხერხით ბრძოლა, რომელიც ხვარაზმეთის დაპყრობის დროს გამოიყენეს მონღოლებმა 1219—23 წლებში, ხოლო ირანსა და აზერბაიჯანში 1230 — 1235 წლებში. მონღოლები ხვარაზმეთს ერთსა და იმავე დროს შეესივნენ რამდენიმე მხრიდან, მათი მიზანი იყო მტერს ძალები არ გაეერთიანებინა — მოწინააღმდეგის ძალთა დაქსაქსვის ხერხით იბრძოდნენ. ხვარაზმშა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცხოველური შიშით შეპყრობილი, ბრძოლას თავს არიდებდა და კურდღელივით გარბოდა. მის განკარგულებაში მყოფ მრავალრიცხოვან ჯარებს არ ხელმძღვანელობდა, მონღოლების მიერ ალყაშემორტყმულ ქალაქებს, რომელნიც გმირულად იცავდნენ თავს და ზოგჯერ თვეების განმავლობაში მტერს არ

---

[1] К. Патканов, История Монголов по армянским источникам, გვ. 26.

ნებდებოდნენ, ხვარაზმშა დამხმარე ჯარს არ უგზავნიდა, თვით შექმნა ისეთი პანიკა სახელმწიფოში, რომ აღარავის გამარჯვების იმედი აღარ ჰქონდა. ერთადერთი მისი შვილი ჯალალ-ედ-დინი იდგა მტკიცედ, მაგრამ მუხამედ ხვარაზმშა არც მას ანებებდა თავდაცვის ორგანიზებას.

რაშიდ-ად-დინის ცნობით, ხვარაზმეთში, გარემოცულ ქალაქებთან მყოფ მონღოლთა რაზმებს ხვარაზმელთა გარედან დახმარების შიში ჰქონდათ თურმე, მაგრამ მათდა საბედნიეროდ ხვარაზმშა ბრძოლებს თვით არ ხელმძღვანელობდა და მონღოლებს ქვეყნის დაპყრობას უადვილებდა.

საქართველოშიაც მონღოლები რამდენიმე მხრიდან უნდა შემოჭრილიყვნენ ერთსა და იმავე დროს. საფიქრებელია, რომ მონღოლებმა საქართველოს სარდლობას სახელმწიფოს გაერთიანებული ძალებით გენერალური ბრძოლის გამართვა ჩაუშალეს, მცირე ხნის განმავლობაში სახელმწიფოს შიგა პროვინციებში გაჩნდნენ და მოსახლეობის რბევა დაიწყეს. ჟამთააღმწერელი წერს: „ხოლო ნოინნი ესე ზემოხსენებულნი შემოვიდეს ქართლს თრიალეთს, სომხითს, ჯავახეთს, სამცხეს, შავშეთს, კლარჯეთს, კოლას, არტაანს, ანისს და დვინს, და მოეფინეს ქვეყანასა მსგავსად მკალთაო"[1]. ჩამოთვლილ მხარეებში არსებული ციხე-სიმაგრენი კარგა ხანს აუღებელი დარჩათ მონღოლებს. მაგრამ ამ ციხე-სიმაგრეებში მყოფი გარნიზონები ძალებს ვერ აერთიანებდნენ, თავდაცვის ცენტრი ამთავითვე მოშალეს მონღოლებმა.

სომეხი ისტორიკოსი კვირიაკე განძელი წერს: „როცა მათ (მონღოლებმა, ი. ც.) გაძარცვეს ყოველი მხარე და მოიტაცეს ცხოველები... ხელთ იგდეს ქონება და ხალხი, გაშლილ და დაუცველ ადგილების მცხოვრებნი, მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყეს ციხე-სიმაგრეებისა და ქალაქების წინააღმდეგ მოქმედება"-ო[2].

განსვ. აკად. ივ. ჯავახიშვილს თავის ნაშრომში ერთგან სავსებით მართებულად აღნიშნული აქვს: „საყურადღებოა, რომ ქართველთა სამხედრო ისედაც დაქსაქსული ძალის საბოლოოდ დასაუძლურებლად მათ ერთსა და იმავე დროს საქართველოს სამეფოს ყველა დიდმნიშვნელოვანი ციხე-ქალაქების წინააღმდეგ ცალ-ცალკე რაზმები გაუგზავნიათ. ამ ხერხით მონღოლებმა ის მოიგეს, რომ სხვადასხვა ქალაქებში მდგომ ქართველთა მეციხოვნე ჯარს საშუალება მოუს-

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, გვ. 524.

[2] К. Патканов, История Монголов по армянским источникам, 1, გვ. 20.

პეს ერთი ერთმანეთს... მიეშველებოდნენ, ამ გზით საქართველოს ჯარს შეერთებისა და თანხმობრივი მოქმედების მაგიერ განცალკევებულსა და დაქსაქსულს უხდებოდა მტერთან ბრძოლა. მონღოლებმაც ამ თავიანთი სამხედრო გეგმით საუცხოვოთ ისარგებლეს და საქართველოს სამეფოს ძლიერი ციხე-ქალაქები სათითაოდ დაიმორჩილეს და დაიპყრეს“[1].

ქართველი ერისთავები და ერისთავთ-ერისთავები და მთავარსარდლები მტერს კარგა ხანს არ დანებებიან, ჩაიკეტნენ ციხე-სიმაგრეებში თავიანთი მეომრებით. ჟამთააღმწერელი გვაუწყებს: „ხოლო ამათ ულხინებელთა რა მოეცვა ქვეყანა ესე, ძლიერნი ერისთავთა-ერისთავნი და ვაზირნი განდგეს ურთიერთას, თავთა მათთა ოდენ შემწყნარებელნი, და მეფე რუსუდან ყოვლადვე დაემკვიდრა ლიხთ იქით და ვერღარა გადმოვიდეს ლიხთ აქეთ. და ვერცალა ამერნი ვაზირნი მივიდიან მის წინაშე, უცალოებისა ძლით... *ესრეთ შეუთქმელნი მოშორდეს ერთი* ერთსა და ირყვნებოდა ქვეყანა მათი, და ძლიერნი-იგი მბრძოლნი და სახელოვანნი უღონო იქმნნეს, და ვერღარა ეძლოთ წყობისა ყოფად თათართა...“[2]

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მონღოლები მხოლოდ აღმოსავლეთსა და სამხრეთ საქართველოს დიდ ნაწილში იყვნენ შეჭრილნი, მოსახლეობას აწიოკებდნენ და ციხე-სიმაგრეები გარემოცული ჰქონდათ, მთელი დასავლეთი საქართველო კი კავკასიონიდან მოკიდებული ჭანეთამდე ლიხს იქით ხელუხლებელი იყო და მონღოლებს იქ შესვლა ვერ მოუხერხებიათ. როგორც ჩანს, ტყეებიან, ნესტიან და მთა-გორიან ადგილებს მონღოლები ერიდებოდნენ, მათი ლაშქარი უფრო ტრამალებში ბრძოლას არჩევდა. მარკო პოლოს აღნიშნული აქვს, რომ საქართველოში „მთები, ხეობები და ციხეები ბლომად არის და ამის გამო თათრებმა ამ ქვეყნის მთლიანად დაპყრობა ვერ შესძლესო“[3].

მაგრამ არც ისე უნდა წარმოვიდგინოთ საქმე, რომ თათრებს არ უცდიათ დასავლეთ საქართველოში შეჭრა. როგორც ზოგიერთი არაპირდაპირი ცნობიდან ჩანს, მონღოლებს საგრძნობი მარცხი უნდა მოსვლოდეთ საქართველოში. მართალია, იმდროინდელ წყაროებში უბედურების ისეთი ზოგადი სურათია მოცემული, თითქოს მებრძოლი საქართველო იმთავითვე აღარ არსებობდა, ჟამთააღმწე-

---

1 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 97.

2 ქართლის ცხოვრება, III, გვ. 525.

3 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. III, 1949 წ., გვ. 110.

რელის და კვირიაკე განჯელის თხზულებებით ისე ეგონება ადამიანს, რომ თითქოს 1235 წელს დამთავრდა მონღოლების მიერ საქართველოს დაპყრობა. სამწუხაროდ, ჩვენ თარიღები არა გვაქვს შემონახული, თუ რომელ წელს დაეცა საქართველოში ესა თუ ის ციხე-სიმაგრე და რამდენ ხანს არ ულებდა მტერს ზღუდის კარებს ამა თუ იმ ციხის გარნიზონი და მისი მბრძანებელი. მაგრამ ჩვენ ხომ დანამდვილებით ვიცით ახლა, რომ არამცთუ 1235 წელს, 1240 წელსაც კი საქართველო მონღოლეთის მორჩილ ქვეყნად არ ითვლებოდა. რუსუდან დედოფალს მონღოლთათვის მორჩილება 1242 წლამდე არ გამოუცხადებია. არც ციხე-სიმაგრეებში შეხიზნულ დიდებულთათვის მიუცია გარკვეულ დრომდე ნება შერიგებოდნენ მონღოლებს. მიუვალ ციხეებში შეხიზნულნიც არ უჩქაროდნენ მონღოლებთან შერიგებას, მიუხედავად იმისა, რომ სახელმწიფოს თავდაცვა მთლიანობას და ცენტრს მოკლებული იყო. მესხეთის ციხეებიც კარგა ხანს მტერს არ დანებდნენ და მხოლოდ რუსუდან დედოფლის ნებართვის შემდეგ მიუვიდნენ მესხი დიდებულები მონღოლებს. ჟამთააღმწერელი წერს: „და ამა ულხინებელთა ჰირთაგან შეიწრებულნი მთავარნი საქართველოსანი მიენდვნეს თათართა, ჰერ-კახნი და ქართველნი თორელი გამრეკელი, თმოგველი სარგიზ, კაცი სწავლული და ფილოსოფოსი და მრავალ-ღონე. ხ ო ლ ო მ ე ს ხ ნ ი, ს ა თ ნ ო ე ბ ი ს ა თ ვ ი ს მ ე ფ ი ს ა რ უ ს უ დ ა ნ ი ს ა, ა რ ა მ ი ე ნ დ ვ ნ ე ს. ამისთვის განრისხებულმან ჩაღატარ ნოინ-მან აღიმჴედრა სამცხესა ზედა... ხოლო ოდეს არღარა იყო ღონე, მოახსენეს მეფეს რუსუდანს ივანე ციხისჯვარელის ძემან (ჯაყელმან), რომელსა ყვარყვარეცა ეწოდებოდა, უკეთუ ენებოს, იგიცა მიენდოს თათართა, რათა იხსნეს ქვეყანა სამცხისა ოხრებისაგან... ინება მეფემან წარმოგზავნა, მაშინ წარვიდა ივანე და ნახა ჩაღატარ....“[1].

რას აკეთებდნენ ციხეებში ჩაკეტილი ქართველი დიდებულები და მათი ხელქვეითები? პარტიზანული წესით ისინი უდაოდ იბრძოდნენ. როგორც ჩანს, იბრძოდა დასავლეთ საქართველოს ჯარებიც, წინააღმდეგ შემთხვევაში მონღოლები ამ მხარესაც დაარბევდნენ და რომ ეს ვარაუდი სწორი უნდა იყოს, ამას გვაფიქრებინებს რომის პაპის გრიგოლ IX რუსუდან დედოფლის სახელზე გამოგზავნილი საპასუხო წერილის ერთი ადგილი. სამწუხაროდ, რუსუდან დედოფლის წერილის დედანი და არც პირი ჯერ-ჯერობით არ არის აღმოჩენილი ვატიკანის არქივში. რომის პაპის გრიგოლ IX-ის

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, გვ. 527.

საპასუხო წერილი 1240 წლის იანვრის 13 არის დათარიღებული. რუსუდანს კი თავისი ეპისტოლე ქუთაისიდან ამაზე ადრე 1238 — 1239 წლებში უნდა გაეგზავნა.

დედოფალს საქართველოში მომხდარი ამბები უცნობებია პაპისათვის. პაპი კი საპასუხო წერილში მოკლედ იმეორებს საქართველოდან მიღებულ ცნობას. იგი წერს: „ხოლო ჩვენი სიამოვნება შეასუსტა და სიხარული გაგვიმწარა იმ ამბავმა, რომელიც გვაუწყეთ თქვენის წერილით, რომ კათოლიკე სარწმუნოების მტერნი თათარნი შემოსულან თქვენს სამეფოში და დიდი ვნება მიუყენებიათ თქვენთვის. გარნა ვინუგეშეთ იმითი, რომ თუმცა პირველში მტრისაგან დაძლეულხართ, მერმე კი დაგიძლევიათ, საბოლოო გამარჯვება თქვენ დაგრჩენიათ და თქვენის მტრისათვის დიდი ზარალი მიგიგიათ“[1]. აქედან ჩანს, რომ საქართველო იბრძოდა, მონღოლებს დასავლეთ საქართველოსაკენ უცდიათ გაჭრა და საკადრისი პასუხი მიუღიათ. ეს, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავდა, რომ მონღოლები საერთოდ დამარცხდნენ. საფიქრებელია, რომ მონღოლებმა დასავლეთ საქართველოზე გალაშქრება იმის შემდეგ გაბედეს, როცა აღმოსავლეთ საქართველოს ციხე-სიმაგრეები დაიმორჩილეს. წინააღმდეგ შემთხვევაში სახიფათო მდგომარეობა შეეძლო შეექმნა მონღოლებისათვის ზურგში დატოვებულ აუღებელ ციხეების გარნიზონებს. 1237-38 წლების ახლოს მონღოლთა ლაშქარს საგრძნობი მარცხი მოუვიდა უდაოდ დასავლეთ საქართველოში გადახიზნულ დედოფლის ჯარებთან ბრძოლაში, ისე რომ მტერს ამის შემდეგ დასავლეთ საქართველოში შეჭრა აღარც უცდია.

რუსუდან დედოფალი და მისი მრჩეველი კარგად ჰვრეტდნენ, რომ მონღოლთა საბოლოო დამარცხება საქართველოს არ შეეძლო და ამიტომაც რომის პაპისათვის მიუმართავთ დახმარება აღმოეჩინა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა ჯარები მონღოლთა წინააღმდეგ საბრძოლველად დაეძრა. და რომ კათოლიკური ცენტრისათვის საქართველოს დახმარების სურვილი გაეღვიძებინათ, ქართველ პოლიტიკოსებს, საქართველოს ეკლესიის რომის პაპისადმი დაქვემდებარების სურვილი განუცხადებიათ. რომის პაპს მაშინ დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების მონღოლთა წინააღმდეგ ამხედრება, რა თქმა უნდა, არ შეეძლო და ქართველ დედოფალს

[1] მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის. 1902 წ., გვ. 15.

„დასაბუთებული" უარით უპასუხა: „აწ საყვარელნო შვილნო, ნუღარ გაგიკვირდებათ, თუ რომის ეკლესიის მხედრობა არ მოდის თქვენ შესაწევნელად თათრების წინააღმდეგ. სარკინოზნი, რომლებსაც სირიაში ვეომებით, არ გამოუშვებენ თქვენსკენ ჩვენს მხედრობას. ამ თქვენმა ამბავმა ძლიეს მოაღწია ჩვენამდე... დაუცხრომლად ვეომებით მტერს იტალიასა, სირიასა და ესპანეთში. ამიტომ აღარ შეგვიძლია დაგეხმაროთ..."[1]. ლაშქრის მაგივრად პაპმა კათოლიკე მისიონერი ბერების გამოგზავნა აუწყა რუსუდან-დედოფალს. საქართველოს მთავრობა მონღოლთა ბატონობასთან შერიგებას არ ფიქრობდა, მაგრამ იმის შემდეგ, რაც აღმოსავლეთი საქართველო მთლიანად დაჰნებდა მონღოლთა ნოინებს და აქაურ დიდებულებსა და თათრებს შორის ერთგვარი შეთანხმება მოხდა, ახალი საფრთხე წამოჭრილა — საქართველოს ორად გაყოფის შესაძლებლობა. ჟამთააღმწერელის ცნობით ამირ-სპასალარი ავაგ ათაბაგი მონღოლებს თურმე სამშვილდეს ცნობილ ციხის აღების დროს თან ახლდა და შველოდა: „და მოსცეს ყოველი საქართველო თბილისი სამშვილდე, რომელი პირველ ომითა აეღო იოსურ ნოინსა... თანახდომითა ავაგისათაო" (გვ. 531). ასეთ ვითარებაში, რაკი დახმარების იმედი არსად ჩანდა, რუსუდან დედოფალი, საქართველოს მთლიანობის შესანარჩუნებლად და მუდმივ საომარ მდგომარეობიდან ქვეყნის გამოსაყვანად, მონღოლებთან შერიგებას ამჯობინებს.

1242 წელს რუსუდანმა მწიგნობართუხუცესი არსენი ბათო ყაენთან გაგზავნა[2]. იმ დროს ბათო ახლად დაპყრობილ ქვეყნების მმართველად ითვლებოდა, ირანსა და ამიერკავკასიაში მყოფი ნოინები მას ექვემდებარებოდნენ. მოლაპარაკება ბათო-ყაენთან შეთანხმებით დამთავრებულა. პლანო კარპინი ერთგან აღნიშნავს, რომ სომხეთი თათრებმა ისევე „დაიპყრეს, როგორც საქართველოს ერთი ნაწილი, ხოლო ამ ქვეყნის მეორე ნაწილი მათი ბრძანების მიხედვით დამორჩილდა; და ყოველ წელიწადს ისინი ხარკად ორმოც ათას ჰიპერპერს იხდიან, რაიცა დღემდე გრძელდება-ო[3].

მორჩილების ნიშნად ქართველი ხელისუფალი მონღოლებთან უნდა გამოცხადებულიყო, მაგრამ, რადგანაც რუსუდანს, ვითარცა ქალს, მონღოლებთან წასვლა ვერ გაებედა, ქართველმა დიდებუ-

[1] მ. თამარაშვილი, დასახელებული ნაშრ., გვ. 15.

[2] იხ. საქართველოს არქივი, II, 1927 წ., ი. ცინცაძე, არსენ ჭყონდ. მწ. უხუცესის სიგელი 1240 წლ. ახლო დროისა.

[3] მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1942 წ., ნაკვეთი II, გვ. 30.

ლებმა რუსუდანის ერთად-ერთი ვაჟიშვილის, დავითის, მონღოლებთან გაგზავნა დაასკვნეს. რუსუდანი თბილისში გადმოვიდა, როგორც სრულიად საქართველოს მეფე, მაგრამ ამიერიდან მონღოლეთის ყაენის მორჩილი და მოხარკე. დავით რუსუდანის ძე ამიერ-კავკასიის მბრძანებელ მონღოლთა ნოინებთან გააგზავნეს, თავისი ტოლების თანხლებით. მაგრამ ამიერ-კავკასიის მონღოლთა ნოინებს მეფის დამტკიცების უფლება არ ჰქონდათ მინიჭებული და ამიტომ დავით რუსუდანის-ძე ჯერ ბათო-ყაენთან გააგზავნეს ნოინებმა, იქიდან კი შორეულ აღმოსავლეთში ყარაყორუმს, მთავარ ყაენთან. რუსუდანს მწარედ განუცდია შვილის მონღოლეთში გამგზავრება. მემატიანე აღნიშნავს: „ვითარ ცნა რუსუდან წარვლინება ძისა თვისისა უცხოთა ნათესავთა შორის და უცნაურთა გზათა, ტკივილითა და უზომოთა მწუხარებითა შეიცვებოდა და დაუწყვედელთა ცრემლთა მოადინებდა...“[1]. რადგანაც შორეულ აღმოსავლეთში გამგზავრებულ ახალგაზრდა დავითის შესახებ გვირგვინოსან დედას არავითარი ამბავი აღარ მოდიოდა, დარდსა და ცრემლის ღვრას ველარ გაუძლო და გარდაიცვალა. ჟამთააღმწერელი წერს: „ხოლო მეფე რუსუდან მას ჟამსა ტკბილისა შვილისათვის მწარედ ილეოდა და დასნეულებული გარდაიცვალა ტფილისს“[2].

საქართველოში ერთხანს უმეფობა იყო და რადგანაც დავით რუსუდანის ძის შესახებ მონღოლეთიდან, კარგა ხანს, არაფერი ისმოდა, ქართველი დიდებულების ერთმა ნაწილმა მიზანშეწონილად მიიჩნია ლაშა გიორგის ველისციხელი გლეხის ქალისაგან ნაშობი „უკანონო“ ვაჟიშვილის, რომელსაც აგრეთვე დავითი ერქვა, საქართველოს სამეფო ტახტზე აყვანა. მაგრამ მონღოლებმა ამ დავითის მონღოლეთში გაგზავნა ბრძანეს და დავით ლაშა-გიორგის ძე ყარაყორუმში მთავარ ყაენთან მიიყვანეს. აღმოჩნდა, რომ რუსუდანის ძე დავითი ცოცხალი იყო და საქართველოს ტახტზე მეფედ დამტკიცების ბრძანებას იურვოდა ყაენის კარზე. მონღოლებმა ორი დავითი ერთსა და იმავე დროს ერთსა და იმავე ტახტზე მეფეებად დაამტკიცეს და სამშობლოში გამოისტუმრეს. და შეუდგა საქართველო მონღოლთა ბატონობის მძიმე უღლის წევას.

## რუსეთის დაპყრობა

მონღოლთა პირველი ლაშქრობის შედეგად რუსეთის მთავრებსაც სათანადო დასკვნები არ გამოუტანიათ და არავითარი სამზა-

[1] ქართლის ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოც., 540.

[2] იქვე.

დისი მომავალში ასეთი უბედურებისაგან ქვეყნის დასახსნელად არ ჩაუტარებიათ. მომავალი პოლიტიკური კატასტროფა რუსეთშიც სრულიად გაუთვალისწინებელი დარჩა. არავითარი დაზვერვითი ხასიათის მუშაობა რუსეთის სამთავროების ხელმძღვანელებს არ ჩაუტარებიათ, რუსეთის მთავრები ერთიმეორესთან კინკლაობით ისე იყვნენ გართულნი, რომ მაშინაც კი, როცა მათ ხელთ უტყუარი ცნობები აღწევდა მონღოლების კვლავ გამოჩენის შესახებ, ქვეყნის თავდასაცავად სამზადისისა და ძალების გაერთიანებისათვის არ უზრუნიათ. წყაროებში მათი უცნაური უდარდელობაა ასახული. შესაძლებელია რუსი მემატიანეები თავიანთი მთავრების ყოველ საქმიანობას არც იცნობდნენ და, რაც მთავარია. რომც ცოდნოდათ, ყველაფერზე ხომ არ წერდნენ. რუსულ მატიანეებში, კალკასთან მარცხის ამბების აღწერის შემდეგ, თათრების ხსენება 1229 წლამდე არ არის. 1229 წლის ქვეშ მოთხრობილ ამბებს შორის, რუსული მატიანის ე. წ. ლავრენტის ნუსხაში აღნიშნულია: „...საქსინები და ყივჩაყები, მდინარე იაიკის მახლობლად თათრების მიერ დარბეულნი, ქვევითა მხრიდან ბოლგარებისაკენ გამორბოდნენ და ბოლგართა საგუშაგოებამდე მიირბინეს“-ო[1].

როგორც ამ ცნობიდან ჩანს, 1229 წელს მონღოლები არა მარტო ხვარაზმეთისა და ირანისაკენ ლაშქრობდნენ, არამედ ჩინგიზის უფროსი შვილის ჯოჩის ნომინალურ სამფლობელოების დაპყრობაც დაუწყიათ, ე. წ. „დეშტიყიფჩაყისაკენ“, მდ. ურალის მხრიდან დაძრულან. ვოლგის სამხრეთი ტერიტორიები 1229 წელს უკვე მათ განკარგულებაში გადასულა. იმავე რუსულ მატიანის ლავრენტის ნუსხაში 1236 წლის ქვეშ აღნიშნულია: „ამავე შემოდგომას, მოვიდენ აღმოსავლეთ ქვეყნებიდან უღვთო თათრები ბოლგართა[2] ქვეყანაში და აიღეს სახელოვანი ბოლგართა დიდი ქალაქი და იარაღით ამოჟლიტეს მოხუცებიდან დაწყებული მცირე ყმებამდე და ხელთ იგდეს საქონელი მრავალი, ხოლო ქალაქი მათი ცეცხლით გადაწვეს და მთელი ქვეყანა მათი დაატყვევეს“-ო[3].

მეთვრამეტე საუკუნის რუს ისტორიკოსს ტატიშჩევს ხელთ ჰქონდა წყარო, სადაც აღნიშნული ყოფილა, რომ მონღოლთა მიერ 1236 წელს დარბეული ბოლგარეთიდან ტყვეობას და სიკვდილს გა-

---

[1] Б. Греков. А. Якубовский, Золотая Орда и ее падение. 1950, გვ. 207.

[2] საუბარია ვოლგის ბოლგარეთზე და მის სატახტო ქალაქზე „დიდ ბოლგარ“-ზე.

[3] Б. Греков, А. Якубовский, დასახ. ნაშრომი, 1950, გვ. 208.

დარჩენილი ბოლგარელები, ვლადიმირის სამთავროს საზღვრებში შემოჭრილი, აქაურ მთავარს თავშესაფარს და დასახლების ადგილს თხოვდნენ თურმე. მთავარმა მათი თხოვნა შეიწყნარა და ბოლგარები ქალაქებში ჩაასახლა [1].

როგორც ვხედავთ, მდ. კალკაზე დამარცხების შემდეგ რუსეთის მთავრებს საკმაო ნიშნები ჰქონდათ იმის გასათვალისწინებლად, რომ მონღოლთა თავდასხმა კვლავ მოსალოდნელი იყო და საჭირო იყო შინაური კინკლაობის დროებით მაინც შეწყვეტა და თავდაცვისათვის მზადების დაწყება. მაგრამ რუსულ მატიანეებში რუსეთის მთავრების ასეთ საქმიანობაზე ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი. საფიქრებელია, რომ ასეთმა უდარდელობამ განაპირობა მონღოლთა გამარჯვება რუსეთში.

რუსეთის მთავრების გაერთიანებულ ძალებს მონღოლთა დამარცხება უთუოდ შეეძლოთ. რუსეთი საკმაოდ მრავალრიცხოვანი ქვეყანა იყო იმ დროს, ხოლო მათი რაზმები ცალკეულად იშვიათ წინააღმდეგობას უწევდნენ მონღოლებს, ისე რომ ლაჩრულად უმნიშვნელო ქალაქიც არ დანებდა მტერს. მაგრამ მთელი უბედურებაც სწორედ ეს იყო, რომ გაერთიანებულ მონღოლთა ძალებს სამთავროებად დაქუცმაცებული რუსეთი შეეგება.

მაშასადამე, მონღოლებმა 1229—36 წლებში რუსეთის აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთის მეზობელი ხალხები დაიმონეს. ამ დროს, რუსეთის მთავრები შინა, ურთიერთშორის, ბრძოლებით იყვნენ გართულნი და თავდაცვაზე მაშინ დაიწყეს ზრუნვა, როცა მტერი თვითეულ მათგანს ცალკ-ცალკე კარს მიადგა.

რუსეთზე მოლაშქრე მონღოლებს ჩინგიზ-ყაენის შვილიშვილი (ჯოჩის მეორე ვაჟიშვილი) ბათო ხელმძღვანელობდა. ბათოს თან ახლდნენ თავისი უფროსი ვაჟიშვილი სარტახი, 1222-23 წლებში ყივჩაღებთან და რუსებთან ბრძოლაში ნამყოფი სუბუდაი, რომელიც უნიჭიერეს სარდლად ითვლებოდა ჩინგიზის სარდლებს შორის.

ბათოს შტაბში ყოფილა ჩინგიზის მეორე შვილიშვილი მენგუყაენი (შემდეგში სრულიად მონღოლეთის დიდი ყაენი) და აგრეთვე სუბედაის ბიძაშვილები გუიქ და ბური.

მონღოლები, ბათოს მეთაურობით, სამხრეთიდან მოადგნენ რიაზანის სამთავროს და, სანამ ბრძოლას დაიწყებდნენ, მორჩილება და ხარკი მოითხოვეს. ჩვენ არ ვიცით, მორჩილება და ხარკის გადახდაზე თანხმობა შეამსუბუქებდა თუ არა რიაზანის სამთავროს მდგო-

---

[1] Б. Греков, А. Якубовский, Золотая Орда и ее падение, 1950, გვ. 209.

მარეობას, მაგრამ რიაზანელმა მთავრებმა, მონღოლთა წინადადების გამო შეკრებილ თათბირზე მოძალადეებს კატეგორიული უარი განუცხადეს თითქოს. მემატიანე მონღოლებისადმი მათ პასუხს ასე გადმოგვცემს: „როცა ჩვენ ცოცხალი აღარ ვიქნებით, ყველაფერი მაშინ თქვენი იქნებაო, ე. ი. მონღოლები ბრძოლის ველზე გამოიწვიეს რიაზანელებმა. ზოგიერთ საბჭოთა ისტორიკოსს რიაზანელი მთავრების პასუხი. ერთის მხრივ ვაჟკაცურ, მაგრამ იმავე დროს არარაციონალურ პასუხად მიაჩნიათ. მონღოლთა ძლიერების შესახებ ყალბი ინფორმაციის საფუძველზე აღმოცენებულად თვლიან ამ პასუხს[1]. რიაზანელი მთავრები რომ მონღოლთა ძლიერების შესახებ კარგად იყვნენ ინფორმირებული და თავისი ძალების იმედი არ ჰქონდათ, ეს იქიდანაც შეიძლება ადამიანმა დაინახოს, რომ მთავარმა იური იგორის ძემ თათრების გამოჩენისთანავე ერთი თავისი ძმისწული, დახმარების სათხოვნელად, ვლადიმერის დიდ მთავართან გაგზავნა, ხოლო მეორე ჩერნიგოვის მთავართან. ამავე დროს მემატიანის ცნობით, იმავე იური იგორის ძემ თავისი შვილი თევდორე საჩუქრებით ბათოსთან მიავლინა. რუსი მემატიანეების ცნობები ერთი მეორეს ეწინააღმდეგებიან და არც ერთი ისტორიკოსი ამ წინააღმდეგობას ყურადღებას არ აქცევს[2]. თუ რიაზანელებმა ისეთი მკვახე პასუხი გაუგზავნეს ბათოს, როგორც ეს ზემოთ იყო მატიანიდან მოტანილი, მაშინ სრულიად გაუგებარია რიაზანელი მთავრის იური იგორის ძის მიერ თავისი ვაჟიშვილის ბათოსთან საჩუქრებით გაგზავნის ფაქტი. ამიტომ ჩვენ უფრო მართებულად გვესახება საქმის შემდეგი ვითარება: რიაზანელები თათართა წინადადებაზე, უბრძოლველად დამორჩილებისა და ხარკის გადახდის შესახებ, დათანხმდნენ და მოსალაპარაკებლად თევდორე ბატონიშვილი გაგზავნეს. ყოველივე ეს უნდა მომხდარიყო იმის შემდეგ, როცა რიაზანის მთავარს ვლადიმირიდან და ჩერნიგოვიდან დახმარებაზე უარით უპასუხეს. მაგრამ თევდორე ბატონიშვილს, რიაზანის დელეგაციის მეთაურს, ბათუ ყაენმა თურმე ყოვლად დამამცირებელი წინადადება წამოუყენა. რუსული მატიანე გვაუწყებს, რომ ერთმა რიაზანელმა ბოიარმა ბათოს თევდორე ბატონიშვილის მეუღლის არაჩვეულებრივი სილამაზე შეატყობინა და, როცა თევდორე ბათოსთან გამოცხადდა, წინადადება მისცა თურმე: „дажль ми.... видсти жены своее красату" („საშუალება მომეცი ვიხილო

---

[1] Б. Греков, А. Якубовский, Золотая Орда ее падение, 1950, გვ. 209.

[2] იქვე, გვ. 209—210.

შენი ცოლის სილამაზეო"[1]). (ეს ცნობა ძველი რედაქციის მატიანეებში არ არის, იგი უფრო ნაგვიანევი ხანის ძეგლშია მოთხრობილი, მაგრამ ეტყობა სინამდვილეს უნდა შეიცავდეს).

თევდორეს ამ წინადადებაზე კატეგორიული უარით უპასუხია და მონღოლებს იგი ასეთი ურჩობისათვის მოუკლავთ. რიაზანელებს ეს ამბავი ეტყობა მისვლიათ და რაკი დარწმუნებულან, რომ მონღოლებთან ადამიანური ღირსების შენარჩუნებით მოლაპარაკება არ შეიძლებოდა, ამის შემდეგ უნდა იყოს ფორმულირებული პასუხი: „როცა ჩვენ ცოცხალი აღარ ვიქნებით ყველაფერი მაშინ თქვენი იქნებაო". რიაზანელებს გენერალური ბრძოლის ორგანიზებაც არ უფიქრიათ, იმიტომ, რომ ასეთ ბრძოლას აზრი არ ექნებოდა სამთავროს მცირე ძალებით. ამიტომ, მეომარი მოსახლეობა ციხეგალავნებში ჩაიკეტა და იქედან ებრძოდა მტერს. რა თქმა უნდა, თათრებს არც ასეთი წინააღმდეგობის დაძლევა გაუჭირდათ, 1237 წლის დეკემბერში მონღოლებმა თვით რიაზანი გარემოიცვეს. ექვსი დღის განმავლობაში წინააღმდეგობას უწევდნენ რიაზანელები, მაგრამ შემდეგ დანებდნენ. მთავარი ბრძოლაში დაიღუპა. რიაზანის სურათს ასე გვიხატავს მემატიანე: „Град и земли Рязанская изменися... и не бы что в ней было ведати, токмо дым и земля и пепель. — (რიაზანი ქალაქი და ქვეყანა მისი შეიცვალა... იქ არაფერი იხილებოდა, გარდა მიწისა, კვამლისა და ნაცრისა...). რიაზანის სამთავროს ჩრდილოეთი ნაწილი ამ ხელად მონღოლთა დარბევას გადაურჩა, იგი მხოლოდ 1239 წელს გაანადგურეს. რიაზანის შემდეგ ისინი ვლადიმირის სამთავროსაკენ მიიჩქაროდნენ, მაგრამ არა პირდაპირი გზით, არამედ კოლომნასა და მოსკოვზე გავლით. კოლომნას მახლობლად ვლადიმირის მთავრის, იური ვსევოლოდის ძის, ლაშქარი შეეყარა მონღოლებს, მაგრამ დამარცხდა. მონღოლებმა ვლადიმირი 1238 წლის თებერვალში აიღეს, სულ ოთხ დღეს უწევდა წინააღმდეგობას ეს ცნობილი ქალაქი (3 — II — 7 — II). მონღოლთა მეორე რაზმმა სუზდალი დაიკავა, თებერვლის განმავლობაში თითქმის მთელი ვლადიმირის სამთავრო დაიპყრეს. ვლადიმირის მთავარი იური ვსევოლოდის ძე ამ დროს მეზობელ სამთავროში ლაშქარს აგროვებდა და ვლადიმირის მოსაშველებლად მიემართებოდა ჯარით. მდინარე სიტთან მოწინააღმდეგენი შეიყარნენ, ვლადიმირის მთავარი სასტიკად დამარცხდა, იგი ბრძოლაში დაიღუპა. ვლადიმირელებს რომ ნოვგოროდელები არ მიშველებოდნენ, ჭ.

---

1 Б. Греков. А. Якубовский, Золотая Орда и ее падение, გვ. 211.

ტორჟოკი ადრე, მარტის პირველ რიცხვებში, დაიკავეს მონღოლებმა, თუმცა ნოვგოროდი არ ფიქრობდა დახმარებას.

რუსეთში ლაშქრობის დროს ყურადღებას იპყრობდა ის გარემოება, რომ მონღოლები ამ ქვეყანაშიაც მხოლოდ სიცივის პერიოდში ლაშქრობდნენ. ლაშქრობას იწყებდნენ გვიან შემოდგომაზე და ამთავრებდნენ გაზაფხულისათვის. რუსეთის ისტორიკოსები ამ გარემოებას იმით ხსნიან, რომ მონღოლებს რუსეთის ველებზე მოძრაობა ეადვილებათ სიცივეების პერიოდში, სხვა დროს თითქოს წვიმებისა და ტალახების გამო ლაშქრის გადასვლა ძნელდებოდა. ამ გარემოებით არის ახსნილი, სპეციალურ ლიტერატურაში, 1238 წლის გაზაფხულზე ბათოს ლაშქრის ნოვგოროდთან შეჩერება, (100—150 კილომეტრით მიახლოების შემდეგ) აპრილის პირველ რიცხვებში უკან დაბრუნება, სამხრეთ-აღმოსავლეთის მიმართულებით ყივჩაყთა ველის გავლით ვოლგაზე გადასვლა და იქაურ ტრამალებში გაზაფხულ-ზაფხულის გატარება.

აქვე მართებულად მივიჩნევთ, რუსეთში მანამდე სრულიად უმნიშვნელო პუნქტის, კოზელსკის გმირულ თავდაცვის მოთხრობას. კოზელსკი ვიატიჩების ქვეყანაში იყო. ქალაქი პატარა, მაგრამ მთავრის რეზიდენცია ყოფილა. რუსულ მატიანეებში იგი არა ერთხელ არის მოხსენებული. მეცამეტე საუკუნეში ჩერნიგოვის სამთავროში შედის და ამ სამთავროს ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარეობს. ეტყობა ამ ქალაქთან გადიოდა გზა ჩრდილოეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ქალაქს გალავანი და ღრმა თხრილი იცავდა. შვიდი კვირა გრძელდებოდა კოზელსკის გარემოცვა. საფიქრებელია ბათო ყაენის მთავარი ძალები აქ არ უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ამ მცირე ციხე-ქალაქმა მაინც გმირულად დაიცვა თავი. რუსი მემატიანეს გადმოცემით, ოთხი ათასი მონღოლი მეომარი დაიღუპა ამ ბრძოლაში. კოზელსკელები დანებით იბრძოდნენ თურმე. ციხე ქალაქი მონღოლებმა მთლიანად მოთხარეს, ხოლო მოსახლეობიდან არავინ ცოცხალი არ დაარჩინეს. ბათო ყაენი რუსეთიდან ყივჩაყთა ველებზე გადავიდა. აქ ყივჩაყთა ბელადი კოტიანი შეეგება თავის ლაშქრით და ბრძოლა გაუმართა, მაგრამ სასტიკად დამარცხებული თავისი გადარჩენილი რაზმით ჰუნგრეთში გაიქცა. როგორც ეტყობა მას არავითარი იმედი კვლავ ძალების თავის მოყრის, ან რუსეთის მთავრებთან გაერთიანების აღარ ჰქონდა და სამხრეთის ველებს გაეცალა. რუსეთის ისტორიკოსებს მონღოლთა 1237 — 1238 წლების ლაშქრობა ძირითად ოპერაციად მიაჩნიათ რუსეთის ქვეყნის დასაპყრობად, რადგანაც ჩრდილოეთი რუსეთი სამხრეთ რუსეთზე უფრო ძლიერი იყო სამხედრო თვალსაზრისით. ასე რომ

ბათოს მეორე ლაშქრობა (1239—40 წწ.) ისე აღარ უნდა გაძნელებოდა თითქოს, როგორც პირველი.

როგორ შეხვდა სამხრეთი რუსეთი 1239—40 წლების მონღოლთა თავდასხმას? არავითარი ცნობა რუსულ მატიანეებში, სამხრეთ რუსეთის მთავრების ბათოს შესახვედრად მზადების შესახებ, დაცული არ არის. მატიანეები მხოლოდ მთავრებს შორის ამა თუ იმ სამფლობელოს გამო კინკლაობის ფაქტებს აღწერენ. კიეველი და ჩერნიგოველი მთავრები, ასეთ საქმეებით გართული, საბედისწერო ჟამის მოახლოებაზე თითქოს არც ფიქრობდნენ. უცნაურად ეჩვენება ადამიანს რუსული მატიანეების ასეთი ცნობები, მაგრამ ეტყობა მწარე სინამდვილე უნდა იყოს. ზოგიერთ სამხრეთელ მთავარს, ჩრდილოეთ რუსეთში დატრიალებული ტრაგედია, თურმე თავისთვის ხელსაყრელ მოვლენად ეჩვენებოდა კიდეც.

ბათო ყაენი და მისი ლაშქარი თვეების განმავლობაში ცხენებს ასვენებდნენ და 1239 წლის შემოდგომისათვის სალაშქროდ გამზადებული კვლავ რუსეთისაკენ დაიძრნენ. იგი რუსეთში ახლა შეიჭრა ჩრდილო-აღმოსავლეთის პროვინციებიდან და მორდველების მიწა-წყალზე გავლით მდ. კლიაზმამდე მისული სამხრეთ-დასავლეთისაკენ იღებს გეზს. ბათო სხვადასხვა მიმართულებით გზავნის ცალკეულ კორპუსებს და გზა და გზა ქალაქებსა და სოფლებს ანადგურებენ და ძარცვავენ. მათ აიღეს მნიშვნელოვანი ქალაქი პერეიასლავლი, აუარებელი სიმდიდრე იგდეს ხელთ ამ ქალაქის ეკლესიებისა და მოსახლეობის გაძარცვით. ბათოს მეორე კორპუსი ჩერნიგოვს მიადგა და ცხარე ბრძოლა გააჩაღა. მონღოლებს აქ ლოდების სასროლი იარაღიც მიუტანიათ. ქალაქი გმირულად იცავდა თავს, მაგრამ ბრძოლა იმ თავითვე წაგებული ჩანდა. მონღოლთა მთავარი ძალების განადგურება იყო საჭირო, თორემ ქალაქებში ჩაკეტილის წინააღმდეგობა დროებითი მოვლენა იყო, მტერს შეეძლო არც შეეწუხებინა თავი. ქალაქი ბოლოს უნდა დანებებულიყო. ქალაქელების ცალკეულად ბრძოლას მაშინ ექნებოდა მნიშვნელობა თუკი სადმე თავდაცვის მთავარი ძალები იყრიდა თავს და მტრის ძალებთან გენერალურ ბრძოლას გამართავდა. ინიციატივა მონღოლების ხელთ იყო, სადაც სურდათ და როცა სურდათ ბრძოლას მაშინ იწყებდნენ.

ბათოს ერთი კორპუსი მანგუ-ყაენის (ჩინგიზის შვილიშვილის) მეთაურობით კიევს მოადგა და მახლობელ მაღლობებზე დაბანაკდა. საფიქრებელია, რომ მანგუს კიევის აღება ამ ხელად არ ევალებოდა, იგი რუსეთის ძალების შესაძლებელ გაერთიანების ჩასაშლელად იყო გამოგზავნილი. ალბათ, ეგონათ, რომ კიევი ჩერნიგოვს

დაეხმარებოდა და ამის ხელის შესაშლელად მანგუ კიევისაკენ გამოისტუმრეს. სამწუხაროდ რუსეთის მთავრები ისე როდი მსჯელობდნენ, როგორც მონღოლი სარდლები. კიეველებს ჩერნიგოველების დახმარება არც უფიქრიათ.

მანგუმ თურმე კიევში ელჩები გაგზავნა უბრძოლველად დანებების შესახებ, მაგრამ კიევში მონღოლთა ელჩები მოკლეს. რუსი მემატიანე მანგუ-ყაენის კიევთან დაბანაკების ამბავს ასე აღწერს: «Менгуканови же пришедшу сглядать града Кыева, ставшу же ему на оной стране Днепра... видив град удивися красоте его и величеству его»[1]... ისტორიკოსების დიდ ნაწილს ეჭვი არ ეპარებოდა რუსი მემატიანის ზემომოტანილ ცნობის ჭეშმარიტებაში და თავის მხრით დასძენდნენ, რომ მანგუ-ყაენი კიევის სილამაზეშ ისე მოხიბლა, რომ თითქოს მისი დაქცევა დაენანა და ამიტომ ქალაქის უბრძოლველად დანებების მიზნით კიეველებთან მოლაპარაკება ამჯობინა და ელჩები მიავლინა[2].

არც ერთი ისტორიკოსი კითხვას არ აყენებს რამდენად მართალია მემატიანის ცნობა, მანგუ-ყაენის კიევით მოხიბვლის შესახებ. მანგუ და „ძმანი მისნი“ იმდენად ველური შეხედულების იყვნენ ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების შესახებ, რომ ქალაქის სილამაზე მათ არც ესმოდათ. იმ დროის მონღოლები დასცინოდნენ იმ ხალხებს, რომელნიც მკვიდრ ბინადარ ცხოვრებაზე იყვნენ გადასული. ისინი მომთაბარეობას თვლიდნენ იდეალურ ცხოვრებად. მატიანის ზემომოტანილი ცნობა უფრო თვით მემატიანის საკუთარი აღტაცებისა და შთაბეჭდილების გადმოცემაა, ვიდრე მონღოლთა მომავალი მბრძანებლის განცდების[3]. რუს მემატიანეს, ვითარცა განათლებულ ადამიანს, ვერ წარმოუდგენია, რომ დნეპრის მეორე ნაპირიდან კიევის დამნახველი ადამიანი აღტაცებაში არ მოსულიყო. მანგუს და მის მოდგმას იმ ხანებში ყოველი ქალაქი სძულდა და სულ ერთი იყო დანებდებოდა ქალაქი თუ არა, ისინი ცეცხლით ანადგურებდნენ. რაც შეეხება ქალაქის უბრძოლველად დანებების წინადადებას, არ ყოფილა შემთხვევა, რომ მონღოლები რომელიმე ქალაქს მიახლოებოდნენ და ელჩების პირით უბრძოლველად დანებება არ შეეთავაზებინათ. და ბოლოს, შეეძლო იმ დროს რომე-

1 Летопись по Ипатскому списку 1871 г., изд. Арх. комиссии, გვ. 521.

2 Б. Греков, А. Якубовский, Золотая Орда и ее падение 1950, გვ. 215.

3 მანგუ ხომ შემდეგ იმპერატორად აირჩიეს ყარაყორუმში.

ლიმე მემატიანეს მონღოლთა შთაბეჭდილებათა შესახებ ცნობები ეკრიბა? საქალაქო კულტურის შემფასებელ ადამიანად მანგუ-ყაენის გასაღებას, უფრო სარწმუნო ფაქტების მოტანა დასჭირდებოდა, ვინემ რუსი მემატიანის მიერ მოწოდებული შეუმოწმებელი ცნობაა.

როგორც ზემოთ აღნიშნული იყო, კიეველები არ დასთანხმდნენ მანგუ-ყაენის მოთხოვნას და საომრად მზადება დაიწყეს. კიევის მთავარი მიხეილი და მასთან ახლო მყოფი პირები მანგუს წინადადების მიღების მომხრე უნდა ყოფილიყვნენ, თუმცა მემატიანე პირდაპირ ცნობას ამის შესახებ არ გვაწვდის, მაგრამ მას აღნიშნული აქვს, რომ მონღოლების ელჩების კიევში გაჟლეტისთანავე კიევის მთავარმა მიხეილმა კიევი მიატოვა და უნგრეთში გაიქცაო. კიეველებმა მაშინვე მთავრად სმოლენსკელი მთავარი როსტისლავ მსტისლავის-ძე მოიწვიეს, მაგრამ გალიციის მთავარმა დანიელმა კიევში სმოლენსკელი მთავრის ბატონობა თავის გეგმებისათვის მიზანშეწონილად არ მიიჩნია, როსტისლავი დაატყვევა, ხოლო კიევის დაცვა ათასისთავს დიმიტრის მიანდო.

რამდენიმე ხნის შემდეგ, ბათო ყაენი, მთავარი ძალებით, კიევს მოადგა და იგი გარემოიცვა. მემატიანე საკმაოდ მხატვრულად აღწერს კიევის გარშემო დაბანაკებულ მონღოლთა ძალებს: „Не бе слышати от гласа скрипания телег его (ბათოს ლაშქარზეა საუბარი) множества ревения верблюд его и ржания от гласа стад конь его. И бе исполнена земля русская ратных“ [1].

კიევის გარემოცვა 1240 წლის გვიან შემოდგომაზე უნდა დაწყებულიყო. ქალაქის ზღუდის გასანგრევი მანქანები განუწყვეტლივ მუშაობდა და სამხრეთის ალაყაფის კარები ცხარე ბრძოლების შემდეგ შეანგრიეს მონღოლებმა. კიევის თავდაცვის მეთაურმა დიმიტრი ათასისთავმა ხელმძღვანელობისა და ბრძოლის იშვიათი უნარი გამოიჩინა, მაგრამ მონღოლები მაინც ქალაქს დაეუფლნენ და მათთვის ჩვეული ტრაფარეტით მოსახლეობის განუკითხავად ჟლეტა და ქალაქის ნაგებობათა წვა და ნგრევა დაიწყეს. უდიდეს და თავის დროისათვის ულამაზეს ქალაქისაგან არაფერი, გარდა ფერფლისა და ნანგრევისა, აღარა დარჩა რა.

კიევის სარდალი დიმიტრი, დაჭრილი, ბათოს წარუდგინეს, რომელსაც თითქოს იშვიათი გმირობისათვის მტერმა სიცოცხლე აჩუ-

---

[1] Летопись по Ипатскому списку, изд. арх. комиссии, გვ. 522.

ქა[1]. ჩვენ არავითარი ეჭვი არ გვეპარება, რომ დიმიტრი ათასისთავი ქალაქის თავდაცვას არაჩვეულებრივად ხელმძღვანელობდა. არც ის არის საეჭვო, რომ დიმიტრი არა მარტო ხელმძღვანელობდა, არამედ პირად ბრძოლის უშუალო მონაწილე იყო და არა ერთ თავდამსხმელ მონღოლს მისმა ხმალმა და შუბმა მხეცი გული გაუგმირა. მაგრამ რომ მონღოლს მოწინააღმდეგის ვაჟკაცობა მოხიბლავდა და მას ამისათვის დააჯილდოვებდა, თუ გინდ სიცოცხლის ჩუქებით, ამისი დაჯერება ძალიან ძნელია. და რომ ბათოს ასეთ რაინდულ მოქცევასთან, მართლაც არ უნდა გვქონდეს საქმე. ეს თვით იმავე რუსი მემატიანის თხზულების ერთი ადგილიდანაც ნათელი ხდება. დიმიტრი ათასისთავი, თურმე, კიევის დაცემის შემდეგ ბათოს ბანაკს შეერთებია და მისი ბრძოლების მონაწილე ყოფილა. მემატიანე აღნიშნავს, რომ, როცა ბათომ კიევის შემდეგ დნეპრის მარჯვენა ნაპირის სამთავროების დარბევით გული მთლიანად ვერ იჯერა და გალიჩის მხარეს შეუჩერებლად არბევდა, დიმიტრი ათასისთავმა, ვითომ რუსეთის სამთავროების მოსახლეობის მდგომარეობის შესამსუბუქებლად, ბათოს ჰუნგრეთის სახელმწიფოზე თავდასხმის მიზანშეწონილება დაუსაბუთა და ამ გზით ბათო რუსეთის ქვეყნიდან ჰუნგრეთს მიუსია. იქ აღნიშნულია: «Дмитрови же... рекшу Батыеви: «не мози стряпати (мешкати) в земле сей долго, время ти есть на Угры уже пойти, аще ли встряпаеши (умешкаешь), земля ти есть сильна, сберуться на тя и не пустять тебе в землю свою», про то рече ему.. видя бо землю гибнущу Рускую от нечестиваго. Батый же послуша с, вета Дмитрова, иде во Угры[2].

მაშასადამე ამ ცნობიდან ირკვევა, რომ დიმიტრი ათასისთავი ბათოს ბანაკში იმყოფება და მას რჩევა დარიგებას აძლევს. ვინ არის დიმიტრი ათასისთავი? დიმიტრი, კიეველი ათასისთავი კი არ არის, არამედ გალიციის მთავრის დანიელის სარდალია. დიმიტრი დანიელმა დასვა კიევში სარდლად. როგორც აღნიშნული იყო, დიმიტრიმ თავის მბრძანებლის, დანიელ მთავრის, დავალება შესაძლებლობის ფარგლებში კარგად შეასრულა და ბოლოს დაჭრილი ბათო-ყაენს მიუყვანეს. როგორც ჩანს, ბათოს მისთვის წინადადება მიუცია გაყოლოდა მას გალიციის სამთავროში სალაშქროდ და სა-

---

1 ამ ფაქტს რუსი მემატიანე გვაუწყებს, მაგრამ უკრიტიკოდ იმეორებენ ამას რუსეთის ისტორიკოსები კარამზინიდან დაწყებული საბჭოთა ისტორიკოსებამდე. საბჭოთა კავშირის ისტორიის სახელმძღვანელოებშიაც კი ეს ფაქტი საგანგებოდ არის აღნიშნული. იხ. История СССР, т. I, под редакц. акад. Б. Д. Грекова, გვ. 148.

2 Летопись по Ипатскому списку, 1871 г., გვ. 523.

პირო ცნობები მიეწოდებინა მისთვის, როგორც გალიციელ სარდალს.

ეტყობა დიმიტრი ბათოს ამ დავალებას ასრულებდა და გალიციის სამთავროს დაპყრობის დროს მას თან ახლდა. ბათო ყაენი, დიმიტრი ათასისთავის ჭკუით კი არ მოქმედებდა, არამედ მისგან ცნობებს იღებდა, რომელსაც იგი ამოწმებდა. მემატიანეს სურს დიმიტრი ბოლომდე გმირად დაგვისახოს, მაგრამ სინამდვილეში ამას ვერ ახერხებს, იმიტომ რომ დიმიტრი თანმიმდევრულად სულგრძელი არ აღმოჩნდა. მემატიანეს დიმიტრის დიდ დამსახურებად ბათოს ჰუნგრეთზე ლაშქრობის დაწყარების ორგანიზება მიაჩნია. მაგრამ ჩვენ არ ვიცით სინამდვილეში ბათო ყაენი მართლა დიმიტრის რჩევით გაემართა ჰუნგრეთზე, თუ თავისი გეგმით. რა თქმა უნდა, უფრო დასაჯერებელია, რომ ბათომ თავისი გეგმით გადაწყვიტა ჰუნგრეთის საკითხი. მაგრამ დავუშვათ, რომ ეს ასე არ იყო, განა ჰუნგრეთის დაქცევამ რაიმე შეღავათი მისცა რუსეთის სამთავროებს და თვით დიმიტრის სამშობლოს, გალიციის სამთავროს? არა გვგონია. ჰუნგრეთი და პოლონეთ-ჩეხეთი ის ქვეყნები იყვნენ, სადაც ლტოლვილი რუსები მაშინ თავს აფარებდნენ და თუკი ჰუნგრეთის ხელისუფლება ჯარებს აგროვებდა მონღოლთა საწინააღმდეგოდ, დიმიტრის, ვითარცა სარდალს, მონღოლების მარცხისათვის უნდა შეეწყო ხელი და არა გამარჯვებისათვის.

ამ საკითხს ჩვენ იმისათვის გამოვედევნეთ, რომ მონღოლთა გამარჯვებების ყველა მიზეზი გათვალისწინებული გვქონოდა. მონღოლები ყველა დაპყრობილ ქვეყანაში ადგილობრივ საზოგადოების ფენებში დასაყრდენის მოპოვებას ცდილობდნენ და. ნებით თუ ძალით პოულობდნენ კიდეც. უმთავრესად გაბატონებულ კლასის წრეებში. დიმიტრი ათასისთავმა. კიევში ბრძოლის შემდეგ სიცოცხლე შეინარჩუნა არა ბათო ყაენის რაინდული ბუნების გამო. არამედ მის მხარეზე გადასვლით.

რით უნდა აიხსნას მემატიანის ასეთი მიკერძება დიმიტრი ათასისთავისადმი და ამ დიმიტრის ნების სისუსტის დაფარვის ცდა? რუსულ მატიანეებში, 1202 წლიდან 1305 წლამდე აღწერილი ამბები, გალიჩ-ვოლინის მემატიანის ნუსხიდან არის გადაწერილი, ხოლო დიმიტრის გმირობის ამბები მთლიანად იმ კუთხის მემატიანეს ეკუთვნის, საიდანაც თვით დიმიტრი ათასისთავი ბრძანდებოდა.

როგორც აღნიშნული იყო, ბათო-ყაენი მთავარი ძალების თანხლებით კიევიდან გალიჩ-ვოლინის სამთავროს შეესია. დანიელი გალიცია-ვოლინელი მთავარი ამ დროს ჰუნგრეთში იმყოფებოდა, როგორც ჩანს, მოკავშირეებს ეძებდა დასავლეთით, მაგრამ მონღოლ-

თა წინააღმდეგ რუსეთისაკენ ლაშქრობა უნგრეთის მეფემ ვერ გაბედა. მონღოლებს გალიჩ-ვოლინის სამთავროს დაპყრობა და გაძარცვა არ გაძნელებია. როგორც მატიანის ცნობიდან ჩანს, ბოლოხოველი მთავრები თავის სამფლობელოს გადარჩენის მიზნით მონღოლებს წინასწარ შეუთანხმდნენ და პურითა და ფეტვით მონღოლთა ლაშქრის უზრუნველყოფა აღუთქვეს. სამაგიეროდ ეს მხარე აღარ დაურბევიათ და, როცა მონღოლების ლაშქარი ვოლგაზე დაბრუნებულა, დანიელს თავისი სამფლობელო კვლავ დაუბრუნებია, ხოლო ბოლოხოვის მთავრებზე გაულაშქრია და მათი სამფლობელო დაურბევია.

მემატიანე გულმოსული შენიშნავს: «(Данил) оттуда пленив землю Болоховьскую и пожег, оставили бо их Татарове, да им орють пшеницю и проса, Данил же на не большую вражьду держа, яко от Татар болшую надежду имсаху»[1].

მაშასადამე, ზოგიერთი მთავარი, იძულებით რა თქმა უნდა, მონღოლებთან შეთანხმების გზას დაადგა და ასე ფიქრობდა თავის შველას. როგორც მემატიანე აღნიშნავს, იყო ისეთი მდგომარეობაც, როცა ვოლინის მთავრის მიერ შერისხული ვასალები მონღოლებზე ამყარებდნენ იმედს, ასეთი შემთხვევები ალბათ, არა ერთი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მემატიანეებს ყველა არ აღუნიშნავთ. მემატიანენი უფრო ზოგადი უბედურების აღწერით კმაყოფილდებიან, კონკრეტული მოვლენები მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო მათთვისაც შეუმჩნეველი შეიძლებოდა დარჩენილიყო. მონღოლებმა მატიანეთა კერებიც გაანადგურეს, ისე რომ მრავალი ფაქტი სამუდამოდ უცნობი დარჩა ისტორიისათვის.

მონღოლების გამარჯვებას, როგორც აღვნიშნეთ, სწორედ დაპყრობილ ქვეყნების ეს შინა წინააღმდეგობა აპირობებდა. სამხრეთ-დასავლეთის რუსეთის სამთავროებში ისეთივე გამარჯვება მოიპოვეს მონღოლებმა, როგორც აღმოსავლეთში. მართალია ქალაქი დანილოვი და კრემენეცი დროის იმ მონაკვეთში მონღოლებმა ვერ აიღეს, მაგრამ გალიციისა და ვოლინის ძირითადი ცენტრები მათ გაანადგურეს და გაძარცვეს[2]. იმ დროის რუსეთის სამთავრო-სახელმწიფოთა შორის მხოლოდ ნოვგოროდი იყო გადარჩენილი. თათრები ამ ლაშქრობის დროს არ შესულან, მაგრამ ალბათ ისინი ამ

---

1 Летопись по Ипатскому списку, 1871, გვ. 526.

2 გალიცია-ვოლინის დაპყრობის შესახებ იხ. В. Т. Пашуто. Очерки по истории Галицко-Волынской Руси, 1950, გვ. 250.

სახელმწიფოს წინასწარ თავის მორჩილად მიიჩნევდნენ და არც შემცდარან, ნოვგოროდიც თათრების მოხარკე გახდა, ვეჩე და მთავარი (ალექსანდრე) ადვილად წყვეტენ მორჩილების საკითხს, მონღოლთა მბრძანებელსაც მდიდარი ნოვგოროდის დანგრევა საჭიროდ აღარ დაუნახავს, იგი მონღოლთა წინააღმდეგ ძალების გაერთიანების მებაირაღტრე არ ჩანდა.

ამრიგად, ცალ-ცალკე მებრძოლი რუსეთის სამთავროები დამარცხდნენ და მონღოლთა წინაშე ქედი მოიხარეს. ქვეყნის ძირითადი ცენტრები განადგურებული იყო, მაგრამ არც ისე შეიძლება მდგომარეობის წარმოდგენა, რომ ყველაფერი განადგურდა რუსეთში. როცა განადგურებაზე გვაქვს საუბარი მხედველობაშია მიღებული ძირითადი ცენტრები. მონღოლები მთავარ სამაგისტრალო გზებს ეძებდნენ და ამ მიმართულებით იკლებდნენ ქვეყნებს. ამასთანავე, როცა რომელიმე სამთავროს ან სახელმწიფოს წინააღმდეგობაზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს არა მასობრივი მობილიზაციით შეკრებილი ძალები, არამედ ამა თუ იმ პოლიტიკური ერთეულის პროფესიონალი სამხედრო ძალები, რომლის რიცხვი იმ დროს საერთოდ ყოველგან შედარებით მცირე იყო. იმ დროს არა მარტო მილიონიანი არმიები არ იყო, არამედ ასეული ათასიანი იშვიათი მოვლენა იყო. მხოლოდ მონღოლებმა შესძლეს მრავალათასიანი არმიების შეყრა, მაგრამ გადაჭარბებული წარმოდგენისაგან აქაც თავის შეკავება იქნება საჭირო. რუსული მატიანის ცნობით ვლადიმირის დიდი სამთავროს ძალები განადგურდა, თვით სამთავროც გაიძარცვა და გაიძლიტა. მაგრამ 1242 წელს ამ სამთავრომ, როცა ნოვგოროდს, გერმანელების საფრთხე მიადგა კარს, ჯარით მნიშვნელოვანი დახმარება აღმოუჩინა და საშიში მტერი სასტიკად დაამარცხეს. ასევე იყო გალიჩ-ვოლინში და სხვაგან. ამ გარემოებას იმიტომ გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ მონღოლები, მართალია, წინ მიიწევდნენ, მაგრამ მაინც საფრთხის წინაშე იყვნენ, დამარცხებული ხალხების დამორჩილებას და მათზე ბატონობას კიდევ დიდი ოსტატობა და მზრუნველობა ესაჭიროებოდა, რაზედაც მოკლედ ქვემოთ ცალკე გვექნება საუბარი. გალიცია-ვოლინის სამთავრო მონღოლებმა საბოლოოდ მოხარკედ ვერ გაიხადეს, მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ.

## V მონღოლთა ლაშქრობა ჰუნგრეთსა და პოლონეთში *

გალიცია-ვოლინის სამთავროთა დარბევის შემდეგ მონღოლები ჰუნგრეთისა და პოლონეთისაკენ გაემართნენ. ბათო ყაენს ძირითადი გეზი ჰუნგრეთისაკენ ჰქონდა აღებული, რადგანაც ჰუნგრეთი თავისი დაბლობებით პლაცდარმი იქნებოდა მონღოლთათვის დასავლეთისაკენ შემდგომ ლაშქრობისათვის. ამასთანავე მონღოლებს საკმაო ცნობები ჰქონდათ ჰუნგრეთის სახელმწიფოს მზადებისა და ძლიერების შესახებ. ბათოს თავისი ძალები ორ ძირითად ჯგუფად გაუყვია. პირველ ჯგუფს დაახლოებით 70.000-იან კორპუსს თვით ჩაუდგა სათავეში და ჰუნგრეთისაკენ მიმავალ გზებზე დაბანაკდა. მეორე უფრო მცირე ჯგუფს, დაახლოებით 30.000 მეომრისაგან შემდგარს, სარდალ ბაიდარის ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფს, პოლონეთზე თავდასხმა დაავალა. ბაიდარი არსებითად ბათოს კორპუსს იცავდა ჩრდილო-დასავლეთიდან შესაძლებელ თავდასხმების შემთხვევის დროს. როგორც ჩანს, ჰუნგრეთისა და პოლონეთის მოკავშირეობის შესახებ ინფორმაცია მიღებული ჰქონდა ბათოს. ბათოს ძირითადი ძალების ამ ორ ჯგუფს 1241 წელს თებერვლის დასაწყისს დაუწყია ლაშქრობა.

პოლონეთის სახელმწიფო ამ დროს მთლიანი არ ყოფილა, მაგრამ არც დაქუცმაცებული იყო. ორ სახელმწიფოდ იყო პოლონეთი ჩამოყალიბებული მონღოლთა თავდასხმის მომენტში. ე. წ. მცირე პოლონეთი, სილეზია და დიდი პოლონეთის მეტი წილი ერთ სახელმწიფოში შედიოდა და მეფე ჰენრიხ II-ეს ემორჩილებოდა. კუიავია, მაზოვია, ლუნჩიცის და სერადზის პროვინციები მეორე პოლიტიკურ ერთეულად იყო გაერთიანებული და მთავარს კონრადს ექვემდებარებოდა. პოლონეთი ეკონომიურად განვითარებული ქვეყანა იყო. მონღოლთა შემოსევის მომენტში შეიძლებოდა 35.000 მეომრის გამოყვანა, მაგრამ ფაქტიურად 10.000 კარგად შეიარაღებული

---

* პოლონეთზე მონღოლთა თავდასხმის შესახებ მასალები ამოვკრიფეთ პოლონეთის ისტორიკოსის ნაშრომიდან, Степан Краковски. Польша в борьбе с татарскими нашествиями. ნაშრომი პოლონურ ენაზეა, მაგრამ აქვს რუსულ ენაზე ვრცელი რეზიუმე.

მეომრის გამოყვანა მოასწრეს, აქედან 7.000 ცხენოსანი იყო შლიახტელი რაინდები.

თავდაპირველად პოლონეთში სადაზვერვო რაზმები შეიჭრა და თებერვლის პირველ ნახევარში პოლონელების ძალების მობილიზაციას აბრკოლებდნენ, ამასთანავე ქვეყანას ეცნობოდნენ და ინფორმაციას ჰკრეფდნენ. მონღოლების კორპუსი პოლონეთში სამ ნაწილად დაყოფილი მოქმედებდა. ერთი ნაწილი (15.000 მეომარი) თვით ბაიდარის მეთაურობით მდ. ვისლას მარცხენა ნაპირით სამხრეთისაკენ მიიწევდა კრაკოვზე, აქედან კი ვროცლავისაკენ. მეორე ნაწილი კაიდუს სარდლობით (10.000 მეომარი) სილეზიისაკენ, კუიავიასა და ე. წ. პოლონეთის სამხრეთ-აღმოსავლეთის პროვინციებისაკენ. მესამე ნაწილი (5.000 მეომარი) ორდუს სარდლობით პოლონეთში მოქმედ მონღოლთა ძალებს იცავდა ლატვიისა და ტევტონთა ორდენის შესაძლებელ თავდასხმებისაგან.

მიუხედავად იმისა, რომ მონღოლები მეოთხე წელი იყო, რაც პოლონეთისა და ჰუნგრეთის უშუალო მეზობლებს, რუსულ სამთავროებს ანადგურებდნენ, პოლონეთში და ჰუნგრეთშიაც თავდასაცავად მზადებას მაშინ შეუდგნენ, როცა მტერი კარს მიადგა. არ ჩანს, რომ ჰუნგრეთისა და პოლონეთის სახელმწიფოს მეთაურებს მონღოლთა სამხედრო ხელოვნების შესახებ ცნობები შეეკრიბოთ და ამის მიხედვით ემოქმედოთ.

პოლონეთში შეჭრილ თათრების მსვერავ მოთარეშე რაზმებს საკადრისი პასუხი გასცეს პოლონელებმა და შესაძლებელი სისწრაფით სახელმწიფოსა და მოკავშირეების ძალების თავმოყრა დაიწყეს სილეზიაში, ქ. ლეგნიცეს მახლობლად. პოლონეთის სარდლობას, დროის მოგების მიზნით, მონღოლთა დასავლეთისაკენ მოძრაობის შესაჩერებლად, ველიკი ტურსკისთან და ხმელნიკთან თავდასხმა მოუწყვია მონღოლთა კორპუსზე. სანდომირის სამთავროსა და კრაკოვის მხარის რაინდები გეგმაზომიერად თათრებთან ომს მორიდებიან და ლეგნიცეს ბანაკში შეუყრიათ თავი.

ბაიდარის კორპუსი ვროცლავთან პირველ აპრილს მისულა, ხოლო კაიდუს რაზმი 8 აპრილს. აქ მოსალოდნელი იყო მონღოლების შესვენება, მაგრამ ბაიდარს სარწმუნო ცნობა მიუღია, რომ ჩეხეთის მეფის ვაცლავ I-ის რაზმები 55 კილომეტრით იყვნენ დაცილებული პოლონეთის მთავარი ძალების დაბანაკების ადგილიდან (ლეგნიცედან) და სასწრაფოდ წინ მოიწევდნენ. ბაიდარი შეეცადა მოკავშირეების ძალების გაერთიანება არ დაეშვა და სანამ ჩეხები მოვიდოდნენ, 9 აპრილს ლეგნიცეს მახლობლად პოლონეთის ლაშქარს შეუტია. ამ ცნობილ ბრძოლაში, პოლონეთის მხრიდან მონა-

წილეობას იღებდა 10.000 მეომარი. ამათგან 8 ათასი პოლონელი, დანარჩენი მოკავშირენი — მორავიის რაინდობა, იოანიტების და ტამპლიერების რაინდები და ჯვაროსნები, სულ 2000 კაცი. მონღოლებმა ლეგნიცესთან 20.000 მეომარს მოუყარეს თავი. სასტიკ ბრძოლაში გმირულად დაიღუპნენ სანდომირისა და კრაკოვის რაინდები, მაგრამ გამარჯვება მონღოლებს დარჩათ, მათ მოახერხეს პოლონელებისათვის ერთდროულად ზურგიდანაც შემოტევის ორგანიზება. ჩეხების ლაშქარმა ბრძოლას ვეღარ მოუსწრო და მონღოლები გამარჯვებას ზეიმობდნენ. აპრილის განმავლობაში ქვეყანას ძარცვავდნენ. შემდეგ მორავიაზე გადაიარეს, ისე რომ ჩეხეთის მეფის ვაცლავის ლაშქარს არც კი უცდია მონღოლებისათვის შეეტია. მორავიის ქალაქები და სოფლები სრულიად გაძარცვეს, მოსახლეობა გაანადგურეს და მაისის ბოლოს ჰუნგრეთში მიუვიდნენ გამარჯვებულნი თავიანთ მბრძანებელს ბათო ყაენს.

ჰუნგრეთის სახელმწიფომ 60.000 მეომრის შეკრება შეძლო. ამაზე ადრე გალიციისა და ვოლინის ცნობილმა მთავარმა დანიელმა მონღოლების წინააღმდეგ ერთად ლაშქრობა თხოვა ჰუნგრეთის მეფეს ბელა IV, მაგრამ ამ უკანასკნელმა ვერ გაბედა და უარით უპასუხა: ფიქრობდა, რომ თათრები ჰუნგრეთამდე ვერ მივიდოდნენ. მაგრამ ბათომ ჯერ კიდევ 1238 წელს მოთხოვა ჰუნგრეთის მეფეს მორჩილება. როცა ჰუნგრეთის ხელისუფლებამ 1240 წელს სამხრეთ რუსეთის სამთავროების მარცხი გაიგო, კარპატის მთების გადასავლების გამაგრება დაიწყო, მაგრამ მაინც იმედოვნებდა უპირატესად დასავლეთ ევროპას საერთოდ ასცდებოდა. მაგრამ ეტყობა ყოველ შემთხვევისათვის ჯერ კიდევ 1239 წელს მონღოლების მიერ დამარცხებულ და განდევნილ ყივჩაყებს, 40.000 სულს, თავშესაფარი მისცა და ჰუნგრეთის პროვინციებში დაასახლა. ცხადია, გაჭირვების შემთხვევაში ყივჩაყების ბრძოლის ველზე გამოყენებას გეგმავდა ბელა IV.

1241 წლის 12 აპრილს ბათო ყაენის არმია ჰუნგრეთის მთავარ ძალებს დაეჯახა საიოს მახლობლად, მოჰის დაბლობში. თავდაპირველად ჰუნგრელები მედგრად შეებნენ მონღოლებს, მაგრამ ჰუნგრეთში დასახლებული ყივჩაყები, მადლობის ნაცვლად, მონღოლებს მიემხრნენ და ჰუნგრელების ლაშქრის შინა მდგომარეობაც დაწვრილებით გააცნეს მტერს.

პლანო კარპინი ერთგან ჰუნგრეთში მონღოლების ლაშქრობის ამბავს გვიყვება და საინტერესო დეტალს აღწერს: „რუსეთიდან და კომანიიდან (ყივჩაყეთიდან, ი. ც.) ზემოდასახელებული მხედართმთავრები წინ წავიდნენ და ჰუნგრებსა და პოლონელებს შეებრძოლ-

ნენ. ამ თათრებიდან მრავალი დაიხოცა პოლონეთსა და ჰუნგრეთში და რომ ჰუნგრები არ გაქცეულიყვნენ, არამედ მამაცად შეგებებოდნენ, თათრებს თავიანთი მიწა-წყლიდან განდევნიდნენ, ვინაიდან თათრები ისეთი შიშის ზარმა მოიცვა, რომ ყველას გაქცევა უნდოდა. მაგრამ ბათომ მათ წინაშე თავისი მახვილი იშიშვლა და შესძახა: არ გაიქცეთ! ვერავინ გადარჩება თუ სიკვდილი გვიწერია, უმჯობესია ყველანი დავიხოცოთ, ვინაიდან დადგება დრო, როცა, როგორც ჩინგიზ-ყაენმა იწინასწარმეტყველა, ყველანი უნდა დავიღუპოთ, თუ ის ჟამი ახლა დადგა, უმჯობესია ავიტანოთო. ამრიგად, ისინი გამხნევდნენ, შეჩერდნენ და ჰუნგრეთი დაარბიეს"[1]. პლანო კარპინი ამ ცნობებს მონღოლთა სამყაროში ჰკრებდა და სარწმუნო უნდა იყოს. როგორც ჩანს, ბრძოლის პირველ ნახევარში ჰუნგრელები ვაჟკაცურად უტევდნენ, მაგრამ თათრების სიმტკიცემ სძლია. ჰუნგრელების ბანაკის მთელი სიმდიდრე ბათოს ჩაუვარდა ხელში. იგივე პლანო კარპინი ერთგან სწერს, რომ როცა მან ვოლგის ნაპირას დაბანაკებული ბათო ყაენი ინახულა იგი კარვებში ცხოვრობდა თურმე. ამ კარვების შესახებ იგი აღნიშნავს: „ბათოს ტილოს კარვები დიდიცაა და ლამაზიც, ისინი წინათ ჰუნგრეთის მეფეს ეკუთვნოდნენო"[2].

გამარჯვებულმა მონღოლებმა ჰუნგრეთიც დაუნდობლად აოხრეს. 1242 წლის მარტამდე მონღოლები აქ იმყოფებოდნენ ბათოს მეთაურობით. ეტყობა ჰუნგრეთის. დაბლობები ძალიან მოეწონათ. ამასთანავე დასავლეთ ევროპის სახელმწიფოების შესახებ ცნობებს აგროვებდნენ. ჰუნგრეთის მეფე ბელა IV ბათოს არ შეურიგდა, იგი ჯერ ავსტრიის მეფესთან ფრიდრიხ II-თან მისულა. შემდეგ ზაგრებში გადავიდა. აქედან პაპსა და გერმანიის იმპერატორს მიმართა დახმარებისათვის. ევროპა შიშის ზარმა მოიცვა. ყველგან სამზადისი მიმდინარეობდა, თავდაცვაზე ზრუნავდნენ ისეთი შორეული ქვეყნები, როგორიც იყო ლიუბეკი, ნიურნბერგი და ტიურინგია. ბოჰემიის მეფე ვაცლავ I პრაღას, ოლომუცს, ბრნოს და მონასტრებს ამაგრებდა. ყოველ გამაგრებულ პუნქტებში სურსათის მარაგი იყო დაგროვილი. ბათოს უდაოდ სწორი ინფორმაცია ჰქონდა ჩეხეთის და მისი მოკავშირეების ძლიერებაზე და მის ხელთ არსებული ძალების ამარა. ბრძოლის დაწყება ველარ გაბედა. რუსე-

---

[1] პ ლ ა ნ ო  კ ა რ პ ი ნ ი, ისტორია მონღოლებისა, რომელთაც ჩვენ თათრებს ვუწოდებთ. ქართული თარგმანი იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის. 1942, ნაკვეთი II, გვ. 29.

[2] იქვე, გვ. 51.

თის სამთავროებთან, პოლონელებთან და უნგრელებთან სისხლის-მღვრელი ბრძოლების შემდეგ მონღოლთა არმიის ძირითადი ბირთვი საგრძნობლად უნდა შემცირებულიყო. ისე რომ, ევროპისაკენ ლაშქრობას ახალი ძალების მოშველება სჭირდებოდა შორეულ აღმოსავლეთიდან. იქ კი არსებული რესურსები ჩინგიზის შთამომავლობას შორის უკვე განაწილებული იყო. ბათოს, ლაშქრის თავისი წილით უნდა დაეპყრო ქვეყნები. ჩეხეთი ზღუდე შეიქმნა ბათოს წინსვლის. შეჯავშნულ რაინდებთან ბრძოლა არც ისე მარტივი აღმოჩნდა, ბათოს ყურადღება ახლა უფრო სამხრეთის ქვეყნებმა და ბალკანეთმა მიიპყრეს. სარდალ სუბედაის წინამძღოლობით, მონღოლთა ერთი კორპუსი ვლახეთისა და ტრანსილვანიის გზით ბოსნიისა და სერბეთისაკენ გაემართა, ბალკანეთის ხალხების დასარბევად. აქაური მოსახლეობის დარბევისა და აწიოკების შემდეგ 1242 წლის მარტამდე წინ აღარ მიიწევდნენ. დასავლეთი ევროპა მხოლოდ პასიურ თავდაცვას ამზადებდა. თავდასხმის ინიციატივას ისევ მონღოლებს უთმობდნენ.

1242 წლის მარტში უნგრეთში მყოფ ბათოს შორეულ აღმოსავლეთიდან ცნობა მოუვიდა უგედეი-ყაენის გარდაცვალების შესახებ. უგედეი 1241 წელს გარდაცვლილიყო, იმავე წელს ჩაღათაც გარდაცვლილა. ჩინგიზის მრავალრიცხოვანი ოჯახის წევრებს შორის დაჯგუფებები არსებობდა, ამიტომ მთავარი ყაენის არჩევა არც ისე მარტივი საქმე იყო. ბათო ყაენს არ შეძლო ტახტის გარშემო არსებულ წინააღმდეგობაში არ ჩარეულიყო და, როგორც კი იმპერატორის გარდაცვალების შესახებ ცნობა მიიღო, მაშინვე თავისი ლაშქრით ვოლგის მიდამოებში გადმობარგდა. აქ გაიგო მან, რომ იმპერატორის ტახტს, დროებით, უგედეს ქვრივი თურაყინა განაგებდა, ვითარცა რეგენტი. თურაყინას და მის მრჩევლებს ხუთი წლის განმავლობაში ყურულთაი არ მოუწვევიათ. ამ ხნის განმავლობაში უგედეს ოჯახი თავის მომხრეებს იმრავლებდა და რაზმავდა. 1246 წელს მოწვეულ ყურულთაიზე უგედეს შვილი გუიუქი აირჩიეს მთავარ ყაენად. ბათო დიდი მოწინააღმდეგე ყოფილა გუიუქისა და საერთოდ უგედეს ოჯახისა. გუიუქთან მას ჯერ კიდევ უგედეს სიცოცხლეში, პირადი უსიამოვნება ჰქონია. ბათოს ადრე შეუტყვია, რომ ყურულთაიზე გუიუქი გაიმარჯვებდა და ისე მოუხერხებია, რომ შორეულ აღმოსავლეთში არ წასულა, არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია და ერთგულებაზედაც ფიცი არ მიუცია. ბათოს თავისი პარტია ჰყავდა, იგი საკმაოდ გავლენიანი პირი იყო და მის ასეთ პროტესტს ახლად არჩეული იმპერატორი უყურადღებოდ ვერ დატოვებდა. ბოლოს მდგომარეობა გამწვავებულა და იგი ბა-

თოს წინააღმდეგ სალაშქროდ დაიძრა კიდეც, მაგრამ 1248 წელს მონღოლეთის საზღვრებს გამოცილებული არ იყო გზაზე გარდაიცვალა.

ჩინგიზის ოთხი უფროსი ვაჟიშვილის შთამომავლობა ორად დაჯგუფდა. ჯოჩის და თულის შვილები და შვილიშვილები გაერთიანებული ებრძოდნენ უგედესა და ჩაღათას შთამომავლობას. 1251 წელს მოწვეულ ყურულთაიზე, ბათოს ენერგიული მოქმედებით, თულის შვილი მანგუ გაყაენდა. ბათო და მანგუ დატრიალდნენ და ჩაღათას და უგედეს ულუსებში ჯარები გაგზავნეს. ამ ულუსების მნიშვნელობაც მალე დაეცა, საუკეთესო ტერიტორიები ჩამოერთვა. ჯოჩის შთამომავლობის კუთვნილი ულუსი ახლა უზარმაზარი შეიქნა. მავერანაჰრი ჯოჩის ულუსში გადმოვიდა. ბათოს ავტორიტეტი იმპერიაში ძალიან გაიზარდა. ბათომ რეზიდენციად ვოლგის ქვემო დინების მიდამოები აირჩია და აქედან მბრძანებლობდა ჯოჩისეულ ულუსზე. ამ ულუსის საფუძველზე ოქროს ურდოს სახელმწიფო ჩამოყალიბდა. ამ სახელმწიფოს ფუძემდებლად ბათო და ძისი ძმა ბერქე ყაენი უნდა იქნეს მიჩნეული. ოქროს ურდოს უშუალოდ დაუქვემდებარდა აღმოსავლეთი ევროპა.

## ლაშქრობა ჩინეთსა და მცირე აზიაში და დაპყრობილ ხალხებზე ბატონობის ორგანიზაცია

მიუხედავად იმისა, რომ მონღოლებს უზარმაზარი ტერიტორია და მოსახლეობა დაუქვემდებარდა, ისინი მაინც კმაყოფილი არ იყვნენ და დაპყრობასა და სისხლისღვრას არ წყვეტდნენ. მანგუ ყაენის დროს ორი მიმართულებით მოაწყვეს დიდი ლაშქრობა· ერთი ჩინეთის დარჩენილი ნაწილის დასამონებლად, მეორე ისევ მცირე აზიისაკენ, ირანის უკანასკნელ ნაწილის, ე. წ. ისმაილიტების სახელმწიფოს და აბასელთა სახალიფოს დასაპყრობად. ჩინეთში მანგუს ერთი ძმა ყუბილაი ყაენი გაიგზავნა ჯარების სარდლად, ხოლო მცირე აზიისაკენ მიმავალ ლაშქარს მეორე ძმა ჰულაგუმ უწინამძღვრა.

სამხრეთ ჩინეთის დაპყრობას დიდი დრო დასჭირდა, მანგუ-ყაენი იძულებული შეიქნა ლაშქრობაში მონაწილეობა მიეღო და ყარაყორუმში დროებით თავისი მესამე ძმა არიყ-ბუღა დატოვა. 1259 წელს მანგუ ყაენი ლაშქრობაში გარდაიცვალა. არიყ-ბუღამ შექმნილ გარემოებით სარგებლობა მოინდომა და სრულიად მონღოლეთის ყაენად დაჯდომა ცადა. მან სასწრაფოდ ყარაყურუმში ყურულთაის მოწვევა განიზრახა იმ იმედით, რომ იგი იქნებოდა ყაენად

არჩეული. როგორც კი ეს ამბავი ყუბილაი ყაენს აუწყეს ჩინეთში, არ დაუცადა ყურულთაის მოწვევას, სასწრაფოდ მოუწოდა თავის მომხრეებს კაიპინის ბანაკში (კაიპინი მისი დაარსებული იყო მენგუს ნებართვით) და 1260 წელს თავი სრულიად მონღოლეთის იმპერატორად გამოაცხადა, კაიპინი ამრიგად დაუპირისპირდა ყარაყორუმს, ეითარცა იმპერიის ახალი ადმინისტრაციული ცენტრი.

ყუბილაი იმპერატორი განაგრძობდა ჩინელების წინააღმდეგ ბრძოლას იმ ანგარიშით, რომ იგი ჩინეთიდან მონღოლეთში დაბრუნებას არ ფიქრობდა. 1267 წელს ახალი სატახტო ქალაქის მშენებლობას შეუდგა ქალაქ ჩჟოუნდუს ადგილზე, ჩინეთის წინანდელი დინასტიის რეზიდენციაში. ამ ქალაქს ეწოდა „დაიდუ", ე. ი. მთავარი სატახტო ქალაქი. გვიან „დაიდუს" პეკინი ეწოდა. 1271 წელს ყუბილაიმ მის დინასტიას ჩინური სახელწოდება მისცა „იუან-ი". ყუბილაი ყაენის ლაშქარს ჩინეთში დიდი წინააღმდეგობა შეხვდა, განსაკუთრებით მდინარე იანცზის შუა დინების მხარეში. აქ დიდი მსხვერპლის გაღების შემდეგ ქ. უჩანი დაიკავეს და მხოლოდ ამის შემდეგ მოხერხდა ქვეყნის სიღრმეში შესვლა. ფეოდალიზმის პირობებში სუნის დინასტია ყოველ ღონეს ხმარობდა ქვეყნის დასაცავად. მაგრამ ძალა აღმართსა ხნავდა. 1276 წელს მტერს სატახტო ქალაქი ხანჯოუ ჩაუვარდა ხელთ. მიუხედავად ამისა ჩინელების ცალკეული რაზმები პარტიზანული წესით ბრძოლას განაგრძობდნენ და მხოლოდ 1279 წელს დასრულდა ჩინეთის სრული დაპყრობა მონღოლთა ურდოების მიერ. მთელი ჩინეთის მთავარ პუნქტებში მონღოლთა ლაშქარი იყო ჩასახლებული თავისი ოჯახებით, ჯოგებით და სხვა ქონებით, მათ განკარგულებაში გადავიდა მიწის არსებული ფართობები საძოვრებით და სახნავებით. უდიდესი კულტურის მქონე ჩინეთი პარაზიტებით დასნეულებულ ორგანიზმს დაემსგავსა.

მონღოლთა ლაშქრობა აღმოსავლეთის ქვეყნებში ჩინეთის დაპყრობით არ შემოფარგლულა. ყუბილაი ყაენის მეთაურობით ლაშქრობა მოეწყო ბირმაში, კამბოჯსა და ანამაში. მართალია პირველ ხანებში ლაშქრობა მონღოლთა სასარგებლოდ მიმდინარეობდა, მაგრამ შემდეგ ხსენებულ ქვეყნების ხალხებმა ორგანიზებული წინააღმდეგობის გაწევა შეძლეს და არა ერთხელ დაამარცხეს მონღოლები. მონღოლებს ძალიან გაუძნელდათ ტროპიკული ჰავის პირობებში ლაშქრობა: ამასთანავე ამ ხანებში მონღოლთა შორის შინა ბრძოლებიც მიმდინარეობდა და ამ მიზეზების გამო ყუბილაის ლაშქრობა ისეთი ტრიუმფალური აღარ იყო, როგორც სხვაგან, წინანდელი.

ხანგრძლივი ბრძოლების შემდეგ პირმა და ანამი ყუბილაის მო-ხარკე ქვეყნები გახდნენ. ვასალურ დამოკიდებულებაში მოექცნენ აგრეთვე ზონდის კუნძულების მფლობელებიც.

1274 და 1281 წლებში ყუბილაიმ ორჯერ მოაწყო ლაშქრობა, იაპონიის კუნძულების ხელში ჩასაგდებად, მაგრამ ეს საზღვაო ექს-პედიციები მარცხით დასრულდა.

შორეულ აღმოსავლეთში მონღოლთა დაპყრობების შეფერხება შინა წინააღმდეგობამ გამოიწვია. მართალია ყუბილაი ყაენმა არიყ-ბუღა სძლია და 1264 წელს ეს უკანასკნელი დანებდა ყუბილაის, მაგრამ მალე ახალი მოწინააღმდეგე გაუჩნდა მას — უგედე ყაენის შვილიშვილი ჰაიდუ. ჰაიდუმ დაიქვემდებარა აღმოსავლეთი თურ-ქესტანი და ციმბირის სამხრეთი ნაწილი. ჰაიდუ იმთავითვე მხარს უჭერდა არიყ-ბუღას და ცდილობდა მის გაყაენებას, მაგრამ მისი ტყვედ ჩავარდნისა და დაღუპვის შემდეგ თვით ჰაიდუ აცხადებდა პრეტენზიებს იმპერატორის ტახტზე. 1266 წლიდან მოკიდებული 1294 წლამდე (ყუბილაის გარდაცვალებამდე) იბრძოდა ჰაიდუ. მას უგედეს და ჩაღათას შთამომავლობა შეუკავშირებია და დიდხანს ვერ მოახერხა ყუბილაიმ მოწინააღმდეგეების დამარცხება. მხოლოდ 1289 წელს სძლია მოწინააღმდეგეს ყუბილაიმ. ასეთ ვითარებაში ყუბილაი გაჭირვებით იმონებდა ახალ ქვეყნებს. საფიქრებელია, რომ ჩინეთისა და სხვა მხარეების დაპყრობა არსებითად ამ შინა ომებმა გააძნელეს[1].

ჰულაგუ ყაენის ლაშქარსაც თან მოჰყვებოდა „დედა-წული", აშკარა იყო, რომ მონღოლები სამუდამოდ აქეთ დასამკვიდრებლად მობრძანდებოდნენ. ირანის პროვინციებში შემოსულ ჰულაგუს, ამა-ზე ადრე ლაშქრობების შედეგად დამონებული ქვეყნების მფლო-ბელები და მონღოლთა ნოინები შეეგებნენ. ქართველი ისტორიკო-სის ცნობით ჰულაგუს 60 ათასი მეომარი მონღოლი ახლდა, მაგრამ ლაშქრობის ჩატარება მარტო ამ ჯარით არ ჰქონდა დაგეგმილი. მის განკარგულებაში თავი უნდა მოეყარა იმ ქვეყნების ჯა-რებსაც, რომელთაც მონღოლების ბატონობა ცნეს შუა აზიასა და მცირე აზიაში. ისე რომ ჰულაგუს განკარგულებაში დიდძალი ლაშ-ქარი იყრიდა თავს. მიუხედავად ამისა სპარსეთის მთლიანად დაპ-ყრობა გაძნელდა. ისმაიტელთა სახელმწიფო მომზადებული დახ-ვდა დამპყრობლებს. ქართველი ისტორიკოსის ცნობით, ქართველე-ბიც მონაწილეობას იღებდნენ ისმაიტელთა წინააღმდეგ ბრძოლებ-

[1] ზემოთ მოტანილი ცნობები ამოკრებილია საკ. აკად. გამოცემიდან, История Монгольской Народной республики, იხ. გვ. გვ. 100 — 109.

ში; მისი ცნობით შვიდი წელი გრძელდებოდა ლაშქრობა და ბოლოს უთანასწორო ბრძოლას ვეღარ გაუძლეს ისმაიტელებმა და ამჯობინეს სამშობლოს მიტოვება და ეგვიპტეში გადასახლებაო. ჟამთააღმწერელი სწერს: „...მრავალთა ომთა მიერ შევიწროებულნი, ყოვლისა ღონისა ძიებისაგან უღონო ქმნილნი, ივლტოდეს ეგვიპტედ, რომელ არს მისრი, რამეთუ აღიღეს დედა-წული, ხვასტაგი და ყოველი სიმდიდრე მათი, და მუნ დაამკვიდრნა სულტანმან მისრისამან, და აწ რომელ მულიდნი მისრეთით გამოვლენ, იგივე ალმუთელნი არიან, მუნ დამკვიდრებულნი-ო“[1].

ისმაიტელთა ციხე-ქალაქები და დარჩენილი მოსახლეობა მონღოლებმა მათი ჩვეულებისამებრ გაანადგურეს. ქართველი მემატიანე წერს: „და ესრეთ რა ხელთ იგდო ულო[2] ალმუთი და ყოველი ხვარასანი, ინება ამქედრება ყოველთა ნათესავთა თვისთა, და მოსვრიდა კაცთა ესეოდენ რომელ ათ-ორ-მეტი დღეოდენ ერთს სადგურსა ზედა ვერ დაჰყვიან. ამისათვის რომელ მოკლულითა კაცითა აღყროლდის ადგილი იგი რომლისაცა ზედა დგას“...[3]. ალამუთისა და სხვა ქალაქების განადგურება 1256 წელს დაასრულეს მონღოლებმა და ირანში საბოლოოდ დამკვიდრდნენ ცოლით და შვილით. მაღალი კულტურის ირანიც მონღოლთა საბრძანებელი შეიქნა. საფუძველი ჩაეყარა ახალ მონღოლთა სახელმწიფოს, რომელიც ისტორიაში ცნობილია ჰულაგუიდთა სახელმწიფოდ, ანუ „ილხანების“ სახელმწიფოდ („ელი“, ანუ „ილი“, ნიშნავს ხალხს, „ხანი“— ხელმწიფეს, ე. ი. ხალხთა ყაენი)[4].

ქართველი ჟამთააღმწერელი ირანის დაპყრობის აღწერის შემდეგ გვაუწყებს, რომ ჰულაგუმ ბაბილონის ანუ ბაღდადის დაპყრობა ინებაო. ქართველ ისტორიკოსს აღნიშნული აქვს, რომ ჰულაგუს ბაღდადზე ლაშქრობის დროს ქართველი მეფე დავით ლაშა გიორგის ძე თავისი ლაშქრით თან ახლდაო. ბაღდადის ხალიფას გენერალური ბრძოლა ვერ გაუბედია და ბაღდადის ციხე-გალავანს შეაფარა თურმე თავი: „ვითარცა მივიდა ქვეყანასა ბაბილოვნელთასა, ვერ წინააღუდგა ხალიფა, არამედ შეივლტოდა ბაღდადსო“. ბაღდადის აღების სურათი ქართველ ისტორიკოსს კარგად აქვს აღწერილი, ეტყობა იქ მონაწილე ქართველების ნაამბობი თავის დროზე აისახა

---

[1] ქართლის ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, გვ. 558.

[2] ქართველი ისტორიკოსი ჰულაგუ ყაენს „ულო-ს“ უწოდებს.

[3] ქართლის ცხოვრება, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, გვ. 558.

[4] ნარკვევები მახლ. აღმოსავლეთის ისტორიიდან, ვ. გაბაშვილის რედაქციით, გვ. 179.

ქართულ ძეგლებში და ჟამთაალმწერელი მეცამეტე საუკუნის თხზულებებით სარგებლობს.

ბაღდადს თურმე ალყა შემოარტყეს. ისტორიკოსი წერს: „ხოლო ყაენი გარე-მოადგა და მოიცვა იგი. ერთ-კერძო, თვით ყაენი მოადგა წყალს აქათ და წყალს იქით ელგან-ნოინი და ერთ კერძო დავით მეფე, რამეთუ მის წინაშე იყუნიან ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი"[1]. თორმეტ დღეს გაგრძელებულა ბაღდადთან ბრძოლა. ქართველი ისტორიკოსის გადმოცემით ქართველებს ბაღდადის გალავნის ქვეშ გვირაბი გაუთხრიათ და პირველად ქართველები შეჭრილან ქალაქში და მონღოლთა ლაშქრისათვის ქართველებს გაუხსნიათ გალავნის კარები. ჟამთაალმწერელი წერს: „....შესთხარეს და შიგნით შეეიდეს ქართველნი და იქმნა ბრძოლა ძლიერი და მოსვრიდეს სპათა ბაღდადელთა, რამეთუ შიში ფრიადი აქუნდათ სპარსთა ქართულმთაგან. ესრეთ განუხვნეს კარნი ქართუმლთა და შეიყვანეს თათარნი ქალაქად-ო"[2].

ქართველების ქალაქში შეჭრის ამბავის გაგებისთანავე ხალიფა ნავში ჩამჯდარა და ქალაქის შუა გამავალ მდინარით ფიქრობდა თავის შველას, მაგრამ მონღოლებმა შენიშნეს და გზა გადაუჭრეს, ხალიფა ისევ სასახლეში დაბრუნდა და დატყვევებული ჰულაგუს მიუყვანეს. ტყვე ხალიფას თურმე წინადადება მისცეს ჰულაგუს წინაშე მუხლი მოედრიკა და თაყვანი ეცა, მაგრამ მას კატეგორიული უარი განუცხადებია: „ხელმწიფე ვარ თვითმპყრობელი, და მონებასა ქვეშე არავისა მყოფი და უკეთუ განმიტეო დაგემორჩილები და უკეთუ არა განმიტეო არავისსა მონებასა ქვეშე მოვჰკუდებიო".

რაკი თაყვანის ცემაზე უარი განაცხადა, მაშინ ძალით მოუნდომეს ფეხების გამოშლა, მაგრამ ხალიფა თურმე პირაღმა შებრუნდებოდა და ისე ეცემოდა. ასეთი შეუდრეკელობით ნასიამოვნებმა ჰულაგუყაენმა ისურვა პირადად მას მოეკვეთა თავი ხალიფასათვის და ეს გადაწყვეტილება ხალიფას აუწყეს. ქართველი ისტორიკოსი ასე გადმოგვცემს ხალიფას პასუხს: „უკეთუ მომკლავთ, გენებოს ძაღლმან, და გენებოს კაცმან მომკლას, და მოიკლა ხალიფა, ყოვლით საჩლეულით მისითურთ"[3].

ბაღდადის გაძარცვისა და იქ მოპოვებულ სიმდიდრის შესახებ ქართველი ისტორიკოსი წერს: „აღივსნეს თათარნი და ქართველნი ოქროთა, ვერცხლითა, თვალითა, მარგალიტითა, ლარითა და შესა-

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, ზ. ჭიჭინაძის გამოც., გვ. 562.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 563.

მოსლითა პატიოსნითა. სამსახურებულითა ჭურჭლითა, ოქროსა და ვერცხლისათა, რომელ არავინ აიღებდა, თვინიერ ოქროსა და ვერცხლისა, თვალთა და მარგალიტთა, ლართა და შესამოსელთაგან კიდე.... რამეთუ ესრეთ აღივსნეს ლაშქარნი, რომელ უნაგირი ცხენჯორისა, ყოველი შეურაცხი სამსახურებელი, თვალითა და მარგალიტითა, და წითლითა ოქროთა განტენიან და ზოგთა ხრმალი ვადის პირსა მოსტეხიან და ქარქაში ოქროთა განტენიან და ზედა ვადა ჩააგიან, ზოგთა მკუდარი კაცი ბაღდადელი გამოწლიან და ოქროთა თვალითა და მარგალიტითა განტენიან, და ვითარცა თვისი მკუდარი განიყვანიან გარეშე ქალაქისა და ესრეთ... მიიწინეს პალატად ხალიფასა, გამოიყვანეს ხალიფა და ძენი მისნი, ცოლნი და ყოველნი სიმდიდრე მისი განსაკვირვებელი და მოიყვანეს ხალიფა წინაშე ულოსაო"[1]. ბაღდადში ნაპოვნი სიმდიდრის დატაცების ზემოაღწერილი ამბავი უმთავრესად ქართველებს უნდა ეხებოდეს. როგორც ჩანს, ბაღდადის აღების მონაწილე ქართველებს ეშინოდათ—მოპოვებული ნადავლი უმადურ მონღოლებს არ წაერთმიათ და ძვირფასეულობას უნაგირის ბალიშსა და ხმლის ქარქაში მალავდნენ.

ქართველი ისტორიკოსის მიერ აღწერილი სურათი ბაღდადში დიდი სიმდიდრის ხელში ჩაგდების შესახებ რომ სინამდვილეს უნდა შეიცავდეს, ამას ნათელყოფს ისეთი უტყუარი დოკუმენტი, როგორიც არის 1259 წლის კახა თორელის რკონის ღვთისმშობლისადმი ბოძებული სიგელი, სოფელ ხოვლეს შეწირულების შესახებ. იქ ერთგან ვკითხულობთ: „მას ჟამსა ოდეს ბაღდადი გატეხეს თათართა, პატრონმან აბხაზთა მეფემან ულოს (ჰულაგუს, ი. ც.) წინაშე გამგზავნა მოციქულად. მაშინ ბაღდადური ალაფი (მოპოვებული სიმდიდრე, ი. ც.) ყუელაი იეფად იყო და მე არ მქონდა სასყიდელი. წავიდი ორტაღთაგან ლარი და თეთრი ავილი, ვიარებოდი და ვიყიდდი თუალსა, მარგალიტსა და ზარქაშსა. ორტაღთა მათი კეთავე მივსცი და მე შიგა ეზომ დამრჩა.... რომე ხოვლისა (სოფელი ხოვლე, ი. ც.) ფასი მითა მოვიგე და ვიყიდე ხოვლე...[2].

ბაღდადის აღების შემდეგ, ქართველი ისტორიკოსის ცნობით, ჰულაგუს ქართველებთან ერთად მესოპოტამიის სამფლობელოებისაკენ გაულაშქრია. შუამდინარეთში მდ. ეფრატის ნაპირას მოწინააღმდეგენი ერთმანეთს შეხვედრიან და ცხარე ბრძოლის შემდეგ მონღოლებს გაუმარჯვნიათ. ჟამთააღმწერელი წერს: „ესრეთ კელთ

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, გვ. გვ. 562—63.

[2] თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, 1897, გვ. გვ. 133—134.

იგდო და წარვიდა შამად, შუა-მდინარედ, და მოეგებნეს ყოველნი მკვიდრნი შუამდინარისანი და შამისანი, სავსენი ურიცხვითა ძლუნითა"[1]. ამ ბრძოლაში ქართველი მეფე, დავით ლაშა გიორგის ძე, თავისი ლაშქრით ავანგარდში ყოფილა „დავით მეფე და სპანი მისნი წინამბრძოლობდეს ძლიერად-ო".

ბაღდადის აღების შემდეგ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა სირია, პალესტინა და ეგვიპტე. მონღოლებს მოკავშირე გამოუჩნდა ამ მხარეებში ჯვაროსანთა ლაშქრის სახით. მეცამეტე საუკუნის ორმოცდაათიან წლებში ეგვიპტის სასულთნო გაძლიერდა და მისი გვარდია (მამლიუქები) უკვე შიშის ზარს სცემდა ჯვაროსნებს. ამ უკანასკნელთ უკვე იმედი აღარ ჰქონდათ მახლობელ აღმოსავლეთში დაპყრობილ ტერიტორიების შენარჩუნებისა და ახლა მონღოლთა გამოჩენა სასიამოვნოდ დარჩათ. ჯვაროსნების მხარის დაჭერითა და კილიკიელ სომხების მეფის დახმარებით, სირია არა ერთხელ აათხრეს მონღოლებმა, მაგრამ მისი დაპყრობა და დაქვემდებარება ვერ შეძლეს. 1260 წელს კი ეგვიპტის სულთანმა, მამლიუქების რაზმებით, მონღოლები სასტიკად დაამარცხა სირიაში, აინ-ჯალუთთან. ეგვიპტის სულთანი ბეიბარსი წარმოშობით ყივჩაყი იყო (1250 წლიდან ეგვიპტეში სულთნებად მამლიუქების ემირებს ირჩევდნენ და კარგა ხანს მტკიცე დინასტია არ არსებობდა). 1277 წელს ბეიბარსმა ისევ დაამარცხა მონღოლები ალბისტანთან. ეგვიპტელებმა სირიიდან მალე ჯვაროსნებიც განდევნეს. ამის შემდეგ, ჰულაგუს მემკვიდრეებმაც (არღუნ-ყაენმა და ყაზან-ყაენმა) ცადეს სირიის დაპყრობა, ჰალაბი და დიმუშკიც (დამასკო) აიღეს, მაგრამ 1303 წელს მამლიუქებმა ისე სასტიკად დაამარცხეს მოძალადენი, რომ შემდეგ აქეთ ლაშქრობა აღარ უცდიათ[2]. ამრიგად, მონღოლები მთელი მეცამეტე საუკუნის განმავლობაში ლაშქრობდნენ და ამ ხნის განმავლობაში ჩვენი პლანეტის ხმელეთის ნახევარზე მეტი მათ დაიმონეს. მაგრამ ჩვენ არაფერი გვითქვამს მონღოლთა ბატონობის ორგანიზაციაზე.

ლაშქრობა და ბრძოლაში მოწინააღმდეგის დამარცხება ერთი საქმეა, ხოლო დამარცხებულზე ბატონობის ორგანიზაცია მეორე და, რაც მთავარია, არანაკლებ რთული. როგორ შეძლეს განვითარე-

---

[1] ქართლის ცხოვრება, I, ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, გვ. გვ. 565—565.

[2] ზემოთმოტანილი ცნობები ამოკრებილია «Всемирная история»-ს III ტომიდან, იხ. 1957 წლის გამოც., გვ. გვ. 726—728.

ბის დაბალ დონეზე მყოფმა მონღოლებმა კულტურულ ხალხებზე ბატონობის ორგანიზება და საუკუნეთა მანძილზე ბატონობის შენარჩუნება?

მონღოლებს სახელმწიფოს მართვის გამოცდილება და ტრადიციები, რა თქმა უნდა, არ გააჩნდათ. მონღოლურ ტომების პრიმიტიული საზოგადოებრივი ცხოვრების წარმართვის პრაქტიკა, სრულიადაც საკმარისი არ იყო იმ უზარმაზარი იმპერიის მოსავლელად, რომელიც არსებითად მეცამეტე საუკუნის პირველ ნახევარში მოიხაზა და რომლის შემადგენლობაში საზოგადოებრივი განვითარების მაღალ საფეხურზე მყოფი ხალხებიც მოჰყვნენ. დაპყრობების პროცესში ჩინგიზ-ყაენმა ერთიანი სამხედრო ორგანიზაციის ჩამოყალიბება მოახერხა. მონღოლური სამხედრო ორგანიზაცია ათეულების საფუძველზე იყო აწყობილი და რკინისებური მტკიცე დისციპლინით შეკრული.

ჩინგიზ-ყაენს და მის მახლობელ მემკვიდრეებს პირველ ხანებში მონღოლური სამხედრო ორგანიზაციის ანალოგიით შეეძლო შეკოწიწებული იმპერიის ადმინისტრაციული დაყოფის გათვალისწინება და მმართველთა დანიშვნა. ადმინისტრაციული დაყოფა მონღოლებს დაპყრობილ ქვეყნების შინა ცხოვრების მოსაწესრიგებლად კი არ ესაჭიროებოდათ, მათთვის ძირითადი იყო დაპყრობილ ქვეყანაში ხარკი აკრეფილიყო და მონღოლთა ლაშქარში მეომარი გასულიყო· ამ ოპერაციების ცხოვრებაში გასატარებლად პირველ რიგში მოსახლეობის აღწერა იყო საჭირო. ხალხის აღწერა მონღოლებს მეცამეტე საუკუნეში სხვათაგან უნდა ჰქონდეთ შეთვისებული. როგორც ცნობილია, ჩინგიზ-ყაენის გაიმპერატორებამდე (1206 წ.) მონღოლებს დამწერლობაც არ ჰქონდათ და ხალხის აღწერა საიდან ექნებოდათ. პლანო კარპინის ერთი ცნობიდან ჩანს, რომ მონღოლებს აღწერისა და გადასახადების საქმეში მაჰმადიანი ვაჭრები, ან ჩინელები ეხმარებოდნენ და ფაქტიურად იმათ ხელში იყო სახელმწიფოს ფინანსების და სხვა შემოსავლის შეგროვებისა და აღრიცხვის საქმე. მონღოლს ალბათ პირველ ხანებში დიდი მასშტაბის აღრიცხვის და ანგარიშის თავი არც უნდა ჰქონოდა. პლანო კარპინი ერთგან წერს: „როდესაც ჩვენ რუსეთში ვიყავით, როგორც გადმოგვცეს, იქ გუიუქ ხანისა და ბათოსაგან ერთი სარაცინი იქნა გამოგზავნილი. ეს გამგე ყოველ მამაკაცს, რომელსაც სამი ვაჟი ჰყავდა ერთს ართმევდა, მიჰყავდა აგრეთვე უცოლო მამაკაცები და ისეთი ქალები, რომელთაც კანონიერი ქმრები არ ჰყავდათ. ასახლებდნენ აგრეთვე ღარიბ-ღატაკებს, რომელნიც მოწყალებით ცხოვრობდნენ. დანარჩენნი თავიანთი წესის მიხედვით აღარიცხვინა და

ბრძანება გასცა, რომ ყველამ, როგორც დიდმა, ისე პატარამ, თვით ერთი დღის ბალღმა, მდიდარმაც და ღარიბმაც, ხარკი გადაიხადოს, სახელდობრ, თეთრი დათვის ტყავი, შავი წავის ტყავი, სიასამურის ბეწვი, შავი მელიის ბეწვი... ვინც ამ ხარკს არ გადაიხდის ის თათრებთან მიჰყავთ და მონობაში რჩება"[1].

კარპინი 1245—46 წლებში იყო რუსეთში. ცხადია, აღნიშნულ წლებში რუსეთში მონღოლების განკარგულებით აღწერა ჩაუტარებიათ, მაგრამ არ ჩანს — ეს აღწერა მთელ რუსეთში ჩატარდა თუ ერთ რომელიმე სამთავროში. ერთი რამ უდავოა, რომ მეცამეტე საუკუნის ორმოციან წლებში მონღოლებისათვის ხალხის აღწერა სახელმწიფოებრივი ღონისძიება არის და ამ ოპერაციას წარმოშობით არამონღოლი ატარებს 1245—46 წლებში. რუსულ მატიანეში, მონღოლთა მიერ მოსახლეობის აღწერის ცნობა, მხოლოდ 1257 წლის შესახებ არის დაცული. ამაზე ადრინდელი აღწერა რუსულ მატიანეებში მოხსენებული არ არის.

ჩინეთში ამაზე ადრე ჩატარებულა მოსახლეობის აღწერა და ეტყობა პირველი გაკვეთილი არ უნდა იყოს მონღოლთა ხელისუფალთათვის. ჩინეთის ისტორიაში აღნიშნულია, რომ როცა 1236 წელს ჩინეთის მოსახლეობის აღწერის საქმე წყდებოდა, მონღოლთა იმპერატორის კარისკაცების თათბირზე, რომელსაც მთავარი მინისტრი ელიუიჰ-ჩუცაი თავმჯდომარეობდა, კითხვა დასმულა, ჩაითვალოს თუ არა სახლად (კომლად) ყოველი სრულწლოვანი მამაკაცი და გადასახადი ამის მიხედვით გაწერილიყო თუ არა. თათბირის წევრები თურმე სრულწლოვან მამაკაცს მიიჩნევდნენ ერთეულად. ელიუიჰ-ჩუცაის არ მიუღია ეს წინადადება. მაშინ თათბირის წევრებს ერთხმად განუცხადებიათ: „ჩვენს სახელმწიფოში, ასევე დასავლეთის სამეფოებში ყოველგან, ერთი სრულწლოვანი მამაკაცი ითვლებოდა სახლად და როგორ შეიძლება დიდი სახელმწიფოს ძეგლისდება უკუ ვაგდოთ და მივიღოთ დაღუპულ სახელმწიფოს (ჩინეთის) სისტემაო". ჩუცაის ამაზე ასეთი პასუხი გაუცია: „ძველი დროიდან, რაც ჩინეთი არსებობს, არასოდეს ერთი მამაკაცი სახლად არ ითვლებოდა და ჩვენ რომ ყოველი სრულწლოვანი მამაკაცი ერთეულად მივიღოთ, მაშინ გადასახადის აკრეფას პირველ წელიწადს მოვასწრებთ, შემდეგ კი ყველა გაიქცევა და დაიფანტებაო"[2]. მონღოლეთის იმპერატორს, უგედეს, ჩუცაის წინადადება მიუღია

[1] მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, 1942, ნაკვ. II, გვ. 53.

[2] А. Насонов, Монголы и русь, 1940, გვ. 14.

და ჩინეთში 1,040 000 ოჯახი (სახლი) აღრიცხულა. ჩინეთში 1236 წლიდან მონღოლები გადასახადს კომლს ანუ ოჯახს გააწერდნენ, მაგრამ, როგორც ზემომოტანილ მასალიდან ჩანს, 1236 წლამდე მონღოლებს მოსახლეობის საგადასახადო აღრიცხვის თავისი პრაქტიკა ჰქონიათ. ზემოთ აღნიშნულია, რომ თათბირის მონაწილენი მონღოლეთის სახელმწიფოში არსებულ წესის გატარებას მოითხოვდნენ ჩინეთში: ყოველი სრულწლოვანი მამაკაცი ჩაითვალოს საგადასახადო ჰაპანის გამწევ ერთეულადო. მაგრამ ჰქონდათ თუ არა მონღოლებს ამის მიხედვით შედგენილი საგადასახადო დავთრები, ეს გაურკვეველია. საფიქრებელია, რომ მონღოლეთში გადასახადის აკრეფის საქმე ადათით წესრიგდებოდა და არავითარი სააღწერო დავთრები მათ არ უნდა ჰქონოდათ.

პირველ ხანებში, მონღოლების ახლად შეკოწიწებულ იმპერიაში, ერთი საგადასახადო სისტემა არ არსებულა. ჩინეთში თუ კომლობრივი გადასახადის აკრეფა დაწესდა 1236 წელს, ირანსა და ტრანსოქსინიაში კაცის თავზე აიღებოდა გადასახადი[1]. პლანო კარპინის ერთგან ქართველების შესახებ აქვს საუბარი და აღნიშნული აქვს, რომ ქართველები მონღოლებს მხოლოდ ფულს უხდიან და სხვაფრივ მათ არ აწუხებენო. იგი წერს: „თათრები ხარკს ღებულობენ აგრეთვე იმ ერებისაგან, რომელნიც მათგან შორს ცხოვრობენ და ისეთ ერებს მეზობლობენ, რომელთაც ისინი რამდენიმედ უფრთხიან ან ვერ დაუფლებიან; ისინი მათ უფრო ადამიანურად ეპყრობიან, რათა მათ ჯარები არ გამოგზავნონ თათრების წინააღმდეგ, ან კიდევ რათა სხვებს არ შეეშინოთ თათრებისადმი დამორჩილება. ასე მოექცნენ ისინი ობეზებს ანუ გეორგიელებს, რომელთაც, როგორც ვთქვით, 50 თუ 40 ათას ჰიპერპერს ანუ ბიზანტინს ახდევინებდნენ და სხვა მხრივ ამ მიზეზის გამო აღარ აწუხებენ. ამისდა მიუხედავად, როგორც მათგან გავიგეთ, მათ განზრახული აქვთ ამბოხება მოაწყონ"[2]. უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოზე დადგენილი გადასახადი, აღწერის შედეგად დაანგარიშებული თანხა არ უნდა იყოს. რუსუდან დედოფლის დროს მონღოლებთან მოლაპარაკების შედეგად შეთანხმებული ხარკის რაოდენობასთან გვაქვს უფრო აქ საქმე. მაგრამ მას შემდეგ, რაც მანგუ-ყაენი ავიდა საიმპერატორო ტახტზე, იმპერიის დაქვემდებარებულ მოსახლეობის ახალი აღწერები ჩატარებულა და გადასახადებიც სათანადო დაწესე-

---

1 А. Насонов, Монголы и Русь, 1940, გვ. 12.

2 მასალები კავკასიისა და საქართველოს ისტორიისათვის, 1942, ნაკვ. II, გვ. 37.

ბულა და, რაც მთავარია, ამიერიდან გადასახადების აკრეფას რეგულარული ხასიათი მისცემია. უნდა ვიფიქროთ, რომ მანამდე, ზოგიერთ დაპყრობილ ქვეყნებში, გადასახადები ერთდროული უნდა ყოფილიყო და არა რეგულარული.

მანგუ-ყაენი 1251 წლიდან არის საყაენო ტახტზე (1251—1257) და, როგორც ჩანს, სახელმწიფოს ფინანსების საქმე სრულიად მოუგვარებელი დახვედრია და გაყაენებისთანავე განკარგულება გაუცია მის წესრიგში მოსაყვანად. 1252 წელს ჩინეთის ქვეყნების აღწერა ჩატარებულა. 1253 წელს ირანის მმართველს არღუნს ჩაუტარებია ირანის მოსახლეობის აღწერა. მაშინვე გადაწყვეტილა რუსეთშიაც აღწერის ჩატარება და იმპერატორს „ბიციკ-ბერქე“ (ბასკაკი ბერქე) გაუგზავნია ამ დავალების სისრულეში მოსაყვანად[1]. ეს ბერქე ნოვგოროდის მატიანეში იხსენიება 1258 წლის აღწერებთან დაკავშირებით.

ქართველ ისტორიკოსს, ჟამთააღმწერელს სხვანაირად აქვს მონღოლეთის იმპერიაში საგადასახადო აღწერისა და გადასახადების აკრეფის რეფორმის ჩატარების ამბავი მოთხრობილი. იგი წერს: „ამათ ჟამთა შინა იქმნა ესეცა, რამეთუ ყაენმან ბათო, რომელი უდიდეს იყო ყოველთა ყაენთა, ინება განსწორება და აღთუალვა ყოვლისა ქუეყანისა, და პოვა კაცი ვინმე, ნათესავით ოირიდი, სახელით არღუნ, სამართლის მოქმედი და ფრიად მართლის მეტყუელი, და ღრმად გამგონე და განმზრახი რჩეული. ესე წარავლინა ყოველსა საბრძანებელსა მას მისსა რუსეთს, ხაზარეთს, ოვსეთს, ყივჩაყეთს, ვიდრე ბნელეთამდე, აღმოსავლით ვიდრე ჩრდილოეთამდე და ხატაეთამდე, რათა აღთუალოს და გახაჩინოს მჭედარი და მეომარი ლაშქრად განმავალი ნოინთა თანა, ღიდთა და მცირეთა, ღირსებისაებრ მათისა ულუფა, რომელ არს ძღუენი მიმავალთა გზად და ქირა ცხენისა და საპალნისა. და ვითარ განაჩინა საბრძანებელსა, მიერ წარავლინა ყარყუმს, ყუბილ ყაენს წინაშე, რათა მანცა ესრეთ განაჩინოს ჴელსა ქუეშე არღუნისასა, და მი-რა-იწია ყუბილ ყაენს წინაშე, ინება მანცა ესრედ ქმნად, და წარაელინა იგიეე არღუნ განგებად საბრძანებელისა მათისა და განუწესა იგივე წესი. და მიეიდა ტახტსა ჩალატასსა და უშანს წინაშე, თურანს, და განაწესა და განაგო მანდაური ყოველი, და გამოვლო ჯეონი, და მოვიდა ხუარასანს, ერაყს და ყოველსა რომგუარსა და განაგო ესრეთვე. და მოიწია ყაენს ულოს წინაშე, და მან პატივით შეიწყნარა, და წარმოავლინა საქართველოსა, მეფეს დავითს წინაშე და საბერძნეთად, და

[1] А. Насонов, დასახ. ნაშრომი, გვ. 13.

ყოველსა საბრძანებელსა მისსა ზედა განაჩინა აღწერად და განგებად...“[1].

როგორც ვხედავთ, ქართველი ისტორიკოსი საგადასახადო აღწერის ახლად ჩატარების ინიციატივას, მთელ მონღოლეთის იმპერიაში, ბათო ყაენს მიაწერს. არსად ამის შესახებ ცნობა, გარდა ჟამთააღმწერელის თხზულებისა, არ მოიპოვება. არღუნ ოირიდი რუსულ მატიანეში მოხსენებული არ არის. ბათო ყაენიც ყუპილაი ყაენის დროს ცოცხალი არ იყო. ბათო 1255 წელს ცოცხალი აღარ არის, ზოგიერთი წყარო მისი გარდაცვალების თარიღად 1253 წელსაც ასახელებს[2]. ქართველი ისტორიკოსი აქ მის ხელთ არსებულ მასალებს სწორად ვერ უნდა ალაგებდეს, მაგრამ არღუნ ოირიდის მოღვაწეობის შესახებ ზოგიერთი ცნობა მაინც სწორი უნდა იყოს. სომეხი ისტორიკოსი კვირიაკე განძელიც არღუნის შესახებ წერს: „მანგუ-ყაენმა და დიდმა მხედართმთავარმა ბათომ გაგზავნეს დიდი მოხელე არღუნი, რომელიც ჯერ-კიდევ გუიუქ ყაენის დროს იყო დანიშნული გადასახადების მთავარ ამკრეფად ყველა დაპყრობილ ქვეყნებში...., სხვა მრავალი მოხელეების თანხლებით, რათა ჩაეტარებინა აღწერა ყველგან მათ დაქვემდებარებულ ხალხებში“[3].

ამავე კვირიაკე განძელის თხზულების მეორე ადგილიდან ჩანს, რომ იგივე არღუნი, ჯერ კიდევ გუიუქ-ყაენის დროს, მოღვაწეობდა თურმე ხარკის ამკრეფად დაპყრობილ ქვეყნებში. კვირიაკე წერს: „გუიუქ-ყაენმა, როგორც კი აირჩიეს თათრებმა მათ ქვეყანაში მეფედ, მაშინვე გაგზავნა გადასახადების ამკრეფნი სხვადასხვა დამორჩილებულ ქვეყნებში დაბანაკებულ თავის ჯარებთან, რათა მოეთხოვა მათთვის ნაძარცვ-ნადავლიდან მეათედი ნაწილი და ამავე დროს უნდა შეეგროვებინათ ხარკი ხელქვეეით მყოფ სამეფოებში, როგორიც არის: სპარსეთი, ტაჯიკების და თურქების ქვეყნები, სომხეთი, საქართველო, ალბანეთი და სხვა ქვეყნები. ხარკის ამკრეფლებად დანიშნულნი იყვნენ მტაცებელნი ნადირივით დაუნდობელი ხალხი, რომელთაგან ერთს არღუნი ერქვაო“[4].

ქართულ და სომხურ წყაროებიდან ჩანს, რომ ეს არღუნი შემდეგ ილხანების განკარგულებაში იმყოფება და საქართველოს ისტორიაში შემდეგ არა ერთხელ წყევლით და კრულვით მოხსენებუ-

[1] ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., 1959, გვ. გვ. 234—235.

[2] Сборник Материалов относящихся к истории Золотой Орды, II, Собранные В. Г. Тизенгаузеном, 1941 г., გვ. 67.

[3] Патканов, История монголов по Армянским источникам, I вып., გვ. 78.

[4] იქვე, გვ. 65.

ლი ჰყავს ქართველ ჟამთააღმწერელს. არღუნის შვილს ქართველი მეფის და ჰყოლია ცოლად. ეტყობა არღუნის სააღწერო საქმიანობის შესახებ ცნობები შემთხვევით არ შეუტანიათ ქართველი ისტორიკოსის ნაშრომში. არღუნი ბათოს სიცოცხლეში მოღვაწეობდა თავის სარბიელზე, სომეხი ისტორიკოსიც ადასტურებს არღუნის ბათოს სიცოცხლეში ამიერკავკასიაში მოსვლას ვოლგის ნაპირებიდან. ამიტომ კითხვა იბადება ამიერკავკასიის აღწერა 1253—55 წლებში ხომ არ ჩატარებულა.

მაგრამ ბათოს ინიციატივა მაინც არ უნდა ნიშნავდეს მოსახლეობის ახალი აღწერების ჩატარებას იმპერიაში. მანგუს უნდა ეკუთვნოდეს საერთო საიმპერიო აღწერის ჩატარებისა და სახელმწიფო ფინანსების მოწესრიგების განკარგულება. მანგუ-ყაენამდე კი დრო და დრო უნდა მომხდარიყო ხარკის აკრეფა, უმეტეს შემთხვევაში სტიქიური წესით. საფიქრებელია, რომ მონღოლები მანგუ-ყაენამდე იმ საგადასახადო დავთრებსაც იყენებდნენ ხარკის აკრეფის დროს, რომელნიც ადგილობრივ ხელისუფლებს ჰქონდათ მონღოლთა გაბატონებამდე თავიანთ სამეფოებში.

მაგრამ დაპყრობილი მოსახლეობის ექსპლოატაციას მარტო სააღწერო დავთრების შედგენა არ შეელოდა. დაპყრობილ ქვეყნებში საჭირო იყო საოკუპაციო ჯარების ჩაყენება, რათა მოსახლეობას ახალი ხელისუფლების ძალა ეგრძნო და სააღწერო დავთრებით გათვალისწინებული გამოსაღები დანიშნულებისამებრ ჩაებარებინა. მაგრამ სიძნელე იმაში იყო, რომ მონღოლთა იმპერია უზარმაზარი იყო არა მარტო ტერიტორიულად, არამედ დაპყრობილ სახელმწიფოების რაოდენობითაც და ყოველგან, რომ მონღოლთა რაზმი ჩამდგარიყო საოკუპაციო გარნიზონად, მონღოლთა ყაენს ერთი მეომარიც არ დარჩებოდა თავისუფალი. ამიტომ მონღოლ მპყრობლებს საქმე ასე მოუგვარებიათ: დაპყრობილ ქვეყანაში, მის მთავარ პუნქტებში მონღოლთა რაზმები იდგა ათი კაცისაგან, 20 კაცისაგან, 30 კაცისაგან, 100 კაცისაგან, 1000 კაცისაგან და ზოგჯერ 10.000 მეომრისაგან. ამ რაზმების მეთაურები აუცილებლად მონღოლები იყვნენ. ჯარისკაცები კი ქრისტიანულ ქვეყნებში გამოგზავნილ რაზმებში მეზობელი მაჰმადიანი მოსახლეობიდან გამოყვანილები იყვნენ, მაგრამ არა ყველგან. რუსეთში, მაგალითად, რუსი ჯარისკაცები ჰყავდათ საოკუპაციო რაზმებში, მაგრამ შიგა და შიგ „ბუსურმანიც" ერია[1]. ამასთანავე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რიაზანის სამთავროში მდგარ მონღოლთა საოკუპაციო რაზმებში რიაზანელებს კი არ

---

1 А. Насонов. Монголы и Русь, გვ. 17.

აყენებდნენ, არამედ ვლადიმირელებს ან ჩერნიგოველებს და პირიქით. ასეთი რაზმების სათავეში მყოფ მონღოლებს „ბასკაკი" ეწოდებოდა. საოკუპაციო რაზმებს ამა თუ იმ ქვეყანაში ერთი ხელმძღვანელი ჰყავდა. სომხურ წყაროში, მაგალითად, არღუნი ოირიდი „დიდ ბასკაკად" იწოდება[1]. ბასკაკების რაზმების დასახასიათებლად საკმარისი იქნება სომეხი ისტორიკოსის კვირიაკე განჯელის თხზულების ერთი ადგილის თარგმანის აქ მოტანა: „ეს ბუღა... მოვიდა... არავის არ შეეძლო მისთვის წინააღმდეგობა გაეწია, რადგანაც მას მუდამ თან ახლდა სპარსელებისა და ტაჯიკელებისაგან შემდგარი თავზეხელაღებული ყაჩაღების რაზმი, რომელნიც შეუბრალებელი იყვნენ ყველას მიმართ განსაკუთრებით კი ქრისტიანების მიმართ"[2]. ასეთ ორგანიზაციას და ძალას ეყრდნობოდა მონღოლთა სახელმწიფო დაპყრობილ ქვეყნებში.

მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ მონღოლებმა, მანგუ-ყაენის მიერ ჩატარებულ რეფორმების დროს, დაპყრობილ ქვეყნიდან მონღოლთა ლაშქარში გამავალი მეომრის აღრიცხვაც წესრიგში მოიყვანეს. ქართველ ისტორიკოსს ჟამთააღმწერელს ერთგან აღნიშნული აქვს, რომ არღუნის მიერ ჩატარებულ აღწერის დროს დაწესებული ყოფილა: „ცხრასა გლეხსა სრულისა მიწისა მქონებელსა, ერთი ლაშქარს წარმავალი კაცი შეაგდიან. და გამოჰქდა სამეფოსაგან დავითისა ცხრა დუმანი მჴედარი თათართა თანა წარმავალი, რომელ არს ცხრა ბევრი"[3]. როგორც ვხედავთ ცხრა კომლ გლეხს, რომელთაც მიწის სრული ფუძე ჰქონდა ერთი მეომრის მონღოლთა ლაშქარში გაგზავნა და იმავე დროს რჩენა და შეიარაღება ევალებოდა. ასეთმა აღრიცხვამ გამოარკვია, რომ საქართველოდან მონღოლებს საჭირო შემთხვევაში 90.000 კაცის წაყვანა შეეძლოთ. მაგრამ აქ ერთი საკითხია დასაზუსტებელი, რატომ წერს ქართველი ისტორიკოსი, რომ 90.000 მეომარი „გამოჰქდა სამეფოსაგან დავითისაო". ხომ არ გვეუბნება აქ ის იმას, რომ ნარინ დავითის სამეფოდან გამავალი მეომარი კიდევ სხვა იყო? ეს საკითხი მოსავლელია და დასაზუსტებელი.

იყვნენ თუ არა გამოყენებული ქართველები მონღოლეთის იმპერიაში სადმე ბასკაკების რაზმებში და მონღოლთა ბატონობას ამ

1 Патканов, История монголов по армянским источникам, I, გვ. 101.
2 იქვე, გვ. 65.
3 ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., 1959 წ., გვ. 235.

ჯარიც ექსპლოატაციისთვის თუ არა, არ ჩანს, მაგრამ საქართველოში ადგილობრივ ქართველ ხელისუფლებს მონღოლთა ხარკის შეგროვების დროს, საკუთარი. ქართველი მეომრებისაგან შემდგარი რაზმები უნდა ჰყოლოდათ და ამ რაზმებით ეხმარებოდნენ მონღოლ ბასკაკებს. მანგუ-ყაენის დროის რეფორმებიდან საყურადღებო არის ის ფაქტი, რომ მონღოლები, სანამ გადასახადის რაობას და რაოდენობას განსაზღვრავდნენ, წინასწარ, აღწერის გზით, არკვევდნენ რა ავლადიდების პატრონი იყო ის პირი, რომელიც ხარკის გადამხდელთა სიაში უნდა შეტანილიყო და ამ ქონების შესაბამისად გაეწერებოდა მას გადასახადი. წყაროებიდან ჩანს, რომ დაპყრობილი ქვეყნის ქვეშევრდომს ძალიან მცირეს უტოვებდნენ საარსებოდ. ქართველი ისტორიკოსი წერს: „დიდსა ჭირსა მიეცნეს ყოველნი მკვიდრნი სამეფოსა დავითისნი, და იწყეს აღწერად კაცთაგან და პირუტყუთამდე, ყანით ვენაკამდე, წალკოტით ბოსტნამდე“[1].

მონღოლთა საოკუპაციო ჯარების ათისთავებისა, ასისთავებისა, ათასისთავებისა და ათიათასისთავებისათვის საგანგებო ულუფა გაუჩენია მონღოლთა მთავრობას დაპყრობილ ქვეყნის ხარჯზე. „ულუფა, რომელ არს ძღვენი მიმავალთა გზად და ქირა ცხენისა და საპალნისა[2].

მაგრამ დაპყრობილ ქვეყნებში, ეკლესია-მონასტრები და საერთოდ სასულიერო წოდების ორგანიზაცია, მაჰმადიანური იყო თუ ქრისტიანული, ყოველგვარ მონღოლურ გადასახადისაგან გაათავისუფლეს მონღოლებმა. ამ ფაქტს ერთხმად აღნიშნავენ იმ დროის წყაროები. ქართველი ისტორიკოსი ჟამთააღმწერელი წერს: „ამან არღუნ განაწესა, რა იგი ჯერ იყო ოთხსავე საყაენოსა შინა, რამეთუ იყო კაცი ესე სამართლის მოქმედი. ხოლო ხუცესთა და მონაზონთა და საეკლესიოთა განწესებათა არა შეაგდო საზღავი, არცა ყალანი, ეგრეთვე შიხთა და დავრეშთა, და ყოვლისა სჯულისა კაცნი საღმრთოდ განჩენილნი განათავისუფლნა“-ო[3]. სომეხი ისტორიკოსი კვირიაკე განძელიც წერს: „ეკლესიებისაგან ისინი გადასახადებს არ იღებდნენ, რადგანაც ამის შესახებ ყაენის ბრძანება არ ჰქონდათო“[4]. რუსულ მატიანეშიც 1257 წლის ქვეშ აღნიშნულია: „ამავე ზამთარს აღწერა იყო, და აღწერეს მთელი რუსეთის ქვეყანა, მხოლოდ არ აღწერეს, ვინც ეკლესიას ემსახურება“-ო[5]. რუსული მა-

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოც., 1959 წ., გვ. 235.

[2] იქვე, გვ. 234.

[3] იქვე, გვ. 235.

[4] Патканов, История монголов по армянским источникам, I, გვ. 79.

[5] Б. Греков, А. Якубовский, Золотая Орда, გვ. 218.

ტიანის მეორე ნუსხაში აღნიშნულია: „....მხოლოდ არ აღწერეს იღუმენები, ბერები, მღვდლები, და ყველა ვინც შესცქერის ღვთის მშობელსა და სამყაროს მპყრობელს"-ო [1].

წყაროები მხოლოდ ფაქტს აღნიშნავენ, მაგრამ არას გვეუბნებიან, რატომ გაათავისუფლეს მონღოლებმა სასულიერო წოდება და მისი ქონება ყოველგვარი ბეგარისა და ხარკისაგან. მიტაცებასა და შოვნას დახარბებული მონღოლები ხელ-უხლებლად ტოვებენ ისეთ მდიდარ ფეოდალურ ორგანიზაციას, როგორიც ქრისტიანული და მაჰმადიანური ეკლესიები იყო. არავითარი დოკუმენტური პირდაპირი ცნობა დაცული არ არის მონღოლთა ამ „ლმობიერების" ასახსნელად. მხოლოდ რუსულ ენაზეა დაცული ოქროს ურდოს ყაენის უზბეკის იერლაყი (სიგელი) რუსეთის ეკლესიისადმი ბოძებული, რომელშიაც სხვათა შორის ვკითხულობთ: „ჩინგიზ-ყაენმა და მის შემდეგ ვინც ყოფილა და იქნება, გიბოძეთ ეს წყალობის სიგელი რუსეთის მიტროპოლიტებს ეკლესიის კაცებს... რათა იყვნეთ და უკანასკნელი ყაენებიც იმავე გზით შეგვიწყალებდნენ მღვდლებს და შავსამღვდელოებას (ბერებს) და ღვთის მოსავ ხალხს, რათა მართალი გულით ევედრონ ღმერთს ჩვენთვის და ჩვენი მოდგმისათვის გულსრულად გვაკურთხონ ჩვენ და (სამაგიეროდ) არ გადახდებათ მათ ხარკი, დამღა... ყოველგვარ გადასახადისაგან თავისუფალნი არიან, ყაენის არც ერთი გადასახადი არ ეხებათ..." [2].

საბჭოთა ისტორიკოსები მოტანილ ტექსტის საფუძველზე ასკვნიან, რომ მონღოლებმა ეკლესია, დაპყრობილ ქვეყნებში, ასეთი შეღავათებით გამოიყენეს, ვითარცა გავლენიანი მასიური აგიტატორები. ისინი მონღოლთა ძალაუფლების და ბატონობის ღვთის განგებულებას უნერგავდნენ მორწმუნეებს: «публичная молитва духовенства о ханах внедряла в массы мысль о необходимости подчинения татарской власти»[3]. იმდროინდელ ძეგლებში მონღოლთა გამოჩენა და გაბატონება ღვთის ნებად არის გამოცხადებული. მონღოლთა ბატონობა ღვთის სასჯელია ცოდვებისათვის მოვლენილი"-ო [4]. მართლაც, დაპყრობილ ქვეყნებში დასაყრდენის მოსაპოვებლად უნდა ყოფილიყო მოფიქრებული შეღავათების ბოძება ეკლესიებისადმი. ეკლესია ყველგან ძლიერი ორგანიზაცია იყო ფეოდალურ სამყაროში და მასთან საერთო ენის გამონახვას დიდი

[1] Б. Греков, А. Якубовский, Золотая Орда, გვ. 218.

[2] იქვე, გვ. 223.

[3] იქვე.

[4] Русское общество и татарское иго, იხ. Книга для чтения по русской истории. Под редакцией проф. М. Д. Довнар-Запольского, т. I, გვ. გვ. 614 — 624.

მნიშვნელობა ჰქონდა. ეკლესიის მსახურნი და თვით მისი დაწესებულებები უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდნენ მასებში.

საერთო ენა ადვილად გამონახეს მონღოლებმა დაპყრობილ ქვეყნების საერო ფეოდალებთანაც, მიუხედავად იმისა, რომ ისინი მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგი იყვნენ საერთოდ. ადგილობრივი ხელისუფლების დამარცხების შემდეგ, ფეოდალი, უკეთეს გამოსავალს მონღოლთან შეთანხმებაში ხედავდა, ძლიერთან მისვლა ამჯობინა. მონღოლებმაც ფეოდალური სამყაროს ბუნება კარგად შეისწავლეს და ამის შესაბამისად დაპყრობილ ქვეყნების არა ერთი ავტორიტეტიანი ფეოდალი თავის სამსახურში შეიგუეს.

დაპყრობილ ქვეყნების ძველი ხელისუფალნი მონღოლებმა თავიანთ სამფლობელოებში აღადგინეს და დაამტკიცეს, თუკი ისინი მონღოლების ბატონობას შეურიგდნენ. მონღოლთა ყაენის დამტკიცების გარეშე, მეფე თუ მთავარი, კუთვნილ ტახტზე, ხელისუფლად ვერ დაჯდებოდა. მონღოლთა ბატონობის პირველ წლებში, დაპყრობილ ქვეყნების ძველი მფლობელნი შორეულ აღმოსავლეთში, ყარაყორუმში, მთავარ ყაენთან უნდა გამგზავრებულიყვნენ, ეს უკანასკნელი მათ თავის ძველ სამფლობელოში დაამტკიცებდა. შემდეგ, როცა მონღოლთა იმპერია დაიშალა და ცალკე საყაენოები წარმოიშვა, ადგილობრივ ხელისუფალს შორეულ აღმოსავლეთში დასამტკიცებლად წასვლა არ სჭირდებოდა. რუსეთში, მაგალითად, დიდმთავრებს ოქროს ურდოს ყაენები ამტკიცებდნენ. საქართველოს მეფეებს ერთხანს ოქროს ურდო მბრძანებლობდა, შემდეგ, როცა სპარსეთში ცალკე დაჯდა ყაენი, სპარსეთის ყაენები ანუ ე. წ. ილხანები პატრონობდნენ და ამტკიცებდნენ. მონღოლთა უზარმაზარ იმპერიას ჩამოყალიბებისთანავე უმნიშვნელოვანესი საკითხი, კავშირგაბმულობის საკითხი ჰქონდა გადასაჭრელი. ყარაყორუმიდან აღმოსავლეთ ევროპამდე და მახლობელ აღმოსავლეთამდე იმ დროის პირობებში საფოსტო საქმის მოგვარება დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხის გადაჭრა იყო. ფოსტა მონღოლთა იმპერიის მმართველობას უნდა მომსახურებოდა. იმპერიის „ექსცენტრიული ცენტრი" — ყარაყორუმი იმპერიაში მიმდინარე მოვლენების კურსში უნდა ყოფილიყო. 1235 წელს უგედე-ყაენის განკარგულებით დაიწყო ამ საქმის მოგვარება. იმპერიის ყველა მიმართულების მთავარ მაგისტრალებზე სადგურები იყო შექმნილი, რომელსაც „ი ა მ ი" ეწოდებოდა. უგედეს ბრძანებით თვითეულ „ი ა მ ზ ე" უნდა ყოფილიყო ოცი კაცი, ცხენების, ხარების და საბარგულების გარკვეული რაოდენობა, მეწველი ჭაკი ცხენები და ცხვრები დასაკლავად და საჭმელად. ამ სადგურებისათვის საჭირო ხარჯები მთლიანად

იმპერიის მოსახლეობას დააწვა. იმპერიის მთავარ საარსებო მაგისტრალებზე, უგედეს შემდეგ, მოძრაობა უფრო გაცხოველდა: ელჩების, შიკრიკების და მოხელეების მოგზაურობას, მათ მომსახურებას დიდძალი ხალხი და სხვა საშუალებები დასჭირდა. ცხენები ვერ უძლებდნენ სადგურიდან სადგურამდე სისწრაფით მგზავრის და ბარგის გადატანას, ვერც ადამიანი უძლებდა სადგურის პირობებში ცხოვრებას, ურმები და საბარგულები იმტვრეოდა. ყოველივე ეს დიდ სიმძიმედ დააწვა მოსახლეობას, მაგრამ მონღოლებმა მაინც შესძლეს მისი მოგვარება და თავისი ბატონობის გახანგრძლივება. კავშირგაბმულობის აღწერილი სისტემა, რა თქმა უნდა, მონღოლების გამოგონილი არ ყოფილა. მთავარ მაგისტრალებზე სადგურების არსებობა, ღამის გასათევი შენობით, მოსამსახურეებით და საჭირო ცხენებით, მონღოლების მიერ დაპყრობილ ყველა ფეოდალურ სახელმწიფოში ძველიდანვე არსებობდა. მონღოლებმა მხოლოდ ეს გამოცდილება იმპერიის მასშტაბით გადაიღეს და თავისი იერი მისცეს, *იამის* სამსახური მონურ მუშაობად იქცა, თვალუწვდენ დაუსახლებელ და უკაცრიელ ტრამალებზე.

მონღოლთა იმპერიისადმი დაქვემდებარებულ ხალხებს შემდეგი ბეგარა და გადასახადები დაედო: *სალაშქრო ბეგარა*, მონღოლური ტერმინია „*ყალანი*". მონღოლების მიერ დაპყრობილი ხელისუფალი დადგენილი რაოდენობის ჯარით ვალდებული იყო გამოძახებისთანავე დანიშნულ დროს და ადგილს მონღოლთა სარდლობასთან გამოცხადებულიყო, თავისი სურსათით და მოწყობილობით. ომის დროს, ეს ჯარი მთლიანად მონღოლთა სარდლობის განკარგულებით მოქმედებდა და, როცა ომი დასრულდებოდა, მონღოლთა ნებართვით შეეძლო სამშობლოში დაბრუნება.

კავშირგაბმულობის ბეგარა და გადასახადს „საიამე" ეწოდებოდა. „იამი", როგორც აღნიშნული იყო, საიმპერიო მაგისტრალების სადგურებს ერქვა. მაგრამ მონღოლთა ბატონობის ეპოქაში „*საიამო გადასახადი*" იქნა შემოღებული. „იამი", რუსული ძეგლებით თავდაპირველად ხარკი არის, მაგრამ შემდეგ იგი ბეგარადაც გადაქცეულა, თათრის ელჩების და მოხელეების ცხენით მომსახურება დაუვალებიათ[1].

„*ყოფჩური*" ანუ „*ყაფჩერი*". რაშიდ-ედ-დინის ცნობით, უგედე-ყაენის მიერ 1235 წელს მოწვეულ ყურულთაიზე, სხვა საკითხებს შორის, „*ყაფჩერის*" ვითარცა გადასახადის შემოღება

---

[1] **Б. Греков, А. Якубовский**, დასახელ. ნაშრ., გვ. 224.

გადაწყვეტილა. ყ ა ფ ჩ ე რ ი საძოვრებზე მყოფ ჯოგებიდან აიღებოდა, ასი სული საქონლიდან ერთი ხაზინის სასარგებლოდ წაიყვანებოდა. „ყაფჩერი“ არსებითად საძოვრებზე დაწესებული გადასახადია, და მისი შემოღება მონღოლეთში ფეოდალიზმის დამკვიდრების აშკარა მაჩვენებელია.

უგედე-ყაენის ბრძანებით შემოუღიათ გადასახადი „თ ა ღ ა რ ი“ ანუ „თ უ ღ ა რ ი“. ეს მარცვლეულზე დაწესებული გადასახადი იყო, იმავდროს ეს ტერმინი საწყაოს ერთეულიც ყოფილა. ყოველი ათი „თ ა ღ ა რ ი“ მარცვლეულიდან ერთი სახაზინოდ აიღებოდა.

„ტ ა მ ღ ა“ ეწოდებოდა სავაჭრო გადასახადს. ყოველ 100 ამა თუ იმ ფულის ერთეულის ნაყიდობაზე თანხის 3% სახაზინოდ აიღებოდა. სოფლის მეურნეობაზე დადებულ გადასახადს „მ ა ლ ი“ ეწოდებოდა. მონღოლ სამხედრო მოხელეთა სასარგებლოდ დაწესებულ გადასახადს „უ ლ უ ფ ა“ — „ძ ღ ვ ე ნ ი“ ეწოდებოდა. ქართველი ისტორიკოსი ერთგან წერს: „და განაჩინეს“... დიდთა და მცირეთა, ღირსებისაებრ მათისა უ ლ უ ფ ა, რომელ არს ძღუენი მიმავალთა გზად და ქირა ცხენისა და საპალნისა“-ო. მეორე ადგილას იგივე ისტორიკოსი წერს: „და განაწესეს ძღუენი სოფლისაგან: ათასისა მკედრისა კრავი ერთი და დრაჰკანი ერთი, ხოლო ბევრისა მთავარსა ცხოვარი ერთი და დრაჰკანი ორი, და მიზდი (ქირა, ი. ც.) ცხენისა თეთრი სამი, დღისა ერთისა“-ო[1].

მონღოლების უმაღლეს არისტოკრატიას და თვით ჩინგიზის შვილებსა და შვილიშვილებს საქარავნო ვაჭრობის გემო გაუცვნიათ და, არა მარტო ძარცვითა და მოწესრიგებულ გადასახადებით იძენდნენ ქონებას, არამედ თვით ამ საქარავნო ვაჭრობის მონაწილე გამხდარან. მონღოლთა დიდი ყაენები უგედე, გუიუქი, მანგუ, ამათი შვილები თუ სხვა მახლობელი ნათესავები, „ორტაღების“ (მაჰმადიან ვაჭრების) მეშვეობით ვაჭრობას აწარმოებდნენ შორეულსა და მახლობელ მხარეებში. რაშიდ-ად-დინის ცნობით, უგედე-ყაენს 200 ოქროს „ბალიში“ შეუტანია პაის სახით საქარავნო ვაჭრობის ბრუნვის გაძლიერებლად. თავისთავად ცხადია, საქარავნო ვაჭრობის უშუალო ხელმძღვანელობა მონღოლებს არ შეეძლოთ და მაჰმადიანი ვაჭრები, მონღოლ ყაენების ძარცვით მოპოებულ ქონებაზე, ხელს ითბობდნენ.

---

[1] ქართლის ცხოვრება, II, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ. გვ. 234—235. გადასახადების შესახებ იხ. История Монгольской народной республики, 1954, გვ. 95, აგრეთვე ივ. ჯავახიშვილის ქართველი ერის ისტორია, წ. III, 1941 წ., გვ. გვ. 56—57. ყაფჩერის შესახებ იხ. ნარკვევები მახლობელ აღმოსავლეთის ისტორია. პროფ. ვ. გაბაშვილის სტატია, გვ. გვ. 161 — 162.

ზემოთ ჩვენ აღნიშნული გვქონდა, რომ დაპყრობილ ქვეყნებში მონღოლები დასაყრდენი საზოგადოებრივი ფენის გულის მოგებას, უმეტეს შემთხვევაში დაშინებით შეეცადნენ და ამ გზით ბატონობდნენ, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავდა, რომ მონღოლების უღელს შეურიგდნენ დაპყრობილი ხალხები. თითქმის ყველა დაპყრობილ ქვეყანაში დროდადრო მონღოლთა წინააღმდეგ აჯანყებები ხდებოდა, მაგრამ დაპყრობილ ქვეყნებს ერთიანი და ერთდროული ამბოხების მოწყობა არც უცდიათ. მიუხედავად იმისა, რომ ასეთი აჯანყებისათვის ნიადაგი არსებობდა, მისი მოწყობის ინიციატივა ვერავინ იკისრა. ალბათ მაჰმადიანური სამყარო ქრისტიანობას არ ენდობოდა, ანდა ასეთი მასშტაბით მსჯელობის თავი არავის გააჩნდა. ცალკეულად კი საკმაოდ გრანდიოზულ აჯანყებას ჰქონდა ადგილი მავერანაჰრში. 1238 წელს აჯანყებას იწყებს გლეხობა და ხელოსნები მაჰმუდ თარაბის მეთაურობით. მაჰმუდი ხელოსანი ყოფილა. აჯანყებულებმა მონღოლები ბუხარიდან განდევნეს, ძალაუფლება ხელთ ჩაიგდეს და მონღოლთა დიდი ლაშქარი და ადგილობრივი ფეოდალების ძალები ქერმანთან სასტიკად დაამარცხეს, მაგრამ რამოდენიმე თვის შემდეგ მონღოლებმა ბრძოლა ისევ მოიგეს. აჯანყებას ქართველებიც ამზადებდნენ, მაგრამ როგორც ცნობილია, ჩაეშალათ. ანტიმონღოლური მოძრაობა მიმდინარეობდა ჩინეთში, ირანში, რუსეთში, მაგრამ გამარჯვება მაინც მონღოლებს რჩებოდათ.

მაგრამ მონღოლების იმპერიამ დიდხანს ვერ იარსება, ჩინგიზის ოთხი ვაჟიშვილის ულუსები, თვით ჩინგიზ-ყაენის მიერ მოხაზული, იმ სახელმწიფოების კონტურები აღმოჩნდა, რომელზედაც იმპერია დანაწილდა XIII საუკუნის სამოციან წლებში. მართალია მონღოლთა იმპერატორის ტახტი არსებობდა, მაგრამ მას, როგორც ცენტრს, აღარ ემორჩილებოდნენ ულუსების ყაენები. მონღოლთა ტომების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი აიყარა და ახლად ჩამოყალიბებულ ულუსებში დაიფანტა საცხოვრებლად. გადმოსახლებულნი თავისი ჯოგებით და „დედა-წულით" იყვნენ წამოსული. მონღოლეთი ამ გარემოებამ ყოველმხრივ დააუძლურა, ისე რომ მთავარ ყაენს ის ძალა აღარ შერჩა, რომლითაც იმპერიამ დაპყრობები დაიწყო. მონღოლეთი თავის მეჯოგეობის იქეთ წინ ვერ წავიდა, ნაძარცვმა ნაალაფევმა მონღოლეთის ეკონომიკას ვერაფერი შემატა, მეჯოგეობას ვერაფერი შესძინა[1]. ულუსები კი ერთმანეთთან ეკონომიურად დაკავშირებული არ ყოფილან.

---

[1] История Монгольской Народной республики, 1954, გვ. 102 — 103.

ულუსებში წამოსულ მონღოლთა ტომებსაც კარგი საქმე არ დაემართათ. მონღოლთა ტომები იმ მხარეებში, სადაც ახლად „დაბინავდნენ“, უმცირესობაში აღმოჩნდნენ. ოქროს ურდოს მონღოლები ყივჩაყებს შეერივნენ ისე, რომ ამ სახელმწიფოს ენა ყივჩაყური შეიქმნა. ირანელ მონღოლებს თავისი სახის შენარჩუნება მითუმეტეს არ შეეძლოთ, შუა-აზიაშიც ისინი ასიმილირებულ იქნენ ადგილობრივი კულტურული ხალხების მიერ. ჩინეთის მაღალმა კულტურამაც მონღოლი დიდხანს არ აბოგინა და გააჩინელა. ენგელსი სამართლიანად წერს ერთგან: „თავისთავად ცხადია, რომ ყოველთვის, როცა დამპყრობლად ნაკლებ კულტურული ხალხი გამოდის, ეკონომიური განვითარება ფერხდება, ხოლო საწარმოო ძალები ნადგურდება. მაგრამ ხანგრძლივ დაპყრობათა უმრავლეს შემთხვევაში ნაკლებ კულტურული დამპყრობელი იძულებულია უმაღლეს „სამეურნეო მდგომარეობას“ შეეგუოს, რომელსაც იგი დაპყრობის შემდეგ ნახულობს; ხდება მისი ასიმილაცია დაპყრობილი ხალხის მიერ და იგი ხშირად იძულებულია მისი ენაც კი შეითვისოს“ [1].

დაბოლოს, რა მოუტანეს მონღოლთა ტომებმა ხალხთა ისტორიას ან თავის თავს? ხალხების კულტურული განვითარება საუკუნეებით შეაფერხეს, მოსახლეობა გაჟლიტეს, მეურნეობა დასცეს, საქალაქო ცხოვრება ჩაჰკლეს, მეცნიერება და ხელოვნება ამოაგდეს, ადამიანური მორალი მოსპეს და ასეული წლების მანძილზე მონობა დაამკვიდრეს. საუკუნეების მანძილზე კულტურულ ხალხების ორგანიზმზე პარაზიტივით ისხდნენ და თავის პრიმიტიულ მეჯოგეობას ვერ გასცილდნენ. მონღოლებს რაც გააჩნდათ ის მოუტანეს დაპყრობილ ხალხებს.

განვითარებულ ხალხების ფეოდალიზმმა მონღოლები თავის მორევში ჩაითრია. მეცამეტე საუკუნის სამოციანი წლებიდან ულუსებად დაშლილი მონღოლთა იმპერია პოლიტიკურ დაქუცმაცების მოლიპულ გზას მტკიცედ დაადგა. ულუსები და ულუსების განაყოფები ერთი მეორეს დაუპირისპირდნენ და მეთოთხმეტე საუკუნეში სისხლის მღვრელი ომები მიმდინარეობდა ყოფილ იმპერიის ნანგრევებზე. მალე ოქროს ურდოც დაიშალა. მის ნანგრევებზე მრავალი პოლიტიკური ერთეული აღმოცენდა და დაპყრობების თავი რაკი არ ჰქონდათ, ახლა მათი ძალების შესაბამისს ხელობას მოჰკი-

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, 1952 წ., გვ. 216—217.

დეს ხელი — თარეშებით და ძარცვით იკლებდნენ რუსეთის მოსახლეობას.

შიგა მონღოლეთი კი დარჩა ისევ ჩამორჩენილ მეჯოგე ქვეყნად, ფეოდალიზმს იქეთ თავისით წინ ნაბიჯი ვერ გადადგა, სანამ რუსეთის დიდმა რევოლუციამ დახმარების ხელი არ გაუწოდა მონღოლთა მშრომელებს და განვითარების ახალ ეპოქალურ გზაზე არ დააყენა.

## საძიებლები

### პირთა საძიებელი

ა

აბაღა-ყაენი 10, 28, 52, 72, 81
ავაგ ათაბაგი ამირსპასალარი 41, 106, 156
ათრაქა შარაღანის-ძე, 132
ალანგოა, ალანღოა 57, 58
ალექსანდრე იაროსლავის-ძე ნეველი 42, 80, 169
ალექსანდრე მაკედონელი 57
ალთანი ხუტულა-ყაენის-ძე 62
ალთან ურუღ (ჩინგიზის დინასტია) 78
ალი-ზადე 149
ალი-ხოჯა ბუხარელი 91
ალტან-ხანი (ჰაყუტაის მოდგმა) 86
ალფერ-ხანი 99
ალ-ჯუზჯანი 9
ანდრია ჩერნიგოვის მთავარი 39, 47
აოლან უღურ (ტომის ბელადი) 65
არიყ-ბუღა 175, 177
არსენ ჰყონდ. მწიგნ. უხუცესი 156
არსლან-ხანი (ხატაეთის მეფე) 86
არღუნ ოირიდი 185, 186, 187, 188, 189
არღუნ ყაენი 181, 185
არღუნის შვილი (ქართველი მეფის სიძე) 187
აქუში (უზბეგ ათაბაგის მონა) 120, 121, 123
აშალა ნოინი (აბალა ნოინი) 29
ახმედ-ან-ნესევი 9, 10

ბ

ბათო-ყაენი 12, 14, 17, 30, 39, 40, 41, 42, 43, 47, 76, 79, 142, 143, 156, 157, 159, 160, 162, 163, 165, 166, 167, 170, 172, 173, 174, 175, 182, 185, 186, 187
ბაიდარი (მონღ. სარდალი) 170, 171
ბალა მდივანი 75, 76
ბარახა 29, 53, 72
ბართან ბაყათური (ჩინგიზის პაპა) 58
ბარტოლდი ვ. 8, 9, 10, 11, 17, 58, 60, 62, 63, 64, 65, 66, 68, 70, 71 72, 73, 74, 75, 76, 87, 88, 90, 91, 93, 94, 95, 96, 113, 139, 140, 143
ბატუ-ნოინი 29
ბაღდადის ხალიფა 178
ბეიბარსი (ეგვიპტის სულთანი) 181
ბელა IV (ჰუნგრეთის მეფე) 172, 173
ბენედიქტე ბერი (სინორიტი) 12 .
ბერქე ბიციკი (ბერქე ბასკაკი) 185
ბერქე ყაენი (ოქროს ურდოში) 79, 175
ბერძენიშვილი ნ. 111
ბექა მეჭურჭლეთ-უხუცესის შვილი 123
ბეჰადინ-რაზი 90
ბიბლა გურკელი 128
ბიჩოი ნოინი 147
ბოდონჩარი (ჩინგიზის წინაპარი) 58
ბოლოხოველი მთავრები 168
ბორთე-ფუჯინი (ჩინგიზის მთავარი მეუღლე) 66, 67
ბოცო 128
ბური (სუბედა სარდლის ბიძაშვილი) 159

## გ

გაბაშვილი ვალერიანე 5, 89, 100, 104, 148, 178, 193
გიორგი ბრწყინვალე 28
გიორგი დომამირის-ძე (ცულინელი სარდალი) 135
გიორგი ლაშა 44, 51, 52, 106, 108, 111, 115, 117, 118, 119, 120, 123, 124, 126, 127, 128, 130, 131
გიორგი ლაშას მემატიანე 115, 116, 117, 118, 125, 127, 130, 157
გიორგი ყონჩაყის ძე (ყიეჩაყთა მთავარი) 132
გრეკოვი ბ. დ. 25, 32, 64, 70, 79, 81, 82, 89, 134, 135, 143, 158, 159, 160, 161, 164, 166, 190, 192
გრიგოლ IX რომის პაპი 154, 155, 156
გუიქ (სარდალ სუბედას ბიძაშვილი) 159
გუიუქ ყაენი 79, 81, 87, 146, 174, 182, 186, 193

## დ

დავით ალმაშენებელი 132
დავით ლაშას ძე (ულო) 28, 70, 74, 80, 157, 178, 179, 181, 185, 188
დავით რუსუდანის ძე 44, 80, 157
დავით სოსლანი 128
დაი-კამ-ვან-აგუდე (პაყუტაი, ჩინეთის იმპერ.) 86
დანიელ რომანის ძე (გალიჩ-ვოლინის მთავარი) 135, 136, 165, 166, 168, 172
დიმიტრი ათასისთავი (კიევის დამცველი) 165, 166, 167
დოვნარ-ზაპოლსკი მ. დ. 190
დონდუა ვ. 111
დუბუნ ბაიან (ჩინურად დობუნ-მერგენი ჩინგიზიდების დინასტიის ფუძემდებელი) 57
დუმბაძე მ. 111

## ე

ელგან ნოინი 179
ელ-მელიქ-ელადელ 118
ელ-მელიქ-ელაშრეფ 118
ელიუიპ-ჩუცაი 183
ენგელსი ფრ. 195
ესუგეი ბაყათური 58, 59, 62

## ვ

ვარამ გაგელი მსახურთუხუცესი 52, 121, 124
ვარდან ბარძბერდელი 115
ვარდანი (სომეხი ისტორიკოსი) 14
ვაცლავ I (ჩეხეთის მეფე) 171, 172 173
ვლადიმირცოვი ბ. 8, 9, 11, 17, 19, 20, 21, 22, 23, 24, 25, 26, 27, 28, 29, 31, 32, 33, 34, 35, 63, 64, 65, 71, 73, 78, 89

## ზ

ზაქარია ამირ-სპასალარი 52, 121, 128

## თ

თამარ მეფე 108, 111, 121, 127
თამარაშვილი მ. 108, 109, 116, 125, 155, 156
თაყაიშვილი ექვთიმე 28, 53
თეგუთარ-ყაენი 72

თეოდორე იურის ძე (რიაზანელი) 160, 161
თემუჯინი ((ტემუჩინი, ჩინგიზ-ყაენი) 57, 59, 60, 61, 62, 63, 64, 65, 68, 69
თემუყანი 137
თმოგველი სარგის 128, 154
თორელი-გამრეკელი 154
თოლაჩარი სარდალი (ჩინგიზის სიძე) 100, 104, 112, 113
თუბის (ჩინგიზ-ყაენის-ძე, იგივე ჯოჩი) 67
თულუი (თული ჩინგიზის-ძე) 66, 67, 97, 98, 145, 175
თურაყინა (უგედე-ყაენის ქერივი) 42, 174

### ი

იაკუბოვსკი ა. იუ. 25, 32, 64, 70, 79, 81, 82, 89, 95, 134, 135, 143, 158, 159, 160, 161, 164, 190, 192
იამა (სუბედა სარდალის ქართული სახელწოდება) 105, 114
იაროსლავ (ვლადიმირის მთავარი) 40, 41, 42, 78, 80, 133
იბნ-ალ-ასირი 9, 10, 48, 95, 117, 118, 119, 120, 123, 124, 125, 126, 129, 149
იგორი (ნოვგოროდსევერსკის მთავარი) 132
ივანე ათაბაგი მხარგრძელი 52, 108, 109, 110, 116, 118, 121, 122, 123, 125, 127, 130
ივანე ციხისჯვარელი ჯაყელი 154
ინალჩიკი (ქაირ-ხანი) ოთრარის მმართველი 91, 92
ინოკენტი IV რომის პაპი 12
იოსური ნოინი 147, 156
იუან (ყუბილაი-ყაენის დინასტიის ჩინური წოდება) 176
იუნცზი (ჩინეთის იმპერატორი) 86
იური იგორის-ძე (რიაზანის მთავარი) 160
იური ვსევოლოდის ძე (ვლადიმირის მთავარი) 161
იუსუფ ოთრარელი (ჩინგიზის ელჩი) 91

### კ

კადაკი (მონღოლეთის „კანცლერი") 76
კაიდუ (სარდალი) 171
კარამზინი (ისტორიკოსი) 166
კახა თორელი 180
კვირიაკე განჯელი (სომეხი ისტორიკოსი) 14, 115, 149, 150, 151, 152, 154 186, 189
კიკნაძე რ. 5, 89, 97, 100, 103
კოიაკი (კარის კაცი) 76
კონრადი (პოლონელი მფლობელი) 170
კოტიანი (ყიჩაყთა ხანი) 133, 162
კრაკოვსკი სტეფანე (პროფ.) 170

### ლ

ლავრენტი ბერი (რუსული მატიანის რედაქტ.) 158
ლუი IX 14

### მ

მაკრიზი 8
მალაქია ბერი (აბელა, სომეხი ისტორიკოსი) 81, 82, 115, 119, 121, 124
მანგუ-ყაენი (მენგუ ყაენი) 14, 79, 81, 82, 87, 146, 159, 163, 164, 165, 175, 176, 184, 185, 186, 187, 188, 189, 193

მარკო პოლო 153
მარქსი კ. 3, 149
მაჰმუდი (ელჩი) 91
მაჰმუდ თარბი (ხელოსანი, აჯანყების მეთაური) 194
მემნი ბოცოს-ძე 128
მენ-ხუნ 11, 66
მიხეილ ჩერნიგოვის მთავარი 40
მსტისლავ კიეველი მთავარი 53, 133, 137, 138
მსტისლავ მამაცი (გალიციელი) 133, 135, 136, 138
მსტისლავ რომანის ძე (კიეველი მთავარი) 133
მსტისლავ სვიატოსლავის ძე (ჩერნიგოველი) 133, 138
მუჰამედ სულთანი (ხვარაზმშაჰ) 90, 92, 93, 95, 96, 98, 99, 100, 101 104, 105

ნ

ნესევი ახმედ 9, 10
ნასონოვი ა. 3, 41, 43, 183, 184, 185, 187

ო

ოელუნ-ფუჯინ (ჩინგიზის დედა) 68
ონ-ხან (თოღრული, ყარაიტების ხანი) 59, 60, 61, 62, 63, 64, 65
ო რ დ უ (მონღოლთა სარდალი) 171
ოქოთა-ყაენი (უგედე-ყაენი) 66, 67, 79

პ

პაშუტო ვ. ტ. 168
პატკანოვი კ. პ. 81, 151, 152
პეტრუშევსკი ი. პ. 87, 88
პლანო კარპინი 11, 12, 13, 17, 18, 27, 30, 36, 37, 38, 39, 40, 41, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49, 51, 53, 55, 73, 75, 76, 77, 78, 79, 81, 85, 142, 156, 172, 173, 182, 183, 184
პლოსკინია (ბროდნიკების ბელადი) 137, 138

ჟ

ჟამთააღმწერელი 4, 7, 8, 14, 15, 29, 37, 38, 41, 50, 51, 54, 67, 68, 71, 72, 86, 101, 105, 108, 115, 121, 122, 130, 145, 147, 152, 153, 154, 156, 157, 178, 179, 180, 185, 186, 187, 189
ჟორდანია თედო 180

რ

რაშიდ-ედ-დინი 10, 11, 24, 56, 57, 58, 59, 60, 62, 63, 65, 66, 67, 79, 84, 85, 88, 96, 97, 98, 99, 100, 101, 102, 103, 105, 112, 113, 114, 115, 117, 122, 123, 129, 130, 137, 139, 140, 141, 144, 152, 193
როსტისლავ მსტისლავის ძე (სმოლენსკის მთავარი) 165
რუბრუკვისი გულიომ 11, 13, 14, 17, 19, 20, 21, 25, 26, 29, 30, 43, 44, 45, 75, 76, 141, 142
რუსუდან მეფე 106, 108, 109, 111, 116, 118, 125, 128, 130, 153, 154, 155, 156, 157, 184

## ს


სალპიანი (ქართული სახელწოდება ჯებე სარდლისა) 105, 114
სანგუნი (სეგუნი) ონ-ხანის-ძე 59
სარგის ჯაყელი 28, 54
სარტახი ბათო ყაენის ძე 14, 76, 159
სარჩუყ — „ედუთი“ 8
საჩა-ბეგი (ყიუთ-იურყინის ტომის ბელადი) 65
სეგიუნ ონ-ხანის-ძე 63
სევინჯი (ჩინგიზის უხუცესი ცოლი ქართული წყაროებით) 67
სუბედაი — სუბუდაი (იამა) 34, 94, 99, 100—102, 105, 112—114, 118, 122, 123, 129, 131, 132, 135, 140, 174
სუნ („ცინ“ ჩინური დინასტია) 176
სურ-ხანი 65
სუსე (ჩინეთის იმპერატორი) 86


## ტ


ტატიშჩევი (ისტორიკოსი) 158
ტიზენჰაუზენი ვ. 117, 119, 120, 124, 126, 186


## უ


უგედე-ყაენი (ქართ. წყ. ოქოთა) 42, 66, 67, 79, 82, 84, 87, 100, 102 103, 112, 140, 141, 143—147, 174, 175, 177, 183, 191—193
უზბეგ (თავრიზელი ათაბაგი) 117, 118, 120, 121
უზბეგ-ყაენი (ოქროს ურდოში) 190
უთქინ (ონ-ხანის ძმა) 61
ულო-ყაენი (ჰულაგუ-ყაენი) 177, 180, 185
უსუნი (ჩინგიზის მიერ ბეგად აღზევებული) 72, 73


## ფ


ფრიდრიხ II (ავსტრიის მეფე) 173


## ქ


ქაირ-ხანი (ინალჩიკი) ოთრარის მმართველი 91, 92, 96, 97
ქიქოძე გერონტი 13, 14
ქოლაჭ 61


## ყ


ყაზან-ყაენი 11, 181
ყარაჩა-ხანი 96, 97
ყაუხჩიშვილი ს. გ. 186, 188, 189, 193
ყვარყვარე ჯაყელი 128, 154
ყიასდინ სულთანი 54
ყონჩაყი (ყივჩაყთა მთავარი) 132
ყუბილაი ყაენი 175, 176, 177, 185, 186


## შ


შანშე ზაქარიას ძე 52
შიკი-ხუტუყუ-ნოიონი 74
შირვანშაჰი 129, 130

## ჩ

ჩან-ჩუნ 11, 24, 139
ჩალათა-ყაენი ჩინგიზის-ძე 66, 67, 79, 84, 87, 100, 102, 103, 112, 140, 141, 143, 145, 174, 175, 177, 185
ჩალატარ ნოინი 147, 154
ჩინგიზ-ხანი 137
ჩინგაი მდივანი 75, 76
ჩინგიზ-ყაენი 1, 7, 8, 9, 12, 34, 35, 38, 40, 47, 56, 57, 58, 65, 66, 67, 68, 69, 70, 71, 73, 74, 81, 82, 84, 86, 87, 89, 90, 91, 92, 93, 94, 96, 97, 98, 99, 100, 102, 103, 104, 105, 106, 107, 108, 112, 113, 114, 131, 134, 140, 141, 142, 143, 144, 145, 146, 158, 159, 163, 173, 174, 175, 182, 193, 194
ჩორმაღან ნოინი, 147
ჩჟან-დე-ხუი (ჩინელი ავტორი) 22

## ც

ცინცაძე ი. 156
ცძინ (ცინ, დინასტია ჩინეთში) 61

## ჭ

ჭიჭინაძე ზაქარია 7, 9, 17, 18, 37, 38, 51, 54, 65, 82, 83

## ხ

ხან მელიქი 113
ხვარაზმშაჰი 91, 100, 101, 112, 114, 152
ხოჯა შამშადინის ძმა 104
ხუტუყუ ნოინი 74
ხუტულა ყაენი 62

## ჯ

ჯავახიშვილი ივ. 4, 5, 14, 71, 73, 115, 119, 121, 124, 127, 129, 144, 149, 152, 153, 193
ჯალალ-ედ-დინი 46, 100, 101, 102, 104, 105, 106, 107, 117, 147, 148, 149, 152
ჯამუყა სეჩენ (ჯაჯირათის ტომის ბელადი) 60, 62, 63, 64, 65
ჯაყელი სარგის 28, 54
ჯაყელი ყვარყვარე 128, 154
ჯებე (სარდალი) 34, 84, 85, 94, 99, 100, 101, 102, 105, 112, 113, 114, 122, 123, 129, 131, 132, 135, 140
ჯოჩი ანუ ჯუჩი 66, 67, 79, 84, 87, 88, 96, 100, 102, 103, 112, 139, 140, 141, 143, 145, 158, 175
ჯოჩი კასარი 58
ჯუვეინი 7, 10, 11, 93, 95, 100, 113
ჯუზჯანი 10, 66, 87, 113, 142, 148

## ჰ

ჰაიდუ (უგედეს შვილიშვილი) 177
ჰასანი (მუაზიელი ვაჭარი) 23, 89
ჰენრიხ II (პოლონეთის მეფე) 170
ჰულაგუ (ჰულაყუ) ყაენი 10, 81, 82, 175, 177, 179

## გეოგრაფიული და ტომთა სახელების საძიებელი

### ა


აბასელთა სახელმწიფო 175
აგარა 125
ადარბადაგანი 106
აელანეთი 10, 103
აზერბაიჯანი 104, 119, 120, 125, 126, 128, 129, 144, 147, 148, 149, 150, 151
აზოვის ზღვა 134, 136
აზრუმი 14
აინჯალული 181
ალანები 129
ალანეთი 144
ალბისტანი 181
ალმუთელნი 145
ალმუთი 67, 145, 178
ალტაის მთაგრეხილი 16
ამუდარია მდ. 95, 98, 145
ანამა 176, 177
ანისი 14, 152
ანტიოქია 14
არაქსი 29
არდაჰანი (ციხე-სიმაგრე) 101
არტაანი 152
არღუნი მდ. 89


### ბ


ბაარინის ტომი 72
ბაბილონი (ანუ ბაღდადი) 148, 178
ბაიკალის ტბა 16, 22
ბიაუთის ტომი 65
ბალის წყალი 115, 116, 117, 118, 119
ბალკანეთი 175
ბალხი 102
ბარდავი 29, 125, 130, 131
ბარდავის ჭალა 125
ბასიანი 121, 149
ბაღდადი (ანუ ბაბილონი) 148, 178, 179, 180, 181
ბენაკეტი 97
ბერდუჯის წყალი (საგიმად წოდებული) 52, 121
ბიზანტია 110
ბირმა 176, 177
ბიჯნისი 106
ბლაჯუნი მდ. 61
ბნელეთი (პოლარული მხარე) 67, 145, 185
ბოლგარი დიდი (ქალაქი ვოლგაზე) 158
ბორლალეთი 145
ბოსნია 174
ბოჰემია 173
ბრნო (ქალაქი ჩეხეთში) 173
ბროდნიკები (სლავების ტომი აზოვის ზღვასთან) 137, 138
ბუირ ნორის თათრები 62
ბუხარა 9, 67, 97, 98, 99, 100, 145


### გ


გალიჩი 166,
გაგი 115, 121,
განჯა (განძა) 127, 150
გარმიანი 148

გეორგია (დიდი) 184
გურგანჯი (ურგენჩი) 102, 103
გურჯისტანი 117

## დ

დაიდუ (პეკინი) 176
დამასკო (დიმეშკი) 181
დამიეტი 108, 116
დანილოვი (ქალაქი) 168
დარუბანდი 14, 29, 115, 123, 129, 130
დარუბანდის კარი 130
დეშტი-ყიფჩაყ 79, 159
დეინი 152
დიდი ბოლგარი (ქალაქი ვოლგაზე) 158
დიმეშკი (დამასკო) 181
დნეპრი 132, 134, 135, 138, 139, 164, 166
დუნაი 25
დონი 134, 137

## ე

ეგვიპტე 144, 181
ემეთი 67
ენისეი 16, 22
ერაყი 105, 148, 185
ესპანეთი 156
ეფრატი 180

## ვ

ვალაშკერტი 149
ველიკი ტურსკი (ქ. პოლონეთში) 171
ველის მონღოლები 17, 19
ველური მონღოლები 16
ვიატიჩები 162
ვისლა 171
ვლადიმირის სამთავრო 47, 159, 160, 161, 169
ვლახეთი 174
ვოლგა მდ. 14, 17, 76, 77, 144, 158, 173, 174, 175, 186
ვოლგის ბულგარეთი 144, 147
ვროცლავი (ქ. პოლონეთში) 171

## ზ

ზაგრები 173
ზარნუქი 98
ზონდის კუნძულები 177

## თ

თაიჯუტების ტომი 59
თანღუთების ქვეყანა 140, 141
თარბაღათაი 145
თბილისი 106, 123, 124, 125, 150, 157
თებრიზი (თავრიზი) 117, 149
თეთრი მონღოლები 16
თეირანი 101
თრიალეთი 152
თურანი 67, 104, 145, 185
თურქესტანი 144, 177
თურქმენები 120, 123

## ი

იაიკი მდ. 158
იანიკენტი 96
იანცზი მდ. 176
იაპონიის კუნძულები 177
ილის დაბლობი 145
ინდოეთი 95
ირანი 5, 77, 81, 99, 102, 107, 109, 110, 111, 113, 115, 118, 119, 126, 128, 129, 131, 144, 147, 148, 149, 150, 151, 175, 184, 194
ირტიში 16, 22, 96, 139, 144, 145
ისმაილიტები 10, 177, 178
ისმაილიტების სახელმწიფო 175
იტალია 12, 156

**კ**

კალკა მდ. 53, 136, 137, 138, 158, 159
კაიპინის ბანაკი 176
კამბოჯი 176
„კანგიტების" ქვეყანა 78
კარნუ ქალაქი 125
კარპატის მთები 172
კასპიის ზღვა 101,, 113, 131
კასპის მთები 29
კერულენი (კელურენი) მდ. 16, 22, 59, 79, 144
კერაიტები 16, 65
კიევი 133, 134, 163, 164, 166, 167
კლარჯეთი 152
კლიაზმა მდ. 163
კოზელსკი (ციხე-ქალაქი) 162
კოლა 152
კოლომნა 161
კომანია (ყივჩაყეთი) 77, 78, 172
კრაკოვი 171, 172
კრემენეცი 168
კუიავია (პროვინცია პოლონეთში) 170, 171
კულუნ-ბუირ-ნურის ტბები 16

**ლ**

ლატვია 171
ლეგნიცე (სილეზიის ქალაქი) 171
ლენინაბადი (ხოჯენდი ძვ.) 97
ლიუბეკი 173
ლიხთ-აქეთი 153
ლიხთ-იქეთი 153
ლომთა-გორა 125
ლუნჩიცი (პროვინცია პოლონეთში) 170

**მ**

მავერანაჰრი 95, 96, 139, 145, 194
მაზოვია (პროვინცია პოლონეთში) 170
მანგიშლაყი 104
მერვი 100, 112
მესოპოტამია 9, 118, 180
მესხეთის ციხეები 154
მისრეთი (ეგვიპტე) 178
მოჰის დაბლობი (უნგრეთში) 172
მონღოლი (ერთი ტომთაგანი) 61, 62
მორდველების ქვეყანა 163
მულანი 117, 118

**ნ**

ნაიმანები 16, 60, 62, 65, 68
ნანგიასების ქვეყანა 141
ნახჭევანი 14,
ნიშაბური 100, 101, 104, 112, 113
ნიურენბერგი 173
ნოვგოროდი 162, 168, 169
ნური 98

**ო**

ოვსეთი 145, 185
ოთრარი (ხვარაზმეთის ქალაქი) 91, 92, 96, 97, 98
ოლეშიე (ქალ.) 134
ოლომუცი (ქალაქი ჩეხეთში) 173
ონონი მდ. 59
ონღუნების ტომი 60
ოსები 83, 129
ოქროს-ურდო 12, 25, 32, 64, 70, 79, 81, 89, 95, 143, 159, 160, 161, 164, 175, 186, 190, 191.

## პ


პალესტინა 14, 181
პეკინი 85, 87
პერეიასლაველი 163
პოლონეთი 1, 167, 170, 171, 173
პოლონეთი დიდი 170
პოლონეთი მცირე 170
პრაღა 173


## რ


რანი 117
რიაზანის სამთავრო 159, 161, 187
რკონის მღვთისმშობელი 180
რუსეთი 1, 14, 39, 42, 67, 77, 115, 130, 131, 132, 133, 144, 145, 157, 158, 172, 182, 183, 185, 194


## ს


საბერძნეთი 148, 185
საგამის ველი 121, 128
საგიმი მდ. 121
საიო (პროვინცია ჰუნგრეთში) 172
სამარყანდი 9, 67, 97, 98, 99, 100, 102, 112, 114, 138, 145
სამცხე-საათაბაგო 14, 152, 154
სამშვილდე 115, 125, 156
სანდომირის სამთავრო 171, 172
საქსინები 158
სერადზი (პროვინცია პოლონეთში) 170
სერაყსი 112
სერბეთი 145, 174
სილეზია 171
სირდარია 89, 95, 96, 97, 145
სირია 156, 181
სიტი მდ. 161
სკვითია 25
სომხეთი 115, 118, 186
სპარსეთი 29, 109, 110, 177, 186
სუდაკი 134
სუზდალი 42, 161


## ტ


ტაჯიკეთი 186
ტალიკანი (ქალ.) 103
ტიურინგია 173
ტორჟოკი 162
ტრანსილვანია 174
ტრაპიზონის სახელმწიფო 110
ტუნ-კინ (დუნ-ცზინი) 84, 85
ტყის მონღოლები 22, 23


## უ


უიღურეთი 10, 16, 67, 145
უნგრეთი (ჰუნგრეთი) 1, 73, 162, 165, 167, 168, 170, 171, 173, 174
ურალი (მდ.) 158
ურანელები (ყივჩაყთა ტომი) 101
ურგენჩი (გურგანჯი) 89, 102, 103, 145
ურიანყათის ტომი 112
უქუთი 67, 145
უშანი 185
უჩანი (ჩინ. ქალაქი) 176


## ფ


ფერღანა 97

ქ

ქართლი 152
ქაშაგები (რუს. კასოგი) 83
ქაშგარი 145
ქუთაისი 155
ქურთები 120, 123

ღ

ღაზნინი 95, 104

ყ

ყაზვინი 101, 114
ყარაიტების ტომი 62
ყარაყორუმი („ყარყუმი") 14, 22, 44, 47, 67, 77, 78, 79, 83, 145, 149, 157, 164, 175, 176, 185, 191
ყარა-ჩინელები 86
ყაყვის ქვეყანა 67
ყიათების ტომი 58
ყიეჩაყეთი 1, 67, 79, 115, 144, 185
ყივჩაყები (პოლოვცები რუს. წყ.) 83, 129, 158, 172
ყივჩაყთა ველი 100, 112, 113, 131, 134, 147, 162
ყირიმის ნახ.-კუნძული 134
ყინღურათის ტომი 112
ყიუთ-იურყინის ტომი 65

შ

შავი ზღვა 134
შავი მონღოლები 16
შავშეთი 152
შამი 181
შამქორი 121
შემახა 14, 129
შეიდი მდინარეთი 145
ში-ვეი-მონგუ — „მენგუ" 16
შირვანი 14, 129
შუამდინარეთი 181

ჩ

ჩერნიგოვი 160, 162, 163, 164
ჩეხეთი 1, 167, 171, 173, 175, 176
ჩინეთი 13, 69, 84, 85, 89, 92, 94, 144, 183, 184, 194
ჩინ-მაჩინი 67, 83, 145
ჩინეთის დიდი კედელი 16
ჩირჩიკი (მდ.) 139
ჩეოუნდუ (ქალაქი) 176
ჩუგუჩაყი 145

ც

ციმბირი 14, 177

ძ

ძანეთი 153

ხ

ხაზარეთი 67, 145, 185
ხატაეთი 56, 67, 86, 145
ხვარაზმეთი 89, 91—96, 101, 102, 104, 109—111, 119, 126, 128, 143, 145, 147, 152
ხანჯოუ 176

ხლათი 118, 148, 149
ხმელნიკი 171
ხოელე (სოფ.) 180
ხორასანი (ხვარასანი) 10, 45, 66, 100, 102, 104, 105, 139, 147, 178, 185
ხოჯენდი (ლენინაბადი) 96, 97

ჯ

ჯავახეთი 152
ჯაჯირათების ტომი 60, 62, 65
ჯენდი (ქალ.) 96
ჯიონი მდ. 45, 102, 104, 105, 106, 147
ჯურჯე (პროვინცია) 84, 86

ჰ

ჰალაბი (ალეპო) 181
ჰერატი 100, 112, 113
ჰერეთი 115, 118
ჰინდუყუში 95
ჰისუტების ტომი 112

# ტერმინთა საძიებელი

## ა


ალი 24, 26, 27, 34, 35, 69
ალთამღა 76
ალთან-დეფთერი 11
„ანდი“ 63
ახტაჩი-ახტაჯი 71, 72


## ბ


ბასკაკი 187, 188, 189
ბაურჩი 72
ბაყათური 31, 56
ბიგი ანუ ბიკი-ბეგი 72, 73
ბილგე 31
ბილიგი 8, 74
ბიოქოე 31
ბოლოლი 32, 34
ბულალაჩინ 22
ბუქაული 72


## დ


დარხანი, თარხანი 32
დაიში 75
დუმანის თავი (ნოინი) 71


## ე


ეგედარჩი 71
ედუთი 8


## თ


თაიუჯიტთა ნოინი 71
თარხანი-დარხანი 32
თაიუჯიტ 71
თალარი-თულარი 193
თურდუეტი (ქეშიგები) 70


## ი


იამი 78, 191, 192
იამიამი 76, 77, 78
იასა 74, 88
იასალი 7, 8
იასალი დიდი 7
იარალუჩი 74, 75
იერლაყი 190
ილხანი (ხალხთა ყაენი) 12, 178, 191
ინჯე 33
იოთო ლებოლოლ (ანუ ჯალაუ) 33
იურტა (კარავი) 24, 25, 29, 30
იურტი — იგივე ნუნტული 29, 100, 144
იურტჩი 72


## კ


კიურენი-გიურენი 24, 26, 49

მ

მალი 193
მერლენი 31
მონაპირეთა ინსტიტუტი 111

ნ

ნოინი 31, 35, 69, 70
ნოინები დიდნი და მცირენი 70
ნოინი თაიუჯიტთა 71
ნოინი ულუსისა 70, 71
ნუნტული 25, 29, 35
ნუქერი — ნოქიური 33, 34

ო

ოირა 72
ოჯიგონ 25

ს

საიამო გადასახადი 78, 192

ტ

ტაიში-დაიში 75
ტაიჯუტ ანუ თაიჯუტ 71
ტამღა 193

უ

ულდანჩი 71
ულუსი 27, 28, 35, 145
ულუფა 185, 189, 193
უნაღან-ბოღოლ 31, 32, 33
ურდო-ორდუ 28, 29

ქ

ქებეგიურ 27
ქებტეული 70
ქერემუჩინ 22
ქეშიგი (ქეშიკი) 69, 70, 71
ქიოქ თამღა 76
ქირბეგიუნ 78

ყ

ყალანი 192
ყარაჩუ 34
ყორჩი 71
ყოფჩური ან ყაფჩერი 192, 193
ყურულტაი ან ყურულთაი („ყურუნთო") 67, 78, 79, 81, 82, 144, 147

ჩ

ჩერბი 72

ხ

ხოლა 72

ჯ

ჯალაუ (იოთოლუ ბოღოლ) 33

ჰ

ჰაშარი 97

# სარჩევი


გვ.

წინასიტყვა 3

ცნობები მონღოლთა ძველი ისტორიის ძირითადი წყაროების შესახებ . 7

ცნობები მონღოლთა ტომების მეურნეობისა და სოციალური წყობილების შესახებ 16

მონღოლთა ტომების სახელმწიფოებრივი გაერთიანება 56

მონღოლთა დაპყრობები 82

1. ჩინეთის დაპყრობა 83
2. შუა აზიის დაპყრობა . 89
3. თავდასხმა საქართველოს სახელმწიფოზე . 108
4. თავდასხმა რუსეთზე . 131
5. ჩინგიზის გარდაცვალება . . . . 139

მონღოლთა ლაშქრობანი ჩინგიზის შემდეგ . 147

1. საქართველოს დაპყრობა . 150
2. რუსეთის დაპყრობა . . . . 157
3. მონღოლთა ლაშქრობა ჰუნგრეთსა და პოლონეთში . . . 170
4. ლაშქრობა ჩინეთსა და მცირე აზიაში და დაპყრობილ ხალხებზე ბატონობის ორგანიზაცია . 175

საძიებლები . 197

რედაქტორი დ. გვრიტიშვილი.

გამომცემლობის რედაქტორი ლ. ცერცვაძე
ტექრედაქტორი ნ. ბერიძე
კორექტორი ზ. ფირცხალაიშვილი
კონტროლიორ-კორექტორი ლ. ტრაპაიძე

**Цинцадзе Ясе Захариевич**

**МОНГОЛЫ И МОНГОЛЬСКИЕ ЗАВОЕВАНИЯ XII—XIII вв.**

**(На грузинском языке)**

Изд-во ТГУ им. Сталина
Тбилиси — 1960

შეკვეთა № 1371 უე 05746 ტირაჟი 2000

გადაეცა წარმოებას 22/VIII-60 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/XI-60 წ.
ანაწყობის ზომა 6×10. ქაღალდის ზომა 60×92. სასტამბო თაბახი 13,25.
გამომცემლობის სააღრიცხვო თაბახი 11,82.

ფასი 9 მან. 70 კაპ.
ფასი 1961 წ. 1. 1-დან 97 კაპ.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.

Типография Издательства ТГУ им. Сталина, Тбилиси,
проспект И. Чавчавадзе, 1.